




ჩვენს მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

24 იანვარი 2014

№2 (210)



**ჯუანშერ ტიკარაძის ლირიკა
დავით წერეთლიანის ჩანაწერები
ხუან კარლოს ონეტის ვედრება
სიმონ ჩიქოვანი ქართულ პოეზიაზე
იოსებ ჭუმბურიძე ფურნალისტიკაზე
ელისაბედ ერისთავი ძმებ ორბელიანებზე
გია ფოცხვერიას არაკანონიკური კინორეცენზია
გიორგი ლორთქიფანიძის ანტიბიოგრაფია
ნაჯიბ მაჰმუდის თაფლობის თვე
ტერენტი გრანელის შვიდეული
თეიმურაზ ლანჩავას ლექსები
მურმან ჯგუბურიას ესეები**

შინაარსი

რადამტორის გვერდი	2	ყველა მთავი დამანებამი (ხუან კარლოს ონეტის ვედრება)
მსახარ-ინტერვიუ	3	თემურ გაბუნია „საკუთარი თავის მოლოდინი“ (მომზადდა ნატა ვარადაძემ)
გამოსვლა	5	ლუკა დვალისვილი „მომგონებამთა სკივრის“ საივადო მოჭირანსულა (ტრიფონ ჯაფარიძის მოგონება აკაკი წერეთელზე)
პროზა	6	გიორგი ლორთქიფანიძე ანტიბიომბრაზია
მემორიალი	14	მარიამ ხუცურაული ასე აღარავინ მღერისო (თეონა ქუმსიაშვილი)
პოეზია	15	თეიმურაზ ლანჩავა ***ზამთარი გრძელი მოლოდინია
	17	ჯუანმერ ტიკარაძე ნისლით დადღაზნილი პორტრეტები
უხსოვთის სხოვრებიდან	20	მაკო ჯანჯიბუხაშვილი ბავშვისთვალეა კაცი და მხატვრული ტილოს საიდუმლო (კიდევ ერთხელ — ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ირგვლივ)
პროზის გზავნა	22	გვანცა ჯობავა ქართული ემიგრანტები და ჩვეულებრივი ანუ არაჩვეულებრივი ადამიანების მსოფლიო
ქინო	24	გია ფოცხვერია ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა (არაკანონიკური რეცენზიის ცდა)
რამორბაში	28	ეკა ბუჯიაშვილი რას ნიშნავს სახელმწიფოებრივი აზროვნება (განხილვა ვაჟა შუბითიძის მონოგრაფიისა ნიკო ნიკოლაძეზე)
ფიქრი და განსჯა	33	დავით წერეთლიანი ჩანაწერები
ელვარა და ლოგოფარი	37	გია ხოფერია „ბულჩაბნელაბული“ მიჯნურის აღსარება (გაბრიელ ჯაბუხანურის ბარათი ხვთისო ნიკლაურთან)
მწერლის პოეზიიდან	38	სიმონ ჩიქოვანი სიტყვა ქართულ პოეზიაზე
წიგნი და მიმთხველი	44	ლაშა გიორგაძე ჩვეულებრივი ცხოვრების ექსი (მიხეილ ჭაბაშვილის მემუარები)
პრობლემა	48	მურმან ჯგუბურია ცოტა რამ გულიანი (გულადი) პოეტის შესახებ ანუ ის, რასაც სხვასთან ვერ ნაიპიტხავ (ჯარჯი ფხოველი)
	50	მურმან ჯგუბურია წიგნი და მხატვარი (ვახტანგ რურუა)
მოყვარეს აირვი უძრავს	52	იოსებ ჭუმბურიძე დაფშვილ-დატახილი საუკუნე და მომავთავებული „შურნალისტიკა“
ლიბარატურული პორტრეტი	54	როსტომ ჩხეიძე ყვავილთცივენის სიზმარი და ცხადი (დაუნერელი დღიურის ფურცლებიდან)
ლიბარატურული ცხოვრება	57	„საკუთარ ფრთავს ჩამორჩენილი“ (თამაზ ბაძალუას ხსოვნის საღამო თეატრალურ უნივერსიტეტში)
წარსული მოვალისათვის	58	ელისაბედ ერისთავი მოგონება კმეზ ორბელიანებზე
უხის წიგნაიდან	64	საბა სულხანიშვილი ქარი, დამე და... ტარენტი გრანელის შვიდაული
უხსოვრი ნოველა	65	ნაჯიფ მაჭფუზი თაფლოზის თვე
ამ მთისა და იმ გარისა	71	მშვიდობით, იარაღო — ჩხეიძე



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 7 თებერვალს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თვაი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯობაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: ჯარჯი ფხოველი, ბაბუა ალუდაურის ფოტო
დაკიდული მონასტერი, კაირო (ეგვიპტე)

ყველა თავი დამანებეთ

(ხუან კარლოს ონეტიის ვიდეო)

მონტევიდეოს ხსენება ჩვენთვის ყოველთვის სხვაგვარად იქნება გულზემოსახვედრი, და ეს — გალაკტიონური ხილვა-სტრიქონის წყალობით: ლურჯო მონტევიდეო, ვინრო ხელ-თათმანებით!..

და ამჯერადაც ჟრუანტელი დაგვივლის, **ხუან კარლოს ონეტი**ს ამ სიტყვებს რომ წაუკითხავთ: ამ ბოლო დროს სულ სიზმრებში ვარ, მონტევიდეო მესიზმრება, იქაური პერსონაჟები, ხალხი, იქაური ადგილები: ბარები, სადაც ქალებს პაემნებს უწინიშნავდი, ქუჩები. როგორც კი თვალს ვახელებ, სიზმარი ქრება, მაგრამ ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ყველაფერი მართლა ვნახეო.

და კიდევ მწერლის იმ საიდუმლოს გამჟღავნებას, რომ მითიური ქალაქი სანტა მარია, შექმნილი უილიამ ფოლკნერის იოკნა-პატოფასა და გაბრიელ გარსია მარკესის მაკონდოს გავლენით, მონტევიდეოს ყოფითი სინამდვილიდან ამოზრდილიყო და ამ ყოფისა და გაქვავებული დროის გადაკვეთაზე გამოქრნილიყო როგორც ის მხატვრული გარემო, სადაც ამ მსოფლიო რანგის ბელეტრისტის პერსონაჟებს უნდა ემოქმედათ, მსოფლიო რანგის — კინალამ ნობელის პრემიასაც რომ გამოჰკრავდა ხელს, თორემ სერვანტესის ეროვნული ჯილდო ხომ ერგებოდა და ერგებოდა.

თვითონ ხუან კარლოს ონეტი თავის წიგნებში ყველაზე ღირებულად... გულწრფელობას მიიჩნევდა.

— იმას ვგულისხმობ, რომ მე ყოველთვის მე ვიყავი.

არგენტინელებს წაჰკრავდა: მათსავით ტრიუკებს არ ვანყოფილი, — მაგრამ განსაკუთრებით ის ეამაყებოდა, რომ არასოდეს ეთვალთმაქცა — არც საკუთარი თავისა და არც სხვების წინაშე. ხოლო ყველა ის სისუსტე, რის შესახებაც წიგნებში წერდა, მისი საკუთარი სისუსტეები გახლდათ, ნამდვილი და არა გამოგონილი.

ონეტი ქართულ ლიტერატურულ სივრცეში გამოჩნდებოდა ორიგინალური კრებულის — **„ესპანურენოვანი მოთხრობა, ესე, ინტერვიუ“** — მეოხებით, ქეთევან ჯიშიაშვილი თავს რომ მოუყრიდა ესპანელ და სამხრეთამერიკელ (მექსიკა, ურუგვაი, არგენტინა) მწერალთა — **ანტონიო გალა, ხუან მარსე, მანუელ ვისენტი, არტურო პერეს-რევერტე, გუსტავო მარტინ გარსო, ოქტავიო პასი, ხუან კარლოს ონეტი, ადოლფო ბიოი კასარესი და კარლოს ფუენტესი** — ცალკეულ თხზულებებს და მარჯვე შერჩევითა და განლაგებით კიდევ ერთხელ მიგვაახლოებდა იმ გრანდიოზულ, დიდებულსა და მომხიბლავ სამყაროს, რასაც ესპანური და სამხრეთამერიკული მწერლობა ქმნის და ჩვენი მხრივ მოვალენი ვართ რაც შეიძლება ღრმად ვიყოთ ჩახედულნი და გარკვეულნი ამ სალიტერატურო პროცესებში.

საამისოდ არაერთი მეგზური გვეგულედა და აგერ მათ შემატებოდა ეს ჩინებული კრებულიც, სადაც სხვა ნიმუშებთან ერთად ჩართულია ხუან კარლოს ონეტის ის ინტერვიუც, რომელიც ჩვენში **მარსელ პრუსტის ანკეტის** სახელითაა ცნობილი და **„ჩვენი მწერლობის“** ნომრიდან ნომერში ემატება და ემატება ახალ-ახალი რესპონდენტები.

ჩემს წიგნებში ყველაზე ღირებული გულწრფელობაა...

სწორედ გულწრფელობაა ის გრძნობა, რაც უპირველესად ესაჭიროება ამ ანკეტის შევსებას, ერთი შეხედვით იოლი რომ გგონია, მაგრამ პასუხების წერისას ხვდები, რომ მთლად ასეც არ ყოფილა და ისეთი ფიქრების განდობას მოითხოვს შენგან, რასაც ეგებ საკუთარ თავსაც ვერ უმხელდი.

შეკითხვები, რომელსაც ონეტს უსვამენ, მთლად იმ „კანონიკური“ სახისა არ არის, ჩვენი მკითხველი რომ შესჩვევია, თუმცა ძირითადი ქარგა იგივეა და უთუოდ საგულისხმო იქნე-

ბა ონეტის პასუხების გაცნობა ანუ მისი შემოსვლაც „ჩვენი მწერლობის“ ამ გამამაურებელი პროექტის ფონზე.

საკუთარი ხასიათის მთავარ თვისებად რა მიაჩნდა?

სიზარმაცე.

თვისება, რომლის დანახვაც სურდა ადამიანში?

სიკეთე.

რას ანიჭებდა უპირატესობას ქალში?

სინაზეს.

რა იყო მისთვის მთავარი მეგობრობაში?

ერთგულეობა.

თავისი ძირითადი ნაკლი?

არ გამაჩნიაო, — არც კი დაფიქრდებოდა.

საყვარელი საქმიანობა?

პოლიტიკური რომანების წერა.

სანუკვარი ოცნება?

ვისკი და კარგი პოლიტიკური რომანი, რომელიც... ჯერ არ წაუკითხა, — ნეტა ხუმრობდა თუ მართლა არ განერჩეოდა ერთმანეთისაგან ვისკი და კარგი პოლიტიკური რომანი?!

რა იქნებოდა მისთვის ყველაზე დიდი უბედურება?

ცრუმორწმუნე ვარ და მირჩევნია არ ვთქვაო, — თავს აარიდებდა.

ვინ უნდოდა, რომ ყოფილიყო?

საკუთარი თავი ამ პირობებში, ოღონდ ოცი წლისა.

სად ისურვებდა ცხოვრებას?

ნებისმიერ ადგილას, მთავრია კარგი შემოსავალი ჰქონოდა.

რა ფერი უყვარდა?

წითელი.

საყვარელი ყვავილი?

ყვითელი ვარდი, — როგორც ჩანს, წითელი ფერი მარტო ვარდისა არ მოსწონდა.

საყვარელი ფრინველი?

ბელურა.

საყვარელი ავტორები?

ბიბლია, ფოლკნერი, პრუსტი, ცელანი, დოსტოვესკი, სერვანტესი, ჰემინგუეი.

საყვარელი პოეტები?

შექსპირი, უოლტ უიტმენი, პაბლო ნერუდა, სესარ ვალე-ხო, ლუის როსალესი, — ესპანურენოვანი სამყაროდან სამინი, დანარჩენი მსოფლიოდან კი — სულ ორნი.

მისი საყვარელი ფანტასტიკის გმირები?

ისინი, რომელნიც თვითონ გამოეგონა.

საყვარელი კომპოზიტორები?

ჩაიკოვსკი, პროკოფიევი, ბეთჰოვენი, რაველი, მოცარტი.

საყვარელი მხატვრები?

გოგენი, ვან გოგი, პიკასო, გოია, კლე, ბრაკი.

ვის აღიარებდა გმირად რეალურ ცხოვრებაში?

ჩე გევარას.

გმირ ქალად?

ასეთს... არავის იცნობდა.

საყვარელი სახელი?

მარია.

რას ვერ იტანდა ყველაზე მეტად?

როდესაც სხვის ტანჯვას უყურებდა და ვერაფრით შველოდა. ისტორიულ პერსონაჟთაგან ვინ არ მოსწონდა ყველაზე მეტად?

დიქტატორები.

რომელ სამხედრო მოვლენას სცემდა თაყვანს?

ნაპოლეონის ლაშქრობას იტალიაში.

რომელი რეფორმა მოსწონდა ყველაზე მეტად?

სიკვდილისაგან არცერთი არ გვიცავსო, — ირონიულ პასუხს ამჯობინებდა.

რა უნარის ფლობა ერჩივნა?

უჩინარობა სურდა.

როგორ სიკვდილს ამჯობინებდა?

არანაირს, — სიკვდილსაც გაექილიკებოდა. სულიერი მხნეობის ჟამს?

არა, უკვე ბედს დამორჩილებულიო, — რაკილა არ ეშვე-
ბოდნენ, მაინც ასეთ დროს ერჩინა აღსასრული.
რისი პატიება შეეძლო შედარებით იოლად?
იმის, რაც სიყვარულისათვის გაკეთებულიყო.
მისი დევიზი რა იყო?
და აღმოხდებოდა ხუნ კარლოს ონეტს:
ყველამ თავი დამანებეთო.

უჩინარობას ვინც ესწრაფოდა, რა გასაკვირია, ეს ოცნება
ჰქონოდა, მისი პროფესიისა და სახელის კაცისათვის — სრუ-
ლიად მიუწვდომელი.

ერთ დეტალსაც მივაქციოთ ყურადღება: ყველაზე მეტად
დიქტატორები რომ არ ეჭაშნიკება. და ეს მარტო სიტყვით კი
არა, საქმითაც.

ურუგვაიში დიქტატორული რეჟიმი რომ დამყარდებოდა,
ონეტის, როგორც უკვე მსოფლიო სახელის მქონე მწერლის გა-
დაბირებასაც შეეცდებოდნენ, მის მოხიბვლასაც ჯილდოებისა
და კეთილდღეობის მაცთურებით და რეჟიმის სამსახურში ჩა-
ყენებას, მაგრამ მწერალი არამცთუ მსახურად არ დაუდგებოდა
მისთვის მიუღებელ პოლიტიკურ მმართველობას, დაუპირის-
პირდებოდა კიდეც და არც გაჩერდებოდა, ვიდრე ციხეში არ უკ-
რავდნენ თავს. კიდეც კარგი საერთაშორისო საზოგადოება ჩაე-
რეოდა და აიძულებდა ურუგვაის მთავრობას მის გამოშვებას
საკნიდან, თუმცა ესპანეთში გადასახლება მაინც მოუწევდა.

თორემ ჩვენ ის ერნესტ ჰემინგუეიც ვიცით — აგერ ონეტის
ერთი უსაყვარლესი მწერალიც — ესპანეთში რომ ჩაიჭრებოდა
და თავს გადასდებდა: ფრანკოს დიქტატურას არ მოვითმენო,
— და სულ იოლად დაუდგებოდა მსახურად და განმადიდებ-
ლად კუბის დიქტატორს ფიდელ კასტროს, ვისაც — განსხვავე-
ბით ფრანკოსაგან — ქვეყანა არაბუნებრივი გზით მიჰყავდა,
იმ ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას ამკვიდრებდა, რასაც
ადრე თუ გვიან სრული კრაზი უნდა ეწვნია, როგორც ყალბ აბ-
სტრაქციას, თორემ კომუნისტური საზოგადოების დამკვიდ-
რება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, სტალინი თავის დროზევე
დამკვიდრებდა და საფიდელკასტროდ არ გახდიდა.

ასეა თუ ისე, მარსელ პრუს-
ტის ანეკტა სულის თავისებური
კარდოგრამა რომ არის, კიდეც
ერთხელ დასტურდება ურუგვაე-
ლი მწერლის პასუხების მაგალით-
ზეც და არ გაგვიკვირდება, ასეთი
ყაიდის ინტერვიუ მწერალმა სა-
კუთარ წიგნს რომ დაურთოს ერ-
თგვარ წინასიტყვადაც.

ნიშანდობლივია, რომ **ნინო
ჩხიკვიშვილი** — ვინც ენერგიუ-
ლად ჩაებმოდა **ნატა ვარადას** მი-
ერ წამოწყებულ ამ პროექტში და
არაერთ რესპონდენტს უშოვნიდა
„ჩვენი მწერლობის“ რედაქციას
— **თემურ ჩხეიძისადმი** მიძღ-
ვნილ წიგნს, სადაც თავს მოიყრი-
და მასთან ჩანერილი საუბრების
მთელი ციკლი, წაუმძღვარებდა
მარსელ პრუსტის ანეკტას.

მანამდე ასე უკვე მოქცეულიყო **ლია კუხიანიძე**, ვისი ლი-
ტერატურული პორტრეტებისა და ესეების კრებულებაც **„ძახი-
ლი ნისლში“** სწორედ ამ ანეკტით გაიხსნებოდა.

სხვაც არაერთი მოინადინებს.

ხოლო ონეტის მეორე ინტერვიუს რომ აღარ გავყვეთ, ის პასა-
ჟი მაინც არ გამოიტოვება: ვისთვის წერთო? — რომ ეკითხებიან,
ეს კი „ულისეს“ შემოქმედის პასუხს უმეორებთ ამავე შეკითხვაზე:
მე სანერი მაგიდის ერთ კიდეში ვზივარ და ვწერ ადამიანს, ვინც
მეორე კიდესთან ზის. და მეორე კიდესთანაც ჯეიმზ ჯოისიაო.

და კიდეც ის: შესაძლებელი რომ იყოს, იცხოვრებდით სან-
ტა მარიაშიო? — რის პასუხადაც ხუნ კარლოს ონეტი:

— სანტა მარია მხოლოდ ჩემს წიგნებში არსებობს. მაგრამ
სინამდვილეშიც რომ არსებულიყო და მე იქ მეცხოვრა, აუცი-
ლებლად მოვიგონებდი ქალაქს და მონტევიდეოს დეპარტამენტი.
...ისე ნეტა სად ნახა გალაკტიონმა ლურჯი მონტევიდეო,
და ისიც — ვინრო ხელთათმანებით?!



ხუნ კარლოს ონეტი

თემურ გაბუნია

„საკუთარი თავის
მოლოდინი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული
მდგომარეობა?

— ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ის ადამიანი,
ვინც ვერ ასწრებს სიკვდილისთვის მომზადებას, ვინც უზიარებ-
ლად კვდება, ვისაც შეუსრულებელი საქმეები რჩება ამ ქვეყანაზე.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?
— დაახლოებით ისეთ ადგილას, თომას მანს რომ აქვს აღ-
წერილი „ჯადოსნურ მთაში“, მსგავსი ადგილები საქართვე-
ლოშიც ბევრია...

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?
— როცა ისე საინტერესოდ ცხოვრობ, რომ ბედნიერებასა
და უბედურებაზე ფიქრის დროც კი არ გრჩება... როცა აკეთებ
შენ საყვარელ საქმეს უანგაროდ...

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
— ჰოლდენ კოლფილდი, ანდრე ბოლკონსკი, ალიოშა —
დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვებიდან“, ალექსანდრო —
დოჩანაშვილის „სამოსელი პირველიდან“ და სხვა...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
— თორნიკე ერისთავი, ერეკლე II, სპარტელთა მეფე ლეო-
ნიდასი...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?
— პიკასო, მოდილიანი, ფიროსმანი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
— ადრე სამუშაო განწყობის შესაქმნელად ხშირად ვუს-
მენდი ბახის, მოცარტისა და შოპენის ნაწარმოებებს, ასლა ამ
ჩვევას ვულალატე, თუმცა მათი მუსიკისადმი რალაც ნოს-
ტალგიის მსგავსი გრძნობა მაინც შემრჩა, სწორედ ისინი არი-
ან ჩემი საყვარელი კომპოზიტორები.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
— როცა საკუთარი სიტყვისა და პრინციპების ერთგული
რჩება ბოლომდე, ვერ ვიტან კონფორმისტებს, ერთი წლით
ადრე რომ გრძნობენ რომელი პარტია გაიმარჯვებს და იმათ
ბანაკში გადაიბარგებენ ხოლმე...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
— ყველაზე მეტად ვაფასებ იმ ქალებს, რომლებსაც ქვეც-
ნობიერად ახსოვთ, რომ ღმერთმა ევა ადამის ნეკნისგან შექმ-
ნა, ასეთი ქალები ძირითადად კარგი მეუღლეები და დედები
არიან, ისინი გამოირჩევიან თავიანთი სათნოებით, მოკრძა-
ლებით, სინაზითა და ერთგულებით...

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო
მომხიბლავი?

— ყველაზე დიდ სათნოებად მიმაჩნია ათი მცნებიდან
პირველი, რადგან ვინც მას იცავს, ავტომატურად იცავს ყვე-
ლა დანარჩენსაც.



— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ფიქრი იმაზე, რაც უნდა დაგწერო.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ვისურვებდი ვყოფილიყავი ისეთივე უცოდველი, როგორც ბავშვობაში ვიყავი, ოღონდ ახლანდელი ჭკუითა და გამოცდილებით.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ჩემი ხასიათის მთავარი თვისება არის ის, რაც ჯერ კიდევ არ აღმომიჩენია საკუთარ თავში.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სურვილს თუ ლტოლვას, გახდნენ იმაზე უკეთესები, ადრე რომ იყვნენ, ასევე თავმდაბლობას. დღეს ბევრი თავიკლავს შრომას, არადა არანაირი შრომა არაა სათაკილო. თვით დიდი პატრიარქი იაკობი, რომლის მოდგმაშიც იშვა მაცხოვარი, ხან ლაბანის მსახური იყო, ხან მწყემსი, ხანაც ვაჭარი... ბიბლიური პატრიარქების ცხოვრება მშვენიერი მაგალითია თუ როგორ უნდა უერთგულოს ადამიანმა საკუთარ პრინციპებს... დღეს ბევრი იხიბლება ფსევდო-ელიტარულობით, ხანდახან ხდება ისე, რომ ვატატოს, მაცაცოს და ბუკუკოს ხელფასებს ენირება საქართველო, მისი საუკუნეებს გადარჩენილი ფასეულობანი. ოღონდ მიიღონ ხელფასები, გრანტები და სატანის უფლებათა დაცვის კომიტეტსაც კი ჩამოაყალიბებენ, იმასაც კი იტყვიან — წმინდა გიორგი ურჩხულს რომ კლავს, ამით ცხოველთა უფლებები ირღვევაო. მსგავსი ხალხი ყველა ეპოქაში არსებობდა, კომუნისტების დროს ისინი ასე მეტყველებდნენ: „ნავალ ჯარში, შვეალ პარტიაში, მამაჩემი შემპირდა, ცოლს თუ მოიყვან, მანქანასაც გიყიდიო...“ სწორედ მსგავსი ფსიქიკის ხალხია ახლა, დიდი ხელფასებისა და გრანტების გულისთვის სულსაც რომ გაყიდიან. ჩემს მეგობრებდა დარჩნენ ისინი, ვინც შევარდნაძისა და მისი გაზრდილი პოლიტიკოსების ანკეუსზე არ წამოვიყვანე, ვინც არ მიიღო მონაწილეობა ტრადიციულ ფასეულობათა ნგრევისთვის გამიზნულ კამპანიებში...

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ჩემი მთავარი ნაკლია დროის ფუჭად გაფლანგვა. სტუდენტობისას ძლიერი პროტესტის გრძნობა მქონდა წითელი პროფესორებისადმი. საზოგადოებაში შექმნილ თვალთმაქცობის ატმოსფეროს ყველა თავისებურად აპროტესტებდა: ზოგი სვამდა, ზოგი ნარკომანობდა, სხვები ქურდული სამყაროს გავლენის ქვეშ ექცეოდნენ, თვითმფრინავის გატაცებაც ხომ ერთგვარი პროტესტი იყო. მე მაგალითად წითელ ინტილიგენციასთან ურთიერთობას, ღვინის ჭიქასთან ურთიერთობა მერჩია... ჩემი კათედრა ღვინის სარდაფები და რესტორნები იყო, ხანდახან ჭურჭლის ტროტუარიც... გვიან მივხვდი, ის დრო, ამ ადგილებში რომ გავატარე, უკეთ შემეძლო გამომეყენებინა...

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— დიდი სინათლე ადამიანს ისევე აბრმავებს, როგორც სიბნელე. ბედნიერები იყვნენ ადამი და ევა სამოთხეში, ისინი დიდ სინათლეს ხედავდნენ, სამაგიეროდ, ვერ ამჩნევდნენ თავიანთ სიშიშვლეს... ბედნიერია შემოქმედი, როცა ის რაღაცას ქმნის, ჰემინგუეის თქმისა არ იყოს, მაშინ მისი ტალანტი ისეთივე ბუნებრივია, „როგორც პეპლის ფრთებზე ყვავილთა მტვრის მოხატულობა“, თუმცა საკმარისია ხელოვანმა მატერიალურ რაღაცებზე დაიწყო ფიქრი, რომ ფრთები უმაღ დაუზიანდება, ფრენის სურვილიც გაუქრება, „მეხსიერებას კი მხოლოდ მოგონებება შემორჩება, თუ რა ადვილად ახერხებდა ამას ოდესღაც.“

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
— ქართველებს ქართველობა რომ დაეკარგათ, თუმცა ეს არასოდეს მოხდება.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ისეთი, როგორიც ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მუქი მენამული.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— შავი ვარდი. სტუდენტობისას აკვიტებული მქონდა ერთი სტრიქონი ბლოკის ლექსიდან „რესტორანში“: „Я поспал тебе черную розу в бокале.“

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივი. ის იოანე ღვთისმეტყველის სიმბოლოა, არწივი ყველაზე მაღლა ფრენს, იოანე ღვთისმეტყველი კი მოციქულთა შორის სიბრძნეში ყველაზე შორს წავიდა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ფოლკენერი, თომას მანი, სელინჯერი...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გურამიშვილი, ვაჟა, ბაირონი, კიოსი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— მერაბ კოსტავა, მიხეილ არაბული, ასევე ყველა ადამიანი, ვინც საკუთარ თავში არსებულ ბოროტებას ებრძვის...

— საყვარელი სახელები?

— დემეტრე, დავითი, ნატალია, ქეთევანი...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— პიართი მოსულ ადამიანებს და საერთოდ სიტყვა პიარს, რადგან პიარსაშუალებებმა შეიძლება ადამიანს შავი თეთრად მოაჩვენოს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზი დაიმსახურა?

— ივანე მხარგრძელი. ამ პიროვნებამ არამარტო შალვა ახალციხელს უღალატა, არამედ საქართველოსაც. მან თამარ მეფეს შვილის აღზრდის უფლება წაართვა, მისი აღზრდილი უფლისწული იყო ლაშა-გიორგი. მხარგრძელები ისე იყვნენ გაკანდიერებულები, რომ კათალიკოს-პატრიარქ იოანეს ხელიდან საზიარებელი სეფისკვერის კი გამოგლიჯეს. სწორედ ისინი იყვნენ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზები იმისა, რომ საქართველოს მზე მრავალი საუკუნით ჩაესვენა.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— რა თქმა უნდა დიდგორი! ალტაცების მომგვრელია სამასი არაგველისა და სპარტელის თავგანწირვა, ასევე ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვება მაკედონელთა დროშის ქვეშ საბერძნეთის გაერთიანების მოწინააღმდეგე თებელეებზე, რომელთა ბირთვისაც სოდომიტები წარმოადგენდნენ, შეფიცებული რომ ჰქონდათ, ბრძოლის ველზე ერთად მომკვდარიყვნენ...

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— არცერთ რეფორმას არ ვაძლევ უმაღლეს შეფასებას.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— დიდი სამოვრებით ვუყურებ ხოლმე პროფესიონალ მოკრივეთა ორთაბრძოლებს ჩანანერებს. ჩემთვის მუჰამედ ალი მხოლოდ მოკრივე არაა, ის ხელოვანიცაა, ადამიანს რომელსაც შეეძლო რამდენიმე რაუნდი ყრუ დაცვაში ყოფილიყო და მერე უცებ გადასულიყო შეტევაზე, რომელიც თვით უკანდახევის დროსაც კი დარტყმებს აყენებდა მოწინააღმდეგეებს... სწორად ვატრიალებ ხოლმე კომპიუტერში მის სიტყვას ვიტანამის ომთან დაკავშირებით: „არ წავალ აქედან რამდენიმე ათასი მილის მოშორებით იმ საცოლოდ ხალხის დასახოცად!“ მუჰამედ ალი არა მხოლოდ დიდი მოკრივე იყო, ის დიდი ადამიანიცაა. ხანდახან მშურს კიდევ მისი...

— როგორი გინდობდათ რომ მომკვდარიყავით?

— მშვიდი.

- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- სულიერი მდგომარეობა? — საკუთარი თავის მოლოდინი.
- თქვენი დევიზი?

- აღმოაჩინე საკუთარი თავი.
- თუკი ოდესმე შეხვედბოდი ღმერთს, რას ისურვედი, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- ტყუილუბრალოდ არ გიცხოვრია.

ლუკა დვალისვილი

„მოგონებათა სკიპრის“ საიქედო მოჭირნახული

აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრი საინტერესო გამოკვლევა დაწერილა და მომავალშიც არაერთი საყურადღებო წიგნი გაათვალსაზიანებს დიდი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სანიშნო მამულიშვილურ საქმეებსა და შემოქმედებითი ლაბორატორიის ეგზოტიკურ, მოზაიკურ მიკროკლიმატსა და პოეტური სიტყვის ლანდშაფტურ მრავალფეროვნებას. ჩვენი ერის მრავალმხრივ და საინტერესო კულტურას, სამწიხროდ, არაადროს აკლდა სკეპტიკოსები, თვით ქართველთა მხრიდანაც. ვფიქრობთ, ეს ადამიანთა ის ნაწილია, რომლებმაც საყველპურო განათლება საქართველოში მიიღეს, მერე უცხოეთის სასწავლო ცენტრებსაც სტუმრობდნენ და მხოლოდ გარედან მაყურებლის თვალთა აფასებენ თავიანთი ქვეყნის დიდებულ კულტურულ ტრადიციასა და ხშირად — ისტორიის ავბედითობის გამო — არარეალიზებულ უდიდეს შემოქმედებით პოტენციალს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული (კონკრეტული ფაქტების გამო), რომ უახლოეს მომავალში, როცა სრულყოფილად შეისწავლება ქართველ წმინდა მამათა, სამშობლოზე ფიქრითა და ღვაწლით დაშრეტილ ამაგდართა საზღვარგარეთული სავანეები, ქართული სულიერი და მატერიალური კულტურა ცისარტყელას ფერებით აცისკრებული ციალით, ახლებური, ჯადოსნური ფერებით გამოაშუქებს.

ჩვენ დიდი პატივისცემითა და სიხარულით ვეხმთანებით ქართულ სალიტერატურო ჟურნალთა ავანგარდში ერთ-ერთ გამორჩეულ „ჩვენი მწერლობის“ (2013, №20) დაბეჭდილ **ციცინო მუმლადის** პუბლიკაციას — **ტრიფონ ჯაფარიძის** მოგონებებს აკაკი წერეთელზე. ციცინო მუმლადე ბოლო ხანს გამოქვეყნებული წერილებით მკითხველის წინაშე წარმოჩინდება, როგორც მახვილი თვალისა და ფაქიზ გემოვნების მკვლევარი, რომელმაც მუზეუმებისა და არქივების საცავებში მტვერდაფერილ და შეუმჩნეველ დოკუმენტს ლიტერატურული სამზეო ანახა.

როგორც მოგახსენეთ ჩვენი ერის მცირერიცხოვნობის გამო საზოგადოების ერთ ნაწილს ჰგონია, რომ კულტურის მცირერიცხოვანი მუშაკები გვეყავდა და მათი შემოქმედებაც ბოლომდე შესწავლილი. მცირე ფორმატის ამ სტატიამ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართული ლიტერატურის იშვიათი საგანძური ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოვლენილ-შესწავლილი და მისი ცხრაკლიტულის მეცხრე კარამდე მიღწევას დედამიწისეული დრო არც ეყოფა. ქართველი მწერლებიდან თუ რომელიმე შემოქმედეს კარგად იცნობს მკითხველი და მკვლევარი, ერთ-ერთი უდავოდ აკაკი წერეთელია. მაგრამ როცა ტრიფონ ჯაფარიძის თავის დროზე გამოქვეყნებულ მოგონებებს გაეცნობა მკითხველი, კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედების შუქ-ჩრდილიანი საკითხები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი, თუმცა არ ვიქნებით მართალი თუ არ აღვნიშნავთ, რომ ამ დიდი სამოციანელის შესახებ ამ ბოლო ხანსაც რამდენიმე საინტერესო წიგნი თუ სტატია დაიწერა. მათ შორის აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების უდავოდ საინტერესო ინტერპრეტაცია ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანი „აკაკის ლანი“.

შესავალი სტატიის მცირე ფორმატის მიუხედავად აქ ბევრ საინტერესოსა და საყურადღებოს ნახავს ქართული კულტურის ბედითა

და ისტორიით დაინტერესებული მკითხველი. „მოგონებათა სკიპრის“ რუბრიკით გამოქვეყნებული ეს ახალი ნიმუშიც ფორმითა და შინაარსით მიზიდველი და ნოყიერი აკიდოა, რომელიც აკაკის ცხოვრებისა და საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს თვალსაჩინოდ წარმოაჩენს.

აკაკის პრინციპულობა და შეურიგებლობა იმპერიული რუსეთის თავგასულ მოხელეებთან. მაგალითად, აკაკი არ მოერიდა რუსეთის საიმპერატორო კარის ნათესავის, შარხიფათის მოყვარული გერმანელი პრინცის, ოლდენბერგის, წყენინებას და როცა ამ უკანასკნელმა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირის დამცრობილ სენხიას — ტარხიელ დადიანს — პირმშვენიერი მეუღლე აგრაფინა ჯაფარიძე ნაპკვარა, კიცხვა-ქილიკით გაბჟენილი ლექსი მიუძღვნა, რომლის ცალკეული სტროფებიც გახალხურდა და საზოგადოების დიდ ნაწილს, ამ სტატიის ავტორის ჩათვლით, ქართული ზეპირსიტყვიერების მშვენიერი ნიმუში ეგონა.

მართლაც ბევრი საგულისხმო ინფორმაციის დამტკიცება ძვირფასი მოზაიკური ინფორმაციით პირთამდე ავსებული ეს მოგონებანი. ტრიფონ ჯაფარიძემ მე-19 საუკუნიდან კიდევ ერთხელ დაბეჯითებით შეგვახსენა, რომ მაშინდელი (ახლანდელიც) ქართული საზოგადოება პურსა და სანახაობას უფრო დაეძებდა და მიეღწეოდა, ვიდრე თავისი ადამიანური და მამულიშვილური მისიის ღირსეულად აღსრულებას. მაგალითად, როცა დაუდგარი ბუნებისა და არაორდინარული ქცევების გამო, როგორც ჩანს, იმპერატორის არაპირდაპირი ბრძანებით საქართველოში „ექსორიაქნილმა“, ქუთაისის ცხენოსანი რაზმის უფროსმა, დიდებული გარეგნობის ქალთა გულთამპყრობელმა პრინცმა მოინდომა დადიანისთვის წართმეული ცოლთან თავისი კავშირი ქორწინებით გაემყარებინა, ჭეშმარიტმა მოძღვარმა, და უმნიკვლო სულიერმა მამამ, გაბრიელ ეპისკოპოსმა, მტკიცე უარი უთხრა. თუმცა სიყვარულით ატაცებულმა გერმანელმა სანადელს მაინც მიაღწია და რუსულ ეკლესიაში „ისკვნა ჯვარი“. პრინცმა ქართველებს მშვენიერი ქალბატონი კი ნაპკვარა, მაგრამ ქუთაისში, ბალახვანში, ააშენა ღვინისა და კონიაკის ქარხანა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობამდე წარმატებით ფუნქციონირებდა, მაგრამ ახლა ნანულ-ნანულ დაეშალეთ და გაეყიდეთ, ალბათ ამ ადგილზე გავლისას „უპატიჟოდ წვეული“ მძიმე მოგონებები რომ გაგვექარწყლებინა (ამასთან დაკავშირებით



აკაკი წერეთელი

იხილეთ ჩვენი სტატია ქუთაისის უნივერსიტეტის გაზეთში „უნივერსიტეტის ვარდისფერი კორპუსის მოვარდისფრო საიდუმლო“. ქართველის მიერ ცოლის დათმობის ეს ამბავი საფიქრებელია მიხეილ ჯავახიშვილმა თავისებური მწერლური ინტერპრეტაციით გამოიყენა თეიმურაზ ხევისთავისა და მარგოს ურთიერთობების დახატვისას „ჯავახოს ხიზნებში“. ტრიფონ ჯავახიშვილის მოგონების ეს ნაწილი განსაკუთრებით უსიამოვნო იმითაა, რომ ზემოხსენებულ ფაქტს ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალს და, ჩვენდა გასაკვირად, თანაუგრძობდა ქართველი ქალის სილამაზით მოხიბლულ და დაჭკვიანებულ პრინცს.

მემუარული ჩანაწერები იმითაცაა საყურადღებო, რომ თუმცა მისი ავტორი აკაკის მეგობარი და გულშემატკივარია, მას ლიტერატურულ მიმოქცევაში შემოაქვს ბევრი ისეთი ფაქტი, რომელსაც ქართული კრიტიკა ხშირად მოჭარბებული „მორცხვობით“ გვერდს უვლის, როგორცაა: აკაკის დამოკიდებულება ქართულ ბანკთან, აზრატულ თამაშებთან, ზოგიერთ მშვენიერ ქალბატონთან და სხვა... მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ვერ შეიქმნება სრულყოფილი მონოგრაფია, თუ ფაქტების შელამაზებას შევეცდებით. აკაკისნაირ ქართველი კლასიკოსებს ასეთი რამ არასოდეს დასჭირდებათ, ამიტომაც ტრიფონ ჯავახიშვილის ეს მოგონება ერთგვარი ლიტერატურული კომპასია — ვნეროთ შემოქმედზე სიყვარულით, საქმის ცოდნითა და არა დროსთან ჭიდილში ადვილად დასამარცხებელი ყალბი ლიტერატურული მაკიაჟებით.

მოგონებაში ბევრი ისეთი ინფორმაციაა, რომელსაც მეტ-ნაკლებად იცნობდა ქართული საზოგადოება, მაგრამ ამ ერთი შეხედვით უკვე ყველასათვის „ცნობილ“ ფაქტებში არის ისეთი შტრიხები, მცირე ეპიზოდები, რომლებიც უდავოდ ახლებურად წარმოაჩენს აკაკის პორტრეტს მკითხველის წინაშე. აკაკის ხუმრობა — ნაკვესები, გესისაგან დაცლილი, მსუბუქი ირონიული ჩანარები მოყვასის გამოსაფხიზლებლად, ზოგჯერ პირიქით, შხამით გალიციციკებული მოსწრებული, უშიშარი ხუმრობა და სიტყვა-თქმები მეფის ყოვლისშემძლე ჩინოვნიკების წინააღმდეგ. მაგალითად, ქუთაისის გუბერნატორისადამი. აკაკის მოსწრებული შეხუმრება ქართული მწერლობის ზოგიერთ წარმომადგენელთან, ექიმებთან, ბანკის მუშაკებთან, საკუთარ მომვლელთან, „იმერულ პროტექციასთან“, ფულის სესხებასთან დაკავშირებით. ეს ყოველივე ქართული სიტყვის ყოვლისშემძლეობისა და იშვიათი მწერლური ნიჭიერების დემონსტრირებაა.

ბევრისმთქმელი და სანიმუშო აკაკის გამბედაობა და პრინციპული დამოკიდებულება საიმპერატორო ტახტის წარმომადგენელთა მიმართ. შეიძლება ზოგიერთი ფაქტის გააზრებაში არ დაეთანხმოს მოგონებათა ავტორს მკითხველი, მაგალითად, როგორცაა აკაკი და არჩევნები, აკაკი და ქართული სათავადაზნაურო ბანკის პრობლემები, მაგრამ ეს სრულებით არ აკნინებს ამ მოგონების მნიშვნელობას, პირიქით, ეს ალბათ ასეც უნდა იყოს, რადგანაც როცა ადამიანები ყველაფერში ეთანხმებიან ერთმანეთს, იმ საქმეს ხშირად კარგი ფინალი არ აქვს.

დაბოლოს, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ციციხო მუშლაძეს, რომელიც ასე უმურველად და მოხდენილად უზიარებს მკითხველს ქართული მუზეუმებისა და არქივების წიაღში დავანებულ ეროვნულ საუნჯეს. მისი მცირე მინაწერიც მთელი სრულყოფილებით წარმოაჩენს, რომ მისი ავტორი ქართული კულტურის ისტორიაში საფუძვლიანად ჩახედული მკვლევარია და ამასთანავე იშვიათი სიფაქიზით აღიქვამს თანამედროვე ქართული მწერლობის მდინარებას.

გიორგი ლორთქიფანიძე (დაიბადა 1953) — მწერალი და პუბლიცისტი. საქართველოს პენ-კლუბის წევრი (2013). მეცნიერებათა დოქტორი. სწავლობდა თსუ-ში (1970-1975). გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები: „ნობათი“, „ცისკარი“, „მნათობი“, „განთიადი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ეპოქა“. 1998 წელს ბაკურ სულაკაურის გამოცემლობამ დასტამა მისი რომანი „წყევტა“ (სოციალური ფანტასტიკა). 2001 წელს მისი ზღაპარი „გოჭი სილოვანი კატების ქვეყანაში“ დაჯილდოვდა მეორე პრემიით UNISEF-ის (გაეროს ბავშვთა ფონდი) მიერ გამართულ ლიტერატურულ კონკურსში, რომელიც მიეძღვნა ბავშვთა უფლებების დაცვის თემატიკას. 2009 წელს „საუნჯემ“ გამოსცა მისი მოთხრობების კრებული „იდეა fix“. ასევე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ლიტერატურული კრიტიკის სფეროში (აღსანიშნავია სტატია „მიმდინარე ლიტერატურული პროცესის სოციოლოგიური თავისებურებანი“ — „ცისკარი“, 2011, № 3-4).

გიორგი ლორთქიფანიძე

ანტიბიოგრაფია

ის დაიბადა წვიმიან კუნაპეტ ღამეს, გაზაფხულზე, მარტის ბოლოს, როდესაც ჰაერი უკვე ნაზი და საამური, არემარე კი ადრეული ყვავილების სურნელითაა გაჟღენთილი. გაეხსნა პატარა ფილტვები და უპირველესი ომახიანი შეკვივლებით გაარღვია უღიმამო სამშობიარო დაწესებულების ძველთაძველი მონითალო აგურით ამოყვანილი კედლები. სახლში მიყვანილი უკვე ხარბად შეექცეოდა დედის ნიჟიერად უგემრიელეს რძეს, რამდენიმე კვირამი დიდრონი მომწვანო თვალბეჭიკ აეხილა — და ყოველივე ეს უწყვეტად მიმდინარე წლების უგრძელესი ძაფი იმ თითქოსდა არაფრით გამორჩეულ მონაკვეთზე ხდებოდა, რომელსაც განგების ნებით წილად ნაირნაირი დამლა ხვდა: აღმოსავლური კალენდრით — გველის წელიწადისა, ზოროასტრიულით — აქელმისა, ჩუჩხეს მოძღვრების მიხედვით — ორმოცდამეერთისა, თვალუნვდენულ ქვეყანაში მოსახლე გულშრყვილო ადამიანებისთვის კი უბრალოდ — უკვდავი დიდი ბელადის გარდაცვალებისა. ორიოდ ციფრიც კი საკმარისი იყო ამ დიადი მოვლენის აღსანიშნავად — ხუთიანი და სამიანი, სულ ორმოცდაცამეტი.

მაშინ ეს დაუჯერებელი იყო, მაგრამ სამუდამოდ წავიდა, დატოვა მინიერი სიცოცხლე, მიიცვალა საუკუნის უდიდესი გმირი, ფაშისტების ძლევამოსილი არმიების შემმუსვრელი და დედამინის მეექვსედის უძლეველი, მკაცრი და იმავდროულად მწყალობელი იმპერატორი. მაგრამ დრონი მეფობენო... ყველასთვის მოულოდნელად წელიწადების უგრძელესი ძაფი თითქოს უხერხულად გაიწასკვა იმ ორ ციფრზე და უზარმაზარი ქვეყნის სხეულზე თითქმის დაუყოვნებლივ რალაც ახლებურმა, გაურკვეველი წარმოშობის სიომ წამოუბერა. შორეული, შეუიარაღებელი თვალთ უხილავი ქედების მწვერვალებსა და ხასხასა მდებარეებზე მობილი ეს ნიავე თავიდან ძლიერ ნაზად, უხილავად, ზანტადაც კი უბერავდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მოძლიერდა, ჯერ თამამ და დაულალავ სიოდ გადაიქცა, მერე კი სულაც თავზეხელაღებულ ქარად, გრიგალად, სახურავები ასნია ცაში... ეპოქა იცვლებოდა, თან იცვლებოდა სწრაფად, შეუქცევადად, ვითარცა მუხლუხო, რომელიც — თუ აცალე — სულ მალე დღის სინათლეს ცაში მოფარფატე პეპლად მოველინება. მაგრამ მარტში დაბადებულმა ჩვილმა ეს, რასაკვირველია, არ იცოდა. არც მისმა მშობლებმა — ან საიდან უნდა სცოდნოდათ?

ერთადერთი შვილი აღმოჩნდა ოჯახში — პირველი და უკანასკნელი.

მერე, როდესაც ოდნავ წამოიზარდა, გადაურჩა საბავშვო ბაღში სიარულს. იმხანად უმუშევრობა კანონით იდევნებოდა. თანაც, მამა დოცენტი კაცი იყო, პერსპექტიული მეცნიერი, ლექციებს კითხულობდა პოლიტექნიკურში; განათლებით ქიმიკოსი დედა — რაიონის საწვინდ-სადგურში მუშაობდა. სახლიდან დილით გასული მშობლები უკან საღამოთი ბრუნდებოდნენ და ასეთ ბაღებში ბავშვის გამწვანება ბუნებრივი საქმე იყო, თუმცა სავალდებულო არ ყოფილა. დედამ თავიდან სცა-

და შვილის იქ ჩაბარება, მაგრამ სამიოდე დღეში გაირკვა, რომ სახანო საკვები — „მანი ქაში“, „სუჰი“ და თევზის ქონი — მისმა პირმშომ ვერაფრით იგუა, გველის წელიწადში დაბადებულს ნამეტანი აზიზი გემოვნება გამოყოლია თურმე. სადილის დროს სასტიკად გაჯიქდებოდა, პირს დამუნავდა და არაფრით იკარებდა ნამცეცსაც კი. დედისგან ნაჩვევი მოხარული ბრინჯის ფაფა და გატარებული ხორცის „კატლენი“ ენატრებოდა და მთელი დღე მშიერი რჩებოდა, აღმზრდელები ვერას გახდნენ. მშობლებს სხვა გამოსავალი არ დარჩათ და ბავშვის მოსაველეად მოსამსახურე ქალი აიყვანეს — იმ წლებში ეს ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებული ამბავი იყო. ნაცნობის რეკომენდაციით, ერთი ნაკლებად მომთხოვნი და შედარებით სათნო რუსის ქალი — დიდი შიმშილის დროს საქართველოში შემოსახლებულთაგან — დაიქირავეს, რომელიც დილით მობრძანდებოდა და საღამოთი მობრძანდებოდა, თან რუსულად ებასებოდა. ასე იზრდებოდა — მშობლებისა და მოახლე ქალის მეთვალყურეობის ქვეშ. მერე კი ისიც — როგორც ყველა მისი თანატოლი და კბილა — ახლომდებარე საშუალო სკოლის პირველ კლასში ჩარიცხეს. ეს ყველაფერის სავალდებულო წესი ან გარდაცვლილი იმპერატორის მიერ იყო შემოღებული და დამკვიდრებული და გამონაკლისებს არ ცნობდა. სწორიც იყო. ამას ისიც დაემთხვა, რომ მამამ სადოქტორო დაიცვა. ის დაანინაურეს, პროფესორის ნოდება მიანიჭეს, ხელფასი გაუზარდეს. ოჯახმა მართლაც ამოისუნთქა. დედამ სამსახურს თავი მიანება და დიასახლისობა ამჯობინა. მას საშუალება მიეცა ბიჭისთვის მეტი ყურადღება დაეთმო და რუსი მოსამსახურეც გაქრა, წავიდა სახლიდან და მისი ცხოვრებიდან. სამაგიეროდ რუსულად თანაკლასელებზე უკეთ ლაპარაკობდა, კითხულობდა და წერდა.

ორიოდე წელიწადში ოჯახმა კვლავ გაიხარა: პროფესორმა მამამ — რომელსაც პროფკავშირულმა რიგმაც უწია და არც გავლენიანი მეგობრები აკლდა — ცინცხალი ხუთსართულიანი კორპუსის მეორე სართულზე მალაქტერიანი ბინა მიიღო. ესოდენ თვალსაჩინო წინსვლა პატარა ნადიმითაც კი აღინიშნა. მით უმეტეს, რომ ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ვაკეში — უბანში, რომელიც ძალიან სწრაფად ქალაქის ყველაზე პრესტიჟული უბანი ხდებოდა.

თავისებური ბავშვი იყო, ოდნავ გულჩათხრობილი და მორიდებული, ამავე დროს ცოტა მიამიტიც. ყოველ შემთხვევაში, უნიჭო არ ყოფილა. ვერც იქნებოდა უნიჭო — რამეთუ რალაც ნიჭი თითქმის ყველა ბავშვს გააჩნია, თუმცა უმეტესობა დროთა განმავლობაში მიზეზთა გამო ვერ ავლენს ბუნებით მინიჭებული მისწრაფებების გამოვლენას და ითრგუნება ყოველდღიურ ცდუნებათა გავლენითა და ზენოლით. ასე იყო თუ ისე, უჭრიდა გონება, უყვარდა კითხვა, ეხერხებოდა ხატვა, კარგად მეტყველებდა რუსულად — რაც არა მარტო მოახლე ქალის დამსახურება გახლდათ, არამედ მის ხელში მოხვედრილი წიგნებისა, რამეთუ მათი დიდი ნაწილი რუსულად იყო დაწერილი. პირველკლასელი იყო, როდესაც მამამ საბავშვო ენციკლოპედია — რუსული ათტომეული — გამოუწერა და ყოველი ახალი ტომის მოსვლა უდიდესი სიხარული იყო მისთვის. შეიძლება ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ ძალიან მოსწონდა ყვითელ ყდაში ჩასმული სქელტანიანი წიგნების ფურცვლა და მათში ჩაკრული ფერადი სურათების თვალთვლება. მეხუთე კლასში რომ გადავიდა, ათივე ტომი უკვე „ჩაბულბულეული“ ჰქონდა. დაახლოებით ამ დროს მშობლებმა ინგლისურზე სიარული დაანწყბინეს — კერძო მასწავლებლთან. თანაკლასელთან ერთად უწევდა სიარული. კერძო მასწავლებელი — დარბაისელი კაცი შევერცხლილი თმებით, ომის დროს ინგლისში რალაც სამხედრო-დოპლომატიური მისიით წარგზავნილი, შემდეგ კი ოჯახითურთ საქართველოში მივლინებული და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრეზე დამკვიდრებული — მეზობლად, ვაკელებისთვის კარგად ნაცნობი კინოთეატრის — „ყაზბეგის“ — სიახლოვეს ცხოვრობდა. ბიჭი სიციქლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ვაკეელებიდან გამოპარულს თანაკლასელებთან ერთად აქ არაერთი გახმაურებული

ფილმი უნახავს, თუმცა შატალოს ინიციატორი თავად არასოდეს ყოფილა. არც მაშინ იყო ლიდერობის ამბიციით გამსჭვალული. უფროს კლასებში ტაბელი ხუთიანებით ჰქონდა აჭრელებული, თუმცა ნალდ ფრიადოსნობამდე მინც ვერ ქაჩავდა. მოსწონდა მათემატიკა, ფიზიკა, მშობლიური ენა. არ უყვარდა ისტორია, გეოგრაფია და ხაზვა. ზომიერად და არცთუ ურიგოდ თამაშობდა ფეხბურთს, თუმცა უფრო ხშირად მინც გუნდის კარს იცავდა. არ ხულიგნობდა, არ ეწეოდა სივარეტს სკოლის ტუალეტში და არც „ულანს“ სადმე ეზოს მოფარებულში, გარაჟებს უკან. ეძნელებოდა სიმპატიურ გოგონებთან ლალი ურთიერთობა, ეშინოდა ახლოს არ მიეშვა რომელიმე მათგანი გულთან, ან თვითონ არ მიწოდებოდა გრძნობას. არადა ცოცხალი გამხელილი სჯობს — იჭრებოდა მაშინ მის ყოფაში ქალწულების გამაბრუნებელი არომატი, იდუმალი შეხებება მერხის ქვეშ, სიზრები. მაგრამ ყოველთვის არსებობდა რალაც დისტანცია, რომლის გადალახვა უჭირდა. თითქოს რალაც სხვა, უცხო სამყაროდან, მარსიდან თუ იუპიტერიდან იყენენ ეს გოგონები დედამინაზე შემოგზავნილები — და კარგა ხანს გაჰყვან ცხოვრებაში ასეთი განწყობა. უკვე მაშინ არ უყვარდა ზედმეტი რისკი, ერიდებოდა მას. ჟურნალ-გაზეთებს ოჯახი მუდმივად ინერდა, ამიტომ ყოველთვის გააჩნდა რალაც — თუნდაც ზერელე — ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებზე და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე, ამისთვის სქელტანიანი რუსულენოვანი ჟურნალები არსებობდნენ. პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებდა, „კომუნისტში“ მეოთხე გვერდს თუ გადახედავდა ხოლმე, სპორტის ამბებს... ნითელი ყელსახვევი ყოველთვის ფორმალაობა იყო, მეცხრე კლასში კი მთელი კლასი „ოპტომ“, ჯგროდ, მიიღეს კომკავშირში. ემოცია ნულაობა იყო, მაგრამ მოგვიანებით ცხოვრებაში პირველად გაუფლავა მზაკვარმა, დაგესლილმა აზრმა, რომ ძალაუფლება, თურმე, კარგია — რალაცით გამოგყოფს, აგამალლებს, დამატებით შესაძლებლობებს გაძლევს ცხოვრებაში. დიდხანს ამ შხამიან აზრს მაშინ, საბედნიეროდ, არ უცოცხლია, მაგრამ მომავალში ხშირად გახსენება თუ როგორ შემოუსრიალდა ტვინში... სამეგობრო წრე სკოლაში დიდი არ ჰყოლია, რამდენიმე ყმაწვილი — ეს იყო და ეს. სკოლა მედლის გარეშე დაასრულა, თუმცა საბოლოოდ ატესტატში „ფრიადები“ მინც სჭარბობდნენ „კარგ“ შეფასებებს. ერთი ბაჯალო თვისება გამოუმუშავდა ბავშვობიდან — წინდახედულობა. დაჯილდოებული იყო საოცარი უნარით — შეეძლო ბრმად არ აჰყოლოდა თავის „მინდას“. რალაც ბუნებრივად მიეჩნია რეალობის გათვალისწინებას და საკუთარი შესაძლებლობების ფრთხილად შეფასებას. ასე მაგალითად, ყოველთვის — და წლების განმავლობაში — ძალიან უნდოდა ჰყოლოდა ლეკვი, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ ჯეროვნად ვერ მოუვლიდა, და ისიც, რომ როდესაც ლეკვი წამოიზრდებოდა, ძალად გადაიქცეოდა და შეეჩვეოდა პატრონს — შებოჭავდა ეს სიყვარული. ამიტომ უთარა საკუთარ თავს ამ მარტივი სურვილის შესრულებაზე. ზედმეტ პასუხისმგებლობას ყოველთვის ოსტატურად არიდებდა თავს.

სკოლის დამთავრების შემდეგ უნდა გადაეწყვიტა სად რომელ უმაღლესში გაეგრძელებინა სწავლა — აბა, ჯარში ხომ არ წავიდოდა! და არც წარმოებაზე. მხოლოდ უმაღლესი! — ასე იყო მიღებული იმ წრეში, სადაც თავადაც და მისი მშობლებიც ბრუნავდნენ. დღის დასწრებულზე სწავლა ჯარისგან იცავდა, თუმცა მთავარი ეს არ ყოფილა — ოჯახის სტატუსიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების მიღება ყოფის სრულიად აუცილებელი



ატრიბუტი იყო. მისაღები გამოცდები ზაფხულში ტარდებოდა, მაგრამ გადამწყვეტილება უფრო ადრე, ზამთარში უნდა მიეღო — რეპეტიტორთან მომზადებას დრო სჭირდებოდა, არადა ცხოვრების სამომავლო მარშრუტი უნდა დაედგინა. კარგა ხანს იყოყმანა. საბავშვო ენციკლოპედიის ტომებიდან ყველაზე მეტად მეექვსე მოსწონდა, ახლაც, ამდენი წლის მერე, ყველაზე ხშირად მას ფურცლავდა ხოლმე, თანაც ექიმობა ძალიან პრესტიჟული იყო, ოღონდ გამოცდებზე ჩავარდნის ზედმეტ რისკთან იყო დაკავშირებული. სამედიცინო ინსტიტუტში მიმდინარე „ბლანტონი“ გამოცდებზე უამრავი მითი და ლეგენდა იყო შეთხზული. ერთი სიტყვით, სამედიცინოზე მოწყობა ფულს თუ არა — ყველასგან უდიდეს „ჩალიჩსა“ და ენერგიას მოითხოვდა და არც იმდენი ჩანაყობის უნარით იყო განებივრებული ოჯახი, რომ ასეთ რისკზე წასულიყო. განტოლებების ამოხსნა კი ეხერხებოდა, მაგრამ არც იმდენად, რომ მთელი ცხოვრება აბსტრაქტული ქეშმარიტების ძიებისთვის მიეძღვნა. საკმაოდ კარგად ესმოდა, რომ ფიზიკა-მათემატიკის მაღალ დონეზე ჩანვლომას იმ რანგის განსაკუთრებული, ღვთით ბოძებული ნიჭიერება და ცნობისმოყვარეობა სჭირდებოდა, რომელიც მას არ გააჩნდა. რჩებოდა ჰუმანიტარული მიმართულებები: ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, სამხატვრო აკადემია... ისტორიული ფაქულტეტი მომავალი პარტიკომის მდივნების სამჭედლოდ იყო ცნობილი, რაც მინც და მანც არ იზიდავდა; ხატვა, მართალია, ძალიან უყვარდა, მაგრამ თავი მომავლის ახალ გუდიაშვილად თუ ფიროსმანად — და არც პიკასოდ ან დეგად — ნამდვილად არ წარმოედგინა. რჩებოდა ფილოლოგია. მართალია, არც ამ ფაქულტეტზე ჩარიცხვა ვახლდით იოლი საქმე, რამეთუ სიმკაცრით განთქმული რამდენიმე გამოცდელი იყო კომისიაში. მაგრამ იყო ერთი „მაგრამ“... ამასობაში მამა პოლიტექნიკურიდან ქვეყნის მთავარ უნივერსიტეტში გადასულიყო სამუშაოდ. თან ისედაც ვერასა და ვაკის მიდამოებში პოპულარული პიროვნება იყო, ლექტორი, ქვეყნის ნაცნობი ჰყავდა, არც სუფრასთან ეშლებოდა თამადაობა, სიტყვაც ეთქმოდა — მათ შორის მიმღები კომისიის ზოგიერთი წევრისთვის. არც უვარგისი აბიტურიენტი ჰყავდა ერთადერთი ბიჭი — ატესტატიც საშუალოზე უკეთესი ჰქონდა, გონებაც უჭირდა, ნაკითხიც იყო, ძირითად საგნებში რეპეტიტორებთან მომზადებულა... ერთი სიტყვით, არცთუ მცირედ ნერვულობის შემდეგ ყმანვილმა დაძლია, როგორც იქნა, ეს უღელტეხილი და ფილოლოგიური ფაქულტეტის სრულუფლებიანი სტუდენტი გახდა.

სტუდენტობა საუკეთესო ხანა გამოდგა მისი ცხოვრებისა. თანაკლასელები სკოლის დამთავრების შემდეგ სადღაც მიმოიფანტნენ და მოხდა ისე, რომ პირველი ნამდვილი მეგობარი მანც თანაკურსელებს შორის შეიძინა. რასაკვირველია, ზოგიერთ სხვასაც შეუამხანავდა, მაგრამ აი იმ პირველმა მის გარემოცვაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. სანდო აღმოჩნდა. ორნივე ვაკელები იყვნენ, თუმცა ხასიათითა და მსოფლმხედველობით ძალიან განსხვავებულდნენ — ამას თუ სიმშვიდე უყვარდა, იმას ერთ ადგილას გაჩერება უჭირდა; ამას თუ პოლიტიკისგან შორს ეჭირა თავი, ის კომკავშირული აქტივისტი იყო კურსზე, — და, შესაძლოა, სწორედ განსხვავებულობამ შეუწყო ხელი მათ დაახლოებას. თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, უნივერსიტეტშიც და მის გარეთაც, თან ათასგვარ სიტუაციაში. სტიპენდიის აღებას, როგორც წესი, ერთად აღნიშნავდნენ ხოლმე — რამდენიმე ამხანაგს თუ გარეგნულად ზოგჯერ მარაქაში — და დაახლოებით თანაბრად ხარჯავდნენ ფულს: ხან სასტუმრო „ივერიის“ სახინკლეში, ხანაც რესტორან „გრემში“ — ქაშუეთის პირდაპირ, ხან „ობლებში“ ზემელზე, ხანაც „ენძელაში“ ვაჟაზე, ხან „პივბარში“ სანაპიროზე, ხანაც „ველიამინი-ოვში“ — ეგ ჯიბეში მანეთების ოდენობაზე და ლუდის მოსალოდნელ ხარისხზე იყო დამოკიდებული, სადაც ნაკლებად მუავე ეგულებოდო, იქეთ მიუწევდათ გული. უჩხუბიათ კიდევ ორი ორზე ბნელ ქუჩაში — გვიანი ღამით სახლისკენ ფეხით მიმაქროლებსა და ცოტა ნასვამებს ვარაზისხევი ვილაც თავზე ხელაღებული გარეწრები გადაეყარნენ, და უკმეხად, გინების თან-

ხლებით, მოსთხოვეს ფული. „ჯიბეები ამობარუნეთ, თქვენი კარგიცო...“. ეს ცოტა დაიბნა, ძმაკაცმა კი ეგრევე გაუქანა შემგინებელს სახეში და თავადაც მოხვდა საპასუხო. ესეც ჩაება, ცხადია. კიდევ კარგი, მონინალმდევე მხარე დანით არ იყო შეიარაღებული, თორემ, ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ეგ ამბავი — იქნებ აუხდენელი ოცნებებით ოცი წლის ასაკში. რაც მთავარია, ძმაკაცები მხარში დაუდგნენ ერთმანეთს, გამოცდა ჩააბარეს, არ შეატოვა ერთმა მეორე განსაცდელში მტერს. ბოლოს გვერდზე ბედად გამოჩენილმა „პეიმგემ“ დაამუხრუჭა და დამფრთხალი ხულიგნები გაეცალნენ იქაურობას, გავარდნენ დაბლა და მიიმალნენ ზოოპარკის წყვედადში. მერე მილიციელებმა ნაუფეი ძმაკაცები თავ-თავის სახლებში იმავე მანქანით ჩამოარიგეს — საქმე იმდენად ცხადი იყო, რომ განყოფილებაში წაყვანას გადაურჩნენ. კომკავშირულ აქტივისტს თვალი ჰქონდა ჩალურჯებული, აპოლიტიკურ ფილოლოგს — ზედა ტუჩი გამოსკდარი. მოკლედ, გადარჩნენ. ღმერთი არც ერთს არ სწამდა — ათეისტებად ზრდიდნენ და ათეისტებად იზრდებოდნენ. მისი მეგობარი არ მალავდა ცინიკურ დამოკიდებულებას საბჭოთა იდეალები-სადმი — პირად საუბრებში და განსაკუთრებით ვიწრო ძმაკაცურ სუფრასთან ხშირად ლანძღავდა ხელისუფლებას და წყობას, აბოდებდა ჯაზზე, ჯინსებზე, ბიტლებსა და ამერიკაზე და მწარედ ხან დასცინოდა, ხანაც ლანძღავდა კომუნისტებს, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია მისთვის ხელი პარტიული კარიერის დასაწყებად. მეოთხე კურსზე მიიღეს პარტიის კანდიდატად, მეხუთეზე — წევრად. არადა ეგ წარმატებული პარტიული ჭაბუკი — ნამეტნავად ინტელიგენტი ძმაკაცისგან განსხვავებით — არ ერიდებოდა არც მოსაწეებს, არც ბანქოს თამაშს. ერთხელ მისი თანდასწრებით „მორფიც“ კი გაიჩხირა — როგორც აუხსნა, ინტერესის გამო. კარგად იტანდა სასმელს, ასაკით უფროს ადამიანებთან ტკბილად იცოდა მასლაათი და ფეხით ალებდა კომკავშირის ცეკას კარს მაჩაბლის ქუჩაზე — ანუ აკეთებდა ყველაფერ იმას, რასაც ვერ აკეთებდა მისი უპარტიო და უფხო ძმაკაცი. კი ვერ ბედავდა — ვერ აკეთებდა. სხვათა შორის, ამ ჩვენმა უპარტიომ — რა ენციკლოპედიებიც არ გადაებულბულებინა ბავშვობაში — სწორედ ამ თავისი მოკარიერისტო ძმაკაცისგან შეიტყო პირველად, რომ საქართველო ოდესღაც მთელი სამი წლის განმავლობაში დამოუკიდებელი ყოფილა და საკუთარი დროშაც კი ჰქონდა. არა, 37-ის შესახებ კი გაუგონია რაღაც — ოჯახში ამის შესახებ დასაშვებ ფარგლებში ადრე უსაუბრიათ ხოლმე. ოფიციალური ვერსიაც, ანუ ის, რაც გაზეთებში და ენციკლოპედიებში იწერებოდა, — მისთვის მეტნაკლებად ცნობილი იყო, მაგრამ 24-შიც ამდენი ადამიანი თუ ჩახოცეს საბარგო ვაკონებში კომუნისტებმა იმერეთის რკინიგზის ერთ-ერთ ჩიხში — აი, ამის შესახებ, სანამ ძმაკაცმა არ მოუყვა, მართლაც არაფერი იცოდა. საბედნიეროდ, ძმაკაცებს ესმოდათ (ან ეგონათ, რომ ესმოდათ) — სად და ვისთან შეიძლება (ან არ შეიძლება) ამ საჩოთირო, მიჩუმებულ თემებზე მეტნაკლებად გახსნილად ლაპარაკი. დაახლოებით იმ პერიოდში მამამ ახალ წარმატებას მიაღწია — მეცნიერებათა აკადემიის წევრობად აირჩიეს. სახელი — თავისთავად, მაგრამ ამას მატერიალური ხეირიც მოჰყვა. საგრძნობლად მოემატა ხელფასი, მალევე მოახერხა აკადემიური კვოტით „ვოლგის“ გამოტანა. პირმოსაც მიანიჭა სიამოვნება: უახლოეს დაბადების დღეზე აჩუქა თანამედროვე და ბრჭყვიალა „სონი“ (რომელსაც საკომისიოში წააწყდა და რომელმაც ძველი „საილოლა“ შეცვალა) და მას მერე ინტელიგენტი მამა-შვილი ხშირად ერთად უსმენდა — უსაუფლო ჩამხშობი ხმაურის ფონზე — „ამერიკის ხმას“, „ბი-ბი-სი“-სა თუ „თავისუფალ ევროპას“. ეს უთუოდ საინტერესო და მიმზიდველი იყო — უახლესი ფარული ინფორმაციის ეთერის საშუალებით მიღება, მაგრამ პოლიტიკური ქორაობის სურვილი არც მაშინ გასჩენია. სმით ზომიერად სვამდა. სუფრასა და ლხენას არ გაურბოდა, მაგრამ არც დაეძებდა — საშინელი „პახმელია“ იცოდა და რამდენიმე მძიმედ გადატანილი გაკვეთილის შედეგად ყოველთვის ითვალისწინებდა საკუთარ მწირ შესაძლებლობებს და შევსებულ სასმისს არასოდეს

ბოლომდე არ ცლიდა, ყოველთვის „იპარავდა“.

მოსკოვი პირველად მესამე კურსზე ნახა, ზამთრის არდადეგებზე. თავგადასავლების საძიებლად ჩქარი მატარებლით გაემგზავრნენ ოთხნი: თავად, მისი პარტიული ძმაკაცი და კიდევ ორი საერთო ამხანაგი — საკმაოდ შეძლებული ოჯახიშვილი. მესამე დღით გამცილებელს მათ გაკავალულ კუბში ღვინისა და ლუდის უამრავი დაცლილი ბოთლი დახვდა ჩასაბარებელი. პროფესორი მამის ძველი კავშირების წყალობით მოსკოვის ცენტრში, სასტუმრო „მინსკში“ მოეწყვნენ და დიადი ქვეყნის დიად დედაქალაქში დაუვიწყარი ათი დღე გაატარეს. პირველად შეიცნო მამინ ქალის გემო. ფული ამ სიამოვნებაში არ გადაუხდია, ყველაფერი თავისთავად მოხდა, ბუნებრივად, შამპანურის ფონზე. თანაც იმ ქალბატონის ნომერში აყვანა არ გასჭირვებია, რადგან მისი რჩეული იმავე სასტუმროში მუშაობდა მეზუფეტედ. მოსკოვი ისედაც, სექსის გარეშე, საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა (როგორც ყველაფერი ახალი, როცა ფული გაქვს) — ევროპული ყაიდის ხმაურიანი კაფერესტორნები და ბარები, დიდი მაღაზიები, უშველებელი — თბილისთან შედარებით — კინოდარბაზები, ნითელი მოედანი, პუშკინის მუზეუმი (სეზანის, მატისის და რენუარის ტილოებისთვის თვალის შევლება ლამის სავალდებულოდ ითვლებოდა), უჩვეულოდ გემრიელი ნაყინი, სასიამოვნოდ მომწარო ლუდი და კიდევ, რა თქმა უნდა, ხალხმრავალი რიგები, რიგები, რიგები ყველგან — ნერვების დასაგლეჯად და მოსასპობად. ნესიერი ადგილობრივი გოგონებიც გაიცნეს, რომლებმაც მერე აქეთ დაპატიჟეს თბილისელი ბიჭები ერთ მოდურ თეატრში რალაც წარმოდგენაზე. სხვა ამბებიც იყო. მერე ხშირად კურიოზივით იხსენებდა უვიწროეს წრეში იმას თუ როგორ ჩადგა თავისი პარტიული მეგობრის ხათრით ლენინის მავზოლეუმის უგრძელეს რიგში. თავად სულ არ უნდოდა, მაგრამ ძმაკაცმა სთხოვა — საქმისთვის მჭირდება და მარტო ნუ დამყენებ აქაო. არ „გაუტყვია“. რიგი გრძელი იყო. მზიანი, უთოვლო დღე იდგა, მაგრამ საშინლად ყინავდა, ხელთათმანებიც ვერ შევლოდა. მავზოლეუმში შესვლისას ვიღაც სამოქალაქო ტანსაცმლიანმა ძალიან ხმადაბლა პალტოს ჯიბიდან ხელის ამოღება მოსთხოვა და ისიც უსიტყვოდ დაემორჩილა ბრძანებას. სარკოფაგს წრე რომ შემოუარეს და გარეთ გამოვიდნენ — ორივემ შვევით ამოისუნთქა.

უკან დავაუკაცებელი ჩამოვიდა. მას შემდეგ რაც, როგორც იქნა, უბინობა დაკარგა, გაცილებით ლალი ვახდა, საკუთარ ძალებში დარწმუნებული. თანაკურსელ გოგონებთან დისტანცია უცებ მკვეთრად შემჭიდროვდა. ახლებური და მშვიერი მზერით დააკვირდა ზოგიერთ მათვანს. პირველი ხილვით შეყვარების რეცეპტი, ეტყობა, მისთვის არავის გამოუწერია. არა, მთლად მუშტრის თვალთ არა, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც არჩევდა სათავისოდ საუკეთესოს. საუკეთესოს თუ არა — ძალიან კარგს, რალაცით გამოჩნეულს: ან გარეგნობით, ან სათნოებით, ან ჭკუით, ან ოჯახიშვილობით. გრძნობდა რომ არჩევს. სულაც არ მოსწონდა ეს თვისება საკუთარ თავში, მაგრამ სხვანაირად მოქცევა — ამასაც გრძნობდა — უბრალოდ არ შეეძლო.

სამოცდაათიანების შუაწელი იდგა. ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ... უნივერსიტეტის დამთავრებამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა, როდესაც ოჯახს უეცრად უბედურება დაატყდა. მოულოდნელად, ძილში, გულით გარდა-

იცვალა მისი კეთილი მამა — ადამიანი, რომლის ავტორიტეტსა და შეძლებაზე მათი პატარა ოჯახის მთელი კეთილდღეობა იყო აწყობილი. ამას გარშემო არავინ მოელოდა — მამა ჯერ სამოცისაც არ იყო და სერიოზულს არაფერს უჩიოდა, ყოველ შემთხვევაში ხმამაღლა. ვინ იცის, იქნებ რაიმე მართლაც შეხვედა საწერვიულო, მაგრამ სამსახურის ამბებს სახლში თითქმის არასოდეს ჰყვებოდა. უბრალოდ განგება ინება ასე.

დარტყმა უძლიერესი იყო. ცალკე გლოვა — გლოვად და უმუშევარი დედა-შვილი — ოჯახისთვის მძიმე ხვედრია. საბედნიეროდ, ცხოვრების ბნელი მხარის პირისპირ აღმოჩენილები ახლობელ-ნათესავეებმა ეულად პირველხანობას არ მიატოვეს, რაც და რამდენადაც შეეძლოთ — დაეხმარნენ. გარკვეულწილად ეს ვალის დაბრუნებაც იყო — მამამ ბევრს დაამასსოვრა თავი სიკეთითა და მხარში ამოდგომის უნარით. მაგრამ მატერიალური დახმარება მუდმივი ვერ იქნებოდა. კიდევ კარგი, ოჯახში რალაც დანაზოგი არსებობდა, მაგრამ ეს აღარ ყოფნიდათ, ამიტომ მანქანის გაყიდვა მოუწიათ — სამიოდე წლის კარგად მოვლილი „ვოლგა“ მამის ძალიან ძვირი ღირდა. ერთი სიტყვით, ცხოვრება გაგრძელდა. ამასობაში სტუდენტობის ოქროს ხანა დასასრულს მიუახლოვდა და მოვიდა ხანა შრომითი განაწილებისა. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მამის გაცვლიანმა მეგობრმა ხელი შეუწყო დახასიათების მიღებაში — ისეთის, რომელიც დიპლომის აღების შემდეგ ასპირანტურაში სანარმოო პრაქტიკის გავლის გარეშე დარჩენის უფლებას აძლევდა, რაც პრაქტიკულად რამდენიმე წელიწადში დისერტაციის გარანტირებულ დაცვას ნიშნავდა. ხელის წაკვრა და ჯადოქრული სიტყვის გარეშე ასეთ დახასიათებებს ძირითადად წითელდიპლომიანებს აძლევდნენ, მაგრამ ამ წესიდან სხვადასხ-



მხატვარი ბადრი ვაგნიძე

ვა საბაბით გამოწაკლისის დაშვება იმხანად რაიმე არაჩვეულებრივი მოვლენა არ იყო. ასე და ამგვარად იგი საბოლოოდ შეერია ქართული საბჭოთა ინტელიგენციის რიგებს.

გავიდა რამდენიმე წელი. არ შეუშინდა თემას, მოერგო ხელმძღვანელს, არ ეცადა პარტიაში ფეხის შეყოფას — კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანად დანიშნულმდამა ძმაკაცმა ამ საქმეში დახმარება აღუთქვა, მაგრამ ეგ არ ისურვა. ამასობაში კარგად მოვლილი და განათლებული ახალგაზრდა ქალბატონები საქორწინედ გამზადებულ მონიანე ასპირანტ ყმანვილს დაულავდად უფუფუნებდნენ ლამაზ თვალებს. არ მოეწონა პირველი, მზერა აარიდა მეორეს, ნელთბილად შეუყვარდა მესამე — მაგრამ ეს უიღბლო რომანი აღმოჩნდა და სწრაფად ამოიშალა მესხიერებიდან, სამაგიეროდ ძალიან მოეწონა მეოთხე — და ეს უკვე მართლა ნაავავდა რალაც სერიოზულს. დედა დაოჯახებას სთხოვდა, ამიტომ დააჩქარა მოვლენები. წინააღმდეგობა არ შესხვედრია და მალევე იქორწინეს. დედამაც მოიწონა ახალგაზრდა რძალი. ყველანი ერთად, როგორც დაუნერული წესი და რიგი მოითხოვდა, მამისეულ ბინაში ცხოვრობდნენ. დისერტაციაზე მამის კაბინეტში, მამის მაგიდასთან, მამის სავარძელში დამჯდარი აგრძელებდა მუშაობას. ხან წერდა, ხან ბეჭდავდა, მერე შლიდა, ფხრენდა, მერე ისევ წერდა, ისევ ბეჭდავდა. ასპირანტურის მესამე წლისთვის მომავალი დისერტაციის ძირითადი კონტურები უკვე საკმარისად გამოიკვეთა. სხვათა შორის, შრომისთვის მის ხელმძღვანელს საკმაოდ მომგებიანი სავარაუდო სახელწოდება ჰქონდა შერჩეული: „სოფლად კლასობრივი ბრძო-

ლის თემის ასახვა ქართველი მწერლების შემოქმედებაში“. თვითონაც ეცინებოდა ამ სახელწოდებაზე, მაგრამ ასე იყო საჭირო. სინამდვილეში სულ სხვა მხატვრული მისწრაფებებით სუნთქავდა და არც ლიტერატურული ბოჰემა ყოფილა მისთვის უცხო...

ოთხმოციანების დასაწყისში მისი ცხოვრება ოდნავ დაჩქარდა. შეეძინა ბიჭი, დავითი, — მამასაც დავითი ერქვა. მალევე ამის შემდეგ დაიცვა ნანატრი დისერტაცია და შესაბამისი პროფილის კვლევით ინსტიტუტში გააგრძელა მუშაობა — თავიდან უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მერე კი მოკვდა ბრეჟნევი — დიდი საერთო ქვეყნის შეჩვეული ლიდერი — რამაც პირადად მას რალაც გაუგებარი მოლოდინები გაუჩინა. მთელი შეგნებული ცხოვრება ბრეჟნევის ეპოქაში იცხოვრა, უამრავი ანექსდოტი მოუსმენია ამ მოხუც, არცთუ მჭევრმეტყველ და სნეულ კაცზე, და არანაკლები ანექსდოტი — ამ ლიდერისთვის დამახასიათებელი ბორძიკი მეტყველებისთვის სახასიათო ნაბძვით — მოუყოლია ამხანაგებისთვის თავად, მაგრამ როდესაც ეს ეპოქა დასრულდა, უნებურად საერთო გაურკვევლობიდან მომდინარე მცირედი გონებრივი თროთოლვა მასაც დაეფლვა. არადა, ირგვლივ ახალი ბევრი არაფერი ხდებოდა. ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატი თითქოს უკვე საკმარისად გამოცდილი იყო, რათა წარმოედგინა თუ როგორ მოსდევს ხნიერი ლიდერის შეცვლას რალაც ცვლილებები საქვეყნო ვარემოში, მაგრამ არა — ცხოვრება ისევე ძველებურად, დუნედ და ზანტად მიედინებოდა თბილისის მტვრიან ქუჩებში, როგორც საუკუნეებით გაჭრილ კალაპოტში ზაჰესიდან ორთაჭალამდე გაშვებული მტკვარი. გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის ყოველდღიური რახარუხი ახალ შრომით წარმატებებზე სულ უფრო სცილდებოდა რეალური ცხოვრების ამ მღვრიე დინებას. ახალი ცოცხი არ გვიდა, ვითარება კი თანდათანობით სულ უფრო მოსაწყენი და დაჭაობებული ხდებოდა. ნამდვილი ნუმე. ცოლთან ერთად თეატრში თუ დადიოდა — ისიც იშვიათ პრემიერებზე. ზოგჯერ თუ წააწყდებოდა სადმე რაიმე საინტერესო, უფრო რომელიმე დასავლური ენიდან რუსულად თარგმნილ, მცირე ტირაჟით გამოცემულ და მაღაზიის დახლამდე ვერმიღწეულ ნიგნს და ახალი ტექსტის სურნელი კითხვის პროცესში რალაც-წარად აღაზევდა, სისხლსავე ახალგაზრდული ენერგიით აფსებდა მას. უსასრულობასთან შეხებას ამსგავსებდა ამ სურნელს. განსაკუთრებით აკრძალული ან ნახევრადაკრძალული ტექსტები იზიდავდა — ასეთი ნიგნის ან ხელნაწერის ხელში ჩაგდება ყოველთვის პატარა დღესასწაულს ნიშნავდა მისთვის. კითხვისას ზოგჯერ უმწეობის მსგავსი რამ ეუფლებოდა — უჭირდა საკუთარი უმწეობის ახსნა, იქნებ შურდა კიდევ უცხო მიუწევლომელი გონების ტექსტუალური „თამაშისანობის“ ბრწყინვალეობისა. ტექსტს ბოლომდე რომ ჩაამთავრებდა ყოველთვის — ოღონდ მცირე ხნით, სულ რამდენიმე წამით — ბრაზიანი კითხვები გაუფლავებდა ხოლმე: ვინ ვარ, რას წარმოვადგენ, რისთვის ვარსებობ, ვის დავკარგვივარ, დავტოვებ რაიმე კვალს და ცოტას მაინც ვიტყვივინებ მარადისობის დინების ზედაპირზე თუ ჩავიძირები, დავილექები და ჩავეფლობი ფსკერში, ისევე როგორც ჩემამდე მილიარდობით სხვა ადამიანი დალექილა — ვითომ არც არსებულაო? ნუთუ უკვდავება არ არსებობს? ნუთუ მეც კვამლივით გავქრები უსასრულო ცაში, უსაზღვრო კოსმოსში? ისტორიაში შესასვლელი გზა ასეთ ნუთუმში მას მეტისმეტად წერილად ეჩვენებოდა. არა ცივილიზებული კარად, რომელსაც ბრინჯაოს სახელური და სპილენძის ფირკიტა აქვს მიკეთებული, არამედ ბინძურ და ვინრო ხვრელად, თავის სოროდ, ჭიანჭველის ბილიკად სადღაც იქ ქვევით, დაუნახავში, პლინტუსთან და პლინტუსზე დაბლა. გაუფლავებდა წამიერად ეს აზრები და გაქრებოდა მერე, უპასუხოდ. ცვლილებები კი... ყოველწლიურად ერთი შეჩვეული სიხარული ელოდა — შეგებულება და ზღვა. რაც იმ დროიდან კარგად დაამახსოვრდა, იყო ერთი ქართული მხატვრული ფილმი, გადაღებული უძლიერესი რეჟისორის მიერ — ფილმს თითქოს კრძალავდნენ და მის გამავრცელებლესაც ვითომ სდევნიდნენ, მაგრამ ცალკე ამ

დევნასაც რალაცნაირი არანამდვილი, იმიტაციური სუნი წაკრავდა და ეს გახმაურებული ფილმიც რალაც მანქანებით თითქმის ყველამ — ვისაც უნდოდა — მაინც ნახა. მონანიებით არავის მოუწანიებია, მაგრამ მართლაც მაგარი ფილმი გამოდგა, ჭკვიანი რეჟისორის ხელი ეტყობოდა. ძირითადი მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ კომუნისტების გაფუჭებულს დროთა განმავლობაში ისევე კომუნისტები გაასწორებდნენ, მეტი ვერაინ — რაც საბოლოო ჯამში არ გამართლდა, მაგრამ იმხანად მსგავსი უიღბლო პროგნოზის გაკეთება რთული იყო. მოსკოვში კი ერთმანეთის მიყოლებით კვდებოდნენ ბებრუცუნა და ავად-მყოფი გენსეკები. ზოგი მათგანი რა სისულელეს მოიფიქრებდა და მოიმოქმედებდა — თუ მოასწრებდა — და ზოგი რას. ხან სამუშაო საათებში დასდევდა კინოებსა და სახინკლებში ადამიანებს, ხან ცაში გამოეკიდებოდა ხალხით გადაჭედულ ლაინერს, ხან არაყს ან შამპანურს გაააძვირებდა ახალი წლის წინ, ხან რამე ნიგნს აკრძალავდა და ქვეყნიდან რომელიმე განთქმულ მწერალს, მეცნიერს ან მუსიკოსს გააძევებდა... კორუფციასა და სისულელეებს მიჰქონდა ქვეყანა. მატარებლები იგვიანებდნენ, თვითმფრინავები მინას ენარცხებოდნენ, გემები იძირებოდნენ, ატომური ელსადგურები ფეთქებოდნენ, ჯარისკაცები გაუგებარ და იღუმალ ომებში იღუპებოდნენ, სახელმწიფო გეგმები ქალაქზე სრულდებოდა, ერთ სიყალბეს მეორე მოსდევდა და ასე უცვლელად გრძელდებოდა მანამ, სანამ ქვეყნის სათავეში მოქცეულმა ერთმა ყოფილმა კომბაინერმა რალაცის შეცვლა არ მოინდინა. ამასობაში კი პარტიულმა ძმაკაცმა უფრო წაინა წინ — ხმა გაუბოხდა, მხარში გაიშალა და სამსახურში უკვე ჭონქაძის ქუჩაზე დადიოდა, ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ერთ-ერთი სექტორის ხელმძღვანელად დაანიშნაურეს.

რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო აზრზე მოდიოდა — უფრო კი გუმანით გრძნობდა ამას — მეცნიერებათა ახალგაზრდა კანდიდატი, რომ პარტიერში ყველა ადგილი დაკავებულია, ხოლო თუ სადმე რალაც სასწაულით სავარძელი ცარიელდება — დაუშვავათ, ვილაც კვდება ან პენსიაში გადის, — ახალ ვაკანსიაზე ბილეთის შოვნა ძვირიცაა და ძნელიც, დასწრებაზეა. რი-გი გრძელია და ყველას თავისი პრეტენზია აქვს. არადა წლები მიდიოდა, მამის თაობა ნელ-ნელა თმობდა პოზიციებს, იმდენი ძალა აღარ შესწევდა. მაინც გაუმართლა. მოხდა პატარა სასწაული, მის ინსტიტუტშიც გამოჩნდა უფროსი მეცნიერ მუშაკის ახალი შტატი და ბედნიერი ბილეთი მას ერგო. კეთილგანწყობილი დირექტორის ნებამ გადაწონა. ეკუთვნოდა კიდევ — ყოველ შემთხვევაში, დიდი პროტესტი მის წინსვლას კოლეგებში არ გამოუწვევია. მეორე ბავშვიც უნდოდათ — თან გოგონა, ბარტყი — როგორ არ უნდოდათ! ყოველდღიურობა თითქოს უმონყალოდ, ბოლომდე შთანთქავდა, მაგრამ მაინც რალაც უქმარობის შეგრძნება ეუფლებოდა, წუხდა რომ ასე, მიყუჩებულად ცხოვრება აღარ შეიძლება, გაუსაძლისია, უვარგისი, რომ ცხოვრება უქმად გადის. ნეტავ, რომელი მომავალი სადოქტორო დისერტაცია შესაძლოა გამხდარიყო ამ უკბილო უმაქნისობის საპირ-წონე? არა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. სულ უფრო იხრებოდა იმ მოსაზრებისკენ, რომ ერთი ძლიერი შეღანუნება, ერთი ღონიერი ორომტრიალი ნამდვილად არ აწყენდა ამ ქვეყანას! ეს, ცხადია, წმინდა წყლის თეორია იყო, თუმცა სულ უფრო ხშირად შესწრებია პროტესტის უხილავი მუხტით გაფლავებულ საუბრებს სანათესაოში, სამეგობროში, სამეზობლოში, სუბრან-ზე, სამსახურშიც კი. თითქოს აღარავის აღარაფრის ეწინიოდა. რამდენჯერ კიდევ იმ ძველ და სანდო — მერე რა რომ ცეკაში მომუშავე! — ძმაკაცთან ერთად შეყოლიან კონიაკის ბოთლთან გვიანობამდე საუბარს და ისიც მაგარი კონტრეკოლოუციური ტირადებით გამოსვლას იწყებდა ასე მეოთხე სირჩის შემდგომ. თუმცა ამ ტირადებიდან ბოლოს მაინც ასეთი უიღბლო დასკვნა გამოჰქონდა: უფ, არა კაცო, ამას რა დაანგრევსო!

ამასობაში კი კრემლში გამავრცელებულმა ყოფილმა მოფილო-სოფოსო კომბაინერმა მართლაც აიწყვიტა. ჯერ ხომ სასმელს გაუჩაღა ბრძოლა და სად — ქვეყანაში სადაც დიდი და პატარა

სმას იყო მიჩვეულ-გადაყოლილი! მართლაც მოფიქრება უნდოდა ამას — რა კეთილშობილური განზრახვაც არ დედო საფუძვლად ამ ანტილკოპოლურ ჯვაროსნულ ლაშქრობას! „მინერალური მდივანი“ კი შეარქვეს ამის გამო. უჩვეულო სიღალღით ლაპარაკობდა, ზეპირად, მოუსვენრად, მაგრამ რა — მავანი მაინც ლაყბობდა უთვლიდა ნალაპარაკებს, რამეთუ შინაარსის გამოტანა მისი ნყალწყალა ნაამბობიდან მართლაც უმადური საქმე იყო. არც მეუღლის ფართო საზოგადოებისთვის ჩვენებას მოერიდა და არც „პირველ ლედისთან“ ერთად უცხოეთში ვიზიტებს — ესეც ბევრი ალიზიანება, ვინაიდან მსგავსი ტრადიცია ქვეყანაში არ არსებობდა, თუმცა უმცირესობას გულის სიღრმეში მოსწონდა კიდევ ასეთი სითამამე. რაც მთავარია, უცხოელებს ეს კაცი უფრო ეხატებოდათ გულზე, ვიდრე საკუთარ მოქალაქეებს, რაც ერთობ არასასიამოვნო იყო, მაგრამ დადებითი მხარეც ჰქონდა — დახურული, პერიმეტრზე შემოღობილი საზოგადოება ნელ-ნელა შეუქცევადად იხსნებოდა გაუცხოებული გარე სამყაროს მიმართ და — რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო — დიდი ომის სასვებით რეალურმა საფრთხემაც თანდათანობით დაიწია უკან. საერთო სითამამისა და გაბედულების ზრდის კვალობაზე პარტერში მსხდომები აცქიმუტუნდნენ, ამფითეატრში ჩოჩქოლი ატყდა, სალაროსთან შეყოვნებულ გრძელ რიგს კი გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო. რაც კიდევ უფრო გასაოგნებელი იყო, ამ რიგის გარეთ, უსახურ და გამოწაფილებით სავსე ქუჩაში, ამოძრავდა მანამდე უსულო და უთვისებო ხალხის მასა, ანუ ყველა ის, ვისაც ადრე სინამდვილეში არავინ ამჩნევდა, გინდა პარტიული და გინდა უპარტიო, ხოლო თუ ამჩნევდა — ისიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და პირადი საჭიროებისთვის. ყველა ეს ანონიმური მშრომელი თუ უსაქმური: მინის მუშა, მძღოლი, დახლიდარი, სანიტარი, სტუდენტი, ტრაქტორისტი, მემანქანე, დიასახლისი... ხმაურითა და ზარ-ზეიმით შემოდოდა ახალი ეპოქა და ქუჩამაც ნებიერად გაილაღა. ყოველდღიური შრომაც თითქოს უაზრო გახდა — ყოველ შემთხვევაში, კვლევით ინსტიტუტში სიარულმა და დრო-დრო სტატიების წერა-გამოქვეყნებამ ჩვეული ფასი დაკარგა. განუული შრომის მომგებიანობა თანდათან ვაჭრობასა და ალბე-მიცემასთან გაიგივდა, სხვაგვარად კი სულ უფრო ძნელდებოდა, შეუძლებელიც კი ხდებოდა ოჯახის რჩენა. სამაგიეროდ ქალაქის უბნები მოიფინა კოოპერატიული სასადილოებით, მაღაზიებითა და ჯიხურებით. მართალია, ვიღაც ანონიმები ისქვლებდნენ ჯიბეს საერთო ვალატაკების ფონზე, მაგრამ ქვეყანაში გამოჩნდა ადრე უნახავი პროდუქტები და სამომხმარებლო ნივთები — ოღონდ ძვირად, „მინერალური მდივანი“ კი აგრძელებდა ხალხის სხაპასხუპით „დაბოლებას“ და უცხოეთში მეუღლესთან ერთად მოგზაურობას. დაიბნა მსოფლიო და დაიბნა საქართველო. და ეს ჩვენი ფილოლოგი კაციც დაიბნა...

მაგრამ მთავარი სიახლე მაინც ღია სივრცეში ხალხმრავალი კრებების დაუსჯელად გამართვა და იქ ნაირნაირი ფერადი დროშების აფრიალება იყო. განსაკუთრებით ადრე მიმალვაში მყოფი, სანთლით საძიებელი დროშისა — სამფეროვანის, შავი და თეთრი ზოლებით მენამულ ფონზე. რუსთაველზე, მთავრობის სასახლესთან პირველად რომ იხილა ასე მოხატული ტილოს ნაჭერი თავისუფლად მოფრიალე, შეცბა და ადრე სრულიად გამოუცდელი გრძნობა დაუფლა: შიშის, გაოცებისა და სიამაყის რაღაც უცნაური ნაზავი. იმ დღეებში კი ნანატრი დიდი სიხარულიც ეწვია — შეეძინათ მეორე ბავშვი, გოგონა. ხატია დაარქვეს.

ქვეყანაში კი მერე დატრიალდა, რაც დატრიალდა... დრო შემჭიდროვდა, დაგროვილი ზიზღი და ბალღამი ქუჩაში გადმოიღვარა. პროვოკაციები, ტანკები, რკინიგზის გადაკეტვები, დემონსტრაციები, მიტინგები, მიტინგების დარბევები, ძველი სისტემის ჩამოშლა, რუსეთის დედის გინება, საყოველთაო აგენტომანია, სეპარატიზმი პროვინციებში, კომპარტიის აორთქლება, ყველაფერს რა ჩამოთვლის... ოდესღაც ყოველისშემძ-

ლე ცეკვა დაიშალა და დაიკეტა, შვილობილი რაიკომებიც მაგას მიყვა, უმუშევრად დარჩენილი ძმაკაცი კი შერვეულ კაბინეტს დაემშვიდობა: მან სინანულით ჩააბარა სადაც ჯერ არს ლენინისთავიანი პარტილეთი, მიაყოლა მას საკუთარი სამუშაო კაბინეტის გასაღები და საშვი, მაგრამ მავანივით უსაქმოდ დიდხანს არ უვლია — მალევე ახალშექმნილი რუსთაველის საზოგადოების აპარატში გადავიდა სამუშაოდ და არცთუ იშვიათად პატარ-პატარა სახალხო შეკრებებზე ენერგიული პატრიოტული სიტყვებით გამოსვლაც უნევდა ხოლმე.

მერე კი საყოველთაო არეულობამ შვა გადატრიალება, რასაც ლოგიკურად მოყვა ომი, სიბნელე და შიმშილი. თან ყველაფერი ეს ერთდროულად, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით: ომი ტყვიის სროლასა და სიკვდილს ნიშნავდა, სიბნელე — უშუქობას ბინებსა და ქუჩებში, შიმშილი კი უშველებელი რიგიდან ბრძოლითა და მუჯღუგუნებით გამოტანილი შოთების თათრებით დასახლებულ რომელიღაც ქოში-ქილისაში კარტოფილზე გაცვლას. მერე მანეთის მაგივრად ბრუნვაში შემოვიდა კუმონი და ვიღაც მარიფათიანი ბიჭები სწრაფად გამდიდრდნენ, ხოლო მისი ისედაც მწირი ხელფასი საერთოდ სიმბოლური გახდა. საერთო ტალღას აყოლილმა გამოსავლის ძებნაში ბიზნესმენობაც სცადა ერთი პირობა — ვალი დაიდო და ერთხელ თურქეთიდან მეორადი, ანუ ნახმარი, სამოსი ჩამოიტანა გასაყიდად, მაგრამ შესაბამისი ნიჭი არ აღმოაჩნდა — კონკურენცია მაღალი იყო და კინალამ ჩაუნვა საქონელი, მოგებაზე არც იყო საუბარი, ძლივს გაისტუმრა ვალი. კიდევ კარვად გადარჩა. არადა შვილები ეზრდებოდა, მათ გამოკვება სჭირდებოდა და არც მეუღლეს ჰქონდა ჯერჯერობით სიცოცხლეზე ხელი ალებული. ამიტომ ნელ-ნელა სახლიდან ნივთების გაზიდვა და გაყიდვა დაიწყო, სხვა რა გზა დარჩათ... სერვიზები, მამისგან დანატოვარი რაღაც რუსული პეიზაჟი, რამდენიმე ძვირფასი ფოლიანტი — კაპიკებში, ბოლოს გერმანული პიანინო... იარაღის ხელში ალება არც უცდია, არ იყო მავის კაცი. არადა ზოგჯერ — საყმანვილო იმპულსების იშვიათი შემოტევების დროს — ნათლად წარმოიდგენდა ხოლმე თუ როგორაა სინამდვილეში ცხოვრება მოსაწყობი, ჯერ ქვეყნისა და საზოგადოების, შემდეგ კი საკუთარი, პიროვნული. აი, უცებ პრეზიდენტი რომ გამხდარიყო... პრეზიდენტიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია ბოლო-ბოლო, ორი ხელი, ორი ფეხი... მაგრამ უცებ მოდიოდა გონს, ეგრე სადაა პრეზიდენტობა...

ქვეყანა ინფლაციამ წაღეკა. სამსახურამდე მისვლაჭირდა, ერთი პირობა იშვიათი და გადატენილი ტროლეიბუსებიდა თუ დაბობლავდნენ ოდესღაც მანქანებით გადაჭედდო ქუჩებში. მშობლიური ინსტიტუტი ოფიციალურად არ დახურულა, მაგრამ ნელ-ნელა თავად მუშაობა კარგავდა ყოველგვარ აზრს. ახალგაომომცხვარი კუმონებით ალებული ხელფასი არათუ ოჯახის მინიმალურ დონეზე შენახვას, აუცილებელ სატრანსპორტო ხარჯებსაც კი ვერ ფარავდა.

მაშინ გამოიჩინა ერთგვარი სისუსტე: დააპირა როგორმე აღენერა ფურცელზე ის ყველაფერი, რაც გარშემო ხდებოდა. ბოლო-ბოლო ფილოლოგი და განათლებული კაცი იყო, არც ლიტერატურული გემოვნების ნაკლებობას უჩიოდა, მაგრამ... არაფერი გამოუვიდა. აღმოჩნდა, რომ კითხვასა და საკუთრივ წერას შორის უზომოდ დიდი განსხვავება ყოფილა. პატარა ჩანახატიც სცადა დანყება, მაგრამ სწრაფად შეეშვა. სინამდვილეში გრძნობდა, რომ ბევრი არაფერი დაუფროვდა სათქმელი ურბი ეტ ორბი — სიდუხჭირე საყოველთაო იყო და განსაკუთრებულ ინტერესს არ იმსახურებდა. რეალური ცხოვრება მაინც ოჯახს მიღმა, მისი ბინის კედლების გარეთ მიედინებოდა, ის კი ატაცებული ქვიშის პანია ნაწილაკად შეიგრძნობდა თავს, ეს იყო და ეს... ვერაფერს მართავდა. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ შეეშვა ლიტერატურულ ვნებებს — ამჯობინა მართალი დარჩენილიყო საკუთარ თავთან.

ვალდებული იყო შემოსავლის რაღაც დამატებით წყაროებზე ეზრუნა, როგორმე შეენახა ოჯახი. სწორედ მაშინ გამოადგა

შორეული ბავშვობის ბედნიერ წლებში მიღებული ინგლისურის გაკვეთილები. მართალია, უცხო ენის გახსენებას მაგიდასთან წამოშავება და უამრავი სიტყვისა თუ გრამატიკული წესის გამეორება დასჭირდა, მაგრამ ამას რამდენიმე თვეში გაართვა თავი. მერე კი დრო-დრო ხან საქმიანი შინაარსის ტექსტს მოაწვდიდა ვინმე სათარგმნელად, ხან უცხოეთის რომელიმე ჟურნალში გასაგზავნად გამზადებულ სამეცნიერო სტატიას, ხანაც რაიმე საბუთს. რეგულარულ შემოსავალს ამას ვერ უწოდებდი, ანაზღაურებაც ცვალებადი იყო — ვისთან როგორი, მაგრამ როდესაც თერთად გათენებულ რამდენიმე ღამეში რამდენიმე ტკიცინა ათ, ოც ან ორმოცდაათ დოლარიანი კუპიურა ერგებოდა, მის ხანმოკლე სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — მაშინვე გაქანდებოდა სუპერმარკეტში და მაცივარს სურსათ-სანოვავით აავსებდა. როგორმე სურდა ოჯახის უმცროსი თაობისთვის იმის არამყარი ილუზია მაინც შეექმნა, რომ ამ გაჭირვების ჟამს ისინი ცხოვრების ახალ ბატონ-პატრონებს არაფრით ჩამოუვარდებიან. ამასობაში კი კუპონები გაუქმდა და ბრუნვაში შემოვიდა მყარი ეროვნული ვალიუტა — ლარი.

დრო კი ისე მიქროდა წინ, ვითარცა წიფის გვირაბიდან გამოვარდნილი ელმავალი. საქართველო კვლავაც ნატყვიარ იარად რჩებოდა მსოფლიოს რუკაზე. ნორმალური არსებობისთვის საკმარი ფული ქვეყანაში კვლავაც არ იყო, ხოლო რაც იყო... რაც იყო, ეროვნულმა ბანკმა ძლიერთა ამა ქვეყნისა კრედიტების სახით აჩუქა და ფაქტობრივად საკუთარი თავი და ხალხი ნებაყოფლობით გაძარცვა. შემდეგ ბანკის პრეზიდენტმა (რომელიც უფროსების დავალებას ასრულებდა და უნებურად სახიფათო ინფორმაციის მატარებელი გახდა) თავი მოიკლა თუ მოკლეს. და აი მაშინ, ვითარცა ჩასაძირად განიწიული გემიდან მღელვარე ზღვაში გადაშვებულებისთვის ვერტმფრენიდან ნატყორცნი მაშველი რგოლი, საქართველოში უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია — ეგრეთ წოდებული „ენჯეო“ — წარმოიშვა.

„ენჯეოთა“ სამყაროში ცხვირის შეყოფა იოლი საქმე არ გახლდათ, მაგრამ მას ისევ ძველი და ნაცადი, ყოფილი „პარტიული“ მეგობარი დაეხმარა, რომელიც ამ პერიოდისთვის თავადაც საქმად მყარად დამკვიდრდა არასამთავრობო სექტორში და ბევრი ნაცნობი გაიჩინა — გამოადგა რუსთაველის საზოგადოებაში მიღებული გამოცდილება. სწორედ მან შეაწინა კეთილი სიტყვა ერთ-ერთი მძლავრი ამერიკული ფონდის აქაურ ხელმძღვანელს, რომელიც თბილისში მის დიდ და კეთილმოწყობილ ვაკის ბინას ქირაობდა (თავად პატრონს ცეკაში მუშაობისას მიღებულ მეორე ბინაში მოუწია გადასვლა — ოროთახიანში საბურთალოზე). კეთილი სიტყვა შესემნილ იქნა, მით უმეტეს, რომ დამშუღლ მეცნიერებათა კანდიდატს (რომელსაც ახალ ორგანიზაციაში ყველა ინგლისურ ყაიდზე „დოქტორად“ იხსენიებდა) ლიდერის მაღალანაზღაურებად პოზიციაზე პრეტენზია არაიდგეს გასჩენია. სულთმობრძავ მშობლიურ ინსტიტუტში არავინ სთხოვდა ხშირად მისვლას და პარალელურად ფონდში დამხმარე ფუნქციის შესრულება — რაშიც ნამდვილ ხელფასს უხდიდნენ — უაღრესად ნაადგა პირველ თვეებში, შემდეგ კი ფონდმა თავისი მოქმედების არეალი გააფართოვა და რამდენიმე შვილობილი „ენჯეო“ დააფუძნა. მალე გაირკვა, რომ უცხოელებთან წარმატებული თანამშრომლობისთვის ახალგაზომცხვარი „ენჯეოების“ პერსონალისთვის აუცილებელ მოთხოვნებს შეადგენდა: „ზემოდან“ წამოსული ინსტრუქციების საწინააღმდეგე შესრულება, ინგლისურ ენაზე სხარტად მეტყველება, პატრიოტიზმი, ანუ იმპერიალისტური რუსეთის მოურიდებლად და ხმამაღლა დედის გინების ხელოვნება, და კიდევ „ემშაკის მანქანის“ — კომპიუტერის — დაუფლება. კომპიუტერი ქართულ სინამდვილეში მაშინ ჯერ შედარებით ახალი ხილი იყო, მაგრამ მასაც სწრაფად გაუსინჯა გემო — არ გაძნელებია ათვისება, პირიქით — სასიამოვნოც კი აღმოჩნდა. შემდგომი წინსვლა მოითხოვდა მისგან პირადი საერთაშორისო კავშირების მოპო-

ვებას, რითაც ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ვინაიდან ლიდერობის პრეტენზიას და საკუთარი პროექტების წარდგენის სურვილს არასოდეს ამჟღავნებდა, არც ეს ნაკლი გახლდათ თვალში საცემი, თან დროთა განმავლობაში გამოსწორებადი ჩანდა. მშობლიურ ინსტიტუტში სასაცილო ხელფასის ასაღებად და ფინჯანის ყავის თანხლებით საჭიროოდ რომ შეივლიდა ხოლმე, ისეთი შურიანი თვალებით შესცქეროდნენ კოლეგები — ეუხერხულეობა კიდევ. მაგრამ ამ უხერხულობას მალევე გაუმკლავდა — ამ სამყაროში ყველა საკუთარი თავის გადარჩენისთვის იბრძოდა და თუ მას, როგორც იქნა, სხვებზე მეტად გაუმართლა, რა უნდა ყოფილიყო მანდ საჩოთირო? არავის ვალი არ ჰქონდა და თუ გარკვეული ძალისხმევით შედეგად იმას მაინც მიაღწია, რომ არარეგულარულ სათარგმნელ ტექსტებზე და თვეობით დაგვიანებულ სამარცხვინო ხელფასზე აღარ გახდა დამოკიდებული და სხვებზე უკეთ იწყო ცხოვრება, რისთვის ან ვისთვის უნდა დამალა ეს წარმატება? მაცივარი მუდამ სავეს ჰქონდა, ცოლ-შვილმაც თანდათან გამოიხედა თვალში. მართალია, ქვეყანა კვლავაც უშუქობასა და სიღატაკეში იყო ჩაფლული, მაგრამ ხომ მოახერხა და შეიძინა ელიავას ბაზრობაზე გენერატორი და ამოიხუნტქეს სახლში! ახლა დენი რომ ჩაქრებოდა, ჩართავდა ეგრევე ამ ჯადოსნურ ხელსაწყოს და ანი მისი გუგუნის თანხლებით ტელევიზორის ყურება მაინც შეეძლო ოჯახს.

ასე გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს — წლების განმავლობაში. მერე კი ისტორიის სვლა ისევ აჩქარდა. ქვეყანაში დაიწყო მრისხანე საპროტესტო გამოსვლები, რომელთა მომზადებაში არასამთავრობმა დიდი როლი ითამაშეს. მათ შორის, იმ „ენჯეომაც“, რომელშიც თავად ლებულობდა ხელფასს. ერთი მშვენიერ დღეს მთელი ეს მღელვარება დასრულდა „ვარდების რევოლუციით“, რომლის შედეგად ინგლისურზე წყალნაყარად მოსაუბრე ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა უცერემონიოდ გაყარეს სახელისუფლებო კაბინეტებიდან ძველი ხელისუფლების დახავსებული ჩინოვნიკები. ეს ამბციური ყმანვილები ვაცილებით უკეთ ერკვეოდნენ სუპერმარკეტებისა თუ სახელმწიფო უწყებების განლაგებაში სადმე ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, ბრიუსელსა თუ სტრასბურგში, ვიდრე მოსკოვის ან, თუნდაც, თბილისის საგაჭრო ცენტრების პოლიტიკურ გეოგრაფიაში. „ვარდოსანთა“ ლიდერების მიერ იმთავითვე ძალიან ბევრი დაპირება გაიცა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ახალი, „არატოლერანტული“ წესრიგის დამყარება იყო. ძალიან მალე თითქმის ყველა, ვისაც კი ადრე რომელიმე სახელმწიფო უწყებაში ან უმაღლეს სასწავლებელში უმუშავია, კორუმპირებულად მოინათლა — არადა, რანაირად არ მოინათლებოდა, თუკი ქვეყანაში პრაქტიკულად გაუქმებული იყო ხელფასის ცნება, ხოლო სამრეწალო პენსიები თვეობით არ რიგდებოდა. ყოველივე ეს მხოლოდ აისბერგის ხილული, წყალსზედა ნაწილი იყო. „ვარდოსანი“ რევოლუციონერების დაუნერვლი, მაგრამ საცხებით რეალური გეგმის მიხედვით, დაახლოებით მილიონამდე მობერებული, ანუ ორმოცს გადაცილებული „ჰომო სოვეტიკუსი“ ისტორიულად უმოკლეს ვადებში ახლებური ტიპის „ჰომო ამერიკანუსით“ უნდა ჩანაცვლებულიყო. მტკნარი ჰუმანისტური მოსაზრებები მხედველობაში არ მიიღებოდა. მაგრამ ცხოვრება როთულია, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ. მართალია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა „ენჯეომნიკი“ დოქტორი უკვე ნახევარ საუკუნეს უკაჟუნებდა და ფორმალურად პირველ, ანუ „ჩასარეცხ“ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, მაგრამ რადგან დროულად მოახერხა და მოასწრო მეორე კატეგორიის ვაკონში შეხტომა, მას გადარჩენისა და თავის გამოჩენის კარგი შანსი ამ პირობებშიც გაუჩნდა.

რევოლუციის პირველ წლებში მისმა „ენჯეომ“ არსებობა მშვიდად გააგრძელა. მეტიც, ახალი ხელისუფლების უჩინარი პატრონაჟის ობიექტი გახდა და მისი სახელით, თუმცა სინამდვილეში სამთავრობო ქოლგის ქვეშ, დაარსდა ახალი, ფორმალურად კერძო, რეალურად კი სახელმწიფოს დაქვემდებარე-

ბული ყოველდღიური გაზეთი, რომლის რედაქციას ქართული-სა და ინგლისურის კარგი მცოდნე და პოლიტიკურად სანდო კადრი დასჭირდა. მიზეზთა გამო თანამშრომლობა სწორედ მას შესთავაზეს — რედაქტორის ერთ-ერთ მოადგილედ, თანაც ისე, რომ არც ინსტიტუტის (სადაც ფორმალური კონკურსის შემდეგ ხელფასი ერთიორად გაუზარდეს) და არც „ენჯეოს“ მიტოვება არავის დაუძალებია. გაიხარა, საკუთარ მაგალითზე დარწმუნდა, რომ მაღალი კვალიფიკაციის ხანშიშესული ადამიანი ასეთ შეუწყნარებელ ეპოქასაც კი სჭირდება. რვაფურცლიანი გაზეთი განზრახ დაბალ, დოტაციურ ფასში გაჭირვებით ბაზარზე გასაყიდად, რეკლამები კი რედაქციაში ლამის სავალდებულო წესით მოჭირვებით მორჩილ ბიზნესმენებს, ამიტომ გამოცემა მომგებიანი აღმოჩნდა. ამიერიდან მის საბანკო ანგარიშზე ფული შემოდის ხელფასების, პრემიების, ჰონორარებისა და გრანტების სახით. შესაბამისად, მისი საოჯახო კეთილდღეობა დღითიდღე იზრდებოდა. ამასობაში ბიჭმა აუდიტორულ ფირმაში დაიწყო მუშაობა — ცხადია, დაბალ თანამდებობაზე, სამაგიეროდ თავიდანვე ნორმალური ანაზღაურებით; ქალიშვილი პრესტიჟული კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მერე რუსთავის ბაზრობაზე ევროპიდან შემოტანილი საკმაოდ ახალი მანქანა შეიძინა და ახალი ბინის შეძენაზეც დაიწყო ოცნება — კრედიტზე მისი ოფიციალური შემოსავლის მქონე კაცს სავარაუდოდ ბანკი უარს არ ეტყობდა, მაგრამ არ ჩქარობდა — ეს მაინც კარგად მოსაფიქრებელი, ასანონ-დასანონი საკითხი იყო. ბუნებით ფრთხილ კაცს გაზეთში მთავარი რედაქტორის პოსტი არ იზიდავდა, თუმცა სხვა მის ადგილზე... არა, რომც შეეთავაზებინათ, ალბათ, რალაცნაირად დაიძვრებოდა თავს, აირიდებდა ზედმეტ პასუხისმგებლობას. კიდევ კარგი, ამგვარი არჩევანის წინაშე არ დამდგარა. ასაკის გამო ვარდების სუნით გაბრუნებულ სამშობლოს „ახალ სახედ“ მაინცდამაინც ვერ მოეგლინებოდა. საბოლოო ჯამში ერთი კარგად ანაზღაურებადი და საკმაოდ კომპეტენტური — რაც იშვიათობას წარმოადგენდა — თანამშრომელი იყო, რომელსაც ადრე მიღებული განათლების წყალობით ენაც კარგად უჭირდა და გონებაც. იპოთეკური კრედიტის გამოტანა მაინც ვერ გაბედა, გრძნობდა, რომ მისი კეთილდღეობა არამდგრადია და მთლიანად ახალი ხელისუფლების კეთილგანწყობაზე დამოკიდებული.

ამ „ხალივამ“ კიდევ რამდენიმე წელს გასტანა. მაგრამ, როგორც ცნობილია, არანაირი ბედნიერება არაა მუდმივი. მალე ქვეყანას მორიგი ფერისცვალების ნიშნები დაეცო — განსაკუთრებით ახალი არჩევნებისა და რუსეთთან ხანმოკლე ომის შემდეგ. მოულოდნელად მის „ენჯეოს“ შეუწყდა ჩვეული დაფინანსება — მეხის გავარდნასავით და სრულიად გაუფრთხილებლად. პერსონალს მიზეზებზე არავინ არაფერი მოახსენა, მაგრამ ნათელი იყო, რომ სადაღაც იქ, ზევით, უბრალო მოკვდავთაგან მიუზღვდომელ პოლიტიკურ სტრატეგიაში, სხვათაგან სიომ დაჰპერა. დიდი პოლიტიკა ჩვენს ფილოლოგს სინამდვილეში არ აინტერესებდა, მაგრამ „სპილოს ძვლის“ ბოლომდე მის მიერ ვერაშენებულ კომპი მშვიდად გამოზამთრება მაინც არ ერგო, შეუძლებელი აღმოჩნდა. სამწუხარო რეალობის პირისპირ დადგა: მისმა პირადმა ბიუჯეტმა ძლიერ იზარალა სწორედ ამ აუხსენელი პოლიტიკური მიზეზების გამო. ამას ისიც დაემატა, რომ კვლევით ინსტიტუტშიც ნახევარმეტატზე მოუწია გადასვლა — უკვე ძალზე შეუსაბამო და უხერხული გახდა თან „ენჯეომნიკურ“ გაზეთში მუშაობა, თან კი ოფიციალურ სამსახურში თუნდაც მცირედი, მაგრამ მაინც სარგოს ფაქტობრივად არაფერში მიღება. საბოლოოდ ხელში ეს გაზეთილა შერჩა, რომელიც ფორმალურად სხვა პატრონის ხელში გადავიდა, მაგრამ იგივე სახელწოდება შეინარჩუნა და კვლავაც დოტაციურ ფასად გადიოდა ყოველდღიურ გაყიდვაში. ასე რომ ანი რედაქტორის მოადგილის კეთილდღეობა ამიერიდან მხოლოდ ზემდგომთა ნება-სურვილზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ამასობაში „ვარდოსნებმა“ ისეთი კანონები შემოიღეს, რომ კაცის სამსახურიდან ყოველგვარი

ანაზღაურების გარეშე დათხოვნა — მანამდეც გაადვილებული — საერთოდ უიოლესი და ნაშმი გადასაწყვეტი საქმე გახდა. მოდაში სულ უფრო შემოდის ერთმანეთის მიყურადება, დასმენები, „ჩაშვება“. წვრილმანი პროვოკაცია ცხოვრების წესად და სტილიად, ლამის ყველაზე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. კომუნისტური ხანა გაახსენდა უნებლიეთ — თანაც ის კი არა, რომელსაც თავად მოესწრო, არამედ ის, რომლის შესახებ გადმოცემით, წიგნებით ან ფილმებით თუ იცოდა რამე. მაგრამ მატარებელი უკვე კარგა ხნის დაძრული იყო, ხოლო არჩევანი გაკეთებული. ბოლო-ბოლო, ღირსი არ იყავი ამდენი უბედურების მერე ცოტა ამიმესუნთქა? რომელი გაჭირვებული მოიქცეოდა ჩემს ადგილზე სხვანაირად? — იმართლებდა ხოლმე ყოველ ცისმარე დილას სარკეში შემხედვარე. რაც ჩვენ მაშინ გვიჭირდა, საქმლის ფული არ გვქონდა, ნახევარი სახლი გავზიდე ბავშვები გზაზე რომ დამეყენებინა, ეს „ენჯეო“ რომ არა — ბინის გაყიდვაც მომიწევდა... ბოლო-ბოლო არავის ვალი არ მაღვეს! ეს ჩვენი საცოდავი სამშობლო კი ისეა მოწყობილი, რომ თავზე ხელის გადასმითა და ტკბილი სიტყვით აქ ვერავის ვერაფერს შეასმენ. მტკიცე ხელის გარეშე ქვეყანა ვერ განვითარდება, წინ ვერ წავალთ, ისედაც ძლივს ამოვობდებით ნუშპედან, თან კიდევ ეს „ბებერი დათვი“ რუსეთი, აგრესია, ოკუპაცია... — ასე იმშვიდებდა ხოლმე თავს, საკუთარ თავთან პირისპირ ეულად დარჩენილი. არადა საქმე ისე მიდიოდა, რომ ტელეკრანი შეზიზღდა ამ ხნის კაცს, იმდენი ნეგატივი და სიძულვილი ინთხეოდა იქედან ყოველდღიურად, სულ ჯამუშები და დაჭერები... არათუ რომელიმე სხვა, საკუთარ გამოშვებულ გაზეთსაც კი აღარ კითხულობდა ბოლომდე რედაქტორის მოადგილე, როგორმე რომ აცთოდებინათ თავიდან ხელისუფლების მიერ ჩადენილ რომელიმე მორიგ უსამართლობაზე ან არაადამიანურ ქცევაზე ბუნებრივი რეაქცია ან, თუნდაც, თვალის დახუჭვის უსიამოვნო პროცედურა. ზოგჯერ თუ გაეპარებოდა ეკრანისკენ თვალი. ისე, უნებურად და დაუკითხავად, მაგრამ მაინც აწუხებდა ხოლმე შემოპარული ეჭვი — ხომ არ გაუგრძელდათ ამ ნაგაფარ „ვარდოსნებს“ ბაირამი? მაგრამ სხვა რა გზა იყო — უცებ იშორებდა ასეთ ეჭვს ვითარცა ხელის აქნევით აკვირებულ ბუზს, არ აძლევდა მას სიულის დაპყრობის უფლებასა და საშუალებას.

მაშინ ერთი არასასიამოვნო ფაქტი შეემთხვა, რომლის გახსენება დღესაც არ უყვარს, უჭირს. მისი პარტიული ძმაკაცი — რომლისგანაც ბევრი სიკეთე ახსოვდა — ერთ მშვენიერ დღეს თავისდა უნებურად „ჩარეცხილთა“ შავ სიაში აღმოჩნდა. თან ასაკმა უწია, თან კომუნისტურმა წარსულმა, არაკეთილმოსურნეც ბევრი დაუგროვებია ცხოვრების მანძილზე... ერთი სიტყვით, როდესაც ყველა სამსახურიდან გამოაგდეს, ისე თავის სანდო ძმაკაცს მიაღდა — ეს ჩემი უცხოელი წავიდა, ბინასაც ვერ ვაქირავებ, გარემომოტყუებულია, ცარიელზე დავრჩი, მთავარ რედაქტორთან სიტყვა გეტუქმის და იქნებ გაზეთში წებისმიერ თანამდებობაზე, თუნდაც უბრალო კორექტორად დამწყებინო მუშაობაო.

ვერ დაეხმარა. არა კი არა — ვერ. ერთხელ თითქო სცადა, მაგრამ რეაქცია ისეთი იყო, რომ უცებ დაიხია უკან, მიხვდა: მინოლას აზრი არა აქვს, ამით მხოლოდ იმას თუ მიაღწევს, რომ უფროსი მასაც ეჭვის თვალით დაუნყევს ცქერას. არაფრით არ გამოდიოდა ეგ ამბავი, მაგრამ მიდი და უხსენი ეს ძველ მეგობარს... მაინც არ დაუჯერებდა.

არადა ბაირამი „ვარდოსნებს“ სულ უფრო და უფრო უტკებებოდათ, თანაც რალაც სასონარკვეთილი ბაირამი. სულ უფრო სცილდებოდნენ მინიერ რეალობას. ისე უტიფრად იქცეოდნენ, თითქოს სწამდათ, რომ ვიღაცამ სამუდამოდ მოიყვანა ხელისუფლებაში, მაგრამ ესეც ერთგვარი პოზა იყო: გულის სიღრმეში გრძნობდნენ, რომ ეს მუდმივობა მათივე მოგონილი ბლევია და ამიტომ დასწრებაზე იყვნენ. გამოთქმა „მადა ჭამაში მოდისო“ თითქოს მათთვის მოუგონიათ წინაპრებს. ქვეყანაში მათდამი წინააღმდეგობა თანდათან მატულობდა, მაგრამ მატულობდა მათი საპასუხო რისხვაც ურჩების მიმართ, იხვენებოდა დამთრგუნველი მეთოდებიც. სისასტიკე — მერამდე-

ნედ უკვე ისტორიაში — მტკნარი ყოველდღიურობა გახდა. რედაქტორის მოადგილე კი ძველებურად დადიოდა რედაქციაში და ლებულობდა დამსახურებულ ხელფასს. მერე უეცრად გაუქმდა, „ჩაირეცხა“ მისი მშობლიური კვლევითი ინსტიტუტი. გული დანყდა, მაინც ბევრი კარგი მოგონება აკავშირებდა მასთან. ასე იყო თუ ისე, მაგრამ ის ნახევარშტატის ხელფასიც წარსულს ჩაბარდა. ამიერიდან კიდევ უფრო ლოიალური უნდა ყოფილიყო, კიდევ უფრო ძლიერად დაეჭირა ენაზე კბილი. არავის ნდობა არ შეიძლებოდა. ქალაქში საკმაოდ ცნობილი — ქუჩაში, ეზოში, ბაღში, დერეფანში, ფურშეტზე, რაუტზე — მის გამოჩენას თან სდევდა სისინი ზურგსუკან: ეგ „გველი“, „ფაშისტი“, „ჩათლახი“, „სულგაყიდული“... ცდილობდა არ მიენიჭებინა ამისთვის ზედმეტი მნიშვნელობა. შურიანს და ბოლმინს რა გამოლევსო ამქვეყნად, იმშვიდებდა თავს. ან სხვა რა გზა დაიტოვა...

ბოლოს კი... ერთ მშვენიერ დღეს ბორბალმა ნაღმა დაიწყო ბრუნვა. თავდაპირველად ნელა, მერე სულ უფრო სწრაფად და სწრაფად. ჯერ იყო და ერთმა ძალიან მდიდარმა კაცმა, რომელიც მანამდე „ვარდოსან“ მთავრობას დიდ, ლამის უკიდევანო დახმარებას უწევდა, ჯერ გადაუდგა მას, შემდეგ კი ლიად, საჯაროდ დაუპირისპირდა ყოფილი ფავორიტებს. ამ ნაბიჯმა უცებ არია ვითარება ქვეყანაში. რალაც ერთ ნელინადში ბორბლის ნაღმა ბრუნვა მორიგ არჩევნებზე „ვარდოსანების“ სრული მარცხით დასრულდა — ამ ხნის განმავლობაში ზედაპირზე იმდენი და ისეთი სიბინძურე ამოტივდივდა, რომ ეს მრავალფეროვნება „ვარდოსანების“ თავგადაკლული მომხრეებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა. არც ჩვენ გმირს დაადგა კარგი დღე. აღარავინ მოარბენინებდა გაზეთში სავალდებულო რეკლამას — მათი კოლექტივის კეთილდღეობის საფუძველს. გამოცემა წამგებინა გახდა. ხელფასი ჯერ გაუნახვერდა, მერე კი... მერე აგრძობინეს: შემცირება გარდაუვალია და იქნებ თავად დაწერო განცხადება და ნახვიდე, გეყოფა... არ გაუნევიან წინააღმდეგობა. დაწერა განცხადება და ნამოვიდა სახლში...

დღეს მხოლოდ ბიჭი მუშაობს. კრიზისია, მაგრამ აუდიტი მაინც მოთხოვნადია. ასე რომ ცუდი ხელფასი არა აქვს და როგორც შეუძლია, ეხმარება დედ-მამასა და დას. ყოფილი ფილოლოგი კი ისევ ძველ ხელობას დაუბრუნდა — ზოგჯერ თარგმნის. მანქანა კი ბიჭს გადასცა.

უსამსახუროდაა, მაგრამ მაინც არ იტყვს იხტიბარს, არ ნანობს. ამბობს: რაც მახადია, ცუდი იყო თუ კარგი, ისევ წინა ხელისუფლების დამსახურებაა, თორემ „ვარდების რევოლუციამდე“ წასული იყო ჩემი საქმე, წუმპეში ვიძირებოდი და გამოსავალი არ ჩანდაო.

ძნელაა მისი ამაში გადარწმუნება.

არც სამსახურის დაკარგვას და არც „ვარდოსანების“ საქვეყნო სირცხვილს მის ხედვებში ბევრი არაფერი შეუცვლია. წამითაც არ უფიქრია არც მონანიებაზე და არც — მაგალითად — სიცოცხლიდან წასვლაზე. ერთი ყველა მაგათი დედაც, — გინდა 'ნაცებისა' და გინდა „ქოცებისაო“ — მთავარი მაინც ისაა, რომ ოჯახი არ დავლუპე და შეილები გზაზე დავაყენე, რაღაცას მაინც გამოვრჩი ამ ოხერ დროსაო — ასე პასუხობს ხოლმე რომელიმე ძველი ნაცნობი გაუფრთხილებლად თუ შეეკითხება: მიმდინარე მოვლენებზე რას ფიქრობ? ადვილად ლიზიანდება ხოლმე. სამაგიეროდ არცთუ დიდი ხნის წინათ ახალი სათამაშო აღმოაჩინა — ფეისბუქი. დარეგისტრირდა მოგონილი გვარ-სახელით, შემოიმატა „ფრენდები“ და ზოგჯერ, კარგ ხასიათზე თუა, ჭორაობით ერთობს თავს.

სარკეში რომ იყურება, საკუთარი ნაკვთების ცნობაც კი უჭირს — უბრალოდ არ სჯერა. ნუთუ ასეთი იყო ორმოცი ან, თუნდაც, ოცი წლის წინათ? ამჟამად სარკიდან სამოცი წლის ჭალარა კაცი იყურება. სამოცი ცოტა როდია, მაგრამ არც იმდენი, რომ სამომავლოდ არანაირი გეგმა არ ჩაიფიქროს. ბოლო-ბოლო ფილოლოგია, გაზეთში ნამუშევარი, შეიძლება დაწეროს კიდევ რაიმე ახალი — დროსა და ადამიანებზე.

და მზაკერული აზრი თვითმკვლევლობაზე არასოდეს ებადება — სარკეში შემხედვარესაც კი.

დაისის ოდნავ დანესტიანებული ჰაერი კი ისევ ისეთი ნაზი და საამური, როგორიც იყო მაშინ, ადრეულ გაზაფხულზე, სამოცი წლის წინათ, როდესაც მან პირველად ამცნო სამყაროს თავისი პატარა ფილტვებით: ადამიანებო, ეს მე გეახელით დედამიწაზე — ერთადერთი და განუმეორებელი. კეთილ ინებეთ და გზა მომეციით!

ასე აღარაპინ მღერისო



თონა ქუმსიაშვილი

ამას სიხარულნარევი ცრემლით ვწერ. გუშინ საღამოს დამირეკა მანამდე უცნობმა ელიზა ტრიერემ ბაზელიდან, ბაზელის მუსიკალური კოლეჯის დირექტორის თანაშემწემ. საუბრობდა რუსულად. მითხრა, რომ თეო ქუმსიაშვილს აქვს შესაძლებლობა, 2014 წლის მარტიდან ორთვიანი კურსი ჩაატაროს მათ კოლეჯში ქართულ სასიმღერო ფოლკლორში და იენისის თევში ორი სლო კონცერტი სტუდენტების მონაწილეობით. მისგან თანხმობის შემთხვევაში ფავორმდება ოფიციალური მონწევა და შეთანხმდება პირობები.

მე ვუთხარი თეოს ტრაგედიის შესახებ. დღეს შუადღისას კვლავ დამირეკა ქალბატონმა ელიზამ და იყო თარჯიმანი ჩემსა და დირექტორს შორის.

ჰერ ჰანსმა მწუხარება გამოთქვა ტრაგედიის გამო. მითხრა, რომ მოისმინა თეოს სიმღერები, რომლებიც არის ინტერნეტ-სივრცეში და გამორჩეულად მოსწონს „ღმერთი დიდა“, „ხევსურული ნანა“ და „ფშაური კაფია“: ასე დედამიწაზე აღარავინ მღერის და არც იმღერებსო...

იცის ანსამბლების „რუსთავის“ და „ერისონის“ შესახებ. მოსწონს ჰამლეტ გონაშვილის უნიკალური ხმა.

მე შევთავაზე, მოისმინოს ქართული ფოლკლორის სხვა შემსრულებლები და მათგან შეარჩიოს ამ კურსის პედაგოგი, რაზედაც მითხრა, მხოლოდ განსხვავებული, მხოლოდ უნიკალური მჭირდებაო. და დასძინა: თეოსნაირი უნიკალური ხმისა და არტისტიზმის მქონე ახალგაზრდას მივცემ სწავლის შანსსო...

დავპირდი, რომ გავუგზავნი „უფლისჩიტას“ და ვისარგებლებ მისი შემოთავაზებით, რათა მისცეს სწავლის შანსი ერთ ქართველ ახალგაზრდას...

ესაა სულ. ერთი ციცქნა, თითქოს წვრილმანი ამბავია, მაგრამ რამხელა რამაა...

შვილო, ასე დედამიწაზე აღარავინ მღერისო...

და ის სწავლის შანსიც ხომ შენი სახელობის გრანტივითაა, შენი საჩუქარი იქნება ერთი შენსავით ნიჭიერი ახალგაზრდისათვის.

მანდედანაც, ზეციდანაც ზრუნავ ქართულ სიმღერაზე.

მარიამ ხუცუბაშვილი



თეიმურაზ ლანჩავა

თეიმურაზ ლანჩავა არჩეული გზის ერთგული რჩება. იშვიათია ჩვენში პოეტი, ასე ზედმიწევნით ინახავდეს ხელწერას. რამდენი ათეული წელია, თვალს ვადევნებთ მის შემოქმედებას, სადაც იცვლება თემები, განწყობილებები, აზრები, მაგრამ არ იცვლება სტილი, ხედვა, პოეტიკა.

ის ამ ლექსებშიც ასეთია — „ახალი ძველი“.

მისთვის ჩვეული ფილოსოფიური თემები მსუბუქი ინტონაციებით არის შეზავებული, რათა არ დამძიმდეს პოეტური აზრი, არ დაიკარგოს, არ განედღეს ის მუხტი, რომელიც საზოგადოდ ახლავს შთაბეჭდილების, შთაგონებისა და განცდის პირველსაწყისს.

რა თქმა უნდა, არის დაისური განწყობილებებიც, რომელიც ზამთრისა და თოვლის გამჭვირვალე სიმბოლიკით გამოიხატება, მაგრამ პოეტი ცდილობს არ დაამძიმოს მკითხველის გუნება. ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია თვითორონია და ჰუმორი, რასაც, შეიძლება ითქვას, წარმატებით იყენებს: „მე შენ გაჩუქებ უთოვლო ზამთარს, ზამთარს გაჩენილს უჩემოდ, შენით და დაგარნმუნებ სიკვდილიც მზად მაქვს, როცა სიცოცხლეს ვერაფრით ვშველი“.

ერთი ტენდენციაც შეინიშნება: რამდენადაც ცდილობს ავტორი ანტირომანტიკული იყოს, იმდენად რომანტიკული გამოსდის ლექსი, რამდენადაც გამოკვეთს გზას სიხარულიდან – სევდამდე, იმედიდან – უიმედობამდე ან დასაწყისიდან – დასასრულამდე, იმდენად გადის განცდა თავისი რეალობის მიღმა. გარეგანი წარსული, შინაგანი ანმყო – ასეთია თეიმურაზ ლანჩავას ფსიქოლოგიური პოზიცია.

შეჯამება. შეიძლება ასე დავახასიათოთ ლექსთა ეს ნაკრები, რომელშიც ვხვდებით, თუ როგორ გაიაზრებს პოეტი განვლილ გზას და როგორ ცდილობს გადაარჩინოს სიცოცხლის დვრიტა და ხალისი.

„როდის ვიყავი ბედნიერი აღარც კი მახსოვს, როცა შენ შეგხვდი, თუ როდესაც უცებ დაგშორდი, მაშინ, როდესაც გულწრფელობა განძივით ფასობს, თუ მაშინ, როცა ბედნიერის როლს ვთამაშობდი“.

* * *

ზამთარი გრძელი მოლოდინია მიწიდან ცამდე გაკიდულ ფიქრის, ძველი საათი ქმნის იდილიას, გაურკვევლობის მოლოდინს ითვლის. ჰგავს მოულოდნელ კარის შეღებას, უცებ მოვარდნილ სინათლის სვეტი, ზამთარი სოფელს თეთრად შეღებავს, რომ სიშავბნელეს დაესხას რეტი. მიიზღაზნება დრო, ნელა გადის, ხტის წარბი, წარბსაც სცოდნია დაცდა, ყოველი ნუთი დაკბენილ დარდის, გაუგებრობის ლოდინში გაცვდა. შავი ფიქრებით დანალმულ ლამეს, შეაკრთობს მარტოდ დარჩენის შიში და შენიღბული ფერისცვალება, მოულოდნელად მოკვდება ძილში. დაიკანრება ტკივილით ლამე, თითქოს ქალწული აცდუნეს ძალით და შენ შერჩები დალილ მომავალს, იმედებისგან დახრული ძვალი. ჩამოშლის ლამე სევდის დალაღებს, და ამღვრეული წავა ზმანება, წაასვენებენ გარდაცვლილ ზამთარს, და მარტობა დაგემგზავრება. ზამთარი გრძელი მოლოდინია...

* * *

ნუხს გარიჟრაჟი მითვლემილი გარეშე ფრთოსნის, წვეთობით ცრემლი ემატება ყოველ დღის ნათელს, გრძელდება მწარე მოლოდინი მეორედ მოსვლის. მოუხმობს ნოე კიდობნისთვის საბრალო ქართველს. აღიმართება ერთ დღეს მუშტად ბოღმა და რისხვა, წალეკავს ეჭვის მღვრიე ტალღა მღვრიე ნაპირებს, შენ უნდა შეძლო ბედგამწყრალი სამშობლო იხსნა, თორემ ხვალის დღე უგულობას არ გაპატიებს.

* * *

ამ სიბერის გადამკიდვე, სიყვარულზე აღარ ვფიქრობ, ზამთარი ვარ, შემიძლია მხრებზე თეთრად დაგეფიფქო.

შემიძლია, შემიძლია, თუმცა რაღა შემიძლია, ადრე, ტრფობით გახელებულს, დედამინა შემიძვრია.

ახლა ჩემთვის ვფართი-ვფურთობ, ახლა სხვას შევცქერი რიდით, ახლა დამთმობი ვარ უფრო, თვალებს ვაცოდვილებ ბინდით.

ჩიტებს სამოთხისას ვიჩვენე, აღარ მსიბლავს მწვერვალები, უკვე სიბერესაც ვიმჩნევ, საკუთარ თავს ვემალები.

უკვე დასასრული მოჩანს, სიმარტოვებს შევეჩვიე, ახლა, გვიანაა, მორჩა... ადრე უნდა შეგემჩნიე.

* * *

მე შენ გაჩუქებ უთოვლო ზამთარს, ზამთარს გაჩენილს უჩემოდ, შენით და დაგარნმუნებ სიკვდილიც მზად მაქვს, როცა სიცოცხლეს ვერაფრით ვშველი.

მე დაგარნმუნებ სიბერის ახლოს, რომ თოვლი სახლობს, თავს ვირთობ თოვლით, და თოვლს რომ ხელი არავინ ახლოს, მივაგებ პატივს შორიდან თრთოლვით, მიყვარხარ შორით, მინდიხარ ახლოს, მიწიდან კრძალვით შევცქერი მთვარეს, სად მხოლოდ კრძალვა, სინათლე სისხლობს და ვარსკლავები აცვივით თვალებს.

* * *

ადრე ყველაფერი მიხაროდა, ახლა არაფერი მიხარია, თუმცა ხე ფოთლებით შეიმწვანა, კვირტი — სანამყენე მიმხმარია.

მოდის, მოლლაბუცობს გაზაფხული, ფერთა — ნაირფერთა დამკვიდრებით, ადრე სევდას ვყავდი დაზაფრული, ახლა აღარაფერს ვაკვირდები.

მინას ნანვიმარის ოხშივარი, ნისლად წაეფარა, გადაბინდა, ადრე ყველაფერი მიწოდდა და ახლა, არაფერი აღარ მიწდა.

ამ წელს გადავურჩი, იმ ზამთრამდე, თუმცა დანანებით, სული მიმაქვს, გულზე დამაფინო დალაღები, დიდი არაფერი სურვილი მაქვს.

ახლა, ლანდებს დავსდევ ძილბურანში, ახლა, კი არ ვხვდავ, მეჩვენება, ვილაც შორეული ხელს მიქნევს და, მალე ნაგაყვანო, მეჩვენება.

იყო ყველაფერი... არ იქნება... გნამდეს, მიწაც დედის მუცელია,

ნუ გკლავს წასვლა-მოსვლის დაფიქრება,
თითქმის ყველაფერი უცვლელია.

კაცთა სივერაგემ გაგიმეტა,
დრო ამღვრეული და ავთვალა,
მარადიულია მიძინება,
და წინ უსაშველო ზამთარია...

* * *

მე შენ მიყვარხარ,
რამდენმა თქვა,
რამდენი იტყვის,
ეს სამი სიტყვა,
არ ძველდება,
სულ ცოცხლობს თითქმის...
უკვდავებაა სიყვარული,
ანდამატია,
სულსაც ჩუქნიან ერთმანეთს და
არ ამადლიან...
სულ ახალია, სულ ცინცხალი,
ყოველთვის ფასობს,
სევდაშიც ხშირად,
ტკივილშიაც
სიხარულს აქსოვს.
ნუ მოშლი ღმერთო
ამ სიტყვების მთქმელს
და გამგონეს,
მარადიულში, მარადიულს
რომ შთაგაგონებს.

* * *

როდის ვიყავი ბედნიერი
ალარც კი მახსოვს,
როცა შენ შეგხვდი, თუ როდესაც
უცებ დაგშორდი,
მაშინ, როდესაც გულწრფელობა
განძივით ფასობს,
თუ მაშინ, როცა ბედნიერის
როლს ვთამაშობდი.
რომელი უფრო რთული იყო
ანდა მარტივი,
ფრენა შენს გამო თუ შენს გამო
სხვათა ღალატი,
ვყოფილიყავი სურვილებში,
მერგო პატივი,
საკუთარ სხეულს და სიმშვიდეს
დროს რომ ვპარავდი.
როდის ვიყავი ბედნიერი
ველარ ვიხსენებ,
შემომეცალა ბედნიერის ტანზე მანტია,
საკუთარ ფიქრში შეყუჟული
ვარ და ვისვენებ,
ვხვდები ცხოვრებაში,
უშენობა არ მაპატივს.

* * *

თუ მოისურვებთ და ნებას დამრთავთ,
ჯოჯოხეთშიაც დაგემგზავრებით,
მე თქვენს მზერაში აღმოვჩინე.
თუ არ გიყვარვარ, არც გეზარებთი,
წუთისოფელი თუკი წუთია,
რამეფრად წუთში უნდა ჩამტივით,

უნდა შემინდოთ ეს სითამამე,
უნდა შემინდოთ, და მაპატიოთ.
ველარ ავიტან თქვენს გულგრილობას,
ვერც თქვენს ნებართვას დაველოდები,
არ დაგარწმუნებთ მარადიულად
ვიარსებებ და განვმეორდები.
მოულოდნელი ყინია წამში,
ცეცხლი ჩააქრეთ ჩემში, რაც ბუდობს,
გადაარჩინეთ პატარა ბავშვი,
ტრფობის აღმურში არ გაიგუდოს.
გთხოვთ უთანაგრძნოთ, ვნებიან გრძნობებს,
ინვის, ანათებს და იფერფლებს,
თორემ ერთხელაც ეგ მოთმინება
მოულოდნელად ამიფეთქდება.
ალიბექდება ხსოვნაში წამი,
დაეკისრება დროს განაჩენი,
ნუ მოიხედავთ, მხოლოდ შეჩერდით,
ამოვისუნთქავ და გადავრჩები.

* * *

წუთისოფელმა შენამდე
გრძელი გზა გამომატარა,
ბოლო საჩუქრად ღიმილით
სიკვდილი გამომატანა.

უსაზღვროდ კმაყოფილი ვართ
ამ საჩუქარით, მარტივით,
ახლა ერთავე უცრემლოდ
საკუთარ სიკვდილს დავტირით.

* * *

ჩემს გარდაცვლილ ბავშვობას
სიბერიდან ვუცქერი -
ფრთებდამსხვრეულ ბელურას,
ძერა თავს რომ დასხმია,
რჩება თითქოს წარსული
ძველებურად უცვლელი,
ჟამთა მონაცვლეობა
მოლოდინით სავსეა.
ზეცა კუბოს თავია,
წამიერად ახადეს
მინას, ისე ჩავცქერი,
სარეცელი მგონია,
სანამ ამიერში ვარ
და სიკვდილი დამხრავდეს,
ჟრუანტელმა დამჯაბნა,
სევდამ ამიყოლია.
რა შორს ჩანდა შორიდან,
რასაც ახლა შევცქერი,
დატყვევებულ ფიქრიდან
სიახლოვე მაშინებს.
რახანია მეც ველი,
მოდის ჩემი შემცვლელი,
სიახლოვის შეგრძნება
სუნთქვას უფრო ახშირებს.
ცოტაც, ზეცა წამიღებს,
ამამჩატებს, გამცრიცავს,
სამუდამოდ გაქრება,
ხორციელი რაც არი,
ცოტაც, მივემატები
სიმყუდროვედ ანი ცას,
ფერფლად აქცევს სურვილებს
ზეციური ხანძარი.



დაიბადა 1962 წლის 5 ოქტომბერს, თბილისში. 1985 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. ლექსების წერა სტუდენტობიდან დაიწყო. პირველი ლექსები 1985 წელს აღმანახ „ლიახვი“ ოთარ ჩხეიძემ დაუბეჭდა. შემდეგ მისი ლექსები პერიოდულად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, გაზეთ „მსგეფსში“, თბილისის მე-4 ქართულ გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, გაზეთ „24 საათში“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ში“. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული – „ლექსები“ („დიოგენე“, 2002) და „უკუქცევა“ („დიოგენე“, 2008).

კარგი ლიტერატურული სკოლა აქვს გავლილი. ნამდვილი პროფესიონალია როგორც ლიტერატორი და როგორც მწერალი. არის მის ლექსებში რაღაც თავისებური, ნიშნული, ღირსსაცნობი, რაც ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ავტორის მაღალ გემოვნებასა და პასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

ეს მართლაც აშკარაა — პასუხისმგებლობა სიტყვის, მკითხველის, საერთოდ, პოეტური აზროვნების წინაშე.

ხედავს და იცის. საგანი მისთვის მარტო ვიზუალური ხატი არ არის, ცნობიერი ობიექტიცაა, განსჯის, გაგებისა და გაზიარების ობიექტი, რომელიც იმდენად არის პოეზიის საგანი, რამდენადც შემოდის შენში, შენს ფიქრში, შენს აზროვნებაში.

ჯუანშერ ტიკარაძე — ფიქრის, განსჯისა და ნისლოვანი ხატების ოსტატი.

ჯუანშერ ტიკარაძე

ვაჟას კვარტლები, ქაშთარაძე. ღამე. ღამეაქი

მოსაწყენია ეს ქუჩები,
ლამლამობით მე რომ დავდივარ.
და დღისით რომ დავდივარ,
მაშინაც მოსაწყენია.

ოღონდ ღამლამობით მაინც უფრო.
ან ბეცი ღამპიონების გადადღაბნილი შუქიდან
გამომსხლტარი შავი ჯიპი იქედნურად ჩაგიშხილებს
და თავიდან ფეხებამდე ამოგავლებს რუსული პოპმუსიკის ლაფში,
ან ქმნით ჩაგიძუნძულებს ფერდებჩაცვენილი მანანნალა ძაღლი,
ერთს ამოგხედავს პატრონმონყურებული თვალებითდა
კუდამოძუებული ნაჩანჩაღდება მერე –
შენთვის შეუგრძნობელ სუნს დადევნებული –
თავისი ძაღლური ბედნიერების დასამკვიდრებლად,
ან სლოტკლებიდან გამოზარბაცდება
სათამაშო აპარატებისგან თვალბდაელომებული
შეზარხოშებული მამრობითი სქესის სუბიექტი
და პირველსავე ხესთან ხვანჯრიდან ამოიღებს ერთადერთ
შერჩენილ მამაკაცურ ღირსებას
და უნუგემოდ მიაშარდავს თავის უბადრუკ ცხოვრებას,
ან...

არანაირი რომანტიკა, ერთი სიტყვით.
ან, მით უმეტეს, იდუმალება.
აქ არ გაისმის
გიტარის კაემნისმომგვრელი და განმაქარვებელი ხმა გამო-
ღებული ფანჯრებიდან.
ავხორცი ზმანებებით გათანგულ კაფეშანტანებში არ ტკარ-
ცალებენ მხიარული ბანოვანები.
უცებ არ დაგარეტიანებს მივიწყებული წინათგრძნობიდან წა-
მოსული სურნელება

და ჯერაც უკონტურო ოცნებებში გარინდებულს
მილიმეტრებში არ ჩაგივლის
თითქოსდა მთვარის ათინათით ნაძერწი უცნობი ქალი
ნეკნადყოფნისჟამინდელი მოგონებების შარიშურით
და ბინდში გაკვესებული მისი ორი მუქი ნალვერდალი
არ ამოშანთავს შენს სხეულზე უხილავ დამლას.
არ გაგიყოლიებს დაღუპვისკენ მისი მაღალქუსლიანი
ფეხსაცმლების ბაკიბუკი...

ჰო,
მოსაწყენია, მოსაწყენია ამ ქუჩებში უმიზნოდ ბორიალი.
ლამლამობით უფრო.
წამოუბერავს უცებ სუსხდაკრული მჩხვლეტავი ნიავი,
აამრიალებს ასფალტზე დაცვენილ ფოთლებს

და წუთით,
სულ ერთი წუთით მაინც თუ გაჩერდები
(ან, იქნებ, ამ ერთ წუთში გაყურსული მთელი საუკუნით)
და უკაცრიელი ქუჩის მდრტვინავ მდუმარებას მიაყურადებ,
საკუთარი გულის ბაგაბუგსა
და დაცვენილი ფოთლების შრიალში იმათ დუმილსაც გაიგონებ,
ვინც ამ ფოთლებივით ჩამოწყნენ დაღამებულ დღეებს
და შენს წარმოსახვებში გაუთენებელ ღამეებს შეეერვინენ
და ისეთი ნაღველი შემოგანვება თვალებში,
ისეთი სევდა,
თითქოს გაშიშვლებულ ხეზე შერჩენილი ერთადერთი
ბებერი ფოთოლი იყო
და შენი თანამომძებების დაკრუნჩხულ გვამებს ზემოდან
დაჰყურებდე...

ოჰ,
მართლაც რა მოსაწყენია ეს ქუჩები ღამლამობით!
და დღისითაც
და დღისითაც,
და დღისითაც რა მოსაწყენია.
ოღონდ მე მაინც მიყვარს ამ მოსაწყენ ქუჩებში
უმიზნოდ ხეტიალი.

ალბათ იმიტომ,
რომ მე თვითონაც მოსაწყენი კაცი ვარ.
ამ ქუჩებზეც კი უფრო.

ნისლით დაღლაზნილი პორტრეტები

1. პეროსტრატე

ხსოვნა —
მხრჩოლავი მუგუზალი.

2. გალილეო

სალამოსპირი.
ქვეყნის დასავალს,
შემოდგომის მოქუფრულ ცაზე,
წეროების წაგრძელებული მწკრივი
ბასტიონიდან გადმოფენილი თეთრი ალმის სამკუთხედს
მოსაზავს.

3. აკუტაგავა

დღესაც არ მოხდა სასწაული...
ღამის ამ ქუჩას
თავის მოკვლის წინ გადაკრული საკეს გემო აქვს.

4. ვანგა

სიკვდილი უსიზმრო ძილია.
სიცოცხლე — სიზმარი დაძინების წინ.

5. მე

მე სიზმრის ამხსნელი ვარ.

6. სიზმრის ამხსნელი

მისი ჰო ხან ჰოა და ხანაც — არა.
ორღესული სატივეარის ბასრი ცბიერებით მიკაფავს ის
ტირესიას მტკივნეულ გზას სიზმრის დაბურდულ და
დაძინებულ ძაფებში.
მილიარდი, მილიარდი და მილიარდი მაროინეტი
კიდი მთელ პლანეტაზე გადაგორგლილ ამ მთვარეულ
აბლაბუდაში:
წასულიც, მოსულიც, მოსასვლელიც, მოუსვლელიც.

მილიონი წალი ჩვენი ერის შიშაღა

ექსპოზიცია

ჩვენ რომ გადავშენდებით
და მოვლენ დინოზავრები,
მათი პალეონტოლოგები აღმოაჩენენ ჩვენს გაქვავებულ ანა-
ბეჭდებს იმ ადგილას,
სადაც ჩვენს ეპოქაში ზღვის უკაცრიელი სანაპირო იყო
(ათასწლეულების შემდეგ იქაურობა ოკეანემ დაფარა,
ბოლოს კი პატარა მღვიმის შესასვლელად გადაიქცა)
და სადაც მე და შენ ჩამავალი მზის გრილ სხივებში ვესიყვა-
რულებოდით ერთმანეთს,
ჯერ, აი, ამნაირად

მერე კი,
როცა ბოლო წამის მოახლოება ვიგრძენით,
ერთმანეთში ახლართულები ქვიშაზე გადავგორდით
და შენ ჩემ ზემოთ მოექეცი,
აი, ასე

და თავდაუზოგავად გამაჭენე ფინიშისაკენ
და წამით ადრე,
ვიდრე სხეულის სიღრმიდან წამოსულ კონვულსიებს
პირველყოფილ დაუნანებებელ ბგერებს ამოაყოლებდი,
მკერდზე გადამემხე
და კბილებით მხარში ჩამაფრინდი...

ინფორმაცია განსჯისთვის

დინოზავრმა პალეონტოლოგებმა კი დაადგინეს,
რომ ნიადაგის საკვლევი ფენა SN025-18/03Z,
მასში აღმოჩენილი ცხოველური აქტივობის გაქვავებული
ანაბეჭდებით,
ცალსახად განეკუთვნებოდა
გვიანი გლობალური დათბობის უკანასკნელ პერიოდს,
როდესაც კლიმატური პირობები კატასტროფულად გაუა-
რესდა
და საკვების მოპოვება იმდენად გაჭირდა,
რომ იმჟამად პლანეტაზე გაბატონებული სახეობის —
ომო ჩანნიბალუსის
ცალკეულმა ეგ ზემპლარებმა
და მთელმა პრაიდებმა
ერთმანეთის ჭამა დაიწყეს
და ამით საკუთარ პოპულაციას საბოლოოდ მოუთავსეს ხელი...

მეცნიერებმა ყველაფერი იცინა

მოგვიანებით დინოზავრმა მეცნიერებმა
სამგანზომილებიან ანიმაციურ პოლოგრამაში გააცოცხლეს
მილიონი წლის წინ
ჩვენ შორის დატრიალებული დრამატული სცენა:
აი,
Homo Cannibalus-ის ორი, შესაძლოა, უკანასკნელი
წარმომადგენელი
შიმშილისგან ღონემიხდილი მილასლასებს
ამომშრალი ზღვის ადგილას გაჩენილ უკაცრიელ უდაბნოში.
უფრო ზორბა და დაკუნთული შენ ხარ.
უფრო გამოცდილი და შეფერთხილი — მე.
მე თვალს მჭრის
თაკარა მზის მჩხვლეტავი მბზინვარება
და ვიდრე ხვატისგან ალიელივებულ ჰაერში
შენს მუქ კონტურს დავინახავ
ჯერ შენი ცხელი სისხლის ოხშივარს ვგრძნობ
მერე კი
როცა ბოლოს და ბოლოს გხედავ
ჩემსავით ნესტოებდაბერილს
ვხვდები
რომ შენ შენ ხარ
უკანასკნელი შანსი
ორგანიზმში პროტეინების
ნახშირწყლებისა
და ცილების მარაგის შევსებისა
და იმავე წამს შენც აღმიქვამ მე
როგორც სასიცოცხლო ვიტამინების მათრობელა კოქტიელს
და ჯერ წრეზე ვუვლით ერთმანეთს
და ღრენა-ღრენით ერთიმეორეს კბილს ვუსინჯავთ
და ბოლოს
როცა ძარღვებში დაუტეველი ტესტოსტერონი
ხორხიდან ზარდამცემი ღრიალით ამოხეთქავს
მე გადაგაქცევ
შუადღის პაპანაქებისგან გავარვარებულ ქვიშაზე
და ხეშემ კანს ნებოვანი სისხლით შევიღებავ
მაგრამ შენ ხუთივე ბრჭყალს ნეკნებზე დამისვამ
და ფერდს ვადამიფატრავ
და საბედისწერო ტკივილისგან წამით გახევებულს
ზემოდან მომექცევი
და მწვედები ყელში
და კბილებით ჩამაფრინდები
ვიდრე ფეხს უკანასკნელად არ გავასასვავებ
და არ მივყურდები
აი მაშინ კი
შენ დაქანცული გაიმართები წელში
თავს გადაადგებ
შენსავით სისხლით სახემოსვრილი მზისკენ
თვალეებს მოჭუტავ
და იგრძნობ
საკუთარი სხეულის თითოეულ ატომს
სიკვდილის ჯიბრზე
პირველყოფილ დაუნანებებელ ბგერებს ამოაყოლებ
მაცოცხლებელ სასონარკვეთას
და ჩემს ჯერ ისევ თბილ ლეშს მიადლები:
თავიდან — ჩქარა-ჩქარა და დიდრონ-დიდრონი ლუკმებით.
მერე — სვენებ-სვენებითა და დაგემოვნებით...

ამერიკული ფინალი

ისევ შევხვდებით
დაბრუნებული ზღვის უკაცრიელ სანაპიროზე,
როდესაც დინოზავრები გადაშენდებიან.

როცა მე ოდრი ჰეფბერნი მიყვარდა (ნოველა)

იყო დრო,
ოდრი ჰეფბერნი მიყვარდა.
არა,
ოდრი ახლაც მიყვარს,
მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო.
მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი.
პატარა ბიჭი რა,
არც ისე პატარა.
აი, დღეს რომ თინეიჯერს იტყვიან,
ის.
ცამეტი,
ჰა-ჰა, თოთხმეტი წლის.
ამდენის თუ ვიქნებოდი.
ყოველ შემთხვევაში,
ლამლამობით,
საბანქვეშ შემძვრალს,
ოდრის გამო
უკვე რალაც-რალაცების წარმოდგენაც შემეძლო.
მარტო წარმოდგენა კი არა,
ცოტა უფრო მეტიც,
და მეტი არაფერი.
ჰოდა,
ჭეშმარიტი სიყვარულიც სწორედ ეს იყო,
აბა, სხვა კიდეც რა უნდა ყოფილიყო.
გეუბნებით,
ადუღებულ კუპრშიც შემეძლო ხელის ჩაყოფა,
რომ მე მაშინ ოდრი ჰეფბერნი მიყვარდა.
მიყვარდა მისი ყელი და ხელები “რომაულ არდადეგებში”
და მერე მისი ფეხებიც მიყვარდა,
“როგორ მოიპარო მილიონი” რომ შემოვიდა სსრკ-ში.
მაშინ უკვე დიდი ბიჭი ვიყავი.
მთელი თხუთმეტი წლის!
მახსოვს,
ერთიც არ ჩამიგდია,
მთელი კვირის განმავლობაში ყოველდღე დავდიოდი:
კორჟიკი და კატლეტი ავიკრძალე სკოლის ბუფეტში
და იმით.
რა,
ბევრი ხომ არ უნდოდა,
სულ რალაც ოცდაათი კაპიკი ღირდა
პირველი-მეორე რიგის ბილეთი დღის სეანსზე:
დავჯდებოდი ხოლმე ჩემთვის მარტო თითქმის ცარიელ
დარბაზში

და ვუყურებდი ოდრის.
ერთ სცენაზე კი, უბრალოდ, ვითიშებოდი.
დარბაზი ჩაბნელებოდა თუ არა,
ჩასაფრებული ნადირივით გაყურსული ველოდებოდი,
როდის დაიწყებოდა
ჩემი ყჰმილისწინა წარმოსახვებით დაძინილი ეპიზოდი:
აი,
ლამით მუზეუმის საკუჭნაოში რომ არიან შეყუჟულები
და ის ვითომ ქურდი ფანარს რომ მიანათებს ოდრის
და რომ დაყვება მერე ფეხებისკენ
და ესეც კაბას რომ ჩამოქაჩავს
და მეტი რომ ველარ წამოვა,
მაინც რომ ველარ დაუფარავს იმ უღმერთოდ ლამაზ
მუხლისთავებს...

აუჰ, —
ვოცნებობდი ჩემთვის, —
რა იქნებოდა და,
ნეტავი,
ოდრისთან ერთად მაგ საკუჭნაოში
ვინმეს სულ ერთი წუთით მაინც ჩავედე-მეთქი...

ჩავედე და ჩავედე,
ვითომ რას ვიზამდი რომ?
ვერც ვერაფერს.
მარტო ერთი წუთით კი არა,
თუნდაც მთელი სამოცდასამი საათით.
ისევე მერე,
ლამით,
საბანქვეშ შემძვრალი თუ წარმოვიდგენდი რალაც-რალაცებს.
ან, იქნებ, ოდნავ მეტსაც.

თავად ნოშრეპან ჩაილურალის მოსაზრება, აღმოჩენა, დაკვირვება, შეხედულება, დასკვნა და პარაუდი სიბერის რაობაზე

მოსაზრება

ვჭამ, მძინავს და ვბუზღუნებ.
მაშასადამე,
ვარსებობ.

აღმოჩენა

სარკეში ვიყურები,
იქიდან კიდეც
ვილაც ბებერი ვირი მიყურებს.

ეჰ,
მგონი, თვალსაც დამაკლდა.

დაკვირვება

ჰმ, ქალი!
ქალიო, ვეჟო!
რა ქალი უნდა იყოს მაგისტანა,
რომ ერთი კარგი ცხელი ჩიხირთმა არ მერჩივნოს.
ან, თუნდაც, ბოზბაში.
ზედაც ცხვრის კაი ლამაზი კანჭი.
პირამდის პურჩაყრილი, ჩაჟუჟუნებული.
იიფ!

შეხედულება

ჩემს ფიქრებსაც აღარ შეუძლიათ ცხენის გაჭენება,
ხელჯოხით დადიან.
მზეც აღარ ათბობს,
ბუხრის ცეცხლი თუ არ ნააშველე.
მთვარე კი არა,
თითქო ყინული კიდეა ცაში.

როგორც ჯალათის ნაჯახი ავაზაკის სისხლს
ან როგორც ქვრივი ბოლო საყვარელს,
ისე ეჩვევა მიწას სხეული.

დასკვნა

გინდ სიბერე დაარქვი, გინდაც — ბებრობა,
ორივე ცუდია.

ვარაუდი

გავიგონიათ ცელის ხმა ბნელში?
შიშით მსუნთქავ სიმარტოვეში.
ეს სიკვდილია.

მაკო ჯანჯიბუხაშვილი

ბავშვისთვალზე კაცი და მხატვრული ტილოს საიდუმლო

(კიდევ ერთხელ — ანტუნ და სენტ-ეგზიუპერის ირგვლივ)



ქართველ მკითხველს კიდევ ერთხელ გაგვასხენეს უსაყვარლესი ნიგნი, რომელსაც პირველ ორ თარგმანში „პატარა უფლისწული“ ერქვა (მთარგმნელები: ბაჩანა ბრეგვაძე და გიორგი ჩიმაკაძე), ხოლო ამჯერად — „პატარა პრინცი“ სახელით მოგვევლინა (მთარგმნელი გიორგი ეკიზაშვილი). „უფლისწულის“ ნაცვლად „პრინცი“ შემოტანამ, ალბათ, თქვენც მოგჭრათ ყური, მაგრამ მთარგმნელს თავისი პასუხი აქვს — იმ სიმბოლიკის უკეთ გადმოსაცემად, რასაც ფრანგულში გამოხატავს სიტყვა პრინცი, მთარგმნელმა ამ სიტყვის უცხოური შესატყვისით გადმოიტანა არჩია.

ლიტერატურულ ნაწარმოებს და, ზოგადად, ხელოვნების ნაწარმოებს, აქვს ერთი უცნაური, ზოგადი მახასიათებელი, კერძოდ, იგი მუდმივად ატარებს თავის თავში ისეთ კოდს, ისეთ შიფრებს, რომელთა აბსოლუტური ახსნა, საბოლოო ინტერპრეტაცია შეუძლებელია. ამიტომაც ასეთი დიდი ძეგლები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად იხსნება და იშიფრება და ამ „გაშიფრებს“ ბოლო არ უჩანს. ჭეშმარიტ ხელოვნებას ესეც გამოარჩევს, რომ იგი თავისში იტევს ერთგვარ საიდუმლოს, რომელიც არც ავტორისთვის არის ბოლომდე გაშიფრული და არც მკითხველისთვის, ჭეშმარიტი მხატვრული ტილო უძირო ჭაა.

მკვლევარები თუ, უბრალოდ, მკითხველები თითქოს დროდადრო ახერხებენ კიდევც ამ საიდუმლოს ამოხსნას და, მართლაც, ამ ახსნით ერთ მხარეს მაინც ეფინება ნათელი, მაგრამ დიდი მხატვრული ტილოს სიდიდე მაინც მის იდუმალებაშია და სწორედ ეს აქცევს მას მარადიულად, დროსა და სივრცეზე აღმატებულად.

არ ვიცი, რამდენჯერ მაქვს ნაკითხული „პატარა უფლისწული“, ამჯერად უკვე „პატარა პრინციც“ რომ დაემატა, მაგრამ ყოველთვის მრჩება დიდი კითხვები, რომელზე პასუხის გაცემაც ერთგვარ მკერხელობად მიმაჩნია. ამ დამოკიდებულებას თავად ეს უცნაური ნაწარმოები გვიჩენს თავისი უუცნაურესი და საყვარელი გმირით. პერსონაჟის ამგვარ სიღრმეს კი უთუოდ განაპირობებს ავტორის, როგორც პიროვნების ღრმა შინაარსი. ანტუნ დე სენტ-ეგზიუპერის ე.წ. „ქმედების ფილოსოფია“ თავისთავად არის ძალზე ღრმა და უსათუოდ ეს სიღრმეც განაპირობებს პატარა უფლისწულის ამოუხსნელობას, მისმა ავტორმაც ლიტერატურის პერსონაჟივით საინტერესო და სავეც ცხოვრებით იცხოვრა.

როგორც ბიოგრაფები გვაუწყებენ, სენტ-ეგზი ძალიან საინტერესო, უაღრესად მომხიბლავი, მრავალმხრივი ადამიანი იყო. ამაზე უპირველესად მისი პროფესია და ამ პროფესიისადმი დამოკიდებულებაც მეტყველებს. სამხედრო მფრინავის ის თვისებები, რომელთა შესახებაც თავის მხატვრულ-ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში გვიყვება, განსაკუთრებულ პერსონაჟად წარმო-

აჩენს მწერალს. ყველა ის სინათლე და სიკეთე, რაზეც მისი ნაწარმოები მოგვითხრობენ, მის მიერ რეალურად განცდილი და პრაქტიკით დადასტურებულია. ქმედების ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი კი ასეთია — არ არსებობს ქვეყანაზე უფრო დიდი სიმიდრე, ვიდრე ადამიანთა შორის ურთიერთკავშირია. ხოლო ის ურთიერთობანი, რაც იმ პროფესიის ადამიანებს აერთიანებს, რასაც სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა და თავიც შესწირა, კიდევ უფრო ღრმა და, ამავე დროს, ხელშესახებია. არაერთგან მოგვითხრობს მწერალი ამის შესახებ.

ეგზიუპერის ფოტოს რომ დახედავთ, უმაღვე შეამჩნევთ, რომ თქვენს წინაშეა ბავშვისთვალზე კაცი. ისინი, ვინც მას იცნობდნენ, ასე ახასიათებენ, რომ ის იყო უაღრესად სავსე, ცოცხალი, საინტერესო ადამიანი. მისი მფრინავობა ჯერ კიდევ მაშინ განისაზღვრა, როდესაც 12 წლისამ ველოსიპედი-აეროპლანი გამოიგონა და განაცხადა — „ამით ცაში ავფრინდები, ხალხი კი იყვირებს, გაუმარჯოს ანტუნ დე სენტ-ეგზიუპერისო“. ეს მისი წინასწარმეტყველება იყო, ისევე, როგორც რომენ გარისთვის დედის მიერ ადრეულ ასაკში გაცხადებული მომავალი, მათ შორის, სამხედრო მფრინავის კარიერა.

ეგზიუპერის ერთ „მიგნებას“ შევახსენებ მკითხველს — „სიყვარული ერთმანეთის ცქერას არ ნიშნავს, გიყვარდეს, ნიშნავს, ერთი მიმართულებით იყურებოდეთ“. ამ სწავლების კვალდაკვალ უნდა ითქვას, რომ პატარა პრინციის სახის შექმნით ადამიანებს დაავიციოვს სიყვარულის ისეთი ობიექტი, რომელიც „გვაიძულებს“, ამ პანანა ბიჭის მზერას გავეყვით, ფაქტობრივად, ამ სწავლებით თანამედროვე თუ მომავლის ადამიანს უთხრა, რომ ამაოებია მეფობის უნით ცხოვრება, ანუ ზოგადად, ქედმაღლობა და ამპარტყენება, ამაოა ბიზნესმენის შრომა, რომელიც მეტაფორულად გამოსახს, როგორც უაზრო მთვლეელი, ამაოა გამნათებლად მუშაობაც, რადგან მზე ისედაც აკეთებს ამას და ამაოა თვით სიცოცხლეც კი, თუ ერთი ვარდი არ გიყვარს და ერთ მელას არ მოიმიწაურებ. თუ ხედვების სიმწიფეს ვეღარც გრძნობ და სიცოცხლის საზრისად სერიოზულობა მიგაჩნია, რაც ფინანსურ-ეკონომიკურ ნიშნულბამდე დაიყვანება, ხოლო სამყაროს მშვენიერებას, ვარდის სილამაზეს, მის სურნელს ვეღარ ამჩნევ. ამაო და უსაგნოა ყველაფერი, თუ ამ ერთადერთ ვარდზე არ ზრუნავ და გული არ გისკდება, რომ ბეკეკამ არ შეჭამოს, და არა მხოლოდ ვარდზე, თვით ჩამქრალ ვულკანზეც კი უნდა იზრუნო, რადგან არ იცი, როდის შეიძლება გაიღვიძოს. ამ ზრუნვით კი გაღვიძებული ვულკანის საფრთხის აცილებასაც შეძლებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყოველი ნაკითხვისას ვფიქრობ, რომ ეს ნაწარმოები რაღაცას იტოვებს დიდი საიდუმლოს სახით, რომელსაც ვერაფრით ამოვხსნი. თითქოს ყველაფერი გასაგებია, ეს არის დიდებისთვის მშვენიერების არსებობის შესხენება, სიყვარულისა და მოვალეობის აუცილებლობა, სიკვდილის გარდუვალობის შესხენებაც, თვით უმშვენიერესი და პატარა პრინციც „სიკვდილის შვილია“, არც მას უწერია დიდი დღე, როგორც ვამბობთ ხოლმე, მაგრამ როგორ გავიგოთ მისი ჩამოვარდნა თუ ჩამოსვლა ასტეროიდიდან, რომელსაც პირობითად B612 უწოდებს, ისიც — უფროსების გასაგონად, რადგან მათ მხოლოდ რიცხვების ენა ესმით. დიდებს ძალიან კარგად აშარუებს მწერალი — ისინი ჭკუას კარგავენ ციფრებზე და ის კი არ აინტერესებთ, ადამიანს როგორი ხმა აქვს, პეპლებს თუ აგროვებს ანდა

თამაში თუ უყვარს, არამედ, რამდენი წლისაა, რამდენი ძმა ჰყავს და რამდენ ფულს შოულობს მამამისი. ეს ირონია იმდენად ზუსტია, ვერაფერში შეედავები, ზრდასრული ადამიანი თვითვე იხრჩობა საკუთარი პრაგმატიზმის ჭაობში, რაზეც ზოგჯერ წუხს კიდევ, მაგრამ ვერაფერს უხერხებს.

პატარა უფლისწული შეხსენება და გაფრთხილებაა თავბრულამხვევი რიტმით მცხოვრები თანამედროვე ადამიანისთვის, თუ რა უნდა ახსოვდეს და რას არ უნდა შეელოს თავისი ყმანვილობის განცდებიდან და ეს არის უპირველესად ხედვისა თუ ჭკრეტის ის დიაპაზონი, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად უვიწროვდება ადამიანს. არადა, ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, როგორც გვითხრა ეგზიუპერიმ და უნდა შევძლოთ ჩვენივე განცდილი ბავშვობის შენარჩუნება.

ასეა, ნამდვილი ხელოვნების ბოლომდე ახსნა შეუძლებელია და ეს შეუძლებლობა აქცევს მას მომავლის ქმნილებად. ნამდვილ ხელოვნებაში უთუოდ უნდა იდოს თესლი, რომელიც მარადიულად ინარჩუნებს აღმოცენების უნარს, შემდეგ კი იზლება და იფურჩქნება. არც ის ვიცით, როდის რომელი მნიშვნელობის ახსნა თუ ამოხსნა გახდება შესაძლებელი, მაგრამ იმას კვლავაც გავიმეორებ, მიუხედავად იმ ძირითადი განმარტებებისა, რაზეც უთუოდ უნდა ილაპარაკოს „პატარა პრინცი“ ინტერპრეტატორმა, ამ ტექსტში მაინც რჩება რაღაც მოუხელთებელი და ხელშეუვალი. რა თქმა უნდა, ეს ხელშეუვალობა იმითაც არის გამოიწვეული, რომ პატარა პრინცის დიდბუნებოვანსა და უმნიშვნელო ხატებაში იესოს უმნიშვნელობა იმალება, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი, დედის მუცლითგან შობილი პერსონაჟი ჩვეულებრივი, „ადამიანური“ ბიოგრაფიით. ვერ იტყვი მასზე, ვინ არის, სიღამ მოსულა, თუმცა იმაში ყველა უპირობოდ ვთანხმდებით, რომ ამ პატარა ბიჭუნაში კონცენტრირებულია ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია პატარა, საყვარელ ბიჭს მიენეროს — უპირველესად კი სისპეტაკე და სინმინდე. თუ რამეს მოგვაგონებს ეს არსება, — ნმინდა, გამჭვირვალე, ხალას კრისტალს, სინმინდის გამო თავყანისცემით რომ გვმსჭვალავს. ეს კრისტალი მანათობელი ორიენტირიც არის კაცთა მოდემისთვის. ამ ზღაპარსა თუ მოთხრობაში არაფერია შემთხვევითი, არც უდაბნოა შემთხვევითი და ჩვეულებრივი უდაბნო, რადგან სწორედ უდაბნოშია შესაძლებელი, ადამიანმა საკუთარი თავი შეიმეცნოს, ერთი მხრივ, დაუცველობის და სიცოცხლის ამაოების შეგრძნების გამო, მეორე მხრივ კი განმარტოების იმ ხარისხის გამო, რომელიც მხოლოდ უდაბნოშია შესაძლებელი. აქ უწყლობა და სიცხე მირაჟების ხილვებს აღვივებს, ამ ხილვისას კი ჩვეულებრივი წყალი, H2O-ს ფორმულით კი არ ჩნდება, არამედ სხვა წყარო, აბსოლუტურად განსხვავებული „შემადგენლობით“. ეს მინიშნების გარეშეა ნათქვამი პატარა უფლისწულში. თუ ვინმეა პატარა პრინცის მშობელი, ალბათ, უფრო უდაბნო — თავისი ხილვებით და არავითარი ასტეროიდი B612. იმასაც ვერ დავიჟინებთ, რომ საუკუნეების ანდა ათწლეულების მერე არ აღმოჩნდება გალაქტიკაში ზუსტად ამ ნიშნის ასტეროიდი თავისი პატარა უფლისწულით, ამას ვერავინ დაიჟინებს. ეს ისეთივე საიდუმლოა, როგორც, ზოგადად, ამ ნაწარმოების წარმოსახული სივრცე.

არ ვიცით არც ის, ბოლოს და ბოლოს გადაურჩა თუ არა უფლისწულის საყვარელი ერთადერთი ვარდი ბეკეას და უშველა თუ არა ნახატზე მოგვიანებით მიხატულმა ალიკაპმა ოთხი ეკლის მქონე ამაყ ვარდით და მოასწრო თუ არა ამ ჯებირის მიხატვა მფრინავმა. ჩვენ არაფერი ვიცით, ფაქტობრივად, მაგრამ მეხსიერებაში ღრმად შეჭრილმა ამ სახეებმა, იქნება ეს პრინცი, ვარდი, მელა, გველი თუ თავად მფრინავი, შეუძლებელია სამარადისო კვალი არ დატოვოს მკითხველზე, და ისიც შეუძლებელია, ამ კვალმა ხანდახან მაინც არ შეგვახსენოს მშვენიერი სამყაროს აუცილებლობის სურვილი.

პრინციში, მთავარი იდეა „პატარა პრინცისა“, ალბათ, ესეც არის. დიდების ჩახედება სარკეში, მათი „მხილება“, მათი დავინყების მდინარიდან იმ ნათელი ნერტილების ამოტივტივება, რისთვისაც ღირს სიცოცხლე. ფაქტობრივად, სენტ-ეგზიუპერი თითოეულ ჩვენგანში ებრძვის იმ საშიშროების დამკვიდრებას, რითაც ფილისტერული ყოფა გვემუქრება, იმ სქელკანიანობის წინააღმდეგ სურს ჩვენი ამხედრება, რისგანაც თავს თითქმის ვერ ვიცავთ დიდები, არადა, მთელი მარლი სიცოცხლისა სწორედ ვარსკვლავების, ყვავილების, ადამიანების სიყვარულშია და არა ქონებაში, რომელსაც ვაგროვებთ, და არა იმ სიმშვიდეში, რომელშიც ისეთი ჟინით ვიძირებით, ვერც ვხვდებით, რომ ამით ვახრჩობთ საკუთარ სიფაქიხეს და მთავარ მოწოდებას.

როგორც თითქმის ყველა დიდი ნიგნი, „პატარა პრინციც“ სევდის ნიგნი, უკიდევანო და მოუშუშებელი სევდისა, რადგან ამ პრინცს ყველა დროსა და ყველა სივრცეში ვკარგავთ, არ არსებობს მისი „გადარჩენის“ შანსი, იგი აუცილებლად, ყოველ მიზეზგარეშე დაგვტოვებს ერთ დღეს და სადღაც, ვარსკვლავების სიმრავლეში განზავდება. იმედს კი გვიტოვებს, რომ ვარსკვლავების შეხედვისას გავისხენებთ მას, მაგრამ არც ეს იმედი აშუშებს ტკივილს.

პატარა პრინცს ზრდასთან ერთად, ასაკის მატებასთან ერთად ვკარგავთ ადამიანები და მხოლოდ უდაბნოში მარტოდდარჩენილთ, საკუთარ თავში ხალასი სიკეთის აღმოჩენისას გვიცოცხლდება, როგორც მოგონება ჩვენზე.



გორში ერთი კარგი ტრადიცია არსებობს. 1996 წლიდან ყოველ 11 იანვარს ქალაქის საზოგადოება აღნიშნავს 1832 წლის შეთქმულების მთავარსარდლისა და შემდგომ უკვე მენარმის ელიზბარ ერისთავის ხსენების დღეს. სწორედ ამ დღეს სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და მოქალაქეები იკრიბებიან გორის სასწავლო უნივერსიტეტის წინ მდებარე ელიზბარ ერისთავის ძეგლთან, რომელიც დაიდგა ბიზნესმენისა და ქველმოქმედის ზაზა ოქუაშვილის წყალობით (ავტორი: გენო ზაქარაია) და იხსენებენ ამ სასახელო მამულიშვილს. წლებია ძეგლი ახსენებს გორის საზოგადოებას, თუ რამდენ განსაცდელს გაუძლო ელიზბარ ერისთავის პიროვნებამ და თვითონ ძეგლმა, რომელსაც დღესაც ამჩნევია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ნატყვიარები.

ტრადიცია არც წელს დარღვეულა. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები კვლავ შეიკრიბნენ ძეგლთან, სადაც მათ ამავე უნივერსიტეტის პროფესორი მარინე ცერცვაძე ერთხელ კიდევ ესაუბრა ელიზბარ ერისთავის ღვაწლსა და ზოგადად მის არაორდინარულ პიროვნებაზე, როგორც რომანტიკული ეპოქის სიმბოლოზე.

ამ ტრადიციის დამკვიდრების ინიციატორები არიან როსტომ ჩხეიძე და ზაზა ოქუაშვილი. აღსანიშნავია, რომ მათივე თაოსნობით ყოველ წელს გორის ეკლესიაში ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდაც იხდიან.

სანა ცაციაშვილი

მაგისტრანტი
ოთარ ჩხეიძის სტიპენდიანტი

გვანცა ჯობავა

ქართველი ემიგრანტები

და

ჩვეულებრივი ანუ არაჩვეულებრივი
ადამიანების ისტორია

ბაქანზე მივაბიჯებ... ეს პარიზია, ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული ქალაქი ევროპაში, რომლის დასათვალიერებლად და უფრო შესაგრძობად მხოლოდ რვა საათი მაქვს. სალამოს ისევ ამ ბაქანზე უნდა დავბრუნდე და ფრანკფურტისკენ ავიღო გეზი. სკოლაში შატალოებზე რომ დავდიოდით ხოლმე, ზუსტად ისე ვარ გერმანიიდან ერთი დღით გამოპარული.

ამ ქალაქზე არასდროს მიოცნებია. პარიზში ჩასვლა და აუცილებლად ეიფელის წინ ფოტოს გადაღება ყოველთვის სწობების ახირება მეგონა. 2012 წლის 17 ოქტომბრიდან კი შეიძლება მეც ე.წ. სწობების რიცხვს შევუერთდი, მაგრამ ეს ქალაქი შემეყვარდა. ქალაქი, სადაც ქუჩაში ადამიანები გილიმიან და ქართველებივით არღვევენ მოძრაობის წესებს. "სიყვარულის ქალაქი", "სინათლის ქალაქი", სწორედ "იმ" ეიფელის, ლუვრის, ორსეს მუზეუმის, ტრიუმფალური თაღის, მდინარე სენას, მულენ რუჟის, ნოტრ-დამის, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის, ინვალიდთა სახლის, ვერსალის, პერ-ლაშეზის სასაფლაოს, შანზ-ელიზეს, ევროპის ერთ-ერთი უძველესი მეტროს, მხატვრების ქუჩის, პატარა-პატარა კაფეებისა და ძველი ბუკინისტების ქალაქი, რომელიც თავისი თავაღუნდენელი სივრცითა და წარმოუდგენელი არქიტექტურით უმოკლეს დროში გატყვევებს.

თამუნას გზავნილი მივიღე, 20 წუთში მოვალ შენთანო. თამუნა ჩემი ახლობელია, ქართველი ემიგრანტი, სამ წელიწადზე მეტია ევროპაში ცხოვრობს, ამჟამად ბრიუსელში. რამდენიმე თვე პარიზშიც იცხოვრა, ამიტომ ქალაქი ზეპირად იცის და ფრანგულსაც მშვენივრად ფლობს. თამუნა დამეხმარება, რომ ერთ დღეში მაქსიმალურად მოვასწრო ქალაქის შემოვლენა. მის მოსვლამდე კი, ჩანს, თავისუფალი 20 წუთი მაქვს. რკინიგზის სადგურის დათვალიერებას შევუდექი, ისტორიული შენობა და ლამაზი. აქვეა ტანსაცმლის მაღაზიებიც. ეს ჩემი სისუსტეა, გულგრილად ვერ ჩავუვლი. შესასვლელშივე მეგებებიან კონსულტანტები, "ონჯოურ ადამე". მე თბილად ვუღიმი და თავს ვუკრავ, მეუხერხულეობა ფრანგული სიტყვების გამოთქმა. შემდეგ უფრო რთულდება მდგომარეობა, გაბმული ფრანგულით რაღაცას მეკითხებიან და ღიმილით ელიან ჩემს პასუხს. ხომ არ დაგეხმაროთო, ალბათ მკითხეს, სხვა რა უნდა იყოს, მაგრამ ინგლისურად საუბარს არც ვცდილობ, ვიცი, საფრანგეთში ინგლისური არ იციან, არც ინდომებენ. ალბათ გარკვეული პროტესტი აქვთ ამ ენის მიმართ (ეს ჩვენ, ქართველებს "არ გვაქვს უფლება" ჩვენი ენის დაცვას ვცდილობდით, ჩვენივე ქვეყნის "მოაზროვნე" ნაწილი მაშინვე მიწასთან გაგვასწორებს ხოლმე ამის გამო, თორემ საფრანგეთი დიდი ქვეყანაა და რასაც უნდა იმას გამოუცხადებს პროტესტს). ამიტომ თავაზიან კონსულტანტს ხელით ვანიშნებ, შენი არაფერი მესმის-მეთქი, და მალევე თავს მანებებს.

თამუნა ისევ არ ჩანს, მეც მაღაზიებს შევეჭვი და სადგურის დათვალიერება გავაგრძელე. კიბით ქვედა სართულზე ჩავედი. ბოლო საფეხურს ფეხი მოვაცილე თუ არა, ციდან

ჩამოვარდნილივით ჩემ წინ ქართველი ბიჭი გაჩნდა, ხელში მობილური ეჭირა და ვილაცას აღელვებული ესაუბრებოდა. რამდენჯერ გამაფრთხილეს, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან გამომცნაურება არ შეიძლება, რომ ძირითადად ქურდობისთვის არიან ჩასული და კაცმა არ იცის რა ხიფათს გადაგყრიან. ასეთია ზოგადი წარმოდგენა ქართველ ემიგრანტებზე და არცთუ უსაფუძვლო. მე კი ალბათ ნამდვილი სულელივით მოვიქეცი, გავუღიმიე და ქართული გამარჯობაც მივაყოლე. ამის მერეა გავაცნობიერე მისი ბოლო სიტყვები, რასაც ტელეფონში ჩასძახოდა ვილაცას: — არ ვიცი რა მეშველება, ქუჩაში ვარ დარჩენილი...

აბა, ასეთ თანამოქალაქეს რომელი ჭკუათმყოფელი გაუღი-მებდა და თავის ქართველობასაც გაანდობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სწორედ ჩემნაირი "ჭკუათმყოფელი". ზოგჯერ ხომ ხდება ხოლმე, რაღაც წესებს რომ დაგიდგენენ, კი ეთანხმები ამ წესებს, მის არსსაც აცნობიერებ, მაგრამ მის შესრულებაზე რომ მიდგება საქმე, ქვეცნობიერი გკარნახობს, მიდი, დაარღვიო. შენც არღვევ, იმიტომ რომ საწინააღმდეგო მიმართულებით სიარული სულ სხვა ცხოვრებას გპირდება, არა დაუთოებულსა და სწორხაზოვანს, არამედ სხვას, სხვანაირს. დაბრკოლებები თუ არ შეგხვდა, მათგან თავის დაღწევა ვერასდროს იხსნავლი.

ზაზაც (სახელი, ცხადია, მოგვიანებით გავიგე) დაიბნა, გზა გააგრძელა, მერე უკან დაბრუნდა, ყურმილში ისევ ჩასძახა ვილაცას, ვაიმე, ქართველიო. მერე მე დამიძახა, მოიცადე, არ წახვიდეო, მოსაუბრეს ჩქარა დამეშვიდობა და გაბრწყინებული სახით გადამეხვია. მანამდეც და მას მერეც საზღვარგარეთ ქართველები ხშირად შემხვედრია, ხან სტუდენტები, ხან ჩემსავით ტურისტები, ხანაც იქ გადასახლებულები, მაგრამ ჩემთან, ანუ უბრალოდ ვილაც ქართველთან შეხვედრა ზაზასავით ალარავის გახარებია.

ელეგანტურად ჩაცმა დიდად არ მახასიათებს, ამ საქმეში მითუმეტეს ვერ ვემორჩილები წესებს, მაგრამ, როგორც ჩანს, პარიზის მომენტმა მაინც იმოქმედა და განსაკუთრებულად მოვემზადე. ფართოფარდებიანი ქუდი მეხურა, შავი კლასიკური კაბა, პლაში და ფრანკფურტში ნაყიდი ახალი ჩექმა მეცვა. ზაზამ ამხედ-დამხედა და მომახალა, გეტყობა კარგად უნდა ცხოვრობდეო. ამ სიტყვებმა ბოლო მომიღო, მივხვდი, რომ შეიძლება დიდ შარში გამეყო თავი და: ნამდვილი ჩერჩეტი ხარ მეთქი, — გულში შევამკე საკუთარი თავი.

— ნორმალურად, მაგრამ არც ისე კარგად, შენ რომ წარმოიდგინე, — ძლივს მოვაბი თავი ორ სიტყვას.

სიტუაცია მალე განიმუხტა. გამიღიმა და თავისი ამბის მოყოლა დაიწყო. ჩქარა საუბრობდა, თითქოს უნდოდა ბევრის თქმა მოესწრო.

— ლტოლვილად მინდა ჩავენერო და ამ ამბებში ვარ ახლა, ძალიან გაჭედილი ვარ, ფაქტობრივად ქუჩაში დავრჩი. მაგრამ არ მეშინია, მოგვარდება ყველაფერი. აი, ამის გარეშე ფეხს არ ვდგამ არსად, — დაამატა და გულის ჯიბიდან ღვთისმშობლის პატარა ხატი ამოიღო, ემთხვია და გამომინოდა. გამეღიმა. პლაშის ჯიბეში ხელი ჩავაცურე და ორად მოკეცილი ხის ხატი ამოვიღე, გავშალე, ერთ მხარეს მაცხოვარი, მეორე მხარეს კი ღვთისმშობელია გამოსახული და, გავუნოდე, — მეც არსად დავდივარ ამის გარეშე. სიხარულისგან ბავშვივით შეხტა, ხელმეორედ გადამეხვია, როგორ გამახარო. ტელეფონი ამოიღო და ფოტოგაღებულს გამიხსენა. ისევ ჩქარა-ჩქარა მიყვებოდა თავის ამბებს. მონასტერში გადაღებული ფოტოები დამათვალიერებინა.

— ძალიან დიდხანს ვცხოვრობდი ბერებთან, ყველა დარწმუნებული იყო, რომ დავრჩებოდი და შევიმოსებოდი, მაგრამ ერთ დღესაც მივატოვე ყველაფერი და საფრანგეთში წამოვედი. ჩემი ცხოვრებაც სხვა გზით წავიდა, უკუღმართი გზით... — სწრაფად გადადიოდა ფოტოდან ფოტოზე და თან მოუყ-

ლედი ფრჩხილების გამო ბოდიშს მიხდიდა, არ მაქვს პირობები რომ მოვწესრიგდეო. თავის ფეისბუქი ჩამანერინა, არ დაიკარგო, მომძებნე აუცილებლადო. ცხადია, მოვძებნე და მოვიკითხე. მხოლოდ ერთხელ შემომეხმინა, მას შემდეგ საუკუნეა აღარ გამოჩენილა. როცა ჩემი მოძღვარი ბარძიშზე საზღვარგარეთ წასულ ქართველებს მოიხსენიებს ხოლმე, სხვებთან ერთად ზაზაც ხშირად მახსენდება და ვდარდობ მასზე, როგორ არის, როგორ ცხოვრობს...

ან ნეტავ სხვა ქართველები როგორ ცხოვრობენ თურქეთში, საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, ამერიკაში და სად აღარ, მომვლელებად, მოსამსახურეებად რომ უდგებიან უცხოელებს, თუნდაც ჩემი უბნისა და სხვა უბნების უსაქმური კაცების ცოლები როგორ არიან, ქმრებმა რომ სიხარულით გაისტუმრეს საზღვარგარეთ და თვითონ კი ოცდაოთხი საათი ბირჟაზე დგანან და ცოლების გამოგზავნილი ფულით სვამენ, იჩხირავენ, მეძავებში დადიან. ან ის პატარა ქართველი ბიჭები — არაღვალურად საზღვრიდან საზღვარზე რომ გადადიან, მერე რომელიმე ქვეყნის სუპერმარკეტიდან პროდუქტები რომ მოიპარონ ხოლმე და ამ საქმეში დაოსტატდნენ, ან ის ქართველი ქალები — სხვადასხვა უკულმართმა გზამ პროსტიტუციამდე რომ მიიყვანა და ამით განსაკუთრებით თურქეთში გაითქვეს სახელი, ან ის უცხოეთში სხვადასხვა, თუნდაც საქმიანი, მიზეზით მცხოვრები ქართველები როგორ არიან, ხელისუფლებისგან, ჩინოვნიკებისგან გაძარცვული, მრავალუბედურება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებამოვლილი საქართველო ხელეში რომ შეგვატოვებს, წლების წინათ უკანმოუხედავად წავიდნენ და ახლა იქიდან ჩვენი მოუწყობელი და “უკულტურო” ქვეყნის გამო თითს გვიქნევენ და საყვედურებსაც არ იშურებენ ჩვენი მისამართით.

ამ ცოტა ხნის წინათ სოსო მემველიანი მიყვებოდა ესპანეთის ეკონომიკური კრიზისის შესახებ. სოსო ქართველი პოეტია, წლებია ესპანეთში ემიგრანტად ცხოვრობდა და იქ შრომობს. ამ ერთმა კრიზისმა ხალხი საოცრად შეცვალა, აღარ ილიმიან, გუნება გაუფუჭდათო. გამელიმა, აბა მაშინ ჩვენ აქამდე ყველას თავი უნდა გვქონდეს მოკლული, მთელი ცხოვრება კრიზისებსა და ომებში გვაქვს გატარებული-მეთქი. ესპანელებს მეც მაგას ვეუბნები ხოლმეო.

— თანაც კრიზისის შემდეგ სამუშაო ადგილები შემცირდა ესპანეთში და უცხოელების სამსახურიდან გაშვება დაიწყო, ასე ამბობენ, აბა, რა ვქნათ, ამდენი ესპანელი უმუშევრად და დარჩენილი და თქვენ ხომ არ გამუშავებთო, — მიყვებოდა სოსო.

ჰოდა, სადაა ამ დროს ის ევროპული დემოკრატია, ჩვენ რომ ასე ზედმიწევნით გვთხოვენ მისი წესების შესრულებას. ცხადია, ანკობილ ქვეყანაში მაგ წესების დაცვას არაფერი უნდა. ვაჟაკობა დაუნყოფელ და არაერთ კრიზისში მყოფ თუ ამ კრიზისებამოვლილ ქვეყანაშია დემოკრატიული პრინციპების ზედმიწევნით გატარება.

ანდა საქართველოში მცხოვრებ იმ ქართველებზე რა ვთქვათ, საქართველოს მიტოვება ბრმად, გაუაზრებლად, ყოველგვარი გეგმების გარეშე რომ აუკვირებიათ და ჰგონიათ უცხოეთში ვინმე ტყუილუბრალოდ აავსებს ევროებით. თორემ საზღვარგარეთ მცხოვრებ იმ ქართველ სტუდენტებზე კარგის მეტი რა გვეთქმის, თავისი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ევროპის ნამყვან უნივერსიტეტებში რომ ჩაუბარებიათ და მშობლებისგან, ახლობლებისგან დამოუკიდებლად ცხოვრებას სწავლობენ, ღამეებს მუშაობაში ათენებენ, რომ სტიპენდიის გარდა დამატებითი შემოსავალი ჰქონდეთ და დღე კი თავგამოდებით სწავლობენ, ურთულეს გამოცდებს აბარებენ უნივერსიტეტებშიც და ცხოვრებაშიც.



გვანცა ჯობავა მდინარე სენას ხიდზე (პარიზი)

ანდა ასე მოდამი რომაა დღეს ჩვენი ლიბერალობა, მართლმადიდებლური რელიგია სად მოისროლონ და რომელ კუთხეში მიჩურთონ რომ აღარ იცან. ნუთუ ესაა რელიგიური შემწყნარებლობა? მახსოვს, რომში ჩასვლიდან მეორე დღეს ეს სტატუსი გამოვაქვეყნე ფეისბუქზე:

„შუაგულ რომში, ყველაზე ცენტრში, ჩემი სასტუმროს ნომერში სანოლის თავზე ღვთისმშობლის ხატი კიდია, ფოტოა მათი ერთ-ერთი ფრესკიდან, და საკმაოდ დიდი ზომისაც. ვერანდაზე კი ღვთისმშობლის კათოლიკური ქანდაკებები დგას. ჰოდა, ახლა უცებ წარმოვიდგინე, ეს რომ საქართველოში რომელიმე სასტუმროში გაეკეთებინათ, რა ამბავი ატყდებოდა, მაგალითად, ასეთი ტექსტით — იქნებ სასტუმროში ირანელი ისვენებს და როგორ უყუროს ამ ხატს — და ასე შემდეგ. რომში კი ალბათ ამას აღიქვამენ როგორც მათი კულტურის ნაწილს, რომლითაც ამყობენ და მორჩა. მეც პირადად მსიამოვნებს ამ ხატისა და ქანდაკებების ყურება, რა ვიცი.“

ანდა საეკლესიო გადასახადის შესახებ რას იტყვიან? 2013 წელს გერმანიაში სტუმრობისას იქ მცხოვრებმა ქართველმა სტუდენტებმა მითხრეს, რომ გერმანელი კათოლიკეები, რომლებიც კათოლიკურ ეკლესიას ემორჩილებიან, იხდიან ეკლესიის გადასახადს, საკუთარი ხელფასის დაახლოებით 15-20%-ს. წარმოვიდგინეთ საქართველოში საეკლესიო გადასახადი რომ დაკანონდეს, ამას რა მოჰყვება.

მე ყველაფერ გამუქებულსა და გადამეტებულზე ვსაუბრობ, ვსაუბრობ იმაზე, რომ არა მგონია, ჩვენ ერთადერთი “არადემოკრატიული” ქვეყანა ვიყოთ, სადაც ყველაფერი თავდაყირა დგას, და რომ სხვაგან ეს “ყველაფერი” ხუთიანზეა მოგვარებული. მხოლოდ ამაზე საუბარი, თორემ ჩვენს ქვეყანაში რომ საგულისხმო პრობლემებია, ჩვენს ეკლესიაშიც და ჩვენს ხალხშიც, ცხადია, ამაზე არავინ დავობს.

რაც უფრო მეტს მოგზაურობ, მით მეტად რწმუნდები, რომ არასწორი წარმოდგენა გვაქვს ერებზე, ქვეყნებზე, ეს მხოლოდ ერთეული ადამიანების, სახელმწიფოს მმართველების პოლიტიკის შედეგია ხოლმე. რწმუნდები, რომ ყველა რელიგია მშვიდობიანად უნდა თანაცხოვრობდეს, და რომ პროტესტი შეიძლება გქონდეს არა რელიგიის, არამედ მათ მიმართ, ვინც წინასწარგამიზნულ, აგრესიულ რელიგიურ პოლიტიკას ატარებს საკუთარი დასახული ამოცანების განსახორციელებლად. რწმუნდები, რომ სამყარო ქალაქებისგან, ქვეყნებისგან, მსოფლიო პოლიტიკური გაერთიანებებისგან, რელიგიური მიმდინარეობებისა და სხვადასხვა წარმომავლობის ხალხებისგან კი არა, უბრალოდ ადამიანებისგან შედგება, ჩვეულებრივი და ამასთან არაჩვეულებრივი ადამიანებისგან, რომლებთანაც თუნდაც ერთ კვირიანმა ან სულაც ერთი საათის ურთიერთობამ შეიძლება წარუშლელი კვალი დატოვოს ჩვენს ცხოვრებაში.

გია ფოცხვერია

ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა

(არაკანონიკური რეჟისორის ცდა)

მინდა რამდენიმე მოსაზრება გაგიზიაროთ გიორგი შენგელაიას ფილმზე „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“. იგი 1984 წელს გადაიღეს, როდესაც ჯერ კიდევ არ ტრიალებდა „გარდაქმნისა“ და „თანხმობის“ სურნელი. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ამ ყაიდის ფილმები იმ დროს ხშირად იქმნებოდა (მართალია, განსაკუთრებული რეკლამის გარეშე) და სხვა კინემატოგრაფისტები თანამოძმეთ შურით, თეთრი შურით უცქერდნენ...

რატომ ხდებოდა საქართველოში ყოველივე ეს და არა სხვა ადგილას? — ეს განსაკუთრებული განსჯის თემაა, თუმცა ჩემი მოსაზრებანი, ვფიქრობ, ნაწილობრივ ამ შეკითხვასაც უპასუხებს.

ფილმი პირველად 1985 წელს ვნახე და სიხარულით მივიღე, მაგრამ ეს სასონარკვეთის სიხარული იყო: უიმედობა ადამიანისა, რომელმაც თვითონ ამ სიმართლის თუნდაც ნაწილის გამოთქმაც ვერ შეძლო. ვერ შეძლო გამოეთქვა და მხოლოდ იმ დღეზე ოცნებობდა, როცა თვითონაც მოახერხებდა დამდგარიყო რეჟისორის პულტთან და, შესაძლებლობათა ფარგლებში, საკუთარ სატკივართა შესახებ მოეთხრო... მხოლოდ პოლიტიკას არ ვგულისხმობ. განა ყოველი გულწრფელი გამოვლინება ინდივიდუალიზმისა პოლიტიკური რეჟიმისადმი დაპირისპირებად არ ფასდებოდა?.. ან იქნებ ასეც არის?

1989 წელს, როცა „ქართულ ფილმში“ ვმუშაობდი, დოკუმენტური ფილმის „შენგელაიას ოჯახი“ რეჟისორის ასისტენტობამ მომიწია და „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობას“ მეორედ ვუყურე. არა, არ შეცვლილა ჩემი დამოკიდებულება რეჟისორის ტალანტისადმი. არ შეცვლილა ჩემი ალქმა ფილმის ქვეტექსტისა: რაზე, ვისზე, რისთვის — უკვე აღარ გვეჩვენებოდა რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად, შენგელაიას ფილმი კვლავინდებურად აღმძრავდა ჩემი ერის ისტორიაზე დასაფიქრებლად. აღმძრავდა იმ მოვლენათა ფესვების საძიებლად, ახლა რომ ხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩემი მოსაზრებანი ვერ მოთავსდება ტრადიციული ნაწარმოების განხილვის ჩარჩოში. ნაშრომში ხშირად იქნება გადახვევანი: ვისაუბრებთ საგნებზე, რომელთაც თითქოს ფილმთან კავშირი არ გააჩნიათ. მე არა ვარ კინოკრიტიკოსი და ყოველი ფილმი აღძრულ ასოციაციათა სიმრავლით მიზიდავს.

ოთარ ჩხეიძის ნიგნი არ წამიკითხავს. წაკითხვას ვაპირებდი, მაგრამ ფილმის ნახვის შემდეგ ამ სურვილის განხორციელებაში ხელს რომელიღაც მინაგანი ძალა მიშლის. ამაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ მინდა თავიდანვე გაგიზიაროთ მოსაზრება ფილმში მოქმედების განვითარების თარიღზე. არსებობენ ნაწარმოებები, რომლებშიც საერთოდ არაა მითითებული ისტორიული თარიღები, ხოლო ისეთებში, სადაც მითითებულია, ხანდახან დროის ორი სიბრტყე არსებობს, ერთი — კონკრეტული, მეორე — ზოგადსაკაცობრიო. მინდა პირველზე ვისაუბრო. ფორმალურად ეს თითქოს 1906 წელია, მაგრამ მაშინვე ვამჩნევთ შეუსაბამობათა რიგს. ისტორიიდან ვიცი, რომ 1906 წელს საქართველოში რევოლუცია ზენიტშია, ფილმში კი რეაქცია უკვე გამარჯვებულია.

1906 წელს ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ცოცხალია (1907 წელს მოკლეს). საბჭოთა ხელისუფლებისაგან განსაკუთრებულ დამსახურებათათვის პენსიამიღებულ ბერბიჭაშვილს (დახვრეტილია 1942 წელს) ჯერ კიდევ არ უთქვამს ერის რჩეულისათვის (რის შედეგადაც იგი ილია მართალი გახდა) — „იმიტომაც გკლავ, რომ ილია ხარ!!!“.

ერი, სხვადასხვა პარტიის ყველა რიგითი წევრი, გაერთიანებული (და დიდხანსაც იქნებიან გაერთიანებულნი) ამ პიროვნების ბაირალის ქვეშ, არ დაუშვებს საშინელ სისხლისღვრას მაშინდელ საქართველოში. უნდა ითქვას, რომ მომავალშიც, თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციათა დროს, საქართველოში არ ყოფილა ისეთი კლასობრივი დაპირისპირებანი, როგორც რუსეთში. ბოლშევიკებმაც კი საქართველოში და მათმა ცეკამ თითქმის მთელი შემადგენლობით, არაფერი იცოდა მეთერთმეტე არმიის შემოჭრის სამზადისზე, ისინი წინააღმდეგნი იყვნენ დამოუკიდებლობის დაკარგვისა. შემდგომ ნაწილობრივ დათმეს, ნებაყოფლობით შეთანხმდნენ რა ცენტრისათვის პოლიტიკურ და სამხედრო უფლებათა ნაწილობრივ გადაცემაზე, მაგრამ არა სრულ დამოუკიდებლობაზე.

ღიახ, ისინი გამოცდილებით იდეური ბოლშევიკები იყვნენ და არც ლოზუნგი „მსოფლიო რევოლუცია“ ყოფილა მათთვის უცხო, მაგრამ არ შეეძლოთ თავიანთი ერის წინააღმდეგ გალაშქრება. ბოლოსდაბოლოს მათ ლენინისაგან მოიპოვეს მხარდაჭერა, რომელიც, სხვათაშორის, დიდხანს ფრთხილობდა, ეწინააღმდეგებოდა საქართველოში ჯარის შემოჭრას და 1920 წლის შეთანხმების დარღვევას. ქართველი ბოლშევიკები აპროტესტებდნენ იმ ფაქტსაც, რომ უკანონოდ დაუქვემდებარეს მათ მინაზე გამოგზავნილ სტალინის ნაცვალ ორჯონიკიძეს. სერგო ხომ არ თავილობდა დაპატიმრებულთა დაკითხვას, მათ ცემას და სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დასახვრეტად გაგზავნას.

საქართველოში ახალი რეჟიმის ბევრი მოწინააღმდეგე გამიჯნა თავის პოლიტიკურ შეხედულებას. მეორე წლიდანვე დაიჭირეს საპასუხისმგებლო პოსტები, რადგანაც ირწმუნეს ქართული ცეკას ბოლშევიკთა მისწრაფებანი. შენარჩუნება სახელმწიფო დამოუკიდებლობისა 1921 წლისთვისაც, როცა შეეძლოთ ორგანიზება შეურთგებელი პარტიზანული წინააღმდეგობისა, ეს არ მოუმოქმედებიათ. მაგრამ, როცა ცეკა დამარცხდა, როცა დაიწყეს დახვრეტები ინტელიგენციის წარმომადგენელთა, თავად-აზნაურობისა, დააქუცმაცეს არალეგიტიმურ ავტონომიებად და დაიწყო მინები — 1924 წლის აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სისხლში ჩაახშეს.

და როდესაც საქართველო საბოლოოდ გადაიქცა სტალინის მომავალ სისხლიან ზრახვათა სარბიელად, ის, რაც საქართველოში ჩაიდინეს, ჯალათმა წარმატებით გამოიყენა ყველგან. არ იროდის გაიმარჯვა რეაქციამ საბოლოოდ და აი რომელი დრო ასახა შენგელაიამ ფაქტობრივად. არა 1906 წელს, არამედ 1924 წელსა და შემდგომ იწყეს ასე „ნაკლულ“ პატიმართა რიცხვის შევსება, იჭერდნენ საოცრად მშვიდობისმოყვარე ადამიანსაც კი, და აგზავნიდნენ დასახვრეტად.

ზემოთქმულიდან შეიძლება გავიგოთ, რომ ფილმში მოქმედება ხდება არა 1906 წელს (როგორც ოფიციალურად გვამცნობენ), არამედ, სავარაუდოდ, 20-იანი წლების შუალედში. როგორც უკვე ვთქვი, არ წამიკითხავს ლიტერატურული წყარო, არ ვიცი იქ როგორაა მოვლენები გამოხატული. სავარაუდოდ, გიორგი შენგელაიას არ შეუწყვლია რომანის სული. არც ის ვიცი, მინიშნებულია თუ არა 1905-6 წლები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რეჟისორს ეს ხერხი ნიგნიდან აუღია, ან თვითონ დაუმატებია ცენტურისათვის თვალის ასახვევად (ეს განსაკუთრებით იგრძნობა დუბლირებულ, რუსულ ვარიანტში ფილმისა. მაგალითად: სიტყვა „იმპერია“ უცებ იქცევა „სამეფო იმპერიად“).

მათემატიკაში ჯერ ჰიპოთეზა წამოიჭრება ხოლმე, მერე იწყებენ მის დამტკიცებას. თუ ეს ხერხდება, ჰიპოთეზა თეო-

რემად იქცევა. ვიმედოვნებ, შემდგომ ჩამოყალიბებული ნააზრევი ფილმში მოქმედების განვითარების დროის შესახებ, უფრო დამაჯერებელი გახდება ჩემს განსჯაში.

და აი, დავუბრუნდეთ ფილმს. ვინ არის ეს მოხუცი, რომელიც ახალგაზრდა კომპოზიტორს აცილებს საშიშ მოგზაურობაში, აძლევს მას სარეკომენდაციო წერილს? რა თამაშს ეწევა? რატომ არაფერს ეუბნება მოგზაურობისას მოსალოდნელ საფრთხეთა შესახებ? რატომ, რომ მოსალოდნელ საფრთხეთა ცოდნის მიუხედავად, უფლებას აძლევს თან იქონიოს საშიში სამხილი — რუკა?

რეჟისორებმა შესანიშნავად განახორციელეს გაცილების სცენა. როგორი დატვირთულია ეს მოკლე ეპიზოდი! მხოლოდ ფილმის შუაგულში ვხვდებით პროფესორის ჩანაფიქრს (და არის კი ის მხოლოდ პროფესორი, კაბინეტის სწავლული? არა, რა თქმა უნდა!). მისი გათვლა გენიალურობამდე უბრალოა: მოვლენათა შუაგულში გაგზავნოს სწორედ ახალგაზრდა, ხელისუფალთათვის არასაეჭვო, გაუთვითცნობიერებელი მეცნიერი.

მოგზაურობის დაწყებისთანავე შემთხვევითი არაა, რომ ძმების — ხეთერელთა ოჯახში, შალვა ხეთერელი უხეში ტონით გამოიკითხავს ცნობებს პროფესორის შესახებ. მას დაფარული ნიშნის მიღება სურს და პოულობს კიდევ თითქოს შემთხვევით ნამოსროლილ სიტყვებში. ახლა ესმის, რომ თანამოაზრეთ არ დავეინყებიათ, არ გაურიცხავთ თავიანთი რიგებიდან. ეს ენერგიული, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების ვერშემძლე კაცი არ უნდა იყოს უმოქმედოდ, ის ცენტრში უფროა საჭირო, შტაბში. ესაა მისი დანიშნულება და ახსოვთ — აი, აზრი პროფესორის სიტყვებისა შალვას შესახებ, რომელიც ნიკუმასთან საუბრისას ნამოსროლილ, გარეგნულად აბსურდულ ფრაზებშია დაშიფრული.

მის განზრახვას მშვენივრად ხვდება მეორე ძმაც, ელიზბარ ხეთერელი. მოხუცი იცნობს არსებულ ვითარებას და წინდანიც გათვლის. თუკი ბრძოლას აქვს რაიმე პერსპექტივა, ელიზბარი კომპოზიტორის სოფლებში გაგზავნით ისე იზამს, რომ ჩასულს ღვთისაგან წარმოგზავნილად მიიღებენ. ნიშნად. თუ არადა, რა გაენწყობა, ახალგაზრდა კომპოზიტორი, ნიკუშა, მხოლოდ იმედის მაცნე იქნება — ხალხურ სიმღერათა შემგროვებელი, აღმძვრელი სურვილისა, რომ არ დაკარგონ სიმღერებში განფენილი სულიერება (იმედი დიდი საქმეა... სიმღერები მრავალგვარია, მაგრამ ყველა ქართულ სიმღერაში თავისუფლების ხმა, მისკენ სწრაფვა ისმის...).

საგულისხმობა პროფესორის სიტყვები, როდესაც ნიკუმას რუკას დაათვალიერებს:

— რა გაენწყობა, მშვენიერია, აქ მონიშნულია თითქმის ყველა სოფელი, სადაც ოდესღაც შესანიშნავი ხალხური სიმღერები მაქვს მოსმენილი. ვიმედოვნებ, ერს ისევ ახსოვს და ინახავს მათ...

პროფესორსა და მის თანამედროვეთ ჩვეულებრივ ადამიანთა ლოგიკა აქვთ. არ სურთ სანადელს უაზრო სისხლისღვრის ფასად მიაღწიონ. მათი კრედაა (მრწამსია) — იდეა ხალხისთვის, თავისუფლებისათვის. სხვა მოტივები ამოდრავთ ხელისუფალთ: იდეა — პირადი გამორჩენისთვის, ანუ ხალხი იდეისთვის, მხოლოდ საერთო გამარჯვების შემდეგ, შორეულ მომავალში შეძლებენ თავის დამშვიდებას იმაზე ფიქრით, რომ ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს დაუბრუნდებიან.

ამ აბსურდს ერთ-ერთი გმირი ფილმის დასასრულს ააშკარავებს: „თუ ყველას გაანადგურებთ, ვიღაზე იმბრძანებლეთ?!“ ეს სიტყვები ასეც შეიძლება გაიშიფროს: თუკი ხალხის ნახევარი განადგურდება, იქნება კი მეორე ნახევარი ბედნიერი თუნდაც სამოთხეში? არ დაკარგავენ სახეს, ბედნიერე-



ზინა კვერენჩილაძე (გულქანი), ლევან აბაშიძე (ნიკუშა) ზაზა კოლედიშვილი (შაქრო), გია ფერაძე (ლეკო) ფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“

ბის უნარს? ჩვენ ხალხი ვართ და არა ბრბო. ხალხი ვართ და მამის, დედის, მეგობართა და ნაცნობთა მოკვლით ვერასოდეს ვიქნებით ბედნიერნი.

დაახ, პროფესორმა არასათანადოდ შეაფასა სისხლის წყურვილი, ხელისუფალთა ფანატიზმი. ესაა მისი საბედისწერო შეცდომა, ან იქნებ არა? ბოლოსდაბოლოს მივხვდებით, ყველაფერი გაცილებით მარტივად.

— სამხილები რომ არ არსებულებო, თვითონვე შეთხზავდით, — გაისმის ფილმის დასასრულს.

აი, ემშვიდობება კეთილ მოხუცს, მასწავლებელს, და იწყება მოგზაურობა. ყველაფერი მშვენიერია — მთები, ტყეები, მზე, ეტლი, კამკამა რუ, საიდანაც მაშინვე გინდება წყლის შესმა, და ნაცემი ადამიანიც კი, რომელიც უგონოდ გდია რუსთან, ვერ კვდება რომანტიკულად, ისე, რომ არ იგემოს მოსალოდნელი შეხვედრებითა და საყვარელი საქმიანობით გამოწვეული სიხარული.

სიფრთხილის განცდას ამძაფრებს შალვა ხეთერელის უხეშობა, ნერვიული რეაქცია ელიზბარისა ნიკუმას მოგზაურობის გაგრძელების სურვილის გამო. ხოლო ნიკუმასა და შალვას ღამეული საუბრის შემდეგ, შალვას აღსასრულის, ხელისუფალთაგან მისი მოკვლის შემდეგ, ჩნდება საშიშროება მთავარი გმირის ბედის გამო. მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია მთელი დრამატიზმი ვითარებისა. ელიზბარი ყველაფერს წინასწარ გრძნობს, იცის, რომ მხოლოდ ნიკუმას ჩამოსვლაც კი შესაძლოა დიდი სასაკლავო მონყობის მიზეზად იქცეს. აი რატომ, ასე ნაჩქარევად რომ გზავნის ნიკუმას უკან, მაგრამ აქ სიუჟეტის ახალი შემობრუნება იწყება. უკვე მეორედ ვაწყვდებით ლეკო თათაშელს — იმავე ნაცემ ადამიანს რუსთან. პიროვნება მაშინვე აღძრავს ურთიერთგამომრიცხავ გრძნობებს. ვინ არის იგი? რატომ დაფრთხა შალვა ხეთერელი მისი გამოჩენისას? ლეკო ამ ოჯახის მტერია? არა! შემდეგ იგი გულწრფელად ტირის შალვას კუბოსთან და ელიზბარი ექცევა როგორც მეგობარს, ძმას. ერთი წუთის შემდეგ, როცა ნიკუმას ბედს მიანდობს, არც ისე დარწმუნებით გამოთქვამს ნდობას ლეკოსადმი, თითქოს თავს იმშვიდებდეს: — დიახ, კიდევ ვის შეიძლება ახლა მივენდო?! მაგრამ ჯერჯერობით დავხსნათ ნდობის საკითხს. ლეკოს ხატი ფილმში თანდათანობით, მუდამ მოულოდნელი სახეებით იხატება (ეს როლი მშვენივრად ითამაშა ტრაგიკული ბედის მსახიობმა — გია ფერაძემ).

ასე რომ, ცხოვრებამ ლეკო ნიკუმასთან დააკავშირა. როგორც კი მგზავრებმა ხეთერელის სახლი დატოვეს, ნიკუშა ამჩნევს ნაბიჯებს — ვიღაცა უთვალთვალბთ. ლეკო სერიოზულად არ ეკიდება ამ საფრთხეს, მას ყურადღების გასამახვი-

ლებლად დრო არ ჰყოფნის. მიიჩნევს, რომ უმთავრესი — რაც შეიძლება მეტი სახლის შემოვლაა. თავგანწირვისა და თავშეუკავებელი რისკის შემძლე ადამიანთა საპოვნელად, როგორც პეტრე ვარაზელია. ისეთებისა, რომლებსაც განათლება აქვთ, მიზანდასახულნი არიან, გააჩნიათ პრინციპები, როგორც გიორგი ოცხელს. ვინც ხალხისათვის გაბედულების, სიმამაცის ეტალონია. ისეთისა, როგორც ქალბატონი გურანდუხტია — სახელგანთქმული პოლკოვნიკის, ბექარის მეუღლე, — ვისაც ოჯახის ყველა მამაკაცის სიკვდილის გამო ქალისათვის არაბუნებრივი თვისებები შეუძენია. ასეთი ადამიანები, როგორც შაქრო ცისკაროშვილია — ვისაც ერთგულების ეტალონად რაცხენ — სიტყვის სიმტკიცისთვის, რაინდობისთვის... იპოვონ ისეთი ადამიანი, რომელსაც, მიუხედავად სიბერისა, სხეულის სიძაბუნისა, ხელენიფება აღადგინოს ერის ისტორია, როგორც ეფემია კათარელს.

ეფემია კათარელის საცხოვრისი ნახევრად დანგრეული სახლი თუ მონასტერია (შუახნის მონაზონიც ხომ აქვე ცხოვრობს). გარეგნული იერი მინიშნებს მეპატრონეთა გარდასულ დიდებულებას. სახლის საერთო შესახედაობა გვაფიქრებინებს, რომ აქ ყოველივე კვდება, მალე გაქრება. მონაზონისადმი ლეკოს უხეშობა ნიკუშასა და მაყურებელს აზნევეს, მაგრამ თვითონ ეფემიასთან ლეკო სხვაგვარად იქცევა, თავს კარგ ჯარისკაცად და პოლიტიკურ მოღვაწედ ასალებს, მაგრამ განა ასე ადვილია გამოცდილი ეფემიას მოტყუება. რატომაა, რომ თავდაპირველად მას ლეკო სატანა ჰგონია?

ცხოვრება გამოიცვალა. საყოველთაო ურწმუნოებისა და სიბრმავისას ძალიან გართულდა წესიერი ადამიანის გარჩევა ნაძირალისა და ჯალათისაგან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეფემია მასში თავისიანს ამოიცნობს, მშვიდდება, და ლეკო იწყებს ჩანაფიქრის განხორციელებას: ნიკუშას საიდანლაც წარმოგზავნილ თავისუფლებისათვის მებრძოლად, მომავალ მხედართმთავრად, დაქცეული კერის აღმდგენელად ასალებს. ეფემია თავის სპობაშეპარულ სახლში სხვაზე უკეთ აცნობიერებს მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ამ დღესაც ამბოხების შემდეგ ხელისუფალთაგან გადამწვარ, მაგრამ გაუმქრალ, მესხიერებით აღდგენილ ერის ისტორიაში ჩაწერს. იგი სწორედ ამისათვის ცოცხლობს ამქვეყნად, ამისთვისაა მასთან მონაზონი და მას გადასცემს ხსოვნას, რათა მომავალ თაობებს შემოუნახოს. დიახ, იგი არ არის მოტყუებული, ის ყველაფერს დაიხსომებს, ჩაიწერს...

— მხოლოდ სულით დაუმორჩილებელი იარსებებენ მარადიულად, — წარმოსთქვამს ეფემია კათარელი. ის ბედნიერია: საქართველოს ისტორია ხომ სულით დაუმორჩილებელთა ისტორიაა და ლეკოსა და ნიკუშას არსებობა უკვე ახარებს.

დაე იყოს ლეკო უმცარე, უხეში, მაგრამ ასეთები არასოდეს დაანებებენ დანარჩენებს მონობასთან შეგუებას. გაქრება ეფემიას მოდგმა, მაგრამ გაჩნდება ნიკუშას მოდგმა, ან სხვა რომელიმესი.

ლაპარაკისას მალევე მინიშნა ლეკოს განზრახვაზე — გაასაღოს ნიკუშა ცენტრიდან გამოგზავნილ ახალგაზრდა მებრძოლად. არც მიცდია დამედგინა, როდის გაუჩნდა მას აზრი, გადაჭრით, ნათლად როდის ჩამოუყალიბდა??? ვფიქრობ, ეს აზრი საბოლოოდ მაშინ მომწიფდა მის თავში, როცა მოგზაურნი მოულოდნელად გააძევეს ორი, განმარტოებით მცხოვრებთა, ოჯახიდან. ამით ეფემიამ ლეკოს მოქმედებისაკენ უბიძგა. და თუ ეფემიასთან გმირები, ელიზბარის გეგმის მიხედვით, მხოლოდ ღამის გასათევად მოხვდნენ, სამომავლოდ ლეკო ცვლის მოგზაურობის მარშრუტს.

მისი შემდგომი პუნქტი გიორგი ოცხელის სახლია, ინტელიგენტი, პრინციპული, კეთილსინდისიერი კაცისა. მიუხედავად მისადმი პატივისცემისა, ლეკო აქაც გამომწვევად იქცევა, ხშირად გამოჰყავს წყობიდან (ალიზიანებს). — არაფერია შეშინებულ ადამიანზე საშინელი სანახავი, — ეუბნება ლეკო ნიკუშას. მაგრამ არა, გიორგი არ არის დაშინებულითა წრიდან, არ

დაჰკანკალებს საკუთარ ტყავს; იგი ტიპური ინტელიგენტი, რომელსაც არ სურს სისხლისღვრა, სროლაც არ იცის, სროლა სიკეთის სახელითაც კი არა სურს, — არ ვიცი, ვინ ხართ, და არც მსურს ვიცოდე, — ამბობს გიორგი. — რაც შემეხება მე, არ დაგიმახსოვრებთ, არ ვიცი თუ სადმე შევხვდებით... ჩვენ განსხვავებული რწმენა გვაქვს. განსხვავებულ აზრს პატივს ვცემ, მაგრამ თქვენი რწმენა სრულ უგნურებად მეჩვენება.

შესაძლოა გიორგის საქციელი მცდარი გვეგონია, მაგრამ ასეთი ხალხი ძალიან საჭიროა, მათთანაა ღვთაებრივი ჭეშმარიტება, ისინი ღვთისაკენ მიდიან და ერი შედარებით ხანგრძლივი, მაგრამ კაცთმოყვარე გზით მიჰყავთ. მათგან არჩეული გზა გაცილებით სტაბილურია და მყარი.

საერთოდ რისთვის მოჰყავს ლეკოს აქ ნიკუშა? ჯერ ერთი, მას მაინც ეიმედება, რომ გამოაფხიზლებს პატრონს და მოქმედებისთვის აღძრავს. მეორეც — არაცნობიერად ცდილობს, ნიკუშა თავის იდეალს მიუახლოვოს. მასში სურს დაინახოს მომავალი მხსნელი, ჭკვიანი, მამაცი, თავისუფალი ადამიანი, თავისი ერის მოყვარული, შემძლებელი ყველა ჯანსაღი ძალის გაერთიანებისა. ცოტათი გავუსწროთ მოვლენებს, ლეკოს სიტყვა გავისხნოთ: „მე ის ათ ოჯახში მივიყვანე და კიდევ ათასში მინდა მივიყვანო...“

უფრო ნათლად ვგრძნობთ ბოროტ ძალთა მოქმედებას, ისინი აჩქარებენ მოგზაურებს, დასვენების საშუალებას არ აძლევენ, აძევებენ გიორგის სახლიდან. მათთვისაც აქვს ამ მოგზაურობას მიზანი. შესაძლოა თავიდანვე, პროფესორთან გამომშვიდობებისთანავე უთვალთვალდნენ ნიკუშას. ლეკო უნებურად იქცევა ბრმა იარაღად. ალბათ რუსთან შეხვედრაც არ იყო შემთხვევითობა... ნიკუშასთან დაკავშირებით ხელისუფალთაც საკუთარი განზრახვა აქვთ: დაე მეტი ოჯახი გააერთიანოს, მათი შეპყრობა, უკმაყოფილოთა აღმოჩენა გადავიღებდა. მშვენიერი საბაბი გაჩნდა მათთან ანგარიშის გასასწორებლად... დიახ, შესაძლოა აბსურდული, მაგრამ საბაბი საჭიროა.

პეტრე ვარაზელი, რომელიც დაპატიმრებული სიძის — გიგოს — ოჯახში იმალება, შემდეგი გაჩერების პუნქტია მოგზაურთათვის. პეტრე სიხარულით იღებს ჰალუცინაციებიან ლეკოს, თუმც მისი ბოლომდე არ სჯერა. იგი ხომ ისედაც მებრძოლია. ამ გმირში გაერთიანდა ბევრი ქართველი ბოლშევიკისთვის დამახასიათებელი თვისება. იგი პირველი რეპრესიების შემდეგ ბედს არ შეეგუა და 20-იანი წლების დასაწყისში, ახალი ძალებით, ამჯერად უკვე ბოლშევიკთა წინააღმდეგ გააჩაღა ბრძოლა. რამდენი გაქრა, რამდენი გაიფლიტა. სხვებისგან განსხვავებით ისინი მაქსიმალისტებად დარჩნენ — პატიმრობაში ყოფნას სიკვდილს ამჯობინებდნენ.

—...მათ, ვინც უკან დაიხიეს, გაერიდნენ, განა რამ მოიგეს?! — სიმწრით ამბობს პეტრე ვარაზელი.

ბოროტი ძალები არ მშვიდდებიან, არ აძლევენ მოგზაურებს შესვენების საშუალებას. ხელისუფალთ დაპატიმრებათა ტალღის აგორება სურთ და რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვა, კომპრომიტირება, ყალბი ორგანიზაციის შეთითხვნა. პეტრეს ისედაც ნებისმიერ დროს აიყვანენ, მაგრამ მათ ჯგუფი სჭირდებათ, დიდი დაჯგუფება... ამიტომ, რადგანაც მეტი ძალაუფლება აქვთ, დაუბრკოლებლად გაქცევის საშუალებას აძლევენ ყველას, ისინი ხომ აუცილებლად გამოავლენენ ახალ სამხილთა და შეთქმულთა ჯაჭვს. ბოლოსდაბოლოს, მოგზაურებმა შეისვენეს, იპოვეს ღამის გასათევი. ინათებს და გამოჩნდება დარღვეული, ყველასგან მიგდებული, მიტოვებული, დაობლებული ღვინის დასაყენებელი დიდი ქვევრები. გამახსენდა საქართველოს ერთ-ერთი შეუზრალბელი დამპყრობლის, თემურ-ლენგის ტაქტიკა. მან შვიდგზის მოაოხრა რაც გზად შეხვდა. თან ახლდა საგანგებოდ განვრთნილი, ნაჯახებითა და წერაქვებით აღჭურვილი რაზმები, რათა დაერბიათ ოჯახები, ქვევრები, აჩეხათ ვაზი, ბაღები... თვითონ კითხვის უცოდინარმა გაანადგურა ყველა წიგნთსაცავი (ნახატები ყვარებია) და როცა საბოლოოდ გააცნობიერა, რომ მაინც ვერ

დაიპყრო საქართველო, გაცოფებულმა გადაწვა საუკუნეთა მანძილზე შექმნილი კულტურული საგანძური.

ძალიან ჰგავს ჩვენს ამასწინდელ ისტორიას: ხატების დანვა, ტაძრების დანგრევა, ვაზის აჩეხვა, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანურ დანაკარგზე...

როცა ამ ნანგრევებში მომღერალი გოგონა ჩნდება, თითქოს სულიერად მალდება. ნიკუშა გამოცოცხლდება, ჩქარობს ჩაინეროს იმედით გაუღვნილი სიმღერა, რომელიც ავინყებს თავსგადამხდარ უბედურებას. ფილმის ავტორებმა ძალზე დროულად და გემოვნებით შეცვალეს სურათის რიტმი, მაყურებელს გონების მოკრების, დასვენების საშუალება მისცეს.

ისევ გზაზე არიან, მხედართმთავართა ოჯახი, ყველა მამაკაცი ომშია დაღუპული. მაგრამ, აი, გვესმის ძველი ციხესიმაგრის ქვეშ, ნიკუშასა და დაღუპული მხედართმთავრის შვილიშვილის საუბარი:

ნიკუშა:

— ზვიადი ადამიანია...

შვილიშვილი:

— და ყველაფერზე, რასაც ზვიადი ადამიანის ხელი შეეხება, თუნდაც ქვაზე, ადამიანის სული გადადის.

დაიხ, თუნდაც ყველა დაუმორჩილებელი გაანადგურონ, მათი კვალი დარჩება და ოდესმე მათ სულები გააცოცხლებენ...

ბოლოსდაბოლოს, მთელ რიგ პერიპეტიათა და ლეკოსთან განშორების შემდეგ ნიკუშა აღმოჩნდება იტრიელი ძმების ოჯახში. ეს მაღალი ინტელექტის ადამიანები თავისი დროის შვილები არიან, ჰარმონიული მიწასთან, ბუნებასთან. ისინი არცთუ მარტივ, გლეხურ შრომას ეწევიან. ეს შრომა ახარებთ. ცხოვრობენ თავისებურ კომუნაში, ერთნაირ ძველმანებში ჩაცმულნი, მაგრამ სახე არ დაუკარგავთ. ეს ერთადერთი შერწყმული ძალაა, რომელიც ფილმში გვხვდება. მაგრამ რატომ არიან ისინი ცოცხლები ამბოხების ჩახშობის შემდეგ?! ეს ხალხი არ არის ლაჩარი, მათ იარაღის ალებაც შეუძლიათ, მაგრამ, ალბათ, არ სწამდათ გამარჯვების რეალურობა და არ მონაწილეობდნენ აშკარა ბრძოლაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიკუშა ძმებთან ლეკოს ნების საწინააღმდეგოდ მოხვდა. მათი დახმარებით კომპოზიტორი იმედოვნებს, რომ — როგორც თავიდანვე გათვალა ელიზბარ ხეთერელმა — შინ დაბრუნდება. მაგრამ აქ ისევ ლეკო ერევა მოვლენათა განვითარებაში.

მოდით, დეტალურად გავერკვეთ ლეკოს ხასიათში, როგორი ტიპია, საზოგადოების რომელ ფენას წარმოადგენს. ფილმიდან ჩანს, რომ ძალიან ენერგიულია, ავანტიურისტი და, შეიძლება ითქვას, უგუნურიც. არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ იგი გდია რუსთან ნაცემი. იგი ერთ-ერთი შეურიგებელთაგანია, ვინც აცნობიერებს საკუთარ უმწეობას, იცის, რომ ერი მას არ გაჰყვება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ დუმს, ბრძოლას თავისებურად ცდილობს.

იგი თავისი ხალხის შვილია. ამიტომაც ადვილად ახერხებს უბრალო ხალხთან ურთიერთობის დამყარებას, როცა ტრაპეზისას ნებისმიერ კომპანიას უერთდება. თავიდან ყველა ინტერესით უსმენს, მაგრამ შემდეგ... სცემენ. რატომ? სირცხვილის გრძნობის გამო სცემენ, დამონებული სირცხვილისა, თუმცა შენარჩუნებული აქვთ მონის სიამაყის ნარჩენები.

აჯანყება სისხლში ჩაახშეს, ბევრი დავაოცეს, ყველას შინაგანი დანაშაულის გრძნობა აქვს დაღუპულთა წინაშე, ყველა მარტოა საკუთარი შიშის წინაშე, ერთად შეძლებდნენ მის დამარცხებას, მაგრამ ახლა უმწეონი, დაბნეულნი არიან... და ვილაც მანანალა მათ არცხვენს, აღიზიანებს... ისინი ამას არ მოითმენენ!..

ლეკო ფილმის მთავარი გმირებისათვისაც არც ისე მიმზიდველი პიროვნებაა. იგი განვითარების ყველა კატეგორიით ჩამორჩება მათ. პირწმინდად ავანტიურისტული ხასიათის გამო სერიოზულ საქმეში ნდობას არ იწვევს. შევხედოთ შალვა

ხეთერელის აღვლებას, ან ელიზბარის ეჭვს, პეტრე ვარაზელის ირონიას... გავიხსენოთ სიტყვებიც: „ლეკოსგან ბევრი დაგვითმენია და დავითმენთ კიდევაც“.

ვინ არის იგი ბოლოსდაბოლოს? ლეკო განასახიერებს თავისუფლებისმოყვარე სულის ავანტიურისტულ სანყისს, ყველა ხალხში არსებულს. იგი თავისი დროის შვილია, რომელმაც განიცადა უღმობობა და უფიცობა გარემომცველი სამყაროსი. სხვა დროში, ეფემიას შთამომავალნი რომ ყოფილიყვნენ ცოცხალნი, ბექარი რომ ყოფილიყო ცოცხალი, საკუთარი საქციელს მკრეხელურად მიიჩნევდა. ყოველთვის ხომ არ ყოფილა ასეთი. მანანალად ცოტა ხნის წინათ იქცა. აქვს საკუთარი სახლი, ახლობლები ჰყავს. მუშაობაც შეუძლია. როცა იტრიელებს მისი დასჯა სურთ, ისინი მას ფარცხის მოწვნას აიძულებენ — ეს დასჯა კი არაა, არამედ წარსულის შესხენების სურვილი, ჩვეულ ყოფას რომ დაუბრუნდეს: რამხელა სიამაყეა ლეკოს სიტყვებში, როცა ნიკუშას კარგად უხსნის მონიული ფარცხის მნიშვნელობას მოსავლის მოსაყვანად, და იმავდროულად რამხელა ნოსტალგია...

საქართველოში ყოველთვის ცოცხლობდა ლეგენდა გამათავისუფლებელზე, ახალგაზრდა წინამძღოლ-მხედართმთავარზე. ცხოვრებამ თვითონ შექმნა ამისთვის საფუძველი.

ყმანვილები გაზრდას ვერ ასწრებდნენ, ისე უხდებოდათ ხელში გუთნისა და იარაღის ალება — დაღუპული მამების ადგილის დაჭერა. ეს მოტივი ხშირად გვხვდება ქართულ ლიტერატურაში (გავიხსენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის ლექსი „ბაზალეთის ტბა“, სადაც საუბარია ოქროს აკვანში მწოლიარე ყრმაზე, რომელიც შესაფერისი დროის დადგომამდე ტბაში ცხოვრობს, გაიზრდება და ერს მონობისაგან გაათავისუფლებს). ლეკოს ნიკუშაში თან ამ გმირის დანახვა სურს, თან აცნობიერებს, რომ მოვლენათა დაქარება ხელოვნურად არ შეიძლება. ნიკუშამ ნახა და ბევრი რამ გადახდა, და დაე ახლა ლეკოს ჩაურევლად მოეკიდოს იმ საქმეს, რომლის საკეთებლადაცაა მონოდებული. დაე ხალხმა თვითონვე, უხეშ, დაჟინებულ მინიშნებათა გარეშე დაინახოს მასში ლიდერი, დაე სიმღერამ, ათასწლეულობით შემონახულმა, გააერთიანოს ყველა. თუ ადრე ლეკო სკეპტიკურად უყურებდა გამოცოცხლებულ ნიკუშას, როდესაც იგი პატარა გოგონას სიმღერას იწერდა ნანგრევებში, ახლა, როცა ირწმუნა ახალგაზრდა მეგობრისა, თვითონაც მთელი სულით ხარობს და ეხმარება. და ამიტომაცაა, რომ ნიკუშასთან ერთად მიდის სახალხო დღესასწაულზე.

ბუნებრივია, ამგვარი ევოლუცია ხელისუფალთა გეგმებში არ შედის. ისინი შიშობენ, რომ ნიკუშა მართლაც შეიძლება ხალხის რჩეულად იქცეს. კომპოზიტორის მოგზაურობა მთავრდება, იგი კარგ სახელს დატოვებს, მას მიბაძავენ, მას პატივს სცემენ. უნდა ჭკუა ასწავლონ ხალხს, ამიტომაც არ იქნება საკმარისი ნიკუშასა და ლეკოს დაპატიმრება... და აი, ეწყობა მთელი სამხედრო ოპერაცია (როგორ ჰგავს ყოველივე 9 აპრილს).

აქ უკვე მიხვდა ლეკო, ვის ხელში იქცა ბრმა იარაღად, სასონარკვეთილი ცდილობს დანარჩენების გადარჩენას, ყველაფერს საკუთარ თავზე იღებს... კიდევ ერთი ნაბიჯი უფსკრულისაკენ — თვითმკვლელობა. სიკვდილი გადმოატრიალებს ნიკუშას სულს.

ნიკუშა: „მე არაფერი ვიცოდი... მხოლოდ ახლა გავიგე ყველაფერი...“

როსტომ იტრიელი: „...რა გაიგე, არც არაფერი ყოფილა...“
დაიხ, ნამდვილად არანაირი შეთქმულება არ ყოფილა, უფრო სწორად, ის არსებობდა ყველას სულში, თორმეტივე დაპატიმრებულში (დღესაც იგივე ხდება, როგორც კი იგრძნეს უმცირესი მოსუსტება, ყველას სულში იფეთქა „შეთქმულება“).

თანაკლასელთა, ყოფილი მეგობრების ფინალური დიალოგი. ერთ მერხთან მსხდომთა — შეთქმულ როსტომ იტრიელსა და პოლიტიკური პოლიციის წარმომადგენელს შორის გამართული: „თქვენი იმპერია, — ამბობს როსტომი, — განწირულია დასაღუპად“.

ადრე თუ გვიან ყველა იმპერია იღუპება. არსებობს ორი გზა, ერთი — რომისა და მრავალი მისი მსგავსისა, მეორე გზა კი... მაგალითად, საფრანგეთისა, დიდი ბრიტანეთისა. გარდუვალი ყოველთვის აღსრულდება. ამ ცნობიერებით იღუპებიან ფილმის გმირები, ყველა, ნიკუშას გარდა... ის გადაურჩება სასჯელს.

როსტომსა და დანარჩენებს ესმით, რომ ახალგაზრდა კომპოზიტორი უნდა გადარჩეს. მომავალი მისია, იგი არ იყაბულებს, თავისუფლების სული გაქრეს. ისეთები, როგორც ნიკუშა, უხმაუროდ, ჩუმად არიან, მაგრამ მოახერხებენ შეინარჩუნონ ხსოვნა, მუსიკა, ხალხური სიმღერები. მიტომად, რომ როსტომი დაარწმუნებს თანაკლასელს საკუთარი სიცოცხლის ნაცვლად ნიკუშას გადარჩენის აუცილებლობაში.

ფილმის დასასრულს ახალგაზრდა კომპოზიტორის ბედისწერის ასეთი შემობრუნება იმედისმომცემია, ამასთანავე ნათლად წარმოაჩენს უკონტროლო ძალაუფლების მექანიზმს, ყოველგვარი დიქტატურის მექანიზმს. ჯერ არ დაუნყიათ ქალების დაპატიმრება, მხოლოდ ისინი დაპატიმრეს, ვისიც ფიზიკურად ეშინიათ. მაგრამ უკვე განწირულის, ნიკუშას ნაცვლად, „რაოდენობის გამო“ ამატებენ გზაზე შემთხვევით შემხვედრს — უწყინარ მოხუცს. რა თქმა უნდა, ჯაჭვი გაგრძელდება, გაანადგურებს იმ შემსრულებელთ, ვინც თავიდანვე სწადიან უკანონობას. რაკი გზად წინააღმდეგობა არ ხვდება, უკანონობა, ყველაფრის უფლება უსაზღვროდ იზრდება და ძალიან რთულია სიკვდილის მანქანის შეჩერება. ჩვენს დროშიც რთული აღმოჩნდა განსხვავებულ აზრთან შეგუება. დღესაც შესაძლებელია, არა სავსებით დაუსჯელად, მაგრამ საერთო ჯამში, განსაკუთრებული რისკის გარეშე, დაითრგუნოს თავისუფლება ტანკებით, მხუთავი გაზით, აჩიხოს ხალხი სანგრის სათხრელი ნიჩბებით.

განსჯის დასასრულს მინდა ზოგიერთი პარალელი გავაგელო „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობასა“ და „მონანიებას“ შორის.

თენგიზ აბულაძე ზოგადსაკაცობრიო დროის სივრცული საზომიდან უბრუნდება ჩვენს სინამდვილეს. გიორგი შენგელაია — პირიქით, ნათლად განსაზღვრული დროის სივრცეიდან ზოგადსაკაცობრიო საზომს აღწევს (ამიტომ იყო, რომ დასაწყისში უცნაურად ავლაპარაკდი ეკრანში ნაჩვენებ დროზე, ამიტომ იყო, რომ ვცდილობდი მომხდარ მოვლენათა მიხედვით ბარომეტრული სიზუსტით დამედგინა მოქმედების მიმდინარეობის დრო).

და კიდევ: ახალგაზრდა კომპოზიტორისა და აბელ არავიძის შვილიშვილის ბედი ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან (კარგია, რომ მსახიობები ტიპაჟით ძალიან გვანან ერთმანეთს). ნიკუშა და მისი მესხიერება — ნანამები სული, მისი გამოცდილება უნდა გადარჩენილიყო, რათა გავლენა მოეხდინა აბელ არავიძის შთამომავლობაზე, მათში რათა მონანიების უნარი არ გამქრალიყო.

არის ძალიან სიმბოლური გადაძახილი ორი ფილმის დასასრულს შორის: გიორგი შენგელაიასთან დაპატიმრებულები გამოჰყავთ ეკლესიიდან და უსასრულო, მიხვეულ-მოხვეული, დაკლაკნული გზით მიჰყავთ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ნიკუშა ცოცხალია და ეს გზა ახსოვს. „მონანიებაში“ კი თმაგანწილი, მოხუცი ქალი გზას ეძებს ტაძრისაკენ.

P.S. თუ ვინმეს ჩემი ნაწერი არ მოგეწონათ, თუკი ბოდიშად მოგეჩვენათ, გთხოვთ, ჩემს არაპროფესიონალიზმად არ მიიჩინოთ. ნუ დააბრალებთ ჩემი კალმის დაუხვეწაობას, დააბრალებთ ახალგაზრდა კომპოზიტორს, ნიკუშას, მის აღმზრდელთ, ყმანვილის „ცუდი აღზრდისა“ და „ცუდი“ სწავლები-სათვის, საკუთარ სამშობლოში მოგზაურობისათვის შესაფერისი დროის გამონახვის უუნარობას.

რუსულიდან თარგმნა
თამარ ყალიჩაშვილი

ეკა ბუჯიაშვილი

რას ნიშნავს სახელმწიფოებრივი აზროვნება

(განხილვა
ვაჟა შუბითიძის მონობრაჟიისა
ნიკო ნიკოლაძეზე)

მათუსალა თუ ვინ არისო, — ამასაც გაიფიქრებს გერონტი ქიქოძე მაშინ, 1925 წლის ერთ ჩვეულებრივ დღეს, ერთად რომ გამოვლენ ნიგნის გამგეობის სხდომიდან, ერთად გაუყვებიან ქუჩას, და თავის თანამგზავს რომ შესჩივლებს, რა სიცივეებიაო, ის პასუხად შემოაგებებს:

— ეს რა არის, სიცივეები მაშინ იყო, 1859-ში, რიონი რომ გაიყინა და ზედ ფეხით გადავდიოდითო.

მაშინ, სწორედ მაშინ უნდა გააცნობიეროს, რომ ეს უჩვეულო კაცი, უკვე ასაკოვანი, ახალ საუკუნეში, ახალი გამონგვევების წინაშე მდგარი ქვეყნის გზაზე ახალგაზრდული მხნეობით რომ მიჰყვებოდა გვერდით, ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდეც დადიოდა თავისი არცთუ სვედნიერი სამშობლოს ცის ქვეშ... და კიდევ გაურბინოს გონებაში იმ უცნაურმა ფიქრმა.

არა, მათუსალა არ იყო, ჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ, მისთვისაც ჩვეულებრივ მოკვდავთა დრო მიეცა უფალს ამ წუთისოფელში სამყოფად — ქართველებიანი კი შეერჩია იმ დალოცვილს — და ამასაც ისეთი უჩვეულო საქმეები უნდა მოესწრო, ვინ იცის, ერთი მათუსალასოდენა სიცოცხლე იქნებ კიდევ სჭირდებოდა, მეტიც — ერთ სახელმწიფოდაც ღირდა, და ვაჟა შუბითიძესაც ამ დიდი მოღვაწის შესახებ დანერვილი ნიგნის სწორედ ასე დაუსათაურებია: „ნიკო ნიკოლაძე — კაცი-სახელმწიფო“.

როსტომ ჩხეიძე კი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ განხილვაზე სწორედ ამ საკითხით დაიწყო შეფასებას:

— ძალიან შთამბეჭდავი სათაურია, რადგან თვითონ პიროვნება იყო შთამბეჭდავიო.

მერე კი:

პეტერბურგში სწავლობდა.

მერე დიდ პოლიტიკურ წინააღმდეგობებშიც ჩაერია და იძულებული გახდა, ევროპაში გადახვეწილიყო, უკვე როგორც ემიგრანტი, თუმცა წუთი არ დაუკარგავს, ძალიან დიდი განათლება შეიძინა. ხშირად სწერდა მამას, ფული მჭირდებოდა და ერთ წერილშიც ასე რომ მიმართავს, ძვირფასო მამაო, ის იუმორს მოიმარჯვებს:

— შვილო, ძვირფასი შენ ხარ, გყიდულობ, გყიდულობ და დღემდე ვერ გიყიდეო, ისე ძვირი მიჯდება მანდ, მაგრამ რა ვქნათ, როგორც არის, არის, ჩემგან შემწეობა არ მოგაკლდებაო.

არც მოუკლია.

აკაკი წერეთელი ამბობდა:

ნიკო ნიკოლაძის მამა გამოირჩეოდა ღრმააზროვნებით, გამჭრიახი გონებით, ოღონდ ვაჭარი კაცი იყო, გლეხების წრიდან გამოსული, და რაც თვითონ დააკლდა, გადაწყვიტა შვილისთვის მიეცაო.

ნიკო ნიკოლაძის შესახებ კი აკაკი თავის ავტობიოგრაფიულ რომანშიც წერს — „ჩემი თავგადასავალი“ — რომელიც იმით გამოირჩევა, რომ მასში გამოკვეთილი პორტრეტები გზის დამკვლავია მწერლებისა და მეცნიერებისათვის, თუკი გადაწყვეტენ, რამე დაწერონ ამ პიროვნებათა შესახებ. ნიკო ნიკოლაძის სილუეტსაც მოხაზავს — პატარას, მაგრამ ტვეადს, თუმცა კი აპირებდა, რომ თუკი გააგრძელებდა რომანს, კიდევ ბევრი შტრიხი შეემატებინა ამ პიროვნების პორტრეტისათვის.

ბრუნდება ნიკო ნიკოლაძე სამშობლოში და აკაკი ამასაც ამბობს: მართალია, ამ ადამიანმა, როგორც სულიერად, ისე მატერიალურად, ძალიან ბევრი გააკეთა ქვეყნისათვის, მაგრამ შესაძლოა ისე ვერ ერკვეოდეს ჩვენი ცხოვრების ნიუანსებში, რადგან პირდაპირ შემოიტანა დასავლური აზროვნება, თუმცა აქვე დასძენს, რომ ნიკო ნიკოლაძეს ახალი ტიპის ინტელიგენტად მოიაზრებდა თავისი დროის ყოფაში.

ამ მოღვაწის ფსიქოლოგიურ პორტრეტს კი ბელეტრისტულ ჩანაწერებში გერონტი ქიქოძეც ხატავს და სწორედ მის მასშტაბურობაზე საუბრობს:

— იგი ძალიან ახლოს იდგა ილიასთან, როგორც მოაზროვნე და როგორც დიდი საქმეების თაოსანი. ისინი ერთნაირად ფიქრობდნენ, რომ კულტურაც მნიშვნელოვანია, პოლიტიკაც, მაგრამ ერთიც და მეორეც ეკონომიკას უნდა დაეფუძნოს... და, რაც მთავარია, საქართველო უნდა იყოს არა უკან მოჩანჩალე ქვეყანა, არამედ დიდი ისტორიის მქონე ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ცხოვრობს არა მხოლოდ წარსულით, არამედ დღევანდელიობითაც, და გახდეს მონაწილე მსოფლიო მოვლენებისაო.

ამხელა მასშტაბის მოღვაწე კი გახლდათ, მაგრამ უფრო შორს განჭვრეტა ესრეობა თურმე, იმდროინდელი მოვლენების დანახვა უჭირდა. 1918 წელს ევროპა რომ მოუვლია, სამშობლოში დაბრუნებულს ასეთი ამბავი ჩამოუტანია: გერმანია იმარჯვებს, აი, ნახვით, სულ მალე მისი ტრიუმფით დამთავრდება ყველაფერიო.

ორ კვირაში კი... გერმანია იარაღს დაყრის.

ბატონი როსტომი თავის გამოსვლაში იმასაც აღნიშნავს, რომ არაერთი კარგი ნიგნი არსებობს ნიკო ნიკოლაძეზე, მათ შორის აკაკი ბაქრაძისაც, რომელიც უფრო ბელეტრისტული მონოგრაფიაა, ვიდრე ბიოგრაფიული რომანი კლასიკური გაგებით, თუმცა კარგია, რომ ასეთი ჟანრის გამოკვლევაც დაიწერა მის შესახებ.

თვითონ ნიკო ნიკოლაძე კი, ბატონი როსტომის თქმით, ამ საკითხთან მიმართებითაც თავმდაბალი კაცი ყოფილა — როცა მისი ტომების გამოცემა გადაუწყვეტიათ და პავლე ინგოროყვას შეუთავაზებია კიდევ, მას უთქვამს:

— ჩემი ნაწერები დროს გაჰყვას, აღარ არის საინტერესო. საქართველოს ილია სჭირდება, მისი გამოცემები, და ეს უნდა განხორციელდესო.

— დროს კი მისი ნაწერები ნამდვილად არ გაჰყოლია.

პირიქით, რაც ხანი გადის, კიდევ უფრო დასტურდება მისი აზროვნების მასშტაბურობა, ამიტომაც ნიკო ნიკოლაძის სახელი მუდმივად უნდა ტრიალებდეს საზოგადოებრივ ცნობიერებაში და არა მხოლოდ გაივლებდეს დროდადრო, რომ ასეთი მოღვაწე გვყავდა. სწორედ ამის ნიშნად ვაჟა შუბითიძის ეს ნიგნიც, რომელზეც იგი წლების განმავლობაში მუშაობდა, პირველი შედეგები სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა და ფრაგმენტები უფრონაღ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზეც გამოქვეყნდა.

აქ არის ახალი მასალაც, ახლებური თვალთაც არის დანახული ნიკო ნიკოლაძეც, იმ ეპოქის შესახებ ცნობილი ფაქტებიც, იმდროინდელი ფონიც იხატება საზოგადოებრივი ყოფისა და შესანიშნავ პოლიტოლოგიურ შეფასებადაც წარმოგვიდგებაო, — ესეც როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა შეხვედრის დაწყებისას, ვიდრე სიტყვას მომხსენებელს **ნიკო ვახანიას** გადასცემდა.

— კიდევ კარგი, რომ დუელამდე იტირა და არა დუელის შემდეგ, — შეფარული იუმორით ამბობს როსტომ ჩხეიძე თავის ნიგნში „დუელიანა“ სეკუნდანტ სიმბორსკის შესახებ, ცრემლები რომ წასკდენია — ამ ორთაგან რომელიმე რომ შეეწინოს, რა გვეშველებაო.

ერთი ილია ჭავჭავაძე იყო, მეორე — ნიკო ნიკოლაძე, ორი მოღვაწე ადამიანი, ორი კაცი-სახელმწიფო, ქართველი ერი წყალობად რომ უთვლის უფალს XIX საუკუნეში.



ვაჟა შუბითიძე

დუელის ამბავს თავის გამოსვლაში **ნიკო ვახანია** გაიხსენებს და დასძენს:

— ილიას თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო, მაგრამ ზოგჯერ ისინიც კამათობდნენ, არ ერიდებოდნენ საკუთარი აზრის გამოთქმას, ძალიან აფასებდნენ ერთმანეთს, თუმცა... დუელს მაინც ვერ ასცდნენო.

ნიკო ნიკოლაძე კი, მართალია, არ არის ქართველი საზოგადოებისათვის უცნობი მოღვაწე, მაგრამ სათანადოდ დაფასებული ჯერაც არ გახლავთ, ამიტომაც, ქალბატონი ნინოს თქმით, ასეთი ნიგნების გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ნიგნი საყურადღებოა იმიტაც, რომ ავტორს თემატურად დაუღაგებია ის ყველა დროში საჭირობოროტო საკითხები, რომელთა შესახებაც აზრი გამოუთქვამს მე-19 საუკუნის პუბლიცისტს და დღემდე აქტუალური რჩება. ასევე კარგად ჩანს მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა, რაც მაშინ ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან მათ არ ჰქონდათ ის ფუფუნება, რომ მარტო ლიტერატურული საქმიანობით შემოფარგლულიყვნენ — პოლიტიკოსებიც უნდა ყოფილიყვნენ, ეკონომისტებიც, ფილოსოფოსებიც და საქმიანაც ელვანათ... და ქალბატონი ნინო კიდევ გამოარჩევს ნიკო ნიკოლაძის შედეგულებებს, დღევანდელ რეალობაშიც მტკივნეულ პრობლემებად რომ იკვეთება. საუბრის დასაწყისში ქალბატონმა ნინომ რამდენიმე შენიშვნაზეც გაამახვილა ყურადღება:

— ვაჟა შუბითიძე შესავალში პუნქტობრივად ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომლებიც წამოიწია და გადაწყვიტა ნიკო ნიკოლაძემ და მისი მასშტაბისა და ადგილის გამოსაკვეთად საკამათო დასკვნას გვთავაზობს: „იგი მთელი თავით მალა იდგა თავის თანამედროვეებზე (მათ შორის ილიაზე, აკაკიზე, იაკობზე, არჩილ ჯორჯაძესა და სხვებზე)“, თუმცა იქვე, იმავე გვერდზე, მომდევნო აბზაცში ვკითხულობთ ჩემი აზრითაც სწორ თვალსაზრისს: „მისი ადგილი კი უეჭველად არის ილიას გვერდით და არა მის შემდგომ ან სხვათა ჩამონათვალში“.

აქვე ავტორი იმედოვნებს, რომ ნიკო ნიკოლაძეს წმინდანად შერაცხავს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ისევე, როგორც ივანე ჯავახიშვილს, ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთელს. ეს საკითხი, ჩემი მცირე კომპეტენტურობის გამო, ცხადია, ჩემი გადასაწყვეტი არ არის, თუმცა მიმაჩნია, რომ ამგვარ თემებს უფრო ფრთხილად უნდა მოვეციდოთ და მანკვადმანკ წმინდანობა არ უნდა განაპირობებდეს დიდ მიღწევანეთა სათანადოდ დაფასებასო.

მოვსვენებელმა ყურადღებით საუბრა ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ მრწამსზეც და აღნიშნა, რომ ილიას მსგავსადვე, ნიკო ნიკოლაძეც მომხრე იყო წოდებათა შორის მოწესრი-

გებული ურთიერთობებისა (თხისა და მგლის თეორია), თუმცა ერთხელ თავმოყრილი ციტატები მისი სხვადასხვა დროს გამოთქმული შეხედულებებიდან გვარნმუნებს, რომ იგი უფრო კონსერვატორია, ვიდრე ლიბერალი ან დემოკრატი, როგორც თვითონ მოიხსენიებდა თავს. მას მართებულად მიაჩნდა, რომ თაობათა ბრძოლა, მომდევნოს მიერ წინა მონაგარის უარყოფა, უცხო ქვეყნებისადმი გარეგნული, „მაიმუნური“ ნაბაძვის წადილი სწორედ ნიჰილიზმს შეუწყობდა ხელს და არა გამოფხიზლებას, მომავლისათვის შრომასა და ბრძოლას.

— სტრიქონებს შორის აშკარად იკითხება მთავარი მიზეზი ჩვენი დაბეჩავებული მდგომარეობისა — დაკარგული სახელმწიფოებრიობა, რომლის ამოგებაც გახდებოდა წინსვლის, ზრდისა და განვითარების საფუძველი, ოღონდ ნიკო ნიკოლაძე ზომიერების, განსჯის, ანონ-დანონის მომხრეა და წინააღმდეგია წინასწარ დასამარცხებლად განწირული ბრძოლის წამოწყებისა — უკიდურესობა, მცირე ძალებით შებმა გაცილებით ძლიერ მონინააღმდეგესთან უგუნურებად მიაჩნია. ქართველ ხალხს ნიმუშად და მაგალითად ლაიომ კოშუთის ბრძოლას კი არ უსახავდა, არამედ ფერენც დეაკის ზომიერ ტაქტიკას — მხოლოდ კანონების გზით მშვიდობიანად ვცადოთ ჩვენი უფლებების აღდგენა.

ქალბატონი ნინოს თქმით, ვაჟა შუბითიძე საგანგებოდ გამოარჩევს ნიკო ნიკოლაძის შეხედულებებს ეროვნული იდეოლოგიის აუცილებლობაზე, პროფესიონალიზმის ნაკლებობასა და დილექტანტიზმზე — საუკუნე-ნახევრის წინათაც ქართული რეალობის აღმამფოთებელი ნაწილი რომ ყოფილა — ერის ხელმძღვანელის მნიშვნელობაზე, სახელმწიფოს საფუძვლებსა და ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამხედრო ძლიერების როლზე მის ამოგებაში, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების საჭიროებაზე, საერთოდ, იმდროინდელი რეალობის საფუძვლიან ანალიზზე, რაც კარგად იკვეთება ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაშიც და პრაქტიკულ ღვაწლშიც. ამ პიროვნების მასშტაბურობის ნიმუშად კი მომხსენებელმა მოიყვანა ერთი თავი ამ წიგნიდან — თუ როგორ დაუპირისპირდა ნიკო ნიკოლაძე ძმები ნობელის ნავთობგადაზიდვის მონოპოლიას, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზეც რომ დაიბეჭდა.

— აქ მართო ის კი არ არის საყურადღებო და მნიშვნელოვანი, როგორი გონიერი, ალღოიანი, შეუპოვარი და გაბედული გახლავთ ქართველი პუბლიცისტი, არამედ უფრო ის, რომ ბრძოლამ შედეგი გამოიღო და მან შეძლო ამის გაკეთება...

საერთოდ, ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაზე დაყრდნობით, ბატონი ვაჟა ისეთ საჭირობოტო საკითხებზე მსჯელობს, რომ ყველა მათგანის საფუძვლიანი ანალიზი შეუძლებელია და ეს არც არის ამჟამად ჩვენი მიზანი.

წიგნის ყოველ გვერდზე ახალი თემა ჩნდება, ახალი აზრი იბადება, საკითხთა წყება ისეა ჩარიგებული, რომ თითოეულს ღრმა ჩაფიქრება, მთელი სიგრძე-სიგანით გაზომვა სჭირდება, ნიკო ნიკოლაძის მონოდებული მზა და სწორი დასკვნები კი უდავოდ გასათვალისწინებელია. XIX საუკუნის მოღვაწისა და მოაზროვნის მემკვიდრეობიდან ამოკრებილი, ერთად თავმოყრილი, თემატურად დალაგებული, ახალი მასალით შევსებული და კარგად გააზრებული ეს წიგნი კი სახელმძღვანელოდ გამოადგება ყველა პოლიტიკოსს, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ერის სულიერი მამის — ილიას — თანამოაზრე გახლდათ, ძალიანაც რომ აფასებდნენ ერთმანეთს და ძალიან ფასეულნიც რომ არიან ქართველი ერისთვის და კიდევ კარგი...

კიდევ კარგი, როგორც როსტომ ჩხეიძე ამბობს, სეკუნდანტმა სიმბორსკიმ ამ ორი დიდი მოღვაწის დუელამდე იტირა და არა დუელის შემდეგო...

თუ ვინმეს მიუძღვის წვლილი ნიკო ნიკოლაძის სახელის პოპულარიზაციაში, ერთ უპირველესთაგანს **დალი ჩიკვილაძეს**, ვინც არა მხოლოდ მონაწილეა ამ მოღვაწისადმი მიძღვნილი კონფერენციებისა, არამედ მათი თაოსანიც, არაერთი გამოკვლევაც აქვს მის შესახებ და რედაქტორიც გახლავთ ნიკო ნიკოლაძის ნაწერებისა. ამიტომაც შეხვედრაზე ქალბატონი დალის გამოსვლა გამორჩეულად საგულისხმო იყო.

— ბევრი კითხვაც გამიჩნდა, ბევრნაირი ცნობისწადილიც დავიკმაყოფილე და ის სამუშაოც გავაცნობიერე, რაც ბატონ ვაჟას ჩაუდია ამ წიგნში. არცერთი ფაქტი, არცერთი ციტატა ჩემთვის უცხო არ არის, რადგან ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას 50 წელი მოვანდომეო, — თქვა ქალბატონმა დალიმ და მას შემდეგ, რაც ნიკო ნიკოლაძის პირადი ცხოვრების დეტალებიც გავაცნო და მის ოჯახურ ცხოვრებასა თუ შვილების ტრაგიკულ ბედისწერაზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ ამ წიგნში კარგადაა თავმოყრილი მასალები, ნიკო ნიკოლაძე კი წარმოჩენილია როგორც ქართველი გეოპოლიტიკოსიც, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს ადგილი ევროპაში: რა როლიც გენუამ შეასრულა იტალიაში, ის უნდა გააკეთოს საქართველომ აზიასა და ევროპას შორისო.

ქალბატონმა დალიმ საუბრისას ნიკო ნიკოლაძის კვლევის საქმეში დავით გამეზარდაშვილის ღვაწლაც გამოარჩია, ვისი თაოსნობითაც დაიწყო ამ მოღვაწის შრომათა მრავალტომეულის გამოცემა. შემდეგ კი რამდენიმე კეთილი შენიშვნაც მისცა ბატონ ვაჟას:

— ჩემი აზრით, წიგნში სათანადოდ არ ჩანს ნიკო ნიკოლაძის საგანმანათლებლო პოლიტიკა, არადა, ყველაფერს განათლების გარშემო აკეთებდა, მაშინაც — 60-იან წლებში — როცა ასპარეზზე გამოვიდა და XX საუკუნის ოციან წლებშიც, როდესაც, როგორც დიპლომატს, ნოე ჟორდანიას მთავრობამ სრული უფლება მისცა, ყველა უცხოელ ინვესტორთან დამოუკიდებლად გაეფორმებინა ხელშეკრულება.

ნიკო ნიკოლაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ტყიბულის ქვანახშირისა თუ ჭიათურმარგანცის მრეწველობის განვითარებაშიც და იმაშიც, რომ ეს სიმდიდრე მთლიანად უცხოელებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

წიგნის ავტორს არ გაუთვალისწინებია ლეილა ჩიქოვანის გამოკვლევა, ერთ-ერთი პირველი ნაშრომი ნიკო ნიკოლაძის ბრძოლაზე ნობელისა და ბაქოს კონცერნის წინააღმდეგ, რასაც, ფაქტობრივად, წიფის გვირაბის გაყვანა მოჰყვა.

ბატონ ვაჟას არსად ახსენებს. შამშე მეგრელაძის ორგანეულსაც „ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარება“, რომელშიც კარგად იხატება ნიკო ნიკოლაძის ღვაწლიც ამ კუთხით. მე ხომ საერთოდ არ გავხსენებვარ... მართალია, განსაკუთრებული რეგალიები არ გამაჩნია, მაგრამ ვარ ადამიანი, რომელმაც წლები უძღვნა ნიკო ნიკოლაძის სახელის პოპულარიზაციას.

და კიდევ:

ჩემი აზრით, წიგნში მოყვანილი ციტატები, ცოტა არ იყოს, დიდია. აჯობებდა ავტორს უფრო მეტად საკუთარი მსჯელობა შეეთავაზებინა მკითხველისთვისო.

ნიკო ნიკოლაძის ფენომენზე, როგორც „პრაქტიკოს ერუდიტზე“ **ლია კარიჭაშვილმაც** ისაუბრა და აღნიშნა, რომ საკითხები, რომლებსაც ის შეეხო — იქნება ეს იმ თაობათა შორის დამოკიდებულება, საზოგადოების აღზრდა, სახელმწიფო მართვის მოდელი, ქვეყნის მეთაური, სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თუ სხვა — დღესაც საოცრად აქტუალურია. ის ღია და ზუსტი პარალელები, რომლებსაც წიგნის ავტორი თანამედროვეობასთან ავლებს, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ისტორიული ვითარებით იყო ნაკარნახევი, არამედ ის ჩანვდა ზოგად პრინციპებს, კანონზომიერებებს, რომლებიც მოქმედი და საყურადღებოა ყველა დროში.

მისი მსჯელობა გაჯერებულია ცოცხალი, თვალსაჩინო მაგალითებით ევროპის ქვეყნების ისტორიიდან თუ მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პროცესებიდან. ამ ადამიანის მსოფლმხედველობაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ მას დაძლეული აქვს პატარა ერის შვილის კომპლექსი, შორს არის ყოველგვარი ნიჰილიზმის უკიდურესობებისა და ბრმა მიმბაძველობისგან. საზოგადოებრივი განვითარების უცხოური, თუნდაც ეფექტური მოდელების გადმოღება ქართულ სინამდვილეში მხოლოდ მაშინ მიაჩნია გამოსავლად, თუ ეს არ ჰყოფნის სათანადო რესურსები, შექმნას თავისი. „როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს, მას რა მოერგება და რა მოუხდება საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია, ის მოძღვრება, რაც მას სჭირდება, თვითონვე უნდა შექმნას, მეორეც, თუ ამისთვის ჭკუა-გონება არ ჰყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება“.

ნიკო ნიკოლაძე ზუსტად ხედავს ქართული საზოგადოების მანკიერ თვისებებს, რომელთა შორის არის ეროვნული ნიჰილიზმი, რადიკალიზმი, ავტოკრატიული აზროვნება, დილეტანტიზმი, დისციპლინისა და შრომის კულტურის დაბალი დონე. ამ ყველაფრის დაძლევა მას შესაძლებლად მიაჩნია დიდი შრომის, სწორი აღზრდის, განათლებისა და ზნეობრიობის საფუძველზე. ნიშანდობლივია, რომ იგი პროფესიონალიზმის აუცილებელ კომპონენტად პატიოსნებას მიიჩნევს.

ნიკო ნიკოლაძის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის უმთავრესი მიზანია, ყველა სოციალურმა ფენამ ცხოვრების ყოფით დონეზე იგრძნოს ადამიანად ყოფნის პატივი, მთლიანობაში — ერთად ყოფნის ბედნიერება, და გააცნობიეროს, რა ძალისხმევა სჭირდება ამ ყველაფრის შენარჩუნებას, განვითარებას და იმ კონდიციამდე მიღწევას, რომ სხვა ერთათვის იყოს საჭირო, იმსახურებდეს ინტერესს, პატივისცემას და არა მხოლოდ თანაგრძნობას.

ვაჟა შუბითიძის წიგნი კიდევ ერთი წარმატებული ცდაა ნიკო ნიკოლაძის ღვაწლის წარმოჩენა-პოპულარიზაციისა. თანამედროვე საზოგადოებას და მითუფრო ახალგაზრდა თაობას წაადგება მისი ნააზრევის გაცნობიერება. ზოგადად, სტიმულის მომცემია ცოდნა იმისა, რომ არსებობს ამ ტიპის ქართველი, ასეთი ქმედითი, აქტიური და მრავალმხრივი. მისი ცხოვრება „ტალანტის გამრავლების“ თვალსაჩინო ნიმუშია.

— თავის დროზე პიკასომ და კუბიზმის მიმართულებამ დაარწმუნა ადამიანები, რომ შეიძლებოდა სხვა კუხითაც შეეხედათ მოვლენებისათვის.

ნიკო ნიკოლაძეც ახლებურად არის დასანახი, რადგან არა მხოლოდ ბრწყინვალე ეკონომისტი, კარგი პოლიტოლოგიც გახლდათ, — ასე დაიწყო თავისი სიტყვა **ვაჟა შუბითიძემ**, ვისი თქმითაც XX საუკუნის მოვლენები სწორედ ისე განვითარდა, როგორც ათწლეულების წინათ განეჭვრიტა ქართველ მოღვაწეს — მსოფლიოში სამი ქვეყანა დანიშნულყოფილიყო — რუსეთი, ამერიკა და იაპონია, ეს ხმაურიანი XX საუკუნე კი რუსეთ-ამერიკის დაპირისპირების ეპოქად ქცეულიყო.

ნიკო ნიკოლაძეს არაერთი საინტერესო კონცეფცია ჩამოეყალიბებინა პოლიტიკურ ლიდერებზე, პარტიულ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეფორმებზე, სწორედაც პრაგმატული ხედვა რომ გამოარჩევდა, საქმეთაგან კი მარტო სარკინიგზო პროექტების განხორციელება რად ღირს, რომ აღარაფერი ვთქვათ რიკოთის გვირაბის მშენებლობაზე, უახლესი ტექნოლოგიების დამკვიდრებაზე, წყალსადენის, კანალიზაციისა თუ ელექტროფიკაციის პროექტთა განხორციელებაზე...

საქართველოს სამომავლო გეოპოლიტიკური როლიც განეჭვრიტა მსოფლიო ასპარეზზე — ის, რაც დღეს ასეთი აქტიურია ჩვენთვის, ხშირად საბედისწეროც კი — ჯერ კიდევ 1918 წელს გერმანიაში ყოფნისას საგარეო საქმეთა მინისტრთან აღნიშნა, რომ საქართველო არის უმოკლესი გზა ევროპიდან აზიაში და ამ ფრაზით კიდევ განსაზღვრა მისი მომავალი ადგილი მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში, ფოთის ევროპული რანგის საპორტო ქალაქად გადაქცევით კი ეს ყველაფერი დაანახა კიდევ მსოფლიოს — მან გაჭრა ფანჯარა საქართველოსა და ევროპას შორის, რუსეთის გვერდის ავლით.

— რეველუციის მოყვარული ქართველები ვერ შეაჩერა, მაგრამ განვითარების საუკეთესო პერსპექტივად ევოლუციის გზა დაუსახა და კიდევ შეძლო, საქმით ეჩვენებინა ეს თავისი ქვეყნისათვის.

ნიკო ნიკოლაძე ყველაზე ცნობილი სახელი იყო ევროპაში ქართველთაგან. ილიას, აკაკისა და სხვებს ასე კარგად იქ არ იცნობდნენ, მას კი კავშირი ჰქონდა ევროპელ ელიტასთან, მათ შორის პოლიტიკურთანაც, პირადად იცნობდა როტშილდებს, ნობელებს... ვიქტორ ჰიუგოს დასაფლავებაზეც კი ჩავიდა.

მისი მასშტაბური აზროვნების დასტურია ისიც, რომ ჯერ კიდევ 130 წლის წინათ დაწერა უნიკალური გამოკვლევები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და პოლიტიკურ ლიდერთა შესახებ.

ილიამ სტატიაში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ ადამიანის ხუთი ტიპი გამოყო: ზოგადკაცი, ერისკაცი, თემისკაცი, გვარისკაცი და ოჯახისკაცი.

ნიკო ნიკოლაძე ხუთივეს აერთიანებს.

სწორედ ამიტომ, და კიდევ ბევრი რამის გამოც, დღევანდელ საქართველოში მას სათანადო ადგილი აქვს მისაჩენი.

მანანა გაბაშვილი მიიჩნევს, რომ ნიკო ნიკოლაძის ღვაწლის შეფასებისას უწინარესად გასათვალისწინებელია ის ეპოქა, რომელშიც იგი წერდა და აკეთებდა მამულიშვილურ საქმეებს — ეს იყო დაპყრობილი ქვეყნის პირობები.

საბედნიეროდ, ამ ეპოქას არაერთი ღირსეული ქართველი მოვლენოდა, ცნობილნიც და ნაკლებადცნობილნიც, განათლებითაც რომ გამოირჩეოდნენ. მათ შორის ქალბატონი მანანა გაიხსენებს დიმიტრი გიორგის ძე შარვაშიძესაც, ილიას მეგობარს, ძალიან დიდი როლი რომ შეუსრულებია აფხაზეთის შენარჩუნების საქმეში.

ამიტომაც ნიკო ნიკოლაძე ქალბატონი მანანასთვის კრებითი პიროვნებაა და გამოხატავს იმას, თუ რა სურდა და რა სჭირდებოდა მაშინდელ ქართულ საზოგადოებას.

— იგი ილიას სწერდა:

— ჩემი მოღვაწეობა ერთია, მაგრამ შენ როგორ მიიტან ამას ხალხამდე, რომელიც ასე გისმენს, აი, ეს არის ჩვენი კავშირის დიდი აზრი და მნიშვნელობაო.

თუმცა გაივლის წლები, ათწლეულებიც კი, და მის სამშობლოში ყველაფერი საპირისპიროდ გაკეთდება — ის, რომ საკუთარ თავს უნდა ეყრდნობოდე, უნდა გქონდეს ეროვნული, სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა და ქვეყნის სიძლიერისათვის უპირველესად შენი წარმოება უნდა შექმნა, პირიქით შეაბრუნეს, და თუ ნიკო ნიკოლაძე დაპყრობილ ქვეყანაში აკეთებდა აქცენტს განათლებაზე, მეცნიერების განვითარებაზე, პროფესიონალიზმსა და ეკონომიკურ ძლიერებაზე, თავისუფალ საქართველოში ეს ყველაფერი დაამხეს.

თქვენ აღნიშნეთ, ეროვნულ მოძრაობას რომ გაეთვალისწინებინა მისი ნააზრევი, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდაო. ასე არ არის საქმე, ბატონო ვაჟა. თვითონ ნიკო ნიკოლაძისათვის უცხო ხომ არ იყო თავისი ნააზრევი, მაგრამ კინაღამ დაიჭირეს... ძალიან კარგი წერილი გამოაქვეყნეთ „ჩვენს მწერლობაში“, საინტერესო აქცენტებით, ოღონდ მინდა

გითხრათ, რომ სწორედ ეს იყო ეროვნული მოძრაობის პროგრამა, სწორედ ეს გამოგვაცალეს ხელიდან, მეტიც: ამ ყველაფრის გაკეთება რომ გვინდოდა, იმიტომაც დაგვამხეს. არც მიკვირს — ისინი, ვინც 1992 წელს მოვიდნენ, სხვის დაკრულზე ცეკვავდნენ და ნიკო ნიკოლაძე და მისი ნააზრევი — აი, ის, საკუთარ თავს რომ უნდა გვეყრდნობოდეთ — აბა, რაში სჭირდებოდათ!

ეროვნულად და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს კი, ზნეობრიობაზე რომ არიან ორიენტირებულნი, დღეს ყველა ქვეყანაში უჭირთ — ევროპაშიც, ამერიკაშიც და სხვაგანაც, რადგან დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ გაუნათლებლობაა. ჩვენ კი მემკვიდრეობად გვაქვს ასეთი სიბრძნე, დიდ მოღვაწეთა ნააზრევის სახით, და აქამდე თუ ვერ გამოვიყენეთ, იქნებ მომავალში მანც დავეყრდნობთ.

პროფესორი ქეთევან ჯიჯეიშვილი როსტომ ჩხეიძეს დაუდასტურებს, რომ ვაჟა შუბითიძის ამ წიგნს თვითონაც პოლიტოლოგისეულ შეფასებად მიიჩნევს და მანანა გაბაშვილს გამოეხმაურება:

— ჩვენ მართლაც ბედნიერი ვართ, რადგან არაერთი მოღვაწე პიროვნება გვყავდა, თუმცა კი პირადად მე არ მეგულება პოლიტიკოსი, ასეთი სისტემური რეკომენდაციები, კონცეფციები და სამოქმედო პროგრამა ჰქონოდა ჩამოყალიბებული სახელმწიფოს განვითარების ძირითადი ორიენტირებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ. მან საოცარი სიზუსტით შეძლო პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების არა მხოლოდ განჭვრეტა, არამედ პერსპექტივების გააზრებაც.

ნიკო ნიკოლაძე ევროპულ ფასეულობათა პირველი პროპაგანდისტი გახლდათ საქართველოში, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ეს უნდა შერწყმოდა ქართულ სინამდვილეს, ღირებულებებს, ქართველი ხალხის მენტალიტეტს, რადგან მხოლოდ ასე შეიძლებოდა ქვეყნის განვითარება. მან კეინზე გაცილებით ადრე დაასაბუთა თეორია, რომელიც საუკუნის შემდეგ მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განვითარების მესამე გზად აღიარა, რაც კიდევ ერთი დასტურია ნიკო ნიკოლაძის მასშტაბური აზროვნებისა.

ის საინტერესოდ მსჯელობს პოლიტიკურ ორიენტაციაზე, რომელსაც სულაც არ მიიჩნევს მუდმივ კატეგორიად და ჩვენც მზესუმზირებივით პირი იქით უნდა მივაბრუნოთ, საიდანაც მოდის სინათლე, რადგან უპირველესი სწორედ სახელმწიფოებრივი ინტერესი უნდა იყოს.

ქალბატონმა ქეთევანმა თავისი გამოსვლის დასასრულს ვაჟა შუბითიძის მეცნიერული ალლოც გამოარჩია, პიროვნული ღირსებებიც, და ისიც აღნიშნა:

— ამ ყველაფრის გამო მასზე სწორება აქვთ არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ ჩვენც, მის კოლეგებსაცო.

ნიკო ნიკოლაძე ამბობდა თურმე ილიას მკვლევლობის შემდეგ: — ჩვენ ყველას მიგვაჩნდა, რომ ილიაზე ნაკლებნი არ ვიყავით, ზოგს მეტიც გვეგონა თავი და ახლა, როცა ილია აღარ არის, თითოეული ჩვენგანი აცნობიერებს, რომ მისი ადგილი ცარიელიაო.

ილიას ადგილს კი ვერც შემდგომი ათწლეულები შეავსებენ. იქნებ ამიტომაც ეს სახელი, სიამაყესთან ერთად, მუდმივ ტკივილდაც რჩება ქართველი ერისათვის.

იქნებ ამიტომაც არც ის იყო გასაკვირი, რომ მისი სახელის ირგვლივ მსჯელობას ამ შეხვედრაზე ხმაური მოჰყვა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბატონ ვაჟას დარბაზიდან სოციალიზმისა და რუსეთთან ურთიერთობის შესახებ ჰკითხეს, მან კი უპასუხა:

— სხვათა შორის, ნიკო ნიკოლაძე სოციალური სახელმწიფოს მომხრე იყო და არა ლიბერალურის, როგორცაც ილია ესწრაფოდა, ოღონდ სოციალურის არა მაშინდელი გაგებით, არამედ თანამედროვე ევროპული სოციალ-დემოკრატია რომ ეყრდნობა და, როგორც ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, დღევანდელი მსოფლიო განვითარების მესამე გზად მიიჩნევს. ნიკო ნიკოლაძე ევროპული ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობდა საქართველოში. თავიდან, როგორც ყველა ახალგაზრდა, ისიც რადიკალურად იყო განწყობილი, მაგრამ პოლონეთის და ჩერქეზთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ მიხვდა, რომ ეროვნული გრძნობების გადაჭარბებით გამოუმულავნება ისევ საყსაბოში გვიკრავდა თავს, სადაც სისხლი დაუშვრეს ამ ერებს...

სხვათა შორის, ილიაც კი 1896 წელს ნიკოლოზ II სწერს წერილს, ულოცავს ტახტზე ასვლას უქვეშევრდომილესი გრძნობებით, რომელსაც ალბათ პანტელეიმონ გიორგაძე მოაწერდა ხელს, ისეთი მლიქვნელური იყო, რადგან სხვაგვარად არ გამოდიოდა, საქმეს სჭირდებოდა ასე. ამ გზით კეთდებოდა დიდი ეროვნული პროექტები.

ნიკო ნიკოლაძე კი რუსეთთან ურთიერთობაში რეალისტი გახლდათ და ფიქრობდა, რომ თუკი იმჟამად საქართველო რუსეთისკენ გადაინონებოდა, ეს მას უფრო მეტ სარგებელს მოუტანდა და როცა მოვიდოდა დრო და შეიქმნებოდა შესაბამისი პირობები, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ეფიქრათ დამოუკიდებლობაზე.

დამოუკიდებლობას არსებითად არც ილია მოითხოვდა. ის ფრაზა — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუნოდესო“, უფრო ლიტერატურული ფორმულაა...

პაატა ჩხეიძე:

— იქნებ აგვისხნათ ლიტერატურული ფორმულის დეფინიცია? „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუნოდეს“ რით არ არის პოლიტიკური პროგრამა?

ვაჟა შუბითიძე:

— ჩემი აზრით, არც ილიას და არც სხვას პოლიტიკური სამოქმედო გეგმად არ დაუსახავს 1914 წლამდე...

როსტომ ჩხეიძე:

— ეს სწორედაც რომ პოლიტიკური პროგრამაა...

პაატა ჩხეიძე:

— როცა ნიკო ნიკოლაძეზე წერთ შესანიშნავ წიგნს და სიტყვით გამოდიხართ, არ მიმანჩია მართებულად, რუსეთის აგენტს შეადაროთ ქართველი ერის სულიერი მამა...

ვაჟა შუბითიძე:

— არა, კი არ ვადარებ... დიპლომატიურ მიდგომას ვგულისხმობ, ესეც ხომ გაორებაა-მეთქი. არჩილ ჯორჯაძემ ამის გამო გააკრიტიკა ილია, მაგრამ მაშინ ასე იყო საჭირო, სწორად მოიქცა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა.

რაც შეეხება ნიკო ნიკოლაძეს, იგი ამბობდა: პოლიტიკა ძველმოდური შლიაპკა კი არ არის, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია. ტრადიციებითაა გაჯერებული და ვიდრე შავი ზღვის სრუტე ოსმალეთის ხელშია, აღმოსავლეთიდან თათარი გვარტყამს და ჩრდილოეთით რუსეთი, იმ პოლიტიკას ვერ აცდებთ, რომელიც დიდ წინაპრებს დაუმკვიდრებიათ... და ეს რომ ასეა, აგერ უკრაინის მაგალითიც კმარა — მოერია 50-მილიონიანი ქვეყანა რუსეთს?

სწორედ ამ დროს დარბაზში ხმაურმა კიდევ უფრო იმატა, როსტომ ჩხეიძემ კი ვითარება ასე განმუხტა (და კიდევ შეკრა საღამო):

— ამის შესახებ შენიშვნა უკვე მივეცი ბატონ ვაჟას, ეს ხმაური კი იმის დასტურია, რომ რასაც მე-19 საუკუნეში წერდნენ და წუხდნენ ჩვენი დიდი მოღვაწენი, ისევ იქ ვტრიალებთ, ვერ კიდევ ვერ დაგვიღწევია თავი იმ საზღვარსწერო წრისათვის და ნიკო ნიკოლაძეც, მისი ნააზრევიც და ვაჟა შუბითიძის ეს წიგნიც კვლავაც ასე საჭირო და აქტუალურია დღევანდელი ქართული ყოფისათვისო.

დავით წერეთლიანი

ჩანაწერები

როცა საბჭოთა სინამდვილეში ვცხოვრობდი ანუ ეგრეთ-წოდებული თავისუფალი რესპუბლიკის (იხ. თუნდაც საბჭოთა სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი) მოქალაქე გახლდით, ჩემი უპირველესი მოვალეობა იყო, არ დამენახა ის, რაც თვალნათლივია. ახლა, როცა პოსტსაბჭოთა სინამდვილეში ვცხოვრობ ანუ ეგრეთწოდებული თავისუფალი რესპუბლიკის მოქალაქე გახლავართ, ჩემი ძირითადი მოვალეობა უცვლელი დარჩა, — არ დავინახო ის, რაც თვალნათლივია.

ნაწილობრივ, მაგრამ გაცილებით დიდი წარმატებით, მაგასევე მავალებს ცივილიზაცია, რომელსაც ავად თუ კარგად მივეკუთვნები. ასევე ნაწილობრივ და ასევე წარმატებულად მავალებს ეროვნული მრწამსი, რომელსაც დიდწილად ვაღიარებ. და კიდევ იმდენი რამე, ჩამოთვლაც გამიჭირდება. საკუთარი უმეცრება ხომ მავალებს და მავალებს. საოცარია, მაგ ლაბირინთებსა და მირაჟებში რალაც ორიენტაციას მაინც რომ ვინარჩუნებთ. ჯერ არსად გადავჩეხილვარ, მწყინს, მიხარია, ვტირი, ვიცინი, ცოცხალი დავდივარ.

ფილოსოფიის ხელოვნება იმდენად საგნებზე და ცნებებზე არა დგას, რამდენადაც სიტყვებზე და მეტაფორებზე. „სამყარო“, „ყოფიერება“, „ადამიანის რაობა“ — თუნდაც მხოლოდ ამ სიტყვების ცნებებზე კვება რომ მოხერხებოდა, წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რამოდენა ცოდნას ვეზიარებოდით! ფილოსოფიურ ძნელმეტყველებას თუ ცოტა მაინც შეეთვისე, ისეთი დარგია, ჩავითრევეს და კმაყოფილებითაც ჩაჰყვები, მაგრამ, როგორც ათასგზის აღნიშნულა, ნაკითხვის შემდეგ ცხოვრებაზე და ადამიანებზე ზუსტად იმდენივე გეცოდინება, რამდენიც ნაკითხვამდე იცოდი. ნურავის გვეგონება, ცუდი შედეგია. რომანში, მით უფრო კარგ რომანში, ჩაღრმავების შემდეგ, ცხოვრებასა და ადამიანებზე აშკარად ცოტა ნაკლები იცი, ვიდრე იქამდე იცოდი. რაც მეტი რომანი წაგვიკითხავს და ნდობით მოვკიდებივართ, მით უფრო გვიჭირს მარტივ სიტუაციებში გარკვევა, სწორი გადანყვეტილებების მიღება.

ეს არც ხუმრობაა და არც პარადოქსია. ლიტერატურა, განსაკუთრებით კი რომანი, კაცთა მოდგმაზე სრულიად შეუსაბამო წარმოდგენას გვიქმნის, განუზომლად უკეთესს, ვიდრე სინამდვილეში ვართ. ფილოსოფია სამაგისოდ ძალზე განყენებულია. თან განსაკუთრებითაც არ გვეპირფერება.

რომელიღაც თანამედროვე რომანზე აზრი ვკითხე წიგნიერებით გამორჩეულ ერთ ნაცნობს. ითაკილა: — ვგავარ იმ კაცს, რომანებს რომ კითხულობს? ამასვე იტყოდა ძველი ათენის განსწავლული მკვიდრი, ანდა მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგი ესთეტი.



ბუალომ მსახურს „ჟილ ბლასის“ კითხვაზე წაასწრო და იმავე დღეს წიგნიანად მიაბრძანა სახლიდან, რადგან არ სურდა ერთ ჭერქვეშ რომანთან ღამის გათევა. ჩემიც რომ ვთქვა, რალაც ასაკიდან გამონაგონ ლანდებთან ბორიალი სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ მიმზიდველი ხდება. თუ მაინც გადავფურცლავ, მირჩვენია, ისევე ძველ ნაცნობებს მივაკითხო, აბატ კუანიარს, ნატაშა როსტოვას, ტობი შენდის...

რომანის კრიზისზე ჯერ კიდევ როდის ალაპარაკდნენ. თითიდან გამონოვილი პრობლემა გვეგონა. თურმე ატყობდნენ, რა საით მიდიოდა. პოეზიის კრიზისზე უკვე დიდი ხანი იყო, აღარც ლაპარაკობდნენ. „დღეს პოეტებს ნიჭი კი არ დაგვიკარგავს, მაგას კიდევ რა უშავდა“, უთქვამს ჯუზეპე უნგარეტის, „მარტივად, პოეზიის ენა დაიკარგა, თვითონ პოეზია დაკარგეთ“. არადა, კარგ ლექსებს წერდაო, ამბობენ.

„დიდი გალაკტიონი“, ვიტყვით ხოლმე და სრულიად გასაგებია. „დიდი ესა და ეს“, იტყვიან ხოლმე და ყოვლად გაუგებარია. დიდი პოეტი ესა და ეს კი არა, სიტყვასიტყვით დიდი ესა და ეს. გიკვირს, რითი მიაღწია თითქმის არაფრის პატრონმა. რითი და სამშობლო უყვარს. ოლონდ ისე კი არა, როგორც მე და შენ და კიდევ იმას და იმას შეიძლება გვიყვარდეს. რა სათქმელია! სხვაგვარად, სულ სხვაგვარად. საქმე რომ გასაგები გახდეს, კითხვა ასე უნდა დაისვას: ვინ არის, რა პროფესიის კაცია? პასუხი: სამშობლო უყვარს.

გალაკტიონის პოეზიას თურმე სულ ტყუილად ვეჯილდავებით: ოცდამეხუთე საუკუნემდე ძვრას ვერ ვუზამთ, კაციშვილს მისი გაგება არ გვინერია. იქამდე კიდევ რა მოითმენს! ზოგ-ზოგ თავისუფალ ლექსზე გარკვეული შეღავათი გამოგვიცხადეს: აგერ აქვე, უკვე ოცდამეორე საუკუნის დამდეგს ვეზიარებით. ღმერთო, რამოდენა სიხარულია! ეგ არის, ხანდახან ეჭვი გაგვრავს, — ასე დაზუსტებულად საიდან გაისიგრძეგანეს, რაც მხოლოდ საუკუნეების იქით გახდება გასაგები...

თანამედროვე ქართულ პოეზიაში, რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ოცზე მეტი ძირითადი მიმდინარეობა გვექონია, — ორმა თუ სამმა კრიტიკოსმა ცალ-ცალკე გამოაქვეყნა თავ-თავისი ჩამონათვალი.

საგულისხმოა, რომ ჩამონათვალი შორის ერთი დამთხვევაც არ აღმოჩნდა. ყველა მიმდინარეობა სრულიად სხვადასხვა და ზოგი მათგანი, აგრეთვე ჩემდა გასაკვირად, ერთადერთი ავტორისაგან შედგება.

კლასიფიკაციის საერთო პრინციპი ასეთია: „გზაზე ორი ხვლიკი მიდიოდა, ერთი მომწვანო და მეორე მარცხნივ“.

გალაკტიონის მიმართ არაერთხელ გამომიხატავს ჩემი სიყვარული და მონივნება. მაგრამ რის შექმნასაც მისი ფიგურისაგან ვესწრაფით, ზომიერების ფარგლებს აშკარად სცილდება, ეს უკვე კერპები და ამულეტებია.

ქართული ლირიკის ყველა სიახლე, მანამდელიც და მერმინდელიც, უკლებლივ ზედ დაგვიდეთ, ვითომ საკუთარი არ ჰყოფნიდეს. ეგ კიდევ რა მოხდა, რალაც-რალაცები, ქვეყნად არარსებული, ჩვენივით გამოუფგონეთ.

დასავლეთევროპული ლიტერატურის პროფესორი იყო, ზღვაზე გავიცანით, გაუჩერებლად ლაპარაკობდა. უფროსუმცროსობის კვალობაზე სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთ, მორიგეობა დავანესეთ, თითო-თითოდ ვესხედით.

ერთადაც გამოგვიცხადა და თითო-თითოდაც, კარგად დაგვამახსოვრებინა:

— მე შემოძლია, მთელ მსოფლიოს დავუმტკიცო, რომ გალაკტიონის ბადალი პოეტი მეოცე საუკუნეს არა ჰყავს.

მე კი, ჩემდათავად, მაგის სამტკიცებელი ერთადერთი მეთოდი ვიცი: „დედას გეფიცებით“...

ისეთებიც მინახავს, გალაკტიონს რომ გიორგი ლეონიძე ურჩევნია, სხვათა შორის, კარგი პოეტური გემოვნების ხალხი. ეს აქვე, ჩვენს ქართულში.

ქვეყანაზე კი რამდენი ენაა და, შესაბამისად, რამდენი საყვარელი პოეტი ანუ რამდენჯერ რამდენი — „დედას გეფიცებით“...

გიორგი ლეონიძის და ჰყვებოდა, როგორ ჰკითხა ანა კალანდაძეს:

- ჩემი ძმა გირჩევნიათ თუ გალაკტიონი?
- სასიამოვნოდ დამახსოვრებოდა მისი ტაქტიანი პასუხი:
- არიან, ვისაც თქვენი ძმა უფრო მოსწონს...

ერთგან მიწერია, რომ გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას უშუალო გამგრძელებლები არ ჰყოლიათ. მისაყვედურეს, თუ ვაჟას გამგრძელებელი არ ჰყავდა, მაშ, გიორგი ლეონიძე ვინ არისო.

— ლეონიძე ვაჟას გამგრძელებელი...ვთქვით და რითი? რაკი თვითონვე ამბობს?

- თუნდაც.
- მაგას აკი სიმონ ჩიქოვანიც ამბობს.
- სიმონ ჩიქოვანი...
- ერთისა გჯერათ და მეორისა რატომღაც არა? მოდით, სიტყვაზე ნურც ერთს ნუ ვენდობით, ისე ვილაპარაკოთ. ვუთხარი მოკლედ, რასაც ვფიქრობდი.

— რითი ჰგავს ლეონიძე ვაჟას? ხმით? სათქმელთან მიმართებით? ეპიკური ტალანტით? ერთადერთი მსგავსება რაც ვიცი, ხალხური ლექსი ორივეს უყვარდა. მაგრამ ამაში მარტონი ხომ არ არიან? ხმითა და კილოთი, პოეტური აზროვნების უმთავრესი ნიშნებით გრიგოლ ორბელიანთან და ილიასთან ბევრად უფრო ახლოა, ვიდრე ვაჟასთან, თუ მაინცდამაინც ნინაპრები გვინდა გამოუფუძვნოთ.

არ ვიცი, დაიჯერეს თუ არა. შეფიქრიანებით კი აშკარად შეფიქრიანდნენ. გაჩუმდნენ, აღარაფერი უთქვამთ.

გოტფრიდ ბენი, დიდი გერმანელი პოეტი, რომელიც პროფესიით მედიკოსი იყო, გვარწმუნებს, რომ მეცნიერებაც ხშირად მზამზარეული მეტაფორებით გვეკვებავს.

ვთქვათ, დარვინს თურმე უწერია, რომ ესა და ეს მცენარე უდაბნოს ებრძვის და ამარცხებს.

— მეტაფორაა და თან საკმაოდ... როგორ გითხრათ... მაღალფარდოვანი, — ილიმება გოტფრიდ ბენი, — არაფერსაც არ ებრძვის. იმ მცირეოდენ ტენს კმარობს, უდაბნოს პირას რომ არსებობს.

მე აქ პირველ რიგში მაინც პოეტური მეტაფორის ამბავი მაინტერესებს. ძალიან ლამაზი სალექსო მეტაფორა ამგვარსავე უზუსტობაში რომ „ჩაიჭირო“, ისიც ასევე გაუქმდება, თუ მაინც შერჩება პირვანდელი სილამაზე?

ისევ გოტფრიდ ბენი.

ერთგან უცნაურ და შემაფიქრიანებელ რამეს გვეუბნება: „ლირიკაში ღმერთი ცუდი პოეტური ხერხია“. ხაზი ესმება: ღმერთი როგორც პოეტური ხერხი. და არა ღმერთი საერთოდ.

იქნებ ამ სიტყვების ავტორი სახელდებით ვინმეს უტივებს? ვთქვათ, რილკეს ლექსების ნიგნი „ჟამნი“ ხომ არ იგულისხმება? სადაც ღმერთი არსებითად პოეტური აბსტრაქციაა? შესაძლებელია, მაგასაც გულისხმობდეს. მაგრამ არა მხოლოდ.

სიმართლეა? არ ვიცი. ხელალებით უარყოფა ძნელია, გუმანი მთლად უარსაც არ ამბობს. მაგდენი ტექსტის გადამონმებას კი ვინ აუვა. რილკესთან მიმართებაში, არ გამოვრიცხავ, სიმართლესაც შეიცავდეს. ნამდვილი რილკე ამ ნიგნის შემდეგ იწყება.

ყველაზე ხშირად იმგვარი ნაწარმოები შემალონებს ხოლმე, პროზად რომ ჩამოწერ და პროზაა, ლექსად რომ ჩამოწერ და ლექსია...

ლექსის შეფასებას რა უნდა: თუ მეტაფორა ბევრია, ლექსიც კარგია, თუ ძალიან ბევრია, უფრო ძალიან კარგია. მაშ!

თუ ალიტერაცია მკვეთრად ისმის, სტრიქონი ჟღერადია, თუ ძალიან მკვეთრად ისმის, უფრო ძალიან ჟღერადია. აბა! ასეთი რეცენზენტებიც გვინახავს.

არც ცუდი მეტაფორა არსებობს, არც ცუდი ალიტერაცია.

როცა მეტაფორა მეტაფორას მისდევს, ვიღებთ გამოცანების ცხრაკლიტულს: საგნები იკარგება, აღარაფერს თავისი სახელი აღარ ჰქვია.

როცა ალიტერაცია ალიტერაციას მისდევს, ვიღებთ ენის გასატყვის: „თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა“...

რამდენი შედეგია, არც მეტაფორა ეძებნება, არც ალიტერაცია. მხოლოდ პულსი. ვთქვათ და ათასგზის გადათვლილ-გადაჩხრეკილი მაგალითი — პუშკინის „მე თქვენ მიყვარდით“...

კოპერნიკის სისტემა, კეპლერი, მზე ელიპსის ცენტრში... ვიცით, ბატონო, გვისწავლია, ეჭვიც არ გვეპარება... მაგრამ ახსოვს ეს რომელიმე ჩვენგანს, სანამ საგანგებოდ არ ჩაუჟიკრიტდებით? მზე ისევ ისე ამოდის და ჩადის, როგორც კოპერნიკამდე ამოდიოდა და ჩადიოდა. ნამით გაგხსენებიათ რომელიმე პლანეტარული სისტემა, როცა მზე გაცხუნებდათ? ანდა როცა მისი ჩასვლა-ამოსვლით ტკებოდით?

დაბეჯითებით ვამტკიცებ: ჰელიოცენტრიზმს ჩვენს სიღრმეში, ჩვენს შეგრძნებებში ჯერაც არ შემოუღწევია. მით უფრო სილამაზის აღქმაში... მით უფრო სიზმრებში... მოკლედ, მე დღესაც გეოცენტრული არსება ვარ. ვთქვათ, რაღა იქნებოდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მართლა კოპერნიკის სისტემაში რომ ვცხოვრობდით? „ვარსკვლავიანი ცა ჩემ ზემოთ“... თქვენც, დიდო იმანუელე? აკი თქვენ თვითონვე ბრძანებდით: პლანეტარულ სისტემაში ზემო და ქვემო არ არსებობს...

ერთი ცნობილი მწერალი მეუბნებოდა, წინასწარვე ვაცხადებ, არ ვეთანხმები: — მიხეილ ჯავახიშვილს ქართველები არ უყვარდა. ალბათ ბავშვობის მწარე მოგონებები... ოჯახზე ყაჩაღების საზარელი თავდასხმა... უშიშმესი განცდები... თათრები კი დანამდვილებით უყვარდა, სსენებისთანავე თვალზე ცრემლი ადგება, ყველა საშუალებით ცდილობს, ჩვენც შეგვაყვაროს. ესეც ალბათ ბავშვობის მოგონებებია. ვიმეორებ, კატეგორიულად არ ვეთანხმები. მაგრამ თან რაღაცა მომწონს ამ ნათქვამში...

მუყაოსაგან გამოჭრილი ბრტყელი და ერთბაშისაგან კარიკატურები ზოგჯერ ორიგინალური ტიპები და ხასიათები გვგონია. თუ მოხდება და ავტორი მათ რაღაც იდეასა და ღრმა აზრებს აპკიდებს, ვერ უძლებენ. იფხვნებიან ანდა ემოციურად სულ სხვა მხარეს გარბიან — „ჯაყოს ხიზნები“. მიხეილ ჯავახიშვილის, დიდი მწერლის, ავტორიტეტი რომ არა, ამ წიგნს ალბათ უფრო კრიტიკული თვალით შევხედავდით. ბევრი რამის თქმა შეიძლება, არგუმენტებისაც და კონტრარგუმენტებისაც, ოღონდ ახლა მაგაზე ლაპარაკს არ ვაპირებ. ლუარსაბ თათქარიძეც თითქოს კარიკატურად არის ჩაფიქრებული, მაგრამ თანდათან — ძნელი მოსახელთებელია, როგორც და საიდან — სიტბო ჩნდება, სიტბო და, შესაძლოა, ცოტა სიყვარულიც. მოკლედ, სულ სხვა ემოციური განზომილებაა.

ფოლკნერის მოულოდნელობებით სავსე პოეტიკამ, მისი თხრობის განსაკუთრებულმა მანერამ, შეუძლებელია, ფიქრში არ შეგვიყოლიოს. ხშირად მომჩვენებია, რომ მისი წიგნიერების დონე ძალიან მაღალიც არ უნდა იყოს. ერთგან ასეთ რამესაც ნავანყვდი: კოპერნიკის სისტემის ავტორობას ნიუტონს მიაწერს.

კაცმა რომ თქვას, ძალიან ძნელი ასახსენელიც არ არის, — მთელი მისეული სამყარო, ჯეფერსონიდან კოსმოსამდე, აბსოლუტურად ინგლისურენოვანია.

იაპონიაში ჩასული რაღაც პარადოქსულ, ნაუცბათევად გამოგონილ აზრს გამოთქვამს იაპონური ლიტერატურის არსზე. იაპონელები შეძრწუნებულები (ან, შესაძლოა, გაღიმებულებიც) უსმენენ. ხოლო დაჟინებით დასმულ შეკითხვაზე, თუ რომელი იაპონელი ავტორი ნაუკითხავს ან თუნდაც სმენია, პასუხს არანაკლები დაჟინებით გაუბრძნის. ჩანს, იმისთვისაც არ გარჯილა, რომ ზარ-ზეიმებით დახუნძლული ვიზიტის წინ ორი იაპონელი ავტორის სახელი და გვარი დაემახსოვრებინა.

მაგრამ ეს იქით იყოს.

რასაც ახლა ვიტყვი, მხოლოდ თამამი ვარაუდი შეიძლება დაერქვას. ღრმა ინგლისურის გარეშე, მით უმეტეს, მხოლოდ თარგმანებიდან, ამას ვერანაირად ვერ მიხვდები.

ჩემი გუჟანით, წერს სრულიად თვითნაკეთი ენით, რადგან სხვა არ გააჩნია. შიგ ჩახლართული მნიშვნელოვანი ტონი და უაღრესად ორიგინალური სათქმელი ამ ენას თავისებურ მომხიბვლელობას ანიჭებს. მაგრამ მისი საშუალებით მრავალსართულიანი ქვეწყობილებიდან უფათერაკოდ გამოიღწევა ძნელად წარმოიდგინება. ჭირს ხოლმე, დროდადრო ძალიან ჭირს მათგან აზრის გამოტანა, მიუხედავად მთარგმნელების დიდი რუდუნებისა. ამოსაცნობი აზრი კი არც თუ იშვიათად დაახლოებით ასეთია: ჯეინმა ჯონს, დილა იყო, თუმცა არა, მთლად დილაც არ ეთქმოდა, ერთი ფინჯანი რძე მიუტანა...

არა მგონია, ეს ამბავი რითიმე აზარალებდეს. პირიქით, მის განსაკუთრებულობას, ვფიქრობ, კიდევ უფრო ცხადად წარმოგვიჩენს. სრულიად უნიკალური მწერალია.

ერთხელ რომელიღაც ამერიკულ რომანს ვკითხულობდი, ამხანაგი მესტუმრა. მთელი ორი გვერდი ნაუჟიკითხე მოწონების ნიშნად. დიდი ალტაცება ვერ შევატყვე.

— არ მოგეწონა?

— კი, როგორ არა. მაგრამ მოდი, ასეთი რამ სცადე. ეს უცხოური სახელ-გვარები გუნებაში ქართულით შეცვალე და თვალი ისე გადაავლე. საინტერესოა, დაგრჩება იგივე შთაბეჭდილება თუ არ დაგრჩება?

კი, შთაბეჭდილება მაინც მაღალი იყო, მაგრამ ის ორი გვერდი, მაგ წესით ნაკითხული, ვერ დავმაღავ და, ცოტა უფრო მოყალობო მეჩვენა, უფრო გაჭიფხული.

ამერიკელ მწერლებს, ვინც მე წამიკითხავს, ცოტად თუ ბევრად ყველას სჭირს ეგ სენი, მარკ ტვენის გამოკლებით: რაღაც მეტისმეტად ვაჟკაცები არიან.

არტურ რემბოს აქვს ერთი უცნაური ციკლი, ლექსები პროზად, სადაც სიტყვები ნებაზეა მიშვებული. საერთო სახელწოდებაა: „ილუმინასიონ“, განათებანი თუ გასხვიოსნებანი. გარე განათებაზე არაა ლაპარაკი, ნათელხილვა იგულისხმება. იქ არის ასეთი ტექსტი, სათაურით „დემოკრატია“, ეგვეც უცნაური ტექსტია, მაგრამ, გამონაკლისის სახით, ერთმნიშვნელოვნად გასაგები: „ალიმართოს ბაირალი ჩაბინძურებულ პეიზაჟზე და ჩვენი კილოკავები დაფდაფმა გადაფაროს.“

ქალაქებში დავენერგავთ ყველაზე ცინიკურ პროსტიტუციას. გარდაუვალ ამბოხებებს სისხლში ჩავახრჩობთ.

გეზი — იმ ქვეყნებისაკენ, სადაც პილპილია და სინოტივე. ურჩხულებრივი ექსპლუატაციისაკენ, ინდუსტრიული იქნება თუ მილიტარული.

ხელახალ შეხვედრამდე აქვე ანდა, სულერთია, სადაც. მოხალისე რეკრუტები ფილოსოფიად ვიქცევთ მომხვეჭელობას. სწავლით უმეტესად ჯანს დავდებთ კომფორტისათვის. მომავალ ქვეყნიერებას სულიც ამოხდენია. პროგრესის გზაზე — წინ! ნაბიჯით იარ!”

დანერვილია 1873 წელს, თვრამეტი წლის ყმანვილის მიერ. ვინ მტყვევს, მართლა მომავლის ხილვას თუ მხოლოდ პოეტური ჩვენება? დიდი პოეტია, მაგრამ ერთი დიდი ახირებაც ჰქონდა, — ნათელხილვებზე იყო გადაგებული.

ჰგავს, არა?

კლასიკური ანუ ანტიკური ხანის დემოკრატია სოციალიზმისა და მონათმფლობელობის ნაზავი იყო.

დღეს? დღეს როგორღა? ისევ ისე?

ევროპამ, მას შემდეგ, რაც კოლონიები დაკარგა, აზიელები და აფრიკელები უკვე შინ შეისახლა.

ესეც ნიშანდობლივი შტრიხია, თუმცა არამთავარი.

სადაც ნავიკითხე, ძველ მონებს თურმე გაცილებით მეტად უფრთხილდებოდნენ, ვიდრე დღეს უფრთხილდებიან დაქირავებულებს: საკუთრება იყო და ფასი ჰქონდა.

უფრო აღმოსავლეთით ფეოდალური ტრადიციები ჭარბობს, ყოველგვარი მმართველობა ერთმმართველობით რომ უნდა დამთავრდეს.

ჩვენმა ორმა პრეზიდენტმა მეფედ კურთხევის საეკლესიო ცერემონიალი გაგვიმართა. ძალზე უტიფრად, სხვათა შორის. არავინ აღშფოთებულა. როგორც ჩანს, გულისგულში კვლავაც თვითმპყრობელ ხელმწიფეს ვეტრფიალებით კონსტიტუციურს კი არა, სწორედაც თვითმპყრობელს.

ზემოთ სიტყვა „შტრიხი“ ვახსენე და ერთი შემთხვევა წამომავონდა. ქართულში ეს სიტყვა ბენჯეზა გადარჩენილი.

ჩვენმა რამდენიმე გერმანისტმა ერთ მშვენიერ დღეს რატომღაც მოინადინა, რომ გერმანული რბილი „ხ“ ქართულში „ჰაედ“ გადმოსულიყო, თუმცა არსებითად „შ“ ბგერასთან უფრო ახლოა, ვიდრე „ჰ“ ბგერასთან. გარდა ამისა, გერმანელებიცა და ქართველებიც სიტყვის ბოლოს „ჰ“ ბგერას მხოლოდ გაჭირვებით წარმოთქვამენ, თუკი საერთოდ მოახერხეს წარმოთქმა. არის კიდევ სხვა უხერხულობანი, მაგრამ რაკილა ამგვარი გადმოტანები ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, შუბების მსხვერველს არ დავინყებ, „შტრიხის“ ამბავს მოვყვები.

ორმა ჰაე-გერმანისტმა თავიანთი წამოწყების დასამკვიდრებლად „მნათობში“ სტატია მიიტანა, სადაც ყოველ აბზაცში ან „მიუნჰენი“ და „ციურიჰი“ ეწერა (ვითომ ეს „იუ“ მართლა გერმანულ წარმოთქმას ასახავდეს) ან „ჰაინრიჰი“, „ფრიდრიჰი“ თუ სხვა ამდაგვარ-ამისთანები, თვალი და ყურით რომ შესჩვეოდა.

ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა, სანამ ტექსტიდან „შტრიჰი“ არ ამოტყურა. აქ კი რედაქტორმა, გიორგი ნატროშვილმა, გამორჩეულად კარგმა მოქართულემ, დაბეჯითებით განაცხადა:

— „შტრიჰის“ დაბეჭდვას არ დავუშვებ. „მიუნჰენები“ და „ჰაინრიჰები“ წერეთ, რამდენიც გაგიხარდეთ, „შტრიხი“ კი ქართულში უკვე დამკვიდრებული სიტყვაა. ვინ უნდა წარმოთქვას — „შტრიჰი“, „შტრიჰმა“, „შტრიჰს“? ცოტა ხანში კიდევაც დაიკარგება. არა, ბატონებო, მაგაზე არც იფიქროთ.

შტრიხი გადაარჩინა, იმოდენა მიუნხენზე კი ძარღვიც არ შესტოკებია.

ჩემი ცხოვრების მანძილზე, სულ ცოტა, ორმოცდაათ გენიოსს ვიცნობდი. გენიოსთა გენიოსს. უმეტესნი მწერლები და მხატვრები იყვნენ.

— ღმერთო, ეს რამოდენა ვარ! — ისე მოულოდნელად შეჰყვირა ერთმა ჩვენმა შინაურმა გენიამ, აივანზე ვიდექით და კინაღამ ძირს გადავცვივდით.

მწერლები თითქმის არაფერს წერდნენ, მხატვრები თითქმის არასოდეს ხატავდნენ.

სამაში ვერ მივყვებოდი, თორემ სხვაფრივ მხატვრებთან ყოფნა მერჩია, შედარებით უცხო ხილივით იყო.

— მხატვრობას ეს სჭირდება, ეს, აი ეს... — მარცხნივ იხრება და მკერდთან ახლოს ხელისგულებით მრგვლივ მოძრაობას აკეთებს, თითქოს ცოცხალი აგუნდავებდეს, — მაგას ყველაზე უკეთ მიქელასგან ისწავლი.

მიქელა, ცხადია, მიქელ-ანჯელოა. მისი მასწავლებელი სხვა ვინ მიქელა შეიძლება იყოს!

— ჩვენს ნიკალას ფერები არასოდეს ემღვრევა, მაგრამ გარდაუვალობის გრძნობა ზოგჯერ ღალატობს.

„გარდაუვალობის გრძნობა!“ მე მგონი, ბრწყინვალეა. მიუჩვეველზე, შესაძლოა, ისიც კი გეგონოს, რომ შიგ რაღაც აზრი გაილანდა.

უცნაურია, იმ ჩემი გენიოსებიდან ყველა, ვინც სახელის განთქმას პროზით ეპირებოდა, აუცილებლად დოსტოვესკით იყო მოცული, უყვარდა, აღმერთებდა, ერთადერთ კერპად სახავდა.

თუ ვინმე ახალგაჯნობილი მასზე დაგინყებდა ლაპარაკს, „გარდაუვალობის გრძნობით“ იმნამსვე იცოდი ყველაფერი დანარჩენი.

ისიც, ჩაფიქრებული ცხრა რომანიდან და ორასი მოთხრობიდან ჯერ რომ არაფერი დაენერა, ისიც, თანამედროვე მსოფლიოს პირველი მწერალი რომ იყო.

დოსტოვესკი და მხოლოდ დოსტოვესკი. სხვა არავინ.

ლიტერატურაში რაღაც ზღვარს იქით, როგორც ჩანს, სულ სხვა ათვლა იწყება.

ლევ ტოლსტომი სალანძღავი წიგნი დაწერა შექსპირზე. რასაც საყვედურობს, დიდწილად სიმართლეა.

არადა, რამდენიც გინდა გასწიე-გამოსწიე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ივან ბუნინი სასტიკად არ სწყალობდა დოსტოვესკის. რასაც საყვედურობს, უკლებლივ სრული სიმართლეა.

მაგრამ შედეგი აქაც იგივეა: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— ნერ ახლა რამეს? — მეკითხებიან. რა ვუპასუხო?

ძველისძველი ამბავია, როცა თეატრალური ანტრაქტები ბევრად ხანგრძლივი იყო. ალბათ გასაგებია, თეატრის ფოიეში ვიდექით.

— გიორგი ერისთავის „გაყარას“ ვწერ თავიდან. ვტოვებ, რისი დატოვებაც შეიძლება. დანარჩენს ჩემით ვამატებ. გაყარა ჩვენი ისტორიის განუწყვეტელი ნაწილია, — მინდა შეფარულად ეს აზრი გავახშირო.

ნეტავი მართლა დამენერა. რა ვიცოდი, პოსტმოდერნიზმის სათავეებთან თუ ვიდექი!

გია ხოფერია

„გულჩახნელებული“ მიჯნურის აღსარება

მეტი რომ არაფერი ვიცოდეთ **გაბრიელ ჯაბუშანურის** შესახებ, მისი ერთი ლექსიც არ გვქონდეს ნაკითხული, ცა და ღმერთად აღიშნებოდა მისი სული, **ხვთისო ნიკლაურისადმი** ბარათი რომ მიუწერია, იმ ბარათის მოელვარე თვალებიდან და მერე რაც უნდა გენოდებინა მისთვის, გაბრიელისთვის, საქება-გამოსარჩევი, რაც უნდა სიფაქიზით გამოგეხატა მისი გულის ცინცხალი ფერადონება, მართალი იქნებოდი, მართლად მართალი.

ეს ბარათი ნაპირებიდან გადმოსული თუ გადმოხეთქილი მდინარესავითაა, კაცია თვითონ ნაპირებიდან გადმოსული, აშკარად ჩანს, თითოეული სიტყვა და აზრი, თანდათან ცეცხლს რომ იკიდებს, დიდი ხნის ნაგუბარ ელვასავით გაკვესავს, ათავისუფლებს გულს ნუხილებისგან, იმ სამშობიარო გულს, რომელშიც ყოველ წამს, ყოველ წუთს... ყოველ დღე იბადებოდა „ხორას სურვილის შხამი“.

სიყვარული რომ პოეზიაა, უდიდესი და უკიდევანო, ესეც პირველთაგანია ამ ბარათის თვისებათაგან. ყველა ლექსის მწერალს ამ პოეზიის მიძღვნილი ყური და გული არ გააჩნია. გაბრიელ ჯაბუშანური ხვთისო ნიკლაურისადმი მიწერილი „საიდუმლო“ ბარათით ძალაუნებურად თავის განსაკუთრებულობას, არანორმალურობას, იშვიათობას გვიჩვენებს. მოუშორებელი სიზმარივითაა მისთვის მზექალის სახიობა, ნაირფერი რომანტიკული შეგრძნებებით რომ დაუტყვევებია კაცი და ვერაფერს ცვლის ისეთი მამხილებელი განცხადებაც კი, რომ **მზექალი** მისადმი გაბრიელის მიძღვნილ ლექსებს ან ვერ გაიგებს, ან არასოდეს ნაკითხავს.

ახლა, დიდი ხნის შემდეგ, გაბრიელ ჯაბუშანურის განვალეულ თუ გამწვანებულ სასიყვარულო ფურცლებს რომ ჩავეხედავთ, შეიძლება მისი მზექალი მითიურ მშვენიერებად წარმოგვესახოს, რომლისთვისაც ღირდა გოდებაცა და ბრძოლაც, მარტოსულად მიგდებოდა, მგმინავი დუმილი, რომელიც გზრავს, გზრავს და ბოლო-ბოლო გამოგზრავს, არ მოგეშვება, რა ასაკშიც არ უნდა შეგეყაროს (ამ ბარათის დაწერისას გაბრიელი ოცდათვრამეტი წლისა ყოფილა), უკანასკნელ ოფლის წვეთამდე მოგახდევინებს სახადს, მიგასიკვდილებს და ეს ყველაფერი უხდება კიდევ გაბრიელის ბიოგრაფიას, მაგრამ თვითონ მისთვის, როგორც წერილიდან გამოიმხილება, მზექალი უფრო მეტი ვინმე ყოფილა: ერთი მხრივ მითი მითიური, მეორე მხრივ კი, შენი თვალთ რომ ხედავ, აგერ, მიმავალს, ცოცხალს, წამის გადასავლელზე ხელშესახებს, ზოგჯერ პირველი მეორეს რომ აქარწყლებს და ზოგჯერ მეორე — პირველს.

შესაძლებელია ეს ბარათი არ დაწერა გაბრიელს, მხოლოდ მზექალისადმი მიძღვნილი ლექსებით დაკმაყოფილებულიყო, ლექსებში ჩანთხეული სისხლით გამოეძლო გული, მაგრამ, ეტყობა, მაინც იმძლავრა მისეულად წარმოსახული სასიყვარულო გრძნობების გამომწვეურების სურვილმა, იმძლავრა ტკივილის ტვირთმაც, დიხაც, ტკივილისამ, რომ სიყვარული ტკივილია და არა ფუფუნება, ამ ტკივილს შეუძლია გამოამსხვრიოს ადამიანი, გაამხილოს იგი.

ერთ ამონარიდს დავიმონწმე ბარათიდან, სადაც კარგად ჩანს, თუ როგორი მესხატება იყო მისთვის მზექალით აწრიალებული ცხოვრება: „გაკვეცდით, განვმარტოვდი, გავენერიულდი... ყოველგვარი საქმისადმი ინტერესი დამეკარგა, ყველაფერს ძალისძალად ვაკეთებ, გული მხოლოდ ერთ საგონს, მხოლოდ ერთ კითხვას დაუჭერია: რა ვქნა? როგორ მოვიქცე? რა ვუნამლო ჩემს გულს?..“

ხალხში დიდხანს ვერ გაჩერდები, ოთახში ვიკეტები, მარტოობაც მწყინდება, ისევ ხალხში მივდივარ და დავწრივლებ და ლიკოვრებ მზეცი გალიაში...

მზექალის დიდხანს უნახველობას ვერ ვიტან. თბილისში რომ ვიყავი კინალამ ყველაფერს თავი დავანებე და კინალამ მთებში გამოვიქეცი, თავი ძალისძალად მეჭირა სანამ საქმეს

მოვათავებდი...

ვერც მზექალსთან მყოფი ვსძლებ დიდხანს. ისევ შინ წამოსვლას მიწადინებს, რადგან გულს ვერ ვუდგები: მე რაც ცეცხლი მწვავს, ის ვერ მითქვამს და მთელი სხეული მეშლება. წამოვალ შინ და ისევ მზექლის ნახვას ვნატრულობ. მე ფარვანას ვგავარ, — ხევსურები რომ სულის პეპელას ეძახიან: ეძალეება სინათლეს პეპელა, მიფრინდება ალთან და ფრთები ეტრუსება... შორდება სინათლეს, რომ მერე ისევ ლამფას ეცეს და ხელახლა ფრთები დაინვას...“

ახრის ამ სტრიქონებში თუნდაც ბარათაშვილისეული გოდება, უფრო ადრეულიც, თეიმურაზის „შამიფარვანაინის“ გამოლანდება, მაგრამ არის გაბრიელ ჯაბუშანურის სისხლის შხუილიც.

...1992 წლის „ლიტერატურულ მატინაში“ დაბეჭდილ გაბრიელ ჯაბუშანურის მოგონებებს ვინაც მიაქცია ყურადღება (ეს მოგონებები 1958 წელსაა დაწერილი), აუცილებლად თვალში მოხვდებოდა მისი ლექსი „დამდორება“. მითუმეტეს ეს ლექსი ახლაც საჭირო, ხვთისოსადმი გაგზავნილი ბარათის გადაკითხვისას. „დამდორებას“ 1954 წლის 6 სექტემბერი უზის თარიღად, ბარათი კი 1952 წელსაა დაწერილი. ლექსში უკვე აღარ იგრძნობა სიყვარულით დაჭრილი ლომის ბუხუნი, უკვე საბოლოოდაა ჩამუქებული მისთვის წუთისოფელი:

**ან მწარე წყნით ვივინყებ წარსულს...
აღარ ვქმნი შენზე, მზექალო, ლექსებს,
ჩქეფარე ლექსებს, — ცეცხლად შეტყორცნილს...
დღეს კაფიები პოემად მექცენი: —
დამეწყო გრძნობის მდორე ეპოსი...
შენთან შეხვედრაც აღარ მსურს თითქოს,
გხვდები...და თითქოს არაფერია...
შენს გამზევებას მზერა არ ითხოვს, —
მისთვის ქალი და არა ფერია
ხარ, ახლა, მზექალ, და როგორც ხედავ:
თითქოს მეწვება გრძნობის ზამთარი...**

მაგრამ ამ დამდორებამაც ვერ გატეხა საბოლოოდ ძველი სიშმაგე. ლექსიდან კვლავ მოისმის ხმა ზოგჯერ ყალყზე შემდგარი გიჟი ცხენის, მძვინვარე მხეცის, მაგრამ „გრძნობა ელდელდა“ მაინც მალე ინავლება და იფერფლება, ცივდება გული კერია... რას ვიზამთ, ყველაზე მაღალ ცეცხლსაც უწერია უცებ თუ არა, ნელ-ნელა მაინც მიძინება-მიწყნარება...

ვინ იცის, რას ელოდა ხვთისოსაგან გაბრიელი პასუხად! იქნებ მხოლოდ თანაგრძნობას, ან უფრო მეტს — შუამდგომლობას, იქნებ არც ერთს და არც მეორეს. ეს კია, რომ გულდასმით მოუმარჯვებია კალამი და თავის „უდანაშაულობას“ მისხალმისხალ ამტკიცებს.

ასეთი ბარათების წერა დიდ შეყვარებულებს შეუძლიათ, დიდ პოეტებსაც. გაბრიელ ჯაბუშანური ერთიც გახლდათ და მეორეც.

ღმერთმა ხელი მოუმართოს **ბაბუა ალუდაურს**, საშუალება რომ მოგვცა ნაკვეკითხა გაბრიელ ჯაბუშანურის ბარათი, რომლის ერთ-ერთი ასლი თურმე ამდენი ხანია თავს ინახავდა მის არქივში და მარჯვე შემთხვევას უცდიდა გამოსაქვეყნებლად („ჩვენი მწერლობა“, №24, 2013). ამ ბარათმა უფრო ახლოს მიიტანა ჩვენამდე გაბრიელ ჯაბუშანურის გულის ხმა, უფრო საცნაური გახადა მისი პოეტური სიმდიდრე და რაინდული სული.

და ამიერიდან გაბრიელ ჯაბუშანურის სახელისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის დიდი მოამაგის **ამირან არაბულის** მიერ მომზადებულ ახალ კრებულებში ეს ბარათი-აღსარებაც დაიდებს ბინას და მზექალისადმი მიძღვნილი პოეტური ციკლის ფონზე სულ სხვაგვარი ელვარებით აკიაფდება.

სიმონ ჩიქოვანი

სიტყვა ქართულ პოეზიაზე

გასული საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც სიმონ ჩიქოვანი სამაგალითო შემართებითა და მისთვის დამახასიათებელი სიღრმავლით, ტაქტიურ რედაქტორობდა ჟურნალ „მნათობს“, იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა — ახალგაზრდა მწერლებთან ხშირად ატარებდა ლიტერატურულ საუბრებს, რაც ყველა ჩვენთაგანისათვის ოსტატობის სკოლა იყო და მისი გონივრული, ბრძნული რჩევების მეოხებით ბევრი რამ ვისწავლეთ.

ამასთანავე ბატონი სიმონი იყო საქართველო-პოლონეთის კულტურული კავშირის თავმჯდომარე და, როგორც ჩანს, იმ დროს ვარშავაში, პოლონელი მწერლების წინაშე წაუკითხავს მოხსენება ქართულ პოეზიაზე. მისი გამოსვლის ზუსტი თარიღი ვერ დაავადგინეთ, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო მანამ, სანამ მისი დაბადების 60 წლისთავი აღინიშნებოდა (ბოლო წლებში პოეტის ჯანმრთელობა ძალზე გაუარესდა).

რუსულ ენაზე დაწერილი მოხსენება („სიტყვა ქართულ პოეზიაზე“) გადმომცა სიმონ ჩიქოვანის ცხოვრების უერთგულესი თანამგზავრის, მარიკა ელიაშვილის დისნულმა, სიკეთით სავსე ადამიანმა ლიზიკო გაბუნიაშვილმა (სიმონის ვაჟის, ნიკა ჩიქოვანის გარდაცვალების შემდეგ, ისა და ქალბატონ მარიკას მეორე დისნული, დიდად განათლებული ზურაბ სირაძე დაუცხრომლად ზრუნავენ პოეტის მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაზე) და მთხოვს, ქართულად მეთარგმნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხსენებულ „სიტყვაშიც“ გამოჩნდა სიმონ ჩიქოვანის (იგი ავტორია ლიტერატურასა და ხელოვნებაზე დაწერილი ორი მეტად მნიშვნელოვანი ტომისა) დიდი ერუდიცია, მოვლენებში წვდომისა და განსჯის იშვიათი უნარი. მან ლაღად, მიმზიდველად დახატა მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის პანორამა უძველესი დროიდან საბჭოთა ეპოქამდე.

წინამდებარე მოხსენება, ცხადია, ამომწურავი, ყველაფერზე პასუხის გამცემი ვერ იქნებოდა, მაგრამ მასში იმდენი ფუძემდებლური დაკვირვებები და ისეთი მარჯვე პარალელებია მოხმობილი, უთუოდ ღირსია გამოქვეყნებისა. ამის დასტურად საკმარისია თუნდაც ის, რომ ფოლკლორულ პოემად გარდასახული უძველესი ქართული თქმულება — აბესალომისა და ეთერის ტრაგიკული ისყვარულის ამბავი — მსოფლიოში სახელგანთქმული „ტრისტან და იზოლდას“ უმშვენიერეს ლეგენდასთან არის დანყვილებული. უადრესად ფასეულია, აგრეთვე, თვალსაზრისი რუსთაველის გამორჩეულად დიდი მსოფლიო პოეზიაში, ვინაც თავისი მოთვლემგარეშებით „მამინდელი აღმოსავლეთის უდიდესი პოეტური შედეგების პესიმისმა და პასიზმმა ეწინააღმდეგება“.

დარწმუნებული ვართ, სიმონ ჩიქოვანის ეს საპატიო მისია მხოლოდ ამ მოხსენებით არ შემოიფარგლებოდა და მისი წაკითხვის შემდეგ ცოცხალი, საინტერესო სჯა-ბაასი გაიმართებოდა პოლონელ კოლეგებთან, რომლებთანაც იგი გულითადად მეგობრობდა.

აქვე იმის აღნიშვნაც შეიძლებოდა, რომ შედარებით უფროსი თაობის პოეტებიდან შეგვეძლო დაგვესახელებინა ასევე დიდად განათლებული და დახვეწილი პიროვნება, ვინც ამგვარ ელჩობას ღირსეულად გაართმევდა თავს. ეს გრივოდ აბაშიძე გახლდათ, ვისი დაბადებიდანაც გაისად 100 წელი შესრულდება და მისი ღვაწლი ქართული მწერლობის წინაშე ღირსეულად უნდა დავაფასოთ, შესაფერისი პატივი მივაკოთ.

დასასრულ ვიტყვოდი — სიმონ ჩიქოვანის მოხსენებას („სიტყვა ქართულ პოეზიაზე“), რომელიც 60 წლის წინათ წარმოითქვა საქართველოს მიმართ მუდამ მეგობრულად განწყობილ პოლონეთში, ზემოქმედების ძალა, შთამბეჭდაობა არ დაუკარგავს, რაშიც, იმედია, დღევანდელი მკითხველიც დარწმუნდება.

ძვირფასო მეგობრებო, ჩემი სულიერი წყობით მე ლირიკოსი ვარ და არცთუ მაინცდამაინც მეიოლება, პოლონელ მწერალთა საზოგადოებას მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაზე ველაპარაკო. სავსებით გაცნობიერებული მაქვს, რომ დიდი პოეტური სამყაროს შემქმნელთა მინაზე, პოლონური სიტყვის ჯადოქართა — იან კონანოვსკის, ადამ მიცკევიჩის, იულიუს სლოვაცკის — სამშობლოში ვიმყოფები. მე ვიცი, დღეს უნდა ვესაუბრო მათ სახელოვან შთამომავლებსა და მემკვიდრეებს და მით უფრო ძნელი მეჩვენება ჩემი ამოცანა. მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ პოლონეთი პოეტების ქვეყანაა, მხნეობას მმართველებს და ფრთებს მასხამს. ჩემი მშობლიური საქართველოც პოეტების ქვეყნად ითვლება. მოძმე სომეხი ხალხის პოეზიის კლასიკოსმა ოვანეს თუმანიანმა როგორღაც თქვა: ყოველი ქართველი — პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი ორგზის პოეტიაო.



ერთ მიმოხილვაში ძნელია ჩასტო მთელი ქართული პოეზიის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღევანდლამდე. ცხადია, თქვენც გაგიჭირდებათ, ერთი თვალის გადავლებით მოიხელთოთ და დაახასიათოთ მთელი ხალხის პოეზია, მაგრამ ხომ შეიძლება ერთი ნახვით შეყვარება. რუსთაველის პოემის გმირმა ტარიელმა პირველივე დანახვისთანავე შეიყვარა თავისი ნესტან-დარეჯანი და ქართული პოეზიაც სწორედ ნესტანია, თავისი ხალხის ასული — ქართული სულიერებისა და ბუნების სრულყოფილი გამოსახატულება და განსახიერება.

ხელოვნების სხვა სახეობათა შორის, ქართული კულტურის განვითარებაში ქართულ სიტყვიერებას ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა. მართალია, ქართულმა ხუროთმოძღვრებამ, ფრესკულმა მხატვრობამ, ოქრომჭედლობამ, სასულიერო მუსიკამ, ხალხურმა ვოკალურმა და საცეკვაო ხელოვნებამ უძველეს დროშივე მიაღწია დიდ მწვერვალებს, მაგრამ მაინც, „პირველადვე იყო სიტყვა“ — ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული ძეგლები საფუძველს გვაძლევს, ქართული ლიტერატურა და, უპირველეს ყოვლისა, ქართული პოეზია ქართველი ხალხის მრავალწინანაგოვანი სულიერი ცხოვრების, მისი ისტორიული ბედის ყველაზე სრულ და მძლავრ გამომხატველად მივიჩნით.

განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ქართული პოეზია არის პოეზია ხალხისა, ვისაც საუკუნეობით, თითქმის განუწყვეტლად უწევდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და თუნდ ამიტომაც არ შეიძლება არ ენათესავებოდეს იგი პოლონეთის, გმირი ქვეყნის პოეზიას, ასევე არასოდეს რომ არ შეუწყვეტია თავისუფლებისა და თვითმყოფადობისათვის ბრძოლა. საუკუნეთა მანძილზე ქართული პოეზია იყო ქართველი ხალხის ფიქრთა მპყრობელი; იზიარებდა მის ღმერთსა და ჭირს, არასოდეს მიუტოვებია შრომისა და ბრძოლის ჟამს.

ქართულმა პოეზიამ, მსგავსად სხვა ხალხთა პოეზიისა, თავის თავში ასახა და აღბეჭდა ხალხის საუკეთესო ჩვევები — ერის კეთილშობილური არტისტიზმი, მისი სულიერი წყობის ჰარმონიულობა, ხალხის ჰუმანიზმი და ზნეობრივი სინმინდე — თვისებები, რომელთაც დიდი ვინკელმანი თვით საქართველოს ბუნების ხასიათით ხსნიდა, როცა თავის ერთ-ერთ ცნობილ, ჩვენთვის განსაკუთრებულად ძვირფას ნაშრომში აღნიშნა, რომ ასეთი ბუნება „ადამიანთა შორის წარმოშობს უმშვენიერეს და ტანად ქმნილებებსა და პიროვნებებს, რომელთა მიდრეკილებებიც მათსავე გარეგნობას ესადაგება“ და რომ „ამას ადასტურებს ლამაზ ადამიანთა ქვეყანა — საქართველო“.

თუ ქართული პოეზიის სათავეებზე ვილაპარაკებთ, უნდა ვთქვათ, რომ იგი (როგორც ყველა სხვა ქვეყნის პოეზია) საკუთარი პოეტური მეტყველების ნიაღში წარმოიშვა. ურიცხვი იდიომები, ფრთიანი გამოთქმები, აფორიზმები, სიტყვის მეტაფორული ელვარება და არტისტიზმი — უეჭველია, ჩვენი ხალხის დიდი, ძველი სამეტყველო კულტურის მაჩვენებელია. როდესაც ქართული ხალხური შემოქმედების, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად ძველ, აშკარად წარმართული ეპოქების ამრეკლავ ნიმუშებს გულმოდგინედ ვაკვირდებით და ვაანალიზებთ, ვრწმუნდებით, რომ ხატოვან აზროვნებას, მეტყველების კულტურას ჩვენი ხალხისა, სიმწიფის ხანა უძველეს დროში დაუდგა. თუმცაღა ჩვენამდე ვერ მოაღწია ქრისტიანობამდელი ეპოქის წერილობითმა ლიტერატურულმა ძეგლებმა, ხარისხი და დონე არა მარტო ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ძეგლებისა და ქრისტიანობამდელი ფოლკლორის ნიმუშებისა თვალნათლივ მეტყველებს, რომ შემდგომ პოეტურ განვითარებას წინ ხანგრძლივი პროცესი უძღოდა. V-VI საუკუნეებიდან ჩვენ უკვე მრავლად მოგვეპოვება ენობრივი და ლიტერატურული თვალსაზრისითაც მაღალმხატვრული წერილობითი ძეგლები, როგორც პროზაში, ასევე პოეზიაში. ქართული ენის განვითარების მაღალ დონეს მოწმობს ის ფაქტი, რომ მეთათუ საუკუნის ქართველმა მწერალმა იოანე-ზოსიმემ დაწერა პოეტური ოდა — „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, რომელშიც ქართული ბერძნული ენის ღირსეულ და მძლავრ მეტოქედ მოიხსენია.

ამ პერიოდში უაღრესად მდიდარი სასულიერო პოეზიის გვერდით, დიდად ჰპოვა გავრცელება ანტიკური და ბიზანტიური პოეზიის თარგმანებმა, ხოლო ხალხურმა შემოქმედებამ თავის მწვერვალს მიაღწია. რაღა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში, ასეთ მძლავრ კულტურულ-მხატვრულ აღმავლობას განსაკუთრებულმა სოციალურ-ისტორიულმა პირობებმა შეუწყო ხელი. აქ ვილაპარაკებთ ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერად აღმავლობის პერიოდზე, ქართველი ხალხის თვითმეგნების საყოველთაო გამოღვიძებაზე ქვეყნის ეკონომიკისა და მატერიალური კულტურის აყვავებაზე. ასე შემზადდა და დაიბადა უმაღლესი ღირსების ნაწარმოებები ქართული საერო ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიისა, რომლის უთვალსაზრისო შედეგები მეთაორმეტე საუკუნეში იყო შავთელისა და ჩახრუხადის პოემები და ქართული პოეტური გენიის ქმნილება — შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. როგორც ჩანს, ამავე ეპოქას უნდა განეკუთვნებოდეს საუცხოო ლირიკულ-ეპიკური ფოლკლორული პოემა აბესალომსა და ეთერზე, ქართველი ხალხის ეს თავისებური პოეტური „ტრისტანი და იზოლდა“.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ამ დროიდან მოყოლებული, ქართული მნივნილოვანი პოეზია და ფოლკლორის ხელი-ხელაყრდებულები, განუშორებლად მიდიან წინ, ვითარდებიან და ერთმანეთს ამდიდრებენ. შემთხვევითი არ გახლავთ, რომ „ვეფხისტყაოსანსაც“ მოეპოვება ხალხური პარალელები (პოეტური თხზულებები ტარიელსა და ავთანდილზე) და თვით რუსთაველის პოემამაც ორგანულად შეინიჭა ხალხური პოეტური შემოქმედების მრავალი მოტივი.

საერთოდაც, აღსანიშნავია, რომ ქართულ ლიტერატურასა და ხალხურ პოეზიას შორის, პოეტიკისა და ენის სფეროში არ არის მკვეთრი ზღვარი, როგორც ზოგიერთი მაღალგანვითარებულ ლიტერატურაში შეინიშნება. რა თქმა უნდა, ვსაუბრობთ ხალხური შემოქმედებისა და სამწერლობო ლიტერატურის სიახლოვეზე და არა პირიქით.

მეთორმეტე საუკუნე და მეცამეტე საუკუნის პირველი მეოთხედი ქართულ პოეზიაში, ჩვეულებრივ, „რუსთაველის ეპოქად“ იხსენიება, თუმცაღა ჩვენამდე რუსთაველის უფროსი თანამედროვეების — მეხოტბეების, შავთელისა და ჩახრუხადის ქმნილებებმაც მოაღწიეს, სადაც შექმნილია თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის ქმედებანი. მეხოტბეთაგან ცალკე უნდა გამოვყოთ ჩახრუხადე, ავტორი ოდისა „თამარიანი“, ღრმად განათლებული პოეტი და მოაზროვნე,

ლექსის ვირტუოზულად ფლობისკენ აშკარად მიდრეკილი. მისი ოდა მოწმობს, რომ ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, იგი საფუძვლიანად იცნობდა მსოფლიოს უდიდეს პოეტებსა და ფილოსოფოსებს. გამოჩენილმა ქართველმა ლიტერატურათმცოდნემ პავლე ინგოროყვამ წამოაყენა სარწმუნო ჰიპოთეზა, რომ ჩახრუხადე იყო აგრეთვე თვალსაჩინო მოგზაური, ვინაც მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს მრავალი ქვეყანა მოინახულა. დიდი წვლილი მიუძღვის ჩახრუხადეს ვერსიფიკაციის სფეროშიც. ქართული ლექსის ერთ-ერთი ძირითადი სახომი მან შექმნა და დღემდე მისივე სახელითაა ცნობილი.

ტიუტჩევმა პუშკინს „რუსეთის პირველი სიყვარული“ უწოდა, თუმცაღა პუშკინს ჰყავდა ისეთი წინამორბედები, როგორცაა ლომონოსოვი და დერჟავინი. სწორედ ასევე, მიუხედავად შავთელის და ჩახრუხადის დამსახურებისა, „საქართველოს პირველ სიყვარულად“ რუსთაველი იქცა. ქართულ ლიტერატურაში პირველმა სწორედ რუსთაველმა შექმნა უბადლო სრულყოფილებითა და სისავსით, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპური სახე ქართველისა, გამოხატა ქართველი ხალხის საუკეთესო ადამიანური იდეალები და, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის, მეგობრობისა და გმირული შემართების ის ქეშმარიტად ჰუმანური კულტი, რაც ჩვენი ერის ზნეობრივი და ესთეტიკური კოდექსის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. მსოფლიო ლიტერატურაში ადრეული რენესანსის ერთ-ერთმა უდიდესმა კორიფემ რუსთაველმა თავისი პოემით ადამიანსა და ადამიანურობას, ადამიანის გონებასა და გულს სწორუპოვარი ჰიპნოზი უძღვნა. მან პირველმა გაათავისუფლა ქართველთა გონება შუასაუკუნეობრივი რელიგიური დოგმატების ხლართებისაგან, ხოლო მოქალაქეობრივ და საზოგადოებრივ იდეალებს საფუძველად დაუდო „ამაღლებული სიყვარულისა“ და ადამიანთა მეგობრობის იგივე ეთიკური ნორმები. რუსთაველის პოემა სიცოცხლის დამამკვიდრებელი და ოპტიმისტური სულისკვეთების ქმნილებაა; მთელი ღრმად ნიუანსირებული ფსიქოლოგია მისი გმირებისა (არაფერი რომ არა ვთქვათ ავტორის მსოფლმეგობრებაზე), ამ აზრით, მაშინდელი აღმოსავლეთის უდიდესი პოეტური შედეგების პესიმიზმსა და პასივიზმს ეწინააღმდეგება.

რუსთაველის წიგნი საუკუნეთა მანძილზე ამხნევებდა ჩვენი ხალხს, აწრთობდა ქართველის სულს, მისი გონებისა და გრძობათა საზრდოს წარმოადგენდა. ამ წიგნს კითხულობდნენ მეომრები ბრძოლის დაწყებამდე, რაინდები, შეჯიბრების გამართვამდე, შეყვარებულები — ბედნიერების წუთებსა და სულიერი მღელვარების უამს. იგი მუდამ თან ახლდა ქართველს ჭირსა თუ ლხინში, იგი ახარებდა და ანუგეშებდა, არ ანებებდა უკან დახევას და მხნეობას უნერგავდა. ძველი საქართველოს ყოველ ოჯახში იყო ყველაზე დიდი საუნჯე და მას ქალიშვილებს მზითვები ატანდნენ, როგორც მომავალი ცხოვრების ზნეობრივი სინამდისა და ურყევი ბედნიერების საწინდარს.

აქ არ შევეუდგები ამ პოემის სიუჟეტის მოყოლას, რენესანსული კომპოზიციის პრინციპებით რომ არის აგებული. ამბის თხრობა ისე ორგანულად ერწყმის რუსთაველის ლექსსა და მისი პოეტური სახეების სისტემას, რომ მათი დაცალკეება შეუძლებელია.

„ვეფხისტყაოსნის“ მეტაფორული სტრუქტურა იმდენად ღრმა, უნივერსალური და მრავალწახნაგოვანია, რომ იგი ლექსის უზრალო, ჩვეულებრივი მხატვრული კომპონენტი კი არ არის, არამედ პოეტის ხელში გარემომცველი სამყაროს ათვისებისა და შეცნობის თავისებურ და მეტად მძლავრ იარაღად გვევლინება. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ რუსთაველის მეტაფორული ნიუანსირების სინატიფე და სირთულე გასაოცრად უახლოვდება თანამედროვე პოეტურ აღქმას.

რუსთაველის პოეტური ენა ზღვრულად აფორისტული და ღრმად ხალხურია. რუსთაველი, შეიძლება ითქვას, ქართულ პოეზიაში პირველი ამეტყველდა ნამდვილ, ქეშმარიტად ხალხურ ენაზე. რუსთაველის ენა რომ შევადაროთ მისი უფროსი თანამედროვეების — შავთელისა და ჩახრუხადის ლიტერატურ-

რულ ენას, მეფე-პოეტის, დავით აღმაშენებლის ფსალმუნებ-სა და იმ დროისათვის ძალზე განვითარებული და მდიდარი სა-სულიერო პოეზიის ენას, შეუძლებელია არ განგვაცვიფროს მათ შორის უზარმაზარმა განსხვავებამ. მიუხედავად იმისა, რუსთაველის ლექსი მაღალი პოეტური ოსტატობის ნიმუშია და შიგადაშიგ უკიდურეს დახვეწილობას, სინატიფს აღწევს, პოეტს ხელენიფება ამასთან შეათავსოს ისეთი უზრალეობა და ხალხურობა, რომ ხალხის უფართოესი ფენებისთვის იოლად საკითხავი გახადოს. საკმარისია აღინიშნოს, რომ რუსთაველის აფორიზმები ხალხში ყველაზე გავრცელებულ ანდაზებად და თქმებად იქცა. მართალია, რუსთაველისეული პოეტური სურათი ხშირად ძალიან ჰგავს აღმოსავლურ მხატვრობასა და მინიატურებს, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვიერი ქსოვილი, შინაგანი სამყარო უაღრესად ეროვნული და ხალხურია. უთუოდ ამას გულისხმობდა მეთვრამეტე საუკუნის დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც ერთგან წერდა: „ლექსი რუსთაველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და...“

როდესაც ვლაპარაკობ რუსთაველსა და ჩვენი ხალხის სუ-ლიერ ცხოვრებასთან მის შერწყმაზე, არ შემიძლია არ გავიხ-სენო ვლადისლავ ბრონესკის მშვენიერი ნათქვამი იმის თაო-ბაზე თუ პოლონელთათვის რაოდენი მნიშვნელობა აქვს პო-ლონური კულტურის გიგანტებს:

ყოველგვარ აზრს დაკარგავდა ცხოვრება, მზის სხივი, რომ არ იყოს მიცვევიჩი ასე ღვთაებრივი, რა ვიქნებით, აღარაფრად არ ვივარგებთ მაშინ, სლოვაცისა და შოპენის არ ვიცოდეთ ფასი.

ამ საუცხოო მეტაფორული სტრიქონების პერიფრაზირე-ბა რომ მოვახდინოთ, უმალ მივხვდებით, რარიგ გალარობდებოდა ქართველის სული, მასში ფესვგადგმული რომ არ იყოს ავთანდილის ანდერძი, ავთანდილის მიმართვა ციური მნათო-ბებისადმი, ამბავი ტარიელის მიერ ლომ-ვეფხის დახოცვისა, ნესტან-დარეჯანის წერილი!

რუსთაველზე არავითარი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგ-ვეპოვება. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იგი ცხოვრობდა და ქმნიდა მეთორმეტე საუკუნის მიწურულს, თამარ მეფის ეპოქა-ში. ხალხის წარმოსახვაში რუსთაველი იყო გამოჩენილი სახელ-მწიფო მოღვაწე, მამაცი მეომარი და მონადირეც კი. ხალხში შე-მონახულია გადმოცემა, რომ ორთოდოქსული სამღვდელეობა რუსთაველსა და მის პოემას დევნიდა. რუსთაველისადმი ასეთი დამოკიდებულების გამოძახილი ისმის ცნობილი მეფე-პოეტის თეიმურაზ პირველის სიტყვებში, სადაც გამოთქმულია სინანუ-ლი, რომ ხალხში სახარებაზე მეტად რუსთაველს კითხულობენ. ასეთივე ხასიათისაა გადმოცემა, რომ კლერიკალების მიერ დევი-ნილი რუსთაველი სიცოცხლის ბოლოს იძულებული გახდა სამ-შობლო დაეტოვებინა და ბერად აღკვეცილიყო იერუსალიმის ქართულ მონასტერში. უფრო გვიანდელ ხანას რაც შეეხება, არ-სებობს უტყუარი ცნობები, რომ მეთვრამეტე საუკუნეში რუს-თაველის პოემის ნაბეჭდი ეგზემპლარები აგრესიულად განწყო-ბილმა მღვდლებმა მტკვარში გადაყარეს. ამდენად, ჩვენ ვხე-დავთ — საუკუნეთა მანძილზე „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ არ ცხრებოდა მძაფრი იდეური ბრძოლა. მაგრამ ქართველმა ხალხ-მა მონაწილეთა შორის რუსთაველის პოემა და მის ჩვენამდე შეუბღალავად, თავისი ბრწყინვალეობით მოაღწია. მეტიც, სწო-რედ ჩვენს ეპოქაში მოიპოვა მან ნამდვილი მსოფლიო აღიარება. რუსულ ენაზე ხუთჯერ სრულად რომ გადათარგმნეს, იგი საბ-ჭოთა ხალხების მრავალ ენაზე აჟღერდა, გადალახა ჩვენი ქვეყ-ნის საზღვრები — ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, ჩინელი, უნგრელი, რუმინელი მკითხველის კუთვნილება გახდა. მეცხრა-მეტე საუკუნეში კაზიმირ ლაპჩინსკის მიერ რუსთაველის თარგ-მნის პირველი ცდის შემდეგ, ამ დიდ საქმეს ხელი მოჰკიდა მეო-ცე საუკუნის გამოჩენილმა პოლონელმა პოეტმა იულიან ტუვიმ-მა, მისთვის ჩვეული ელვარებითა და ოსტატობით შეუდგა მუშა-

ობას, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა შეწყვეტინა იგი. ზედმე-ტად მეჩვენება თქმა — მიუხედავად იმისა, რომ ტუვიმს თარგმა-ნის დამთავრება არ დასცალდა, ქართველი ხალხი თავისი კე-თილშობილი პოლონელი მეგობრის სახელოვანი ბიოგრაფიის ამ ფურცელს გულსა და სსოვნაში სამუდამოდ შეინახავს.

მეთორმეტე საუკუნე და მეცამეტე საუკუნის პირველი მე-ოთხედი იყო ყველა სფეროში ქართული კულტურის უდიდესი აღმავლობისა და აყვავების ეპოქა. ამ პერიოდში შეიქმნა ქარ-თული ხუროთმოძღვრების, ფრესკული მხატვრობის, ჭედუ-რობის საუკეთესო ძეგლები. განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ — ქართულ ენაზე თარგმნიან და ამუშავებენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს ქმნილებებს. ზოგიერთი აღმოსავლური ნიგნების მოტივებზე იწერება ორიგინალური ნაწარმოებები (ამის მაგალითია მეთორმეტე საუკუნის ქართული პროზის სა-უკეთესო ნიმუში, რომანი „ვისრამიანი“, ფაზრ-ედინ გურგანის ირანული პოემის „ვისის და რამინის“ მიხედვით რომ შეიქმნა).

მეცამეტე საუკუნის მეორე მეოთხედთან იწყება საქარ-თველოს ისტორიის ტრაგიკული ხანა, ქვეყანამ განიცადა ჯალა-ლედინისა და ჩინგისხანის ურდოების დამლუპველი, დამანგრე-ველი თავდასხმები, ხოლო მეთოთხმეტე საუკუნეში თემურ-ლენგის შემოსევა, რაც საქართველოსთვის ყველაზე საბედის-წერო და გამანადგურებელი გამოდგა. მოხდა ქვეყნის სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დაცემა. ერთი-ანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამეფოებად და სამთავ-როებად დაიშალა. თურქ-ოსმანთა მიერ მეთოთხმეტე საუკუ-ნეში კონსტანტინოპოლის აღებამ საქართველო მტრულად განწყობილ მუსულმანურ ალყაში მოაქცია და დამონებული ქვეყანა სამუდამოდ ჩამოაცილა ქრისტიანულ სამყაროს.

ამ პერიოდში თითქოსდა დაშრა ქართველი ხალხის შემოქ-მედებითი წყარო და ქართული მუზაც ხანგრძლივ ლეთარგი-ულ ძილს მიეცა. ასე თუ ისე, ჩვენამდე არ მოუღწევია თუნდაც ერთ, რამდენადმე მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლს. მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნიდან იწყება ქართველი ხალ-ხის შემოქმედებითი ძალების გარკვეული გამოცოცხლება და გამოღვივება და ამ პერიოდს ქართულ ლიტერატურათმცოდ-ნეობაში პირობითად ეწოდება „აღორძინების ეპოქა“ (ამ სიტყ-ვის არა „რენესანსული“, არამედ პირდაპირი იმნიშვნელობით).

საქართველოს კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების „აღორძინება“. უპირატესად, არნახულად ინტენსიური მთარ-გმნელობითი საქმიანობით იწყება. ხელახლა თარგმნიან ფირ-დოუსის „შაჰ-ნამეს“ (ადრინდელი თარგმანიდან მცირედენი ნაწყვეტებია შემორჩენილი), კეთდება გურგანის „ვისისა და რამინის“ პოეტური თარგმანი, ხელახლა იქმნება ქართულ ენაზე ცნობილი აღმოსავლური პოემები: „ლეილ-მეფეთიანი“, „იოსებ-ზილისხანიანი“, „ბარამურანი“, „შვიდი მთიები“ და სხვები. უმეტეს შემთხვევაში, ესენი თარგმანებზე უფრო დამუშავებულ და გადაკეთებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. მაგალითად, „შვიდი მთიები“ შეიცავს ნავოის, ნიზამის, ჯამის ტექსტებს და თვით მთარგმნელის, ნოდარ ციციშვილის ორი-გინალურ ტექსტსაც. აღსანიშნავია, რომ თარგმანთა უმრავ-ლესობაში გამოყენებულია რუსთაველის მეტრულ-სტროფუ-ლი სისტემა და მისი პოეტიკის ზოგიერთი გარეგნული ხერხი.

XVI-XVIII საუკუნეებში სამწერლო ასპარეზზე, ერთი მხრივ, გამოდიან მეფე-პოეტები: თეიმურაზ I, არჩილ II, ვახ-ტანგ VI, თეიმურაზ II, ხოლო მეორე მხრივ, მაშინდელი ქარ-თული საზოგადოების სხვადასხვა ფენათა წარმომადგენლები — სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი), საიათ-ნოვა და სხვები.

მთელ ამ ეპოქას ახასიათებს ირანის არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური, არამედ კულტურული ექსპანსიაც. ამის გამო ქარ-თულ ლიტერატურაში იმართება სხვადასხვა ესთეტიკური ტენ-დენციების რთული და მძაფრი ბრძოლა. ერთი მიმართულება ირანული ლიტერატურული გავლენის მატარებელია, მეორე —

თვითმყოფადობას, ქართული ლიტერატურის ნაციონალურ განსაზღვრულობას იცავს და, ძირითადად, რუსთველურ ტრადიციებს ეყრდნობა. პირველი მიმართულებისთვის ნიშანდობლივია ფორმალისტური გატაცება, აღმოსავლური სინატიფისა და მანერულობისადმი, განყენებული პოეტური ჟანრებისადმი („ხილთაქება“, „ანბანთქება“, „მაჯამა“ და სხვა), პირობით-რომანტიკული და ალევორიული სიუჟეტებისადმი მიდრეკილება, მეორე მიმართულებას კი პოეზიის მასაზრდოებელ ნიადაგად ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ისტორიული ცხოვრება მიაჩნია. ე. წ. „სპარსული სკოლის“ მეთაური და ყველაზე დიდი წარმომადგენელი იყო თეიმურაზ I, ამავე ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ უფრო გვიანდელი ხანის პოეტი — ბესიკი. მათ სანინალმდეგო პოზიციაზე იდგნენ არჩილ II, დავით გურამიშვილი. ხაზგასმულად უნდა ითქვას, რომ ორ ბანაკად ეს დაყოფა ძალზე პირობითია, ვინაიდან ორ ტენდენციას შორის ბრძოლა თვით თეიმურაზ პირველისა და ბესიკის შემოქმედებაშიც შეიმჩნევა. აქ უეჭველია გადაწყვეტი იყო ამ პოეტების ანტისპარსული პოლიტიკური ორიენტაცია, მათი ქმედების პატრიოტული პათოსი. ასე მაგალითად, თეიმურაზ პირველი, რომელიც ირანის შაჰის კარზე იზრდებოდა და ირანული ესთეტიკური კულტურის მძლავრ გავლენას განიცდიდა, ამავე დროს იყო ქრისტიანული ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე, სპარსული პოლიტიკური მიმართულების შეურიგებელი მონინალმდეგე და ქართველ მეფეთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ერთმონებუნე რუსეთთან კავშირზე ფიქრობდა. ესთეტიკური კულტურის მხრივ ძალზე რთული შემოქმედება თეიმურაზ პირველისა აშკარად გამოხატული არისტოკრატიული და არქაული ხასიათისა იყო, მასში შეინიშნებოდა რუსთაველის სანინალმდეგო ტენდენციები და თვით ქართული ლიტერატურის ფარგლებშივე მესობებზე ჩახრუხადის ზედმეტად ნატიფი პოეზიისაკენ ლტოლვა. მისი სრულიად საპირისპირო მოვლენა გახლდათ დავით გურამიშვილი, ვინაც ენისა და სტილის განსაცვიფრებელი დემოკრატიზმითა და რუსთაველის ტრადიციების ერთგულებით გამოირჩეოდა.

მეთვრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში თეიმურაზ პირველის ხაზის გამგრძელებელი იყო ბესიკი, რომელმაც, თავის მასწავლებლისგან განსხვავებით, სატრფიალო-ლირიკული პოეზია დაამკვიდრა. ბესიკმა უკიდურესად დახვეწა ფორმა, მისი ლექსის მუსიკალური ჟღერადობა თითქმის თვითმიზნურია, პოეტის მიერ გამოხატული გრძნობები ასევე უკიდურესობამდე დახვეწილი და რაფინირებულია.

ის რაც ესოდენ განსხვავებულ პოეტებს აერთიანებს, მათი ცხოვრების ბედი. თეიმურაზსაც, არჩილსაც, სულხან-საბა ორბელიანსაც, ვახტანგ მეექვსესაც, დავით გურამიშვილსაც — თითქმის სერვანტესისებური ბიოგრაფია აქვთ. ყველა მათგანმა (ბესიკის გარდა), ღრმა სიბერემდე იცოცხლეს, იწვინეს თავიანთი საუკუნის ტრაგიკული გრივალეები და ქართველები. სადღა არ გადაისროლა ისინი ბედმა, ცხოვრების რანაირი პერიპეტები აღარ განვლეს. საკმარისია თუნდაც ის ითქვას, რომ არცერთ მათგანს არ ეღირსა მშობელ მიწაზე სიკვდილი — თეიმურაზმა ირანში განუტევა სული, ბესიკი, ოვიდიუს ნაზონის მსგავსად, რუმინეთის მიწაში დაიმარხა, არჩილმა, სულხან-საბა ორბელიანმა და ვახტანგ მეექვსემ რუსეთში ჰპოვეს უკანასკნელი თავშესაფარი, ხოლო დავით გურამიშვილის საფლავი უკრაინაშია. რამდენი ქვეყანა მოიარეს მათ, რათა სამშობლოს გადარჩენის გზები ეპოვათ! აღმოსავლეთი და დასავლეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ირანი, თურქეთი...

გულდასმით მიმოვიხილოთ ცხოვრებისეული ბედი და შემოქმედება დავით გურამიშვილისა — „აღორძინების“ პერიოდის პოეტებიდან ყველაზე უფრო ეროვნულის და სახალხოსი, დიდი მწერლისა, ვისმა ცხოვრებამ და შემოქმედებამაც საქართველოს ისტორიის ეს დრამატული პერიოდი ყველაზე ნათლად აირეკლა.

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს თბილისის მახლობლად მდებარე სოფელ გორისუბანში (ამჟამინდელი საგურამო), ოდესღაც სახელგანთქმული ფეოდალური საგვარეუ-

ლოს შთამომავალია, მაგრამ იმხანად გაღარიბებული, მცირე მამულის მქონე თავადის ოჯახში.

ძველი ჩვეულებისამებრ, ბიჭი აღსაზრდელად გლეხის ოჯახს მიაბარეს და ბავშვობა თვალწარმტაც საგურამოში, უბრალო ადამიანთა შორის გაატარა. ცხოვრების ეს ხანა შემდგომ თავისებურად აისახა გლეხურ თემებზე დაწერილ მის ნაწარმოებებში, კერძოდ, ბუკოლიკურ პოემაში „მხიარული ზაფხული“. ქართული სოფლისთვის ნიშნულმა პოეტურმა გარემომ, ხალხურმა სიმღერებმა და თქმულებებმა ადრე გააღვიძეს დავითის პოეტური ნიჭი. ოცი-ოცდაოთხი წლის ჭაბუკი, იგი უკვე ნიჭიერ პოეტად იყო ცნობილი.

მეთვრამეტე საუკუნის ოციანი წლები საქართველოს ისტორიაში თითქმის ყველაზე დრამატულ პერიოდად ითვლება. სხვადასხვა სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო იქცა საბრძოლო ასპარეზად, სადაც ირანი და თურქეთი თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად ეტოქებოდნენ ერთმანეთს. უცხოელ დამპყრობთა გაუთავებელმა თავდასხმებმა სისხლისგან დაწირვის ქვეყანა, მაგრამ ამაზე ნაკლები უბედურება როდეს დაგვანია დაღესტნის იმამების მოწყობილმა განუწყვეტელმა სისხლიანმა შემოსევებმა, რომლებიც საქართველოს ძარცვავდნენ, ტყვედ მიჰყავდათ ასობით, ათასობით ქართველი და მერე აღმოსავლეთის მონათა ბაზრებზე ჰყიდდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემოსევის მსხვერპლი გახდა თვით დავით გურამიშვილი. ერთ ხალხურ სიმღერაში ნათქვამიც არის: „ლეკებმა რომ გამოიტაცეს, დამდეგ იყო მკათათვისა“... იმ დღიდან დაიწყო ყველაზე მოულოდნელი და დრამატული თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება პოეტისა. ტყვეობიდან გაქცეული დავითი მოხვდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც იქ მოსახლე რუსებმა შეიფარეს. აქედან იგი კოლგას აუყვა მოსკოვისაკენ და შეუერთდა ამაღას ვახტანგ მეექვსისა, რომელიც მანამ, ცოტა ხნით ადრე (1724) სამხედრო და პოლიტიკური დახმარებისათვის იძულებული გახდა რუსეთს წასულიყო. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ დავით გურამიშვილმა, სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად, რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, დაიწყო სამხედრო სამსახური რუსეთის არმიამში (ქართველ ჰუ-სართა პოლკი) და უკრაინაში დასახლდა. როგორც მებრძოლი და შემდგომ რუსული არმიის ოფიცერი, მონაწილეობდა რუსეთის მიერ წარმოებულ მრავალ ომში — 1739 წელს თურქეთის წინააღმდეგ ხოთინის ციხე-სიმაგრესთან, 1742 წელს — შვედების წინააღმდეგ, ბოლოს პრუსიის წინააღმდეგ გამართულ შვიდწლიან ომში იბრძოდა. კიუსტინის ციხე-სიმაგრესთან შეტაკების დროს ჩავარდა ტყვედ, საიდანაც მალე გამოიხსნეს.

ქართველი პოეტი, რუსი მეომარი, უკრაინის მოსახლე, იგი სამუდამოდ ბრუნდება თავის მცირე მამულში, მირგოროდში. ცხოვრების სამოცნე მეტი წელი გაატარა გურამიშვილმა რუსეთსა და უკრაინაში. თავისი ძირითადი ნაწარმოებების კრებულში „დავითიანი“ პოეტმა ღრმა სიბერეში, 82 წლისამ დაასრულა. დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულმა მოხუცმა შეკრიბა სხვადასხვა დროს დაწერილი ქმნილებები, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ — „ეს წიგნი განაწიგნა კითხვად, შესაქცევად ჩვენდა“.

თავის წიგნს რომ ამთავრებდა, პოეტი უბრალო ხალხის გასაჭირზე ფიქრობდა და არა მარტო მისი შორეული სამშობლოს — საქართველოსთვის იყო განკუთვნილი ეს წიგნი. იგი ეძღვნებოდა უკრაინელ პურისმკელებსაც, რომელთა შორისაც ათეული წლობით ცხოვრობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ თავის წიგნს, ქართველ ბატონიშვილ მირიანს რომ გადასცა, გურამიშვილმა დაურთო უკრაინელ გლეხთა საჭიროებისათვის გამიზნული, მის მიერ გამოგონებული სარწყავი მანქანისა და ნისქელის გეგმა, ნახაზები.

ჭეშმარიტად დიდებული სურათია — სანახევროდ დაბრმავებული ოთხმოცი წლის პოეტი ამუშავებს სტიქიის დათრგუნვისა და დამორჩილების გეგმას, რითაც ნახაზებზე დართული განმარტებითი ჩანაწერის მიხედვით „მხვენელსა და მთესველს კაცს“ დიდად გაუიოლებს შრომას. პოეტი უჩივის

თავის თითქმის სრულ დაბრმავებას, მაგრამ იქვე ამბობს, ჩემი გონების თვალი ხედავსო, და ამის ყოველგვარი უფლება ჰქონდა, ვინაიდან სიცოცხლის ბოლომდე შინაგანი ნათელით იყო გაბრწყინებული, გონების ნათელით, მოქმედების დაუოკებელი წყურვილით. როგორ არ გაგვახსენდეს ამ დროს სიტყვები დაბრმავებული ფაუსტისა, სადაც ასეთი ძალით არის გამოხატული სწორედ იმ ეპოქის საუკეთესო მისწრაფებანი, რომელშიც ცხოვრობდა და წერდა დავით გურამიშვილი:

**ჩემს გარეშე მოჯარულან ლანდები ღამის,
მაგრამ თვით ჩემში ხომ ნათელი არ დაშრეტილა.**

ნიგნა ჩამოაღწია საქართველომდე, ჩამოაღწია მასში მოთხრობილმა ყველა უბედურებამ და ვაებამ, მის ავტორს რომ გადახდა. პოეზია გურამიშვილისთვის იყო მოგონებათა საცავი, მაგრამ არა ყოველნაირი და შემთხვევითისა — „დავითიანის“ სტროფებში აღბეჭდილია პოეტის ბიოგრაფიის მხოლოდ ის ფაქტები, რომლებშიც როგორც წყლის წვეთში, აირეკლა სამშობლოს ბედი, მისი ცხოვრების მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც ეხმიანებოდა და გადახლართული იყო ხალხის ცხოვრებასთან.

რუსეთსა და უკრაინაში რომ ცხოვრობდა, შეიძლია იმის დროს პოლონეთის მიწაზე რომ იმყოფებოდა (აქ იგი გულმოდგინედ სწავლობდა პოლონურ ხალხურ სიმღერებს) დავით გურამიშვილმა ბუნებრივად შეითვისა ამ მოძმე ხალხების მხატვრული და ესთეტიკური კულტურა — შემთხვევითი არ არის, რომ, როგორც თვითონ აღნიშნავდა, თავის ბევრ ლექსს გურამიშვილი რუსული, უკრაინული და პოლონური სიმღერების „ხმაზე“ ქმნიდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — გურამიშვილმა ღრმად შეაღწია რუსული და უკრაინული ხალხური ესთეტიკური კულტურის სულში, ორგანულად შეიგრძნო იგი და იპოვა ხერხები მისი ქართული ლექსის კულტურასთან დაახლოებისა ისე, რომ ამ უკანასკნელის ეროვნულ თვითმყოფობას და თავისებურებას არაფერი დაკლებია. ასეთმა, ახალმა შემოქმედებითმა ორიენტაციამ პოეტს გაუადვილა მის წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმთავრესი პოეტური ამოცანა: მან გამაზნადგურებელი დაღრმავება მიაყენა ქართულ პოეზიაზე დაცემულობის ხანის სამეფო პოეზიის ზეგავლენას, პოეტური აზროვნებისა და პოეტური სტილის იმ ყბადაღებულ „აღმოსავლურ ფერადოვნებას“, რომელიც ამუხრუჭებდა ქართული ლექსის შემდგომ განვითარებას. დავით გურამიშვილმა მოახდინა ქართული ლექსის დემოკრატიზაცია, თავისი პოეზიის ენა დაუახლოვა ხალხურ ენას, აამეტყველა ხალხისთვის ახლობელი სიტყვები და სახეები.

თუ, როგორც ვთქვით, XVI-XVIII საუკუნის პოეტებს ჰქონდათ მღელვარე, დრამატული მოვლენებით აღსავსე ცხოვრება, მძაფრ-სიუჟეტური ისტორიული რომანები ახასიათებს რომ ელოდება, მათგან განსხვავებით, მეცხრამეტე საუკუნის პოეტთა ცხოვრება არ გამოირჩეოდა გარეგანი ნიშნების სიმდიდრით, გაცილებით უბრალოდ წარმართა, არც ერთ მათგანს კალმის ნაცვლად ხელში ხმალი არ სჭერია, რათა ფიზიკური მონაწილეობა მიეღო სამშობლოს დაცვაში. საქმე ის გახლავთ — ლიტერატურულ სარბიელზე მათ გამოსვლას წინ უსწრებდა უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენები, რამაც ძირფესვიანად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და, საერთოდ, ქართველი ხალხის ცხოვრება. მეთხუთმეტე საუკუნისა და მოყოლებული, ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სანუკვარი ოცნება ერთმონაშენე ჩრდილოელ მეზობელთან, მეგობრულად განწყობილ რუსეთთან კავშირზე, მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს ისტორიული პოლიტიკური აქტით დასრულდა — საქართველოს მეფემ ერეკლე მეორემ ხელი მოაწერა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას, ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატს. ახალი საუკუნის დამდეგს კი რუსეთის იმპერატორის აქტის შედეგად, საქართველო მთლიანად შეუერთდა რუსეთს და მისი განაპირა გუბერნია გახდა. ასე დაკარგა საქართველო ეროვნული დამოუკიდებლობა, მაგრამ ამის ფასად გადაურჩა ფიზიკურ

განადგურებას, ერთიანად ამოწყვეტას, შესაძლებლობა მიეცა მშვიდობიანი განვითარებისა და ჩართულ იქნა საერთოევროპულ კულტურულ-ეკონომიკურ პროცესში. მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა განჭვრიტეს მომხდარი ისტორიული მოვლენის ორივე მხარე და ამან საკვებით და მთლიანად განსაზღვრა მათი საქმიანობის შინაგანი დრამატიზმი. შეგნებული ჰქონდათ რა არა მარტო გარდუვალობა, არამედ მაშინდელ ისტორიულ გარემოებაში რუსეთთან შეერთების პროგრესულობა, ქართველ მოღვაწეებს იმავე დროულად არ შეეძლოთ, დრამატულად არ განეცადათ თვით ფაქტი ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვისა და მათ ხელი გაუწოდეს რუსეთის საუკეთესო შეილებს, მათი სახით კი რუს ხალხს, რათა ერთად აჯანყებულიყვნენ რუსეთის თვითმპყრობელობის გაძლიერებული კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. სამშობლოს ბედში ეს შემობრუნება სწორედ ასე აღიქვა მეცხრამეტე საუკუნის მწერლების პირველმა თაობამ — ქართველმა რომანტიკოსებმა, რომელთა შორის იყვნენ ისეთი გამორჩეული პოეტები, როგორებიც არიან — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ცალკე უნდა გამოვყოთ გენიალური ქართველი ლირიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება, ვინაც ყველაზე უკეთ გამოხატა თავისი დროის იდეები და განწყობილებანი.

ბარათაშვილმა მხოლოდ ოცდაცხრა წელი იცხოვრა. დაგვიტოვა 37 ლექსი და ერთი ლირიკულ-ფილოსოფიური პოემა. აქ უნებურად მახსენდება ფეტის სტრუქონები, ტიუტჩევის ლექსებზე რომ თქვა: „აი, ეს წიგნი, ზომით პატარა, მრავალთა მძიმე ტომს გადასწონის!“ ბარათაშვილის მოცულობით მცირე მემკვიდრეობამ უზარმაზარი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის შემდგომ განვითარებასა და ჩვენი პოეზიის ახალი გზების გაკვალვაში. ერთხელ ძალზე მოხდენილად ითქვა, რომ მან მთელი საუკუნით ადრე მეტეორივით გადაანათა ქართული პოეზია და წარუშლელი კვალი გააგლო. მიუხედავად ხალხისგან განაპირებისა და მისი პირადი ცხოვრების მარტოსულობისა, ბარათაშვილი ძნელი წარმოსადგენია ნამდვილ განმარტოებაში, რასაც ხშირად ნატრობდა. ძნელია მისი განცალკევება ქალაქის საზოგადოებისაგან, რომელთანაც მუდამ დაპირისპირებული იყო ისევე, როგორც სინათლის სხივის ვერ გამოცალკევებ მისი დამანაწევრებელი ბროლის ნახნაგისგან, გარდატეხის ადგილას ცისარტყელას რომ აჩენს. გარემომცველ საზოგადოებასთან ტრაგიკული განხეთქილებანი ბარათაშვილმა ისე ნათლად და უბრალოდ წარმოაჩინა, რომ შთამომავლობისთვის ეს მშვიდობისმოყვარეობისა და საზოგადოებისადმი ერთგულების სკოლა გახდა.

ბარათაშვილის პოეტური რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ მან საბოლოოდ და მთლიანად გაათავისუფლა ქართული ლექსი აღმოსავლური პოეზიის ყოველგვარი სუფიზისაგან, განდევნა მისი ვერსიფიკაციული ფორმები და კანონები, აღადგინა რუსთაველის ეროვნული ტრადიციები, ასევე, ბევრწილად, უმდიდრესი ძველი სასულიერო პოეზია, ამასთანავე მზერა მიაპყრო თავის უფროს თანამედროვეებს რუსეთსა და დასავლეთში — პუშკინს, მიცკევიჩს, ლერმონტოვს. ამდენად, ბარათაშვილმა ეროვნულ ნიადაგზე მოახდინა ქართული ლექსის ევროპეიზაცია. ახალი დროის კლასიკური ქართული ლირიკის ჭეშმარიტ მარგალიტებად ითვლება ბარათაშვილის „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „სულო ბოროტო“, „სული ობოლი“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემს ვარსკვლავს“, „საყურე“ და სხვები.

ბარათაშვილის ლირიკის მწვერვალი არის „მერანი“, რომელიც თავისი მხატვრულიკონცეფციითა და მიზანდასახულობით, მასში გამოხატული მსოფლმეგრძნობით რუსთაველის მიერ დახატულ ავთანდილს ენათესავება, ამავე დროს ეხმიანება მიცკევიჩის „ფარისსაც“, რომლის რომანტიკული ექსპრესია მისთვის მახლობელია. ბარათაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გადმოსახლებულ პოლონელებთან და მეგობრობდა საქართველოში მცხოვრებ პოეტთან თადეუშ ლადა-ზაბლოცკისთან. ბარათაშვილის სიყრმის მეგობარი, პოე-

ტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი საქართველოში ერთ-ერთი პირველი უწევდა პროპაგანდას პოლონურ კულტურას და ქართულ ენაზე თარგმნა მიცკევიჩის ლექსები.

თუ მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის პირველი ფურცელი გახსნეს ლირიკოსმა პოეტებმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ საუკუნის ბოლო უდიდესი ეპიკოსის ვაჟა-ფშაველას გენიამ გააბრწყინა. იგი იყო საქართველოს მაღალმთიანი კუთხის — ფშავის მკვიდრი (აქედან მოდის მისი ლიტერატურული სახელიც — ფშაველი ვაჟაკი) და ცხოვრების მეტი ნაწილი მშობლიურ მთებში გაატარა, შემოქმედების ძირითად მასალადაც ქართველ მთიელთა ყოფა გამოიყენა. თავისი პოეტური ხმა ვაჟამ მთაზე გადმომდგარი ხარირმის ყვირილს შეადარა. ამ, თითქოსდა შეზღუდულ მასალაზე პოეტმა უღრმესი ჰუმანისტური პრობლემების ხორცშესხმა შეძლო.

ვაჟა-ფშაველა თავიდანვე ისე წერდა, როგორც მთაში ლაპარაკობს და გრძნობს იქაური მკაცრი პირობებით შეჭირვებული უბრალო ხალხი, მაგრამ მან ეს სამყარო იმდენად გააღრმავა, რომ მისმა ნიგუნებმა პოეზიის ყველაზე დიდი მწვერვალები დაიბყრო და პიროვნების ჭეშმარიტ რელიგიად, ადამიანის სულის ზნეობრივ კოდექსად იქცა. თუკი ბარათაშვილის ლირიკას, როგორც ვნახეთ, მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლიტერატურის ტრადიციები ასაზრდოებდა, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სათავეები, უპირველესად, ყველაზე ფართოდ გაგებულ ფოლკლორში უნდა ვეძებოთ. ვაჟა-ფშაველამ ქართულ პოეზიაში დიდი ეპიკური სამყარო შექმნა. არა გვეგონია, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიოს რომელიმე პოეზიას ასეთი ძალმოსილებისა და გაქანების ეპიკა ნარმოვინოს. ვაჟა-ფშაველა ავტორია ოცდათექვსმეტი პოემისა (მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულია „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „გველის-მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „გოგოთურ და აფშინა“, „ეთერი“), თვით ლირიკული ფორმებით დაწერილი მისი ლექსებიც, უმეტესად, ნარატიული ბუნებისა და თხრობის ელემენტს შეიცავს. ვაჟამ ძლიერ ხასიათით მთელი გაღერა შექმნა — რკინისებური ნებისყოფისა და გმირული შემართების ადამიანები.

ვაჟა-ფშაველას უფროსი თანამედროვეები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი — ქართველ „სამოციანელებს“ თაობის საულიერი ბელადები — რევოლუციონერი დემოკრატიები, რომელთაც ძალზე გამომხატველი სახელი „თერგდალეულები“ შეარქვეს, როგორც რუსეთში ნამყოფებს. ქართული ინტელიგენციის მონინავე თაობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ქართველი ხალხის ნაციონალური — ისტორიული, კულტურული, ესთეტიკური ტრადიციების უმჭიდროესი კავშირითიერთობა ეპოქის იმ მონინავე იდეებთან, რომელთა საუკეთესო გამომხატველები რუსეთში იყვნენ ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი.

ქართველ „სამოციანელებს“ ამ თაობას, რომლის ბელადი იყო ილია ჭავჭავაძე, პატრიოტული ესტაფეტა გადასცა ბარათაშვილმა; თავისი შემოქმედების მთელი მორალურ-ფილოსოფიური მიმართულებით ეს თაობა, პირველ ყოვლისა, ბარათაშვილისგან იყო დავალებული, მაგრამ მან ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციები გაამდიდრა და გაანაყოფიერა რევოლუციური და დემოკრატიული სულისკვეთებით, რომელიც მონაბერი იყო მამინდელი რუსეთის ჭეჭა-ჭუხილამდელი ატმოსფეროსგან, რაც თვით რუსეთის იმპერიის სინამდვილემ გამოიწვია. ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებულმა ბელადებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა პატრიოტულ თემას პოპულარიზაცია გაუწიეს და თავიანთ შემოქმედებაში უზარმაზარი და არნახული გაქანება მისცეს, ხალხის შეგნებაში იგი დაამკვიდრეს, როგორც საყოველთაო გრძნობა.

ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული პოეზიისა და ქართული სალიტერატურო ენის ბარათაშვილისშემდგომ რეფორმაში. ეს ლიტერატურული რეფორმა დაახლოებით ანალოგიურია საერთოე-

როპული განვითარებისა — რომანტიზმიდან რეალიზმამდე. მაქსიმალურად იქნა გაფართოებული პოეზიის თემატური წრე, პოეზიამ ხალხთან დასახლოვებელი კიდევ ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა. პოეზიის მასალად, თემად, პრობლემატიკად იქცა მთელ მის მრავალფეროვანებში გამოვლენილი ხალხის ცხოვრება. ლიტერატურის მთავარი გმირი თვით ხალხი გახდა. ასეთ შემობრუნებას შეუძლებელი იყო არ გამოენვია წინსვლა ლიტერატურული ენისა, რომელსაც არ დაუკარგავს თავისი არც ერთი მონაპოვარი და ხალხური ენობრივი საგანძურის მძლავრი ნაკადის მეოხებით, განსაკუთრებულად გაამდიდრა ჭავჭავაძისა და წერეთლის შემოქმედებაში. სწორედ ამის გამო, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ახალი სალიტერატურო ენის ფუძემდებლებად რომ ითვლებიან.

ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში განუზომელია. ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ილია ჭავჭავაძეს ხელმძღვანელი როლი ეჭირა. იგი იყო პოეტი, პროზაიკოსი, თეატრის სულისჩამდგმელი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მრავალი და მრავალი საზოგადოებრივი დაწესებულების ორგანიზატორი, პოლიტიკური მებრძოლი.

ჭავჭავაძის პოემები („აჩრდილი“, „აკაკო ყაჩაღი“, „განდეგილი“) და მისი პატრიოტული, ფილოსოფიური და სასოციალური ლირიკა აღბეჭდილია მინაგანი სიდიადითა და მონუმენტურობით — ქართული პოეზიის საგანძურში ითვლება უდიდეს ნელილად და მასზე ქართველთა მრავალი თაობა აღიზარდა.

თამამად შეიძლება ითქვას — საქართველოში რუსთაველის შემდეგ არც ერთი პოეტი არ იყო ისეთი პოპულარული, როგორც „საქართველოს ბულბულად“ ნოდებული, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი აკაკი წერეთელი. ქართველ მწერალთაგან ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი და ნაყოფიერი, ავტორი საუცხოო პოემების, დრამების, კომედიების, მოთხრობებისა, საუკეთესო პუბლიცისტი და კრიტიკოსი, აკაკი წერეთელი საქართველოს უდიდესი ლირიკოსი იყო. აკაკი წერეთლის ლირიკული შედევრები, ისეთები, როგორიცაა — „სულიკო“, „ციცინათლა“, „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, „სიზმარი“, „თაო ჩემო“, „ამირანი“, „იმერული ნანინა“, „განთიადი“, „მუხამბაზი“ და ბევრი სხვა, არა მარტო იცოდა და იცის ყველა ქართველმა, მათ მთელი საქართველო მღერის. ამ განსაცვიფრებლად მელოდიურ ლექსებს თვით ხალხი უწყობდა ჰანგებს, მეორე მხრივ, პუშკინის ლირიკის მსგავსად, შთამაგონებელი რომ გახდა თითქმის ყველა რუსი კომპოზიტორისათვის, ისინი საფუძვლად დაედო ქართველ კომპოზიტორთა მრავალ შესანიშნავ ვოკალურ ნაწარმოებს.

როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი — აკაკი წერეთელი განსაკუთრებულად აფასებდა ცარილების მიერ დაჩაგრული ხალხების ისეთი დიდი სულიერი ბელადების შემოქმედებასა და მოღვაწეობას, როგორებიც იყვნენ მიცკევიჩი და შვეჩენკო. აკაკი წერეთელი და შვეჩენკო, აკაკი წერეთელი და მიცკევიჩი — ეს დიდი და საინტერესო გამოკვლევების თემა გახლავთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ აკაკი წერეთელი მუდამ ხაზს უსვამდა თავის განსაკუთრებულ სიყვარულს დიდი პოლონელი ხალხისადმი. მიცკევიჩის სახეს იგი გულში ატარებდა მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. ერთ თავის ადრინდელ ავტობიოგრაფიულ ლექსში ამბობს, რომ მიცკევიჩის „კონრად ვალიენოლი“ მის სიჭაბუკეში ცხოვრებისეული ქვეყნის მაგალითი და მიბაძვის დიდი საგანი იყო. მოხუცებულობის ყამს, მისდამი მიძღვნილ ზეიმზე აკაკიმ პოლონეთის დეპუტაციის მისალმების პასუხად განაცხადა, რომ მიცკევიჩმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მის სულიერ ფორმირებაში. აკაკი წერეთელს უწყევად სწამდა — ქართველ და პოლონელ ხალხს, რომელთა ისტორია თანაბრად იყო თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლა, უნდა ცხოვრობდნენ და უყვარდეთ ერთმანეთი და მან ყველაფერი იღონა, რათა მისი ეს ფიქრები და სურვილები განხორციელებულიყო.

ნაციონალურ-განმათავისუფლებელი, პატრიოტული მოტივები აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული სოციალური ბრძოლის მოტივთან. შემთხვევით არ მომხდარა, რომ 1905 წლის რუსეთის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში აკაკი წერეთელი იყო ყველაზე უფრო რევოლუციური ლექსების ავტორი. ისიც აღსანიშნავია, რომ ექვნი პოტიეს „ინტერნაციონალი“ ქართულ ენაზე პირველად აკაკი წერეთელმა გადმოიღო.

აკაკი წერეთელმა დიდი და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო და ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველა, ახალი ერის კაპიტალის, 1915 წელს გარდაიცვალა.

დიდი ქართველი პოეტების ესტაფეტა, რომელმაც დაასრულა ქართული კლასიკური პოეზიის განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა, თავიანთ ხელში აიღეს ახალი ეპოქის მესვეურებმა — საბჭოთა საქართველოს პოეტებმა, რომლებიც თვალისჩინივით უფროსილდებიან წინამორბედთა მემკვიდრეობას.

რუსულიდან თარგმნა და
წინათქმა დაურთო
ემზარ კვიციანიშვილმა

ლაშა გიორგაძე

ჩვეულებრივი ცხოვრების ეშხი

ვის უნდა ოცი ათასი?

იცით თუ არა თქვენ, რომელ ენაზე მღეროდა „ინტერნაციონალს“ ლავრენტი პავლოვიჩ ბერია?

სავარაუდო პასუხები: ქართული, რუსული, მეგრული, ფრანგული.

იცით თუ არა თქვენ, საათში ნიგნის რამდენ გვერდს კითხულობდა სტალინი?

სავარაუდო პასუხები: 10, 20, 50, 100.

იცით თუ არა თქვენ, ვის უნდა უმაღლოდეს თავის დაბადებას „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“?

სავარაუდო პასუხები: უინსტონ ჩერჩილი, ვასილ მუჟაჟანაძე, ჯონ ფიცჯერალდ კენედი, ედუარდ შევარდნაძე.

ვერც ერთ ენციკლოპედიამში, სულერთია — ქართული იქნება, რუსული, ინგლისური თუ ფრანგული, ვერც ერთ ცნობარში, საბჭოურსა თუ პოსტსაბჭოურში, და თქვენ წარმოიდგინეთ, ყოვლისმცოდნე და ყველგან ცხვირისჩამყოფ ინტერნეტშიც კი ვერ წააწყდებით პასუხს ზემოთ დასმულ შეკითხვებზე მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვათაგან პირველი და მეორე ეხება XX საუკუნის ორ თვალსაჩინო პოლიტიკურ ფიგურას (ამჯერად ნუ განვიკითხავთ!), ხოლო მესამე — მნიშვნელოვან ფურცელს ჩვენი საყვარელი სამშობლოს კულტურის ისტორიაში.

მაგრამ ღვთისა და გამომცემლობა „დიოგენეს“ წყალობით, პასუხებს სამივე შეკითხვაზე (თუკი დაგინტერესებთ) იხილავთ მიხეილ ჭაბაშვილის ნიგნში „მოგონებები“ (თბ., 2006). ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ იგი პასუხნი მზამზარეული კი არ გელოდებთ ერთიმეორის მიყოლებით, არამედ საძებარია. მთელი 267 გვერდის (აუჰ!) წაკითხვა მოგიწევთ, რათა მიაგნოთ ამ პასუხებს. მერწმუნეთ, შრომა დაგიფასდებათ, წაგებული არ დარჩებით. დიახ, ეს ნიგნი უდავოდ იმსახურებს იმას, რომ მკითხველმა ერთი საღამო მაინც გაიმეტოს მისთვის და, ვინ იცის, ეგებ ისე გაუტკეპს კითხვა და უზარებლად გავიდეს ბოლომდე.

მეორე საბა

მკითხველთა ფართო წრისათვის ამ ნიგნის ავტორის სახელი და გვარი, შესაძლოა, ბევრს არაფერს მეტყველებდეს, ამიტომაც სასურველია მისი წარდგენა და, ვინაიდან ამბობენ, პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, დავიმონმოთ მისი

უმცროსი კოლეგისა და თანამშრომლის — ავთანდილ არაბულის მიერ მოგონებათა ნიგნისათვის დართული ლაკონიური სამეცნიერო ბიოგრაფია:

„მიხეილ ჭაბაშვილი — ეს სახელი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. განუზომელია მისი ღვაწლი ქართული აკადემიური ლექსიკოლოგიის უფრო კი — ლექსიკოგრაფიის) სფეროში. სრულიად ახალგაზრდა მოვიდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში, აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნაში და სიცოცხლის ბოლომდე საკუთარი მხრებით მიჰქონდა ლექსიკოლოგიის განყოფილების მძიმე უღელი. ბატონი მიხეილი იყო ნამდვილი პროფესიონალი, მეორე სულხან-საბა“.

ათასში ერთ კაცს თუ ეცოდინება, რომ მიხეილ ჭაბაშვილი, სხვა არაერთ დამსახურებასთან ერთად, ავტორია უცხო სიტყვათა ლექსიკონისა. მეცნიერ კაცს თავმოსაწონად ამ ერთი ნიგნის შექმნაც ეყოფოდა. მარტოოდენ მასზე განეული გარჯითაც კი გამართლებოდა ამქვეყნად მისი მოსვლა. ხომ თქმულა: ერთი ხე დარგეო, ერთი შვილი გაზარდეო და ა.შ. არც ისაა ურიგო, რომ ერთი კარგი ნიგნი შესძინო ქართული კულტურის ფასდაუდებელ საგანძურს.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი თუკი მოგეპოვება საოჯახო ბიბლიოთეკაში, შენს ბედს ძალით არ დაჰყევს. ათი ათასი სიტყვა შესული მიხეილ ჭაბაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში. ხუმრობა საქმეა, ათი ათასი უცხო სიტყვის ბატონ-პატრონი ხარ! ათი ათასი უცხო სიტყვა მზად არის შენდა სამსახურად, ერთ დაძახილზე მყისვე გამოგეცხადებიან მართალნი და ერთგულნი. სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობენ. მაგრამ, რუსთველისა არ იყოს, იგი სხვაა, სიძვა სხვაა და როდესაც უცხო სიტყვებით უაზროდ კეკლუცობენ (ვეროპელობენ?) ანდა უადგილოდ თუ უსწორმასწოროდ იყენებენ, ძალაუნებურად წამოგცდება: შე დალოცვილო, ჩაიხედე უცხო სიტყვათა ლექსიკონში, ერთხელ და სამუდამოდ გაარკვევ, რას ნიშნავს, ვთქვათ, „მასობრივი“ და რას ნიშნავს, ვთქვათ, „მასიური“ (ერთმანეთში აღარასოდეს აღარ აგერევა, თუნდაც პარლამენტში იჯდე). ესეც უნდა დაიხსომო, რომ „ცივილიზებული“ ითქმის ადამიანსა და ქვეყანაზე, ხოლო „ცივილური“ — ტანსაცმელზე (ამჩნევთ განსხვავებას?). ცივილური ქვეყანა უნდა გავხდეთო, რომ გაიძახი, ვინმე იფიქრებს — სამხედრო მუნდირის გახდას და სანაგვეში გადაგდებას მოგვინოდებსო.

ერთი სიტყვით, ყურს აღარ დაუგდებ ტელევიზორს და დაუმეგობრდები მიხეილ ჭაბაშვილის მიერ შედგენილ უცხო სიტყვათა ლექსიკონს.

ფერად-ფერადი კანჭები

ქართველი მკითხველი მაინცდამაინც განებივრებული როდია ქართული კულტურის მოღვაწეთა მემუარული თხზულებებით და, რასაკვირველია, მისთვის ძვირფასი საჩუქარი უნდა იყოს „მეორე საბა“ წოდებული კაცის მოგო-

ნებების ნიგნი, რომელიც ღვანლმოსილი მეცნიერის ქალიშვილთა თაოსნობით დაისტამბა.

მიხეილ ჭაბაშვილი, საუცხოო მოქართულე და მახვილგონიერი მთხრობელი, ხალისიანად და მიმზიდველად გადმოგვცემს თავისი ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის წლებს, გვიხატავს საინტერესო ადამიანებს, ვისთანაც ერთად განვლო არცთუ იოლი გზა ცხოვრებისა და ვისთანაც კერძო თუ საქმიანი ურთიერთობანი აკავშირებდა. მის მონათხრობში ნიშანსვეტებივით აღმართულან საგულისხმო ეპიზოდები, რომლებიც უთუოდ დაამახსოვრდება მკითხველს და რომლებიც ხშირად შემეცნებით, ზნეობრივ და ესთეტიკურ ღირებულებასაც იძენს.

მოგონებებში გაშუქებულია ის ატმოსფერო, ზოგჯერ მძიმე და არაერთგვაროვანი, რომელიც გვაახლოებს წარსულთან, ქართული მეცნიერების სახელოვან მოღვაწეებთან, იმ ადამიანებთან, ჩვენი ქვეყნის მომავალს რომ უყრიდნენ საძირკველს, რომელთა ნაშრომებზე არაერთი თაობა აღზრდილა და დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ფასი და აქტუალობა.

მოგონებათა ნიგნი ეხმარება მკითხველს, უკეთ გაიაზროს, თუ როგორ ახერხებდნენ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ჩვენი სასიქადულო მეცნიერები ეროვნული და პროფესიონალური ტრადიციების შენარჩუნებას, ეროვნული კულტურის თავდაუზოგავ მსახურებას.

თქვენ წარმოიდგინეთ, მიხეილ ჭაბაშვილის მიერ დახატული ცალკეული პორტრეტები თუ ცხოვრებისეული ეპიზოდები, შესაძლოა, გამოცდილ მწერალსაც კი შეშურდეს.

დაკვირვებული მკვლევარისა და მხატვრული სიტყვის მოყვარული ოსტატის თვალთ დანახული და აღწერილია გასული საუკუნის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, არაერთ მკითხველს უამრავ ტკბილ-მწარე ფიქრებს რომ აუშლის და სამომავლო საზრუნავის ბილიკებზეც გაიწვევს.

მეცნიერის სანაქებო მესხიერებას ფერად-ფერად კენჭებზედ შემოუნახავს აურაცხელი ფაქტები და სურათები როგორც თავისი, ასევე სხვისი ცხოვრებიდან. ამ კენჭების ერთობლიობა და გონივრული განლაგება კი ქმნის ვეებერთელა მოზაიკურ პანოს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ჩვენი თავგადასავალი“. ოღონდ ეგაა, რომ მოულოდნელად კენჭებში ეგებ ლოდმა ამოყოს თავი და ვიზუალური ჰარმონია დაარღვიოს. ლოდის ხსენება ნუ გაგიკვირდებათ... ლოდა, აბა სხვა რა დავარქვავთ იმ უპრეცედენტო ფენომენს, მით უფრო ჩვენს სინამდვილეში (სულერთია, საბჭოთა იქნება თუ პოსტსაბჭოთა), რომელსაც შევიტყობთ მიხეილ ჭაბაშვილის მოგონებათა ნიგნიდან:

ავტორი აღნიშნავს რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (8 ტომი, 1950-1964) სამუშაოებში ყველაზე დიდი ანაზღაურება იყო და იქიდან მიღებული შემოსავალი კარგი დანამატი გახლდათ შემდგენელთა ხელფასისა.

და ერთადერთი ადამიანი, რომელიც კაპიკს არ იღებდა განუული შრომისათვის, თურმე იყო ლექსიკონის მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი არნოლდ ჩიქოვაძე. 1945 წელს მთავრობაში რომ ამტკიცებდნენ თანამდებობაზე, ასე განუცხადებია: ლექსიკონს მხოლოდ იმ პირობით მოვკიდებ ხელს, თუკი ამაში საზღაურს არ მივიღებო. მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. ვალერიან ბაქრაძეს, ცოტა არ იყოს, მკვავებდ უთქვამს მისთვის: ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი შრომა სათანადოდ არის დაფასებული და, რას ჰქვია, არ აიღებთ, რაც კანონით გეკუთვნითო. მაგრამ ჩიქოვაძემ ყურად არ იღო ბაქრაძის ნათქვამი და თავისი პირობა გაიმეორაო. მთავრობის თავმჯდომარე იძულებული გამხდარა, რომ გაჩუმებულიყო (როგორ მოგწონთ? ქართველი აკადემიკოსი ამარცხებს საბჭოთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს!).

„მოგონებების“ ავტორი გულლიად წერს, ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში ცოტაოდენი გასამრჯელო ხელფასს ზევით ვის მისჭარბებოდაო, თანაც ეს ერთდროული ჰონორარი კი არ ყოფილა, არამედ მყარი სოლიდური შემოსავალი მთელი ოცი წლის განმავლობაში!

ალტაცებანარევი გაოცებით გვაუწყებს: „მე ცხოვრებაში სხვა არავინ შემხვედრია, რომ ასეთი მსხვერპლი გაელოს“.

ძვირფასო მკითხველო, თქვენ შეგხვედრიათ?

და კიდევ ერთი შტრიხი პორტრეტისათვის: ლექსიკონის ტომები რომ გამოდიოდა, არნოლდ ჩიქოვაძე სტამბის მუშებს დამატებით ხელფასს აძლევდაო.

ახლა ჩვენი ტკბილ-მწარე წარსულის კოლორიტულ ფრაგმენტებს გადავავლოთ თვალი (ვიმეორებ, სხვაგან ვერსად რომ ვერ ნაანუდებით!).

საბჭოთა კავშირში ცენზურა კოხტა ევფემიზმით („მთავლიტი“) რომ იყო შენიღბული, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს ეცოდინება, რომ რევოლუციამდელი შტამში „*дозволено цензурою*“ შეცვალა იდუმალმა ასო-ციფრების კომბინაციამ. მიხეილ ჭაბაშვილი მიუთითებს, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის I ტომის ბოლო გვერდზე სასტამბო მონაცემებს შორის ჩაკრული იყო ბევრისთვის არაფრის მთქმელი „უე. 00157“.

აი, ასე გასცა სახელმწიფო საიდუმლოება უზომოდ ცნობისმოყვარე მეცნიერმა.

ჩვენი სასახელო ლექსიკონი, ცხადია, გამონაკლისი არ ყოფილა. ასო-ციფრებით შეკონინებული კოდი ორნამენტივით ამშვენებდა ნებისმიერ ნიგნს, გინდ პუშკინი ყოფილიყო და გინდაც მიაკოვსკი.

ტექსტში სტალინის გვარის გაყოფა (ისევე როგორც ლენინისა) და განაყოფის გადატანა მომდევნო სტრიქონზე სასტიკად იყო აკრძალული. ამის გამო ასოთამნყობებს დიდი გასაჭირი ადგათ. ხშირად ხდებოდა, რომ უკვე აწყობილი 12-15 სტრიქონი უნდა ჩაეშალათ და ხელახლა აენწყოთ ისე, რომ ეს გვარი მთლიანად დატეულიყო სტრიქონზე ანდა ასევე მთლიანად გადასულიყო მომდევნოზე.

„ამხანაგი ბეატრისა“... ამაზე რალას იტყვიან?

ერთხელაც არნოლდ ჩიქოვაძე ეკითხება მიხეილ ჭაბაშვილს: ამას წინათ ამხანაგ ბეატრისასთან ერთად იყავით სტუმრად ჩემთან, ეს შემთხვევით იყო თუ... დიდებულ ენათმეცნიერს გუმაწმა არ უმტყუნა. „ბეატრისა“ მისი თვალსაჩინო თანამშრომლის მომავალ მეუღლეს ერქვა (სხვათა შორის, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი თავის სამეცნიერო დღიურში თავის მეუღლეს ასე მოიხსენიებს: „ამხ. ნინა“).

ლინგვისტი ყველგან ლინგვისტად რჩება და მიხეილ ჭაბაშვილი ყურადღებას ამახვილებს ისეთ ნიუანსებზე (არ დაგავინდეთ — უცხო ენაში!), ჩვეულებრივი მოკვდავი ერთ ყურში რომ შეუშვებს და მეორიდან გამოუშვებს.

როგორც ცნობილია, ქართველები საბჭოთა ჯარში ყოფნისას ძნელად ეგუებოდნენ რუსებში ესოდენ ფართოდ გავ-



მიხეილ ჭაბაშვილი

რცელბულ დედის გინებას — შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე-სავით რომ ეკერათ პირზე. ბოლოს და ბოლოს ხელს ჩაიქნე-დნენ და თავადაც წარმატებით იყენებდნენ. ჩვენი მემუა-რისტიის სიტყვით, ერთხელაც თურმე ასეთი რამ მომხდარა: ერთმა ქართველმა რუსს შეაგინა არა საუკუნეობით კურ-თხეული ფორმულით, არამედ თავისებურად, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქართულ-რუსულად“: „ია ტვოი მამა ე...!“ ამის გაგონებაზე ის რუსი გადაირია და საჩხუბრად მიიწია, ძლივს გავაშველეთო.

მოგონებათა ნიგნიდან იმასაც შეიტყობთ, თუ რას თამა-შობდნენ ეზოში ლამის ერთი საუკუნის წინანდელი თბილი-სელი ბიჭები. ავტორი გულახდილად გვიმხელს, ზარიც მი-თამაშია, მაგრამ დროზე შევეშვიო. და სწორედ „ზართან“ დაკავშირებით იხსენებს ფრიად კოლორიტულ სცენას: უკვე სტუდენტი ყოფილა. შინ მიმავალს მეზობლის ბიჭი შეუნიშ-ნავს, წრეში ჩაცუცქული კამათელს რომ აგორებდა. ბიჭის მამა კი შორიხლოს დგას და თვალს ადევნებს თამაშს. ჩვენი სტუდენტი მეზობელს მიმართავს: შიო, ნახე, შენი შვილი რა დღეშიაო და იმ მეზობლის პასუხი აოცებს — ეჰ, ხელი არ მოსდისო.

კიდევ ერთი კოლორიტული შტრიხი თბილისის ცხოვრე-ბისა.

„კანონიერი“ ქურდი გარეთ უქუდოდ არ გამოვიდოდა. დილით ეზოში ონკანზე პირს რომ იბანდა, წელს ზევით შიშ-ველი იქნებოდა, მაგრამ თავშიშველი — არასგზით. ერთ მათგანს ვკითხე და ასე ამიხსნა: ქუდი ნამუსის ნიშანიაო.

მიხილ ჭაბაშვილი, ყველა სიკეთესთან ერთად, ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა გაჩენილი. დიდი სამამულო ომის მო-ნაწილე გახლდათ და განგებას ერთი პანანკინტელა ნაკან-რითაც კი არ „დაუჯილდოებია“. თოფის გასროლა ერთხე-ლაც არ დასჭირვებია. თავად ხომ გადარჩა სიკვდილს და არც სხვა მოუკლავს. ესეც საქმეა... მოკრძალებით წერს: „ბედისწერამ ისე განაგო, რომ ჯარში ვიყავი 1944 წლამდე და დროის დიდი ნაწილი რეზერვებში გავატარე“.

აუპლიცისტი

მერე, რა არის ჰეკუბა მისთვის? — კიდევ ერთხელ იტყოდა შექსპირი, მიხილ ჭაბაშვილის ნიგნი რომ აელო ხელში და იმ ადგილს მისდგომოდა, სადაც ავტორი აღშოფო-თებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ გაზეთ „თბილისის“ ყოველ ნომერში ერთი გვერდი სამგლოვიარო განცხადე-ბებს ეთმობოდა და ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი გატაცე-ბა განმცხადებელთა პრესტიჟის საქმედ იყო მიჩნეული. ასეთი რამ სად, რომელ ქვეყანაში ხდებოდა? — მუდამ მო-უცლელი და ათასი მოვალეობით დატვირთული მეცნიერი ხმას იმალუბდა ფესვგადგმული ტრადიციის წინააღმდეგ და მკაცრი განაჩენი გამოჰქონდა: „სამგლოვიარო განცხა-დებების გამოქვეყნება მემჩანოხისა და პროვინციალიზმის გამოვლინებად იქცა“.

ამგვარი ვალაშქრება საზოგადოებრივი აზრის წინააღმ-დეგ, უდავოდ, მოქალაქეობრივ გამბედაობასაც მოითხოვს და, ვინ იცის, ეგებ არანაკლებ სარისკო იყო, ვიდრე, ვთქვათ, ტოტალიტარული რეჟიმის ადათ-წესების საჯაროდ დაგმო-ბა. მოსალოდნელი რეაქცია დანერგული ტრადიციის აქტი-ურ თუ პასიურ ადეპტთა მხრიდან იოლი გამოსაცნობი გახ-ლდათ: შენ, პატივცემულო მეცნიერო, იმის ნაცვლად, რომ შენს საქმეს მიჰხედო, რაშიც გულუხვად გიხდიან ფულს, ხელში ხმალი აგიღია და იმას შებრძოლებიხარ, რაც ჩვენს სულსა და გულს ეფონება, ჭრილობებს მალამოდ ედება და დარდს გვიქარვებსო.

განგებამ ხმალამოლებულ მეცნიერს ფრიად ორიგინა-ლური ინდულგენცია უწყალობა (უკეთესს რომ ვერ ინატ-რებდი!).

მიხილ ჭაბაშვილი მოგვითხრობს: „ერთხელ გაზეთ „თბილისის“ რედაქტორს — ნიკოლოზ ჯაშს ვკითხე, ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს-მეთქი. მან, იცით, რა მიპასუხა? ამ განცხადებების შემოსავლის ხუთწლიანი გეგმა გვაქვს მოს-კოვში დამტკიცებულიო. ე.ი. „ცენტრი“ მიხვდა ქართველე-ბის, რბილად რომ ვთქვათ, კიდევ ერთ სისუსტეს და კარგად ითბობდა ამაზე ხელს. სხვა რომელი რესპუბლიკიდან მიი-ღებდა ყოველწლიურად ამ სტატით ასეთ სოლიდურ თანხას რუსეთის ხაზინა?“

დაუდგრომელი მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს აგ-რეთვე „ირობანაზე“ (იაპონური „იკებანა“ არ გეგონოთ, ირო-ბანა ჩვენებური ბუკეტია).

ამჯერად კრიტიკის ობიექტად ქცეულა პატივისცემისა თუ მორჩილების ნიშნად, რუსულ ყაიდაზე, „ირობით“ და „ეგ-ნობ-ოვნობით“ მიმართვის საყოველთაოდ გავრცელება სა-ქართველოში (სოფლებშიც კი!); ჰა, როგორ მოგნონთ „ყარა-მანოვიჩი“ ან „ყაფლანოვიჩი“?

დამოუკიდებელ საქართველოს აურაცხელ მიღწევათა შორის, ალბათ, ამ მანე ჩვეულების აღკვეთაც ჩათვლება.

კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა მიხილ ჭაბაშვილის ნიგნიდან, ქართული ენის ნორმებს რომ ეხება:

„ზოგი მეცნიერის, მწერლისა და ჟურნალისტისათვის თითქოს არც კი არსებობდეს ეს ნორმები და დღესაც განაგ-რძობენ ადამის ჟამინდელი წესებით წერას: აქვარელი, აქვა-რიუმი, ადექვატური, ქვორუმი, რელიქვია და მისთ., ლირიუ-ლი, დინამიური, სპეციფიური და სხვ.,... ხომ არ შეიძლება, ყოველ ავტორს, რაც უნდა გამოჩენილი იყოს, თავისი საკუ-თარი ორთოგრაფია ჰქონდეს? მაშინ რალა სალიტერატურო ენა გვექნება?“

ამას წერდა მეოთხედი საუკუნის წინათ. ძნელი სათქმე-ლია, დღევანდელ განუკითხაობაზე (მხოლოდ და მხოლოდ ორთოგრაფიულს ვგულისხმობ!) რალას იტყოდა?! ეგებ გას-ცინებოდა კიდევ, ხელი ჩაექნია და თავისი თავი გაეკიცხა: წერე და იკითხეო...

სანატრალი ლოპიო

ერთ ჩართულ ნოველად გამოიყურება სვანეთისუბნელ წულუკიძეთა ოჯახის ისტორია.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახი ყოფილა: დედა, მამა, ოთხი ვაჟიშვილი. დაქორწინებული ჰქონიათ 20 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი მინის პირზე. იატაკი ნახევარი ფიცრისა იყო, ნახევარიც აგურისა. ედგათ ერთი სანოლი და ერთიც ტახტი, რომელზედაც სამი სული იძინებდა. დანარ-ჩენები პირდაპირ იატაკზე იშლიდნენ ლოგინს. მიუხედავად ასეთი სივინროვისა, მათთან მუდამ წლობით ცხოვრობდა ქალაქში ჩამოსული ხან ერთი და ხან მეორე ნათესავი ქალი. ოჯახის უფროსი — ერთი წყნარი, უხმო, ნაღდი რაჭველი კაცი — სტამბის მუშა იყო, მბეჭდავი. მიხილ ჭაბაშვილი ამ-ბობს, ბევრჯერ შევსწრებოვარ, რომ სამუშაოზე ღამენათესვ დღისით ეძინა და ამ დროს ოთხი მოზრდილი ბიჭი ოთახში ყირას გადადიოდაო.

მოგონებათა ავტორი გასტრონომიულ თემასაც ეხება: „იმათი სადილი თითქმის ყოველთვის ლობიო იყო. თანაც მესხიერებაში ჩამრჩა, რომ ცოტას ჭამდნენ. ამ ლობიოს პა-ტარ-პატარა თეფშებით ჩამოურიგებდა ივლიტა ბიცოლა, აწებდნენ პურს და გემრიელად შეექცეოდნენ. რამდენად საკ-მარისი იყო, არ ვიცი. ანკი როგორ არსებობდნენ საერთოდ.

ერთი მუშაკაცი არჩენდა ამოდენა ოჯახს (6+1 სული, ხოლო ერთხანს 6+2). რა უნდა ჰქონოდა ხელფასი მბეჭდავს?“

ოთხივე ძმა კარგად სწავლობდა!!!!

უფროსმა ძმამ ბორიამ რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი დაამთავრა, ომის დროს — საარტილერიო სასწავლებელი. ფრონტზე თავი გამოიჩინა, საბჭოთა კავშირის გმირის ნოდება მიანიჭეს.

მეორე ძმა, ომი რომ ატყდა, უნივერსიტეტში სწავლობდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ძმებში ყველაზე ჭკვიანი იყო, ნამდვილი ჭკუის კოლოფი... სევასტოპოლში დაღუპულა.

მესამე ძმა სამთო ინჟინერი გამხდარა, ხოლო მეოთხე — საგზაო ინჟინერი.

კითხულობ ნულუკიძეთა ოჯახის ამბავს და ლამის ცრემლი მოგადგეს თვალებში. მეორე მხრივ, გიხარია და რაღაცნაირად გეამაყება, რომ არც ერთი ძმა მრუდე გზას არ დასდგომია.

მაგრამ ჭაბაშვილი რის ჭაბაშვილი იქნებოდა, რომ დრამატული თხრობა იუმორისტული საკმაზით არ შეეზავებინა. კეთილსინდისიერი მემბტიანე ერთგულად მისდევს ჩვენი ცხოვრების წესსა და რიგს.

და აი, როგორ მთავრდება ნულუკიძეთა ოჯახის შესახებ შექმნილი დოკუმენტური ნოველა:

საბჭოთა კავშირის გმირად შინ დაბრუნებული ბორია ნულუკიძე სურსათის სპეცმალაზიაში მიუმადგურებიათ. ომის შემდგომ წლებში ამ სანუკვარ ბარათზე თეთრი პურიც კი გაიცემოდაო და სხვა გასტრონომიული სიკეთენი: ხორცი, კარაქი, შაქარი... ოჯახს საჭმელ-სასმელი აღარ აკლდაო, გვამცნობს მიხეილ ჭაბაშვილი და ეშმაკურად დასძენს: „მაგრამ ნუხდენე იმას, რომ ამ ბარათით ლობიოს ვერ იღებდნენ, სანატრელ ლობიოს!“

ამგვარ ფინალს, ალბათ, ცხონებული ო'ჰენრიც მოანერგა ხელს.

ცხოვრება მშვენიერი — ასეც გვმოძღვრავენ ხოლმე. ძნელი, ცხოვრებას მშვენიერი უნდოდ, გინდ დაძაბუნებულ-დაბეჩავებულ ჯოჯოხეთში ცხოვრობდე და გინდაც — აყვავებულსა და ძლევამოსილ სამოთხეში. ზემოხსენებული ეპითეტი სიცოცხლეს უფრო მიესადაგება, ვიდრე ცხოვრებას. სიცოცხლეს უფრო ეთქმის. განა მშვენიერი არაა მთელი თავისი ნაკვეთებითა და იერით, თავისი სუნთქვითა და ფერადოვნებით?!

მიხეილ ჭაბაშვილის მოგონებათა ნიგნის ერთი, ფრიად გამოსარჩევი ნიშანი ის ვახლავთ, რომ იგი შეეყვარება სიცოცხლეს. დიახ, ოპტიმისტური ნიგნია, ოღონდ ოპტიმიზმს შეგონებებითა და ლოზუნგებით კი არ ქადაგებს, არამედ თავისი თავგადასავლის აღწერილობით, სადაც ყოველთვის იმარჯვებს სიცოცხლე და ძალდაუტანებლად აირეკლავს მთელი ქვეყნის თავგადასავალს.

„დავიბადე და გავიზარდე უკიდურეს სიღარიბეში“, — ამ სიტყვებით იწყება ნიგნი და ია-ვარდით როდია მოფენილი გზა ქართველი სწავლულისა და მრავალჭირვარამგამოვლილი საბჭოთა მოქალაქისა. მაგრამ როდესაც კითხულობ მიხეილ ჭაბაშვილის „მოგონებებს“, შენც გადმოგედება ავტორისეული ჭირთა თმენა, მუდამ ახალგაზრდული ხალისი და შესაშური შრომითი პათოსი. იმასაც კი გაიფიქრებ, რაოდენ ცოტაა საჭირო ადამიანის ბედნიერებისათვის, თუკი თავად ადამიანი ამართლებს თავის დანიშნულებას.

სხვათა მემუარებში, შესაძლოა, უფრო დიდრონ-დიდრონი საქმენი საგმირონია იყოს ასახული, არნახული ფოიერვერკებისა და შეთხზული ფათერაკების თანხლებით, მაგრამ ადამიანის ჩვეულებრივ ცხოვრებასაც ხომ თავისი ეშხი და განუმეორებელი ხიბლი აქვს.

და თუკი გვჯერა, რომ ათასი წლის შემდეგ ჩვენი საყვარელი სამშობლო კვლავინდებურად დაამშვენებს კაცობრიობას და მისი ისტორიაც ცხოველი ინტერესის საგნად დარჩება ჩვენი თუ უცხოელი მკვლევარებისათვის, მიხეილ ჭაბაშვილის „მოგონებები“ გაამართლებს თავის არსებობას, როგორც უძვირფასესი ნყარო XX საუკუნის საქართველოს ისტორიისა თუ ეთნოგრაფიის შესასწავლად და გასაშუქებლად.

ისიც შეიძლება ითქვას, რომ ეს ნიგნი საღებუნად დაედება ილია ჭავჭავაძის გულისტკივილს, ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორია არისო.

P.S.

იმედია, გარკვეული წარმოდგენა შეგექმნათ მიხეილ ჭაბაშვილის მოგონებათა ნიგნზე. ახლა, დაპირებისამებრ, ზემოთ დასმულ სამ შეკითხვაზე ვრცელი პასუხებიც ინებეთ, რა თქმა უნდა, იმავე ნიგნიდან:

პასუხი პირველი. 1937 წლის 6 ნოემბრის საღამო იდგა, უნივერსიტეტიდან გამოსული ჭაბაშვილი გაჰყოლია რუსთაველის პროსპექტს, შორიდან დაუნახავს, რომ ოპერის თეატრთან ხალხი ირეოდა. ახლოს რომ მისულა, რიგი შეუნიშნავს და თავადაც ჩამდგარა ამ რიგში. გაჰყოლია, გაჰყოლია და ისე შესულა ოპერაში, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი არც კონტროლორებს შეუჩერებიათ, არც ჩეკისტებს და არც სხვას არავის.

ხომ დაუჯერებელია? აბა, თავად განსაჯეთ — დგას განა იოცდაჩვიდმეტი. ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს ოპერის თეატრში ესწრება საბჭოთა საქართველოს მთელი ხელმძღვანელობა თვით ლავრენტი ბერიას თამადაობით და უნივერსიტეტის რიგითი სტუდენტი მოსანვევი ბილეთის გარეშე შედის ამ ღონისძიებაზე (შორს ჩვენგან პარალელები!).

დასასრულ, ვკითხულობთ: „საღამოს საქმიანი ნაწილი დამთავრდა. ფეხზე წამოშლილმა პრეზიდენტმა და მისი მიბაძვით დარბაზმა ერთხმად დააგუგუნეს „ინტერნაციონალი“. რატომღაც დამაინტერესა, რა ენაზე მღეროდა ბერია, ქართულად თუ რუსულად და მისი პირის გაღება-დახურვით გავარჩიე: რუსულად!“

პასუხი მეორე. 1951 წელს არნოდ ჩიქობავა მოსკოვში სტუმრად იმყოფებოდა სტალინთან და, ალბათ, კონსულტაციას უწევდა იმხანად ენათმეცნიერების საკითხებით გატაცებულ კრემლის მბრძანებელს. ერთხელაც სტალინს თანამედროვე მწერლობაზე ჩამოუგდია სიტყვა და ჩიქობავას უკითხავს მისთვის: თქვენი მოუცლელობის პირობებში მხატვრული ლიტერატურის კითხვას როგორ ასწრებთო?

უღვაშა ბელადს ასე აუხსნია: „მე სწრაფად ვკითხულობ, საათში დაახლოებით 100-150 გვერდს. დავხედავ და ერთი გვერდი წაკითხული მაქვსო“.

პასუხი მესამე. 1961 წელს ვენაში გაიმართა საბჭოთა ლიდერის ნიკიტა ხრუშჩოვისა და აშშ პრეზიდენტის ჯონ კენედის მოლაპარაკება. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ნიკიტამ დაიწყო ტრაბახი, თუ როგორ ვითარდებიან და იფურჩქნებიან ეროვნული რესპუბლიკები საბჭოთა კავშირში. კენედიმ თურმე შეანყვეტინა სიტყვიერი რახარუხი ერთი პანია შეკითხვით: თქვენს რესპუბლიკებს ენციკლოპედიები თუ აქეთო? ნიკიტას სიტყვა შეაშრა პირზე. დამთავრდა თუ არა აღნიშნული შეხვედრა, მან მყისვე დარეკა მოსკოვში და განკარგულეზა გასცა — მოკავშირე რესპუბლიკებში დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ეროვნული ენციკლოპედიების შედგენას.

P.P.S.

აი, სულ ეს არის, რის თქმაც მენადა და რაც შევძელი. თუმცა გაცილებით მეტი (და გაცილებით უკეთესად) შეიძლება ითქვას ამ საუცხოო ნიგნის საქებრად.

ე რ თ ი მ ნ ე რ ლ ი ს ო რ ი ე ს ე ი

მურმან ჯგუბურია

ცოტა რამ გულიანი (გულადი) პოეტის შესახებ

ანუ ის, რასაც სხვასთან ვერ ნაიკითხავ

**გულო, ჯავრისგან მოკლულო,
რა დაგაყარო წამალი? —
არც მოგიდგება ექიმი,
არც მოგეტევა სამარი.**

**ეს ჩემი გული რასა ჰგავს?..
ცასა ჰგავს შემოდრუბულსა,
პირშეკრულს, დამძიმებულსა
სანვიმრად გამზადებულსა.**
(ხალხური)

ახლა ვნახოთ, რამდენგზის აქვს ნახსენები გული თავისი ლექსების ახალ კრებულში („უდაბნოს წიგნი“) პოეტს: 210-გზის!

„უდაბნოს წიგნი“ — 127 გვერდს მოიცავს. ესე იგი, თითქმის ყველა ლექსში აქვს მოხსენიებული პოეტს გული. რამდენიმე მაგალითი:
„ისიც გეყოფა, პოეტს გული რომ ამოგლიჯე“.
„გული დამარხე, დღეს ორმოციც გადაუხადე“.
„და ეს ლოდი, გულზე რომ გადაეცა“.
„და კვნესის გული ოხერმოხეტე“.
„იქ, სადაც უამმა გული შებინდა“.
„გული ჩემი, ღამენასვამი“.

„და საიდუმლოს გულის თვალთ ებლაუჭები“. და ა.შ. ანუ 210-გზის, ამ ახალ კრებულში. სხვა კრებულებში? რა დაითვლის! ანუ გული შეიძლება პოეტის ეპითეტად მოვიჩინოთ.

ამ სამი ათეული წლის წინათ გურამ გეგეშიძეს მივუძღვენი ასეთი ექსპრომტი:

**გურამი — ნიშნავს გულიანს,
მეგრული სასწაულია,
და არის ესე სახელი
ზედგამოჭრილი შენზე,
უფალი იყოს მაღალი
მარადჟამს შენი შემწე.**

ვინც გურამ გეგეშიძეს იცნობს, ამ გამონათქვამის სიმართლეშიც დამემონებება. იგივე შეიძლება ითქვას ჯარჯი ფხოველზე.

გული ტკივა (გამუდმებით) ამ „უდაბნოს წიგნის“ ავტორს. სხვათა შორის, თედო სახოკიას მარადსახსოვარ წიგნში „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ გულის განმარტებას, არც მეტი, არც ნაკლები, მთელი 20 გვერდი უჭირავს. რუსები იტყვიან: „душа болит“.

ქართველები: გული მტკივა. გული მინუხს. გული მტეხავს. სულს ტკივილს არ აკადრებენ. სული თავისუფალია. „თავისუფალი ხარ, სულო, საცა გინდა, გადაფრინდი“ (ზაურ ბოლქვაძე).

ამოურნყავია „უდაბნოს წიგნი“ ჩალვრილი სევდა-მწუხარება. ფშაური ღამის სივრცე. ბნელში გაყურებული მთები. დედა-მინის გულები. ღამეული გულები. დალონებული გულები. ღამე. ნასვამები. ნობელიანტმა მწერალმა, კავაბატამ, მთის კვნესა გაიგონა. ძმები რაზიკაშვილები კი იმაზე ეპაექრებიან ერთმანეთს, თუ მთამ რა თქვა და როგორ თქვა.

„უდაბნოს წიგნი“ უმთავრესად გული საუბრობს. მაგრამ მე აქ რაზეც ვამახვილებ ყურადღებას, შეიძლება ჯარჯიმაც არ იცოდეს. არ იცოდეს, რომ თავის ახალ წიგნში გული 210-გზის აქვს ნახსენები. ანკი რა აუცილებელია ამის ცოდნა, როცა პოეტი თავად არის გული. მუდამ გული. მაგრამ ამ ესეის სათაურს რომ მივუბრუნდეთ, თვალი გადავაგლოთ იმას, რასაც სხვასთან (სხვა წიგნებში) ვერ წავიკითხავთ.

**ღამეში ვნახე ცა-ანატირი,
და სამყაროთა ვიგრძენ ტირილი.
მარტო ვიყავი, როგორც ნადირი
და მარტო იყო ცა: ნადირივით!**

ასე ამბობს პოეტი და მონადირე, ნადირისა და ცის მენცარი, მეცნიერი. მცოდნე. „ერთი უნდა გაყვე, — მითხრა ერთხელაც ცხონებულმა შოთა ჩანტლაძემ, — ვნახო, როგორი მონადირეა“. გაჰყვა კიდევაც. და სადღაც ფშავის ტყე-ჯაგნარში მოხელთებული ნადირის ხორცი მელიქიშვილის ქუჩაზე მოიხარშა, რასაც, სხვათაშორის, მეც შევესწარი. ანუ მონადირემ გაამართლა. ესეც უნდა ვთქვა: ცხონებულ შოთას აცვიფრებდა ალაზა ხაიაურის ხმამაღალი ხორხორცი და... ჯარჯი ფხოველის დუმილი. ანუ ალაზას მხიარულება და ჯარჯის დარდიანობა. ორივე უყვარდა.

მაგრამ მივუბრუნდეთ დანაპირს, ანუ იმას, რასაც სხვასთან (სხვა წიგნებში) ვერ წავიკითხავთ:
„ვეუმლერი მთვარეს, ვარსკვლავების ხელისმომკიდეს“.
„ბალახიც იქით მიდიოდა, ფეხაკრეფილი“.
„მშიერი დროის ლუკმავ და გერბო“.
„მათი ხელმწიფე ტყუილების კეთრმა შეჭამა“.
ახლა ეს გასინჯოთ:

**ვაზის ნაზარდმა
წნელის ღობეს გადააბიჯა
და მიესალმა მეზობლის ხეებს.**

რამხელა სივრცე და რანაირი წესი-ადათია ამ სამად-სამ სტრიქონში ჩაფენილი. არა მეზობელ ხეებს, არამედ — მეზობლის ხეებს, ანუ ვაზის ნაზარდი მეზობელსაც იცნობს და მეზობლის ხეებსაც („შენ კი გენაცვალე, ღმერთო, ჩვენი გამოსახვისთვის, ახლომახლო დაგვასახლე ერთმანეთის ნახვისთვის“). „და მიესალმა“. „გალაკტიონმა დაიმსახურა პო-

ეტის სახელი“ (გრანელი). მარტო ეს სამად-სამი სტრიქონი რომ დაენერა, ჯარჯი ფხოველი მაინც პოეტი იქნებოდა. პოეტი. სხვა ყოველგვარი ეპითეტის გარეშე. ვინც ჯარჯის იცნობს, დამეთანხმება, როგორ არ უყვარს მას ქება-დიდება და აღმატებულ ხარისხში მოხსენიება.

**გამოცემები: მეც იქ ვიყავი:
უნივერსიტეტის „და სხვებში“ და
დიდი ქალაქის „და სხვებში“ და
მნ. კავშირის „და სხვებში“ და
მთლად საქართველოს „და სხვებში“.**

„და სხვებში“ იდგა შოთა ჩანტლაძე“, წერს ჯარჯი. თუმცა, „ანგელოზის სუნთქვა ახლდა აქ „და სხვების“ ნათქვამ სტრიქონებს“.

აი, როგორ გვიხასიათებს თავის უფროს მეგობარს „უდაბნოს წიგნის“ ავტორი:

**ეხლა, სიტყვასთან მუსაიფში ნათევ ღამეში,
შენთან მოვა... შოთა ჩანტლაძე...
გაშლილი ხელით შორს გადაწვეს მარადიულ ხმას:
არაგვის კვნესას და ყრუ შხუილს, მთებში ჩაჭედდის...**

ერთი პირობა ვიფიქრე, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი. მაგრამ ნამდვილმა პოეზიამ იცის გამაოგნებელი ხატის გამოხმობა:

გაშლილი ხელით შორს გადაწვეს მარადიულ ხმას...

მივყვეთ წიგნს:

**საპანაშვიდო სუფრას გაუშლი
მას, ილღიაში კუბოამოჩრილს!..**

„მას“ — ვის?
ჩემი ნაკითხვით: ნიკო სამადაშვილს.
ასეთი რამე თუ გსმენიათ:

**როცა დედა ენა და მამა ენა
ხელს ჩამკიდებენ...**

და იქვე:

საწერი მაგიდის მოწყენილი პირისახე.

ან ეს:

**ცამ უფრო დიდი ცა იგრძნო და
უფრო დიდი ცა დაინახა.**


ან ეს:

დედამინამ დრო ისესხა.

ან ეს:

**თუკი კინოსურათი არ მოგწონს:
გამორთე ტელევიზორი!
ამ სიზმარს რას უშველი, გეკითხები,
სიზმრიდან ხომ ვერ გამოხვალ,
პულტით ვერ გადართავ უკეთეს ტალღაზე!..**

მაგრამ იქნებ მართლა დაილაღე. მაშინ მართლა გადართე:



ჯარჯი ფხოველი

**დრო გადის: წლების მთიბელი,
ვიგონებ ცრემლით სველ იას,
ვბუზუნებ ბერი-იბერი,
ჭალას გავძახი ველიანს:
„ლომს მორევია სიბერე,
ჩემი რა საკვირველია!“**

მაგრამ ვინ მოგასვენა:

**ორივე თვალი, როგორც მღვრიე შენაკადები,
შავმა მდინარემ წაიყვანა...**

მობრუნებულმა თვალებმა კი, აი, რა დაინახეს:

**შენს ნაღვლიან, ფერ-მიხდილ სურათს
დილაბნელში
რალაცის თქმა სწადია თითქოს...**

იმისი თქმა სწადია, რასაც სხვასთან (სხვა წიგნებში) ვერ ნავიკითხავთ:

**შენი დღეები ჯიბის ფულივით
ასე ჩქარა და ასე უშალ რო
დახარჯე... თითქოს იყო უღვევი,
თუ დაგრჩა, მკითხველს არ დაუშალო!**

როგორი აზრია გამოთქმული, რანაირი შედარებით, და რანაირი, ახალი, არსად სხვაგან და სხვასთან არ ნამყოფი რითმებით.

P.S. მე, როგორც ხედავთ, მეგობარი პოეტის მხოლოდ და მხოლოდ ამ ახალ კრებულზე გავამახვილე ყურადღება. ჯარჯი ფხოველი კი არაერთი „უდაბნოს წიგნის“ ავტორია. თანაც, აგერ 70 წლისა მოიყარა. როგორ გინდა ამდენი უდაბნოს წიგნების ავტორზე ისაუბრო. არავის შეუძლია სხვის ცხოვრებაში, სხვის შემოქმედებაში რომ საფუძვლიანად ჩაიხედოს, რადგან მის, მისთვის გამოყოფილი დრო თავისი ყოფიერების შესაცნობადაც კი არა ჰყოფნის ანუ საკუთარი თავი რომ შეიცნოს. მაგრამ თუკი ჩვენ ოდნავადაც მაინც შევიძლებთ საკუთარი თავის შეცნობას, სავარაუდოა, ასე თუ ისე ჩვენვდეთ ნათესავის, მოყვასის შინამო-ბუნებას, რაც მაინც არ იქნება დიდად სარწმუნო, რადგან:

**ალარაფერი არ არსებობს სინამდვილეში,
მაგრამ ყველაზე საკვირველი სწორედ ის არის,
რომ გვეჩვენება, ყველაფერი თითქოს არსებობს.**

„ცარიელი ქალაქის უდაბნოა ეს სამყარო“ — გვეუბნება ჯარჯი ფხოველი.

წიგნი და მხატვარი

1.

ამ ესეისთვის იმთავითვე მინდოდა „ლიტერატურა და მხატვარი“ დამერქმია ან კიდევ — „მხატვარი ლიტერატურის შესახებ“, მაგრამ გალაკტიონის პოემამ („მშვიდობის წიგნი“) გადამაფიქრებინა და „წიგნი და მხატვარი“ დავარქვი.

გალაკტიონის პოემაში წიგნი თავისუფლებასთანაა გაი- გვევებული.

წიგნია — ტარიელი. წიგნია — ავთანდილი. წიგნია — ფრიდონი.

წიგნი (თავისუფლება) დაკარგულია და, პოემის პირვე- ლივე კარში, საქართველოს დედოფალი ანუ, როგორც ვაჟა ამბობს, „ჩვენი ლამაზი დედა“ ტარიელს ავალეებს წიგნის მო- პოვებას:

**ტარიელ, ბნელა, ეზო ჰგავს ქუჩას,
შემოდის ყველა, ვისაც გზად უჩანს,
რა გითხრა ერთგულს? წიგნი წაიღეს,
შენს გარდა ჩემს გულს ვერვინ გაიგებს...**

და ტარიელი მიემგზავრება წიგნის დასაბრუნებლად:

ნავალ, მოკვდები, ან ვიპოვი წიგნს.

და იწყება ფათერაკებით აღსავსე გზა-სავალი. წიგნის (თავისუფლების) მოსაპოვებლად მიმავალი რაინ- დი — ხან ქვეითი მგზავრია, ხან — მხედარი, ხან — მენავე. ანუ ხან ტარიელია, ხან ავთანდილი, ხან — ფრიდონი.

მოკლედ მოვჭრით:

აურიცხავი ფათერაკები გადახდა პოემის გმირს, მაგრამ წიგნი (თავისუფლება) მაინც მოიპოვა, რაც პოემის ფინალში ასე გაგვიმხილა:

**შენწიგნი გზავნილმან მან ანგელოსმან
ვითა ყვავილმან ცათა მდელოსმან,
რა ქნა, რა ჯადოს მიმართა რა დროს,
ვით გამოხატოს ამ კალმის მოსმამ?..**

დღიურში კი ასე ჩაინიშნა: „გავასრულე პოემა, რომელიც მთელ მსოფლიოს მოივლის“.

2.

ვახტანგ რურუა უწინარესად მხატვარია, მაგრამ მე ამ- ჯერად მაინტერესებს მისი დამოკიდებულება წიგნისადმი ანუ მის მიერ გაფორმებული მრავალი ნახელავიდან ორად- ორი ნიმუში: „წიგნი-გალაკტიონი“ და „წიგნი-ფიროსმანი“.

„გალაკტიონოლოგიის“ მე-4 ტომში მე გამოვაქვეყნე ესეი იმის შესახებ, თუ როგორი ხელოვანებით დაასურათხა- ტა (გააფორმა) გალაკტიონის ლექსთა კრებული მხატვარმა.

წიგნი იხსნება გალაკტიონის სიყმაწვილისდროინდელი უმშვენიერესი პორტრეტით. დრო მიდის. პოეტს თანდათან ეცვლება იერ-ხატი. „კიდევ შეგრჩა თუ არა მხიარული თვა- ლები. თუ დრომ გადაუარა და ჩაუქრო ალები“. ასე და ამგვა- რად. ლექსების კრებულის უკანასტარზე მოთავსებულია პო- ეტიკის ბოლო პორტრეტი. პატიმრის პორტრეტი. არც მეტი, არც ნაკლები. ფოტოზეა წვერმოშვებული კაცი, რომელიც თითქოს აი, აგერ, ამ წუთას გამოვიდა ციხიდან. და არ იცის, საით წავიდეს. ნაღვლით სავსეა მისი თვალები, უძირო თვა- ლები, სადღაც შორეულ წარსულში მიმართული, რისი ამო- კითხვაც მნახველს არ შეუძლია, მაგრამ შეუძლია შემოქმედს,

მხატვარს, წიგნი რომ დაასურათა, პოეტის მთელი ცხოვრება რომ სურათ-სურათ დაახასიათა და იმგვარი შთაბეჭდილება შეგვიქმნა, არ ვიცი, თუ რას მოიმოქმედებს აგერ, ამ წუთას პატარა ციხიდან დიდ ციხეში გამოსული პატიმარი.

გადმოფრინდა კიდევ, რაც ყველამ ვიცით, — მხატვარმა აღწერა პოეტის გუნება-განწყობილება, გვანახა, თუ როგორ გადმოეშვა იგი ციდან — მიწაზე, მაგრამ არ დასვა წერტილი, — გადმოფრენა გვანახა, მიწაზე (ქვაზე) დანარცხება არ გვანახა, მეტი რა შემეძლო, გვითხრა თითქოს, სხვაფრივ როგორ უნდა შევწოდო სასიკვდილოდ განწირულ პოეტს.

3.

„წიგნი-ფიროსმანი“.

აი, რას წერს ამ წიგნის შესახებ რუსი მწერალი (კუზნეცოვი), რომელიც გახლავთ ფიროსმანზე შექმნილი წიგნის ავტორი:

„ალბომი — „ნიკო ფიროსმანაშვილი — 10 კვადრატი“ სა- განგებო ყურადღებას იმსახურებს. ერთია და იმიტომ, რომ გვაოცებს თავად ამ ალბომის შემდგენლის არაორდინარული განზრახვა-ჩანაფიქრი, მეორეა და, ეს განზრახვა-ჩანაფიქრი დიდი წარმატებით არის განხორციელებული. მხატვარმა ვახ- ტანგ რურუამ მეტად ხელმომჭირნე შესავალში (სულ ათიოდე სტრიქონით) მკაფიოდ წარმოგვიჩინა უცილობელი არგუმენ- ტები, მხატვრის გენიალობაში რომ გვარწმუნებს. ეს არგუ- მენტები სიტყვაზე აღმატებულია. ვახტანგ რურუა თითქოს- და სიტყვას ბოლომდე არ ენდობა, — მისი ალბომი გვეხმარე- ბა ახლოდან დავინახოთ ფიროსმანი. აქაა ბრბო და მისი იერ- სახე მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალობით, და ყველა მათგანი თითქოს ცოცხალია, და არა ტილოზე მიხატული; აქაა ნაწყვეტი პეიზაჟისა, რაც შეიძლებოდა დიდი ტილო გამ- ხდარიყო. აქვეა პანანინა სცენები, მთავარი ნახატის კიდევებ- ზე რომ გამოსახულან. მივატანოთ თვალი თუნდაც ამ ორ მგზავრს, ბორცვანარზე რომ ჩაუშვებლავთ და ისვენებენ. ან კიდევ იმ ბავშვებს, სახლის ბანზე რომ თამაშობენ, ან ამ ბერი- კაცს, ცეცხლთან რომ ფუსფუსებს, ნაწილი სხვათა და სხვათა ცხოვრებისა, და მაინც მონყვეტილი სხვათა და სხვათა ცხოვ- რებისაგან, ისე, როგორც ეს არის სინამდვილეში, და უეცრად ამ მონატეხში კიდევ ვილაც ცხოვრობს, არსებობს ვილაც, და შენ ეს გაფიქრებს, დაფარული აზრი გიზიდავს. აგერ პატარა ბიჭუკელა დგას მოღებულ კარში, საიდანაც ოჯახური კერის სითბო მიედინება, — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ალბო- მით (წიგნით) ფიროსმანაშვილი წარმოგვიდგება გაცილებით იმაზედ რთულ მხატვრად, ვიდრე ადრე გვეგონა, აქამდე გვე- გონა, და აქედან გამომდინარე, იგი კიდევ და კიდევ ღრმადაა შესასწავლი და შესაცნობი. ვახტანგ რურუამ მიაღწია დასა- ხულ მიზანს და დაიმსახურა დიდი სამადლობელი. ამ ალბომი- დან მოკიდებული, ჩემი გაგებით, მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი ფიროსმანაშვილის შემოქმე- დების შესწავლის საქმეში...“

თავისი ფეხით მოვიდაო, იტყოდა ხოლმე ცხოვრებული ოთარ მაფგორია, სუფრას რომ თამადაობდა და ვინმეს ახსე- ნებდნენ. მე ამჯერად ერთი ჩემი პატარა ლექსი მაგონდება, რაც თბილისისადმი მიძღვნილი ლექსების წიგნშია გამოქ- ვეყნებული:

**შენ ფიროსმანი გიხატავს დუქანს,
ჩააქვს სარდაფში ფერი და შუქი,
ლუკმა-პურზე ცვლის დიდებულ ტილოს
და მოგატყუოს როგორმე, ცდილობს,
და მოგასალოს ნახატი თვისი,
მისი ნახატის თუმც არ ხარ ღირსი.
და ევაჭრები, დაგიკლოს ფასი
და ჭიქა ღვინოს უგულოდ ასმევ...**

4.

ენერ ამ ესეის და თვალწინ მიდგას ვახტანგ რურუას ერთ-ნახატი:

იმ ნახატზე ცხონებული შოთა ჩანტლაძეა გამოსახული.

პოეტი გარდაიცვალა. „ნავიდა თოვლი. მოვიდა მინა“, როგორც ხდება, ატყდა ერთი განამანია, — პოეტის ფოტოსურათების მოძიება-მოპოვება. რამდენიმე სურათი აღმოჩნდა. მაგრამ არცერთი არ გამოხატავდა პოეტის ნამდვილ იერ-ხასიათს. და ის იყო, ვახტანგმა გამოაჩინა თავისი ნახატი, დახანებით, თითქოს უნდოდა და არც უნდოდა გამოეჩინა, ან-ან: ფილოსოფოსისა არ იყოს, მაგრამ მხატვრის ნახელავი ყველას მოეწონა. პოეტს პალტოს საყელო აქვს ანეული და საყელოში აქვს თავი ჩარგული, თითქოს წვიმს, ან ცივა, ყინავს. ზამთარია. იანვარია. და ამ ერთადერთი შტრიხით პოეტის მთელი ყოფა-ცხოვრებაა გამოფენილი.

5.

— ხომ კარგი პოეტი იყო? — ვეკითხები.

— აბა!

და მეტი ლერი სიტყვაც არ მოუბამს. ანუ ყველაფერი თქვა.

სხვა დროს:

ვახტანგ რურუა: მე, ჩემო მურმან, მეცხრამეტე საუკუნის კაცი ვარ. იქ მინდა ვცხოვრობდე, იქ ვიყო. ვარ იქ კიდევაც. მეოცეში არა ვარ. მეოცე ციხეა, გრანელის თქმისა არ იყოს, მეცხრამეტე სხვაა. ბარათაშვილი, აკაკი, ილია, ვაჟა. იქ მინდა ცხოვრება და ეს ცხოვრება მომესაჯა. მეოცე მომესაჯა. ოცდამეერთეზე რა გითხრა.

— „ჩემს მწუხარებას გაიგებდა ტაო ძიანი, მაგრამ სხვადასხვა საუკუნეს დავიბადენით“.

ვახტანგ რურუა: გრანელი გაგეხსენებინა, რაღა შორს მიდიხარ:

ახლა რომ იყოს, ვიცი, ჩემს სევდას ბარათაშვილიც ვერ გაიგებდა.

— გრანელის წიგნის გაფორმებაზე თუ გიფიქრია?

ვახტანგ რურუა: ვნახოთ. დროა ყველაფრის ბატონ-პატრონი. გრანელი ერთგან ამბობს: „გალაკტიონმა დაიმსახურა პოეტის სახელი“. როგორი მოზომილი გამონათქვამია. ეპითეტები მოგვიჭარბდა. არაა ეს კარგი ამბავი. სხვათა შორის, ტერენტი ქალაქის მგელს მაგონებს. გამუდმებით რომ ფეხზე წრიალებდა. მოსასვენებელი ადგილი არ გააჩნდა. მინა კი გალიად ეჩვენებოდა. მგელი გალიაშიც მგელია. არ ისვენებს. ფორმას ინარჩუნებს.

— ერთი ჩემი ლექსი უნდა წაგიკითხო. მაინტერესებს, მოგეწონება თუ არა. ეს ლექსი მუხრან მაჭავარიანს მივუძღვენი. მუხრანმა როგორღაც თქვა, გრანელის ლექსები წავიკითხე და პოეტი ყოფილაო. ჩემი ლექსი კი ასეთია:

**რამხელა პოეტიც არ უნდა იყო,
საკვირველი კი არის თითქოს,
არ შეიძლება
ერთხელ მაინც არ მოგენატროს,
რომ შენ ტერენტი გრანელი იყო.**

ვახტანგ რურუა: ტერენტი პოეტის განსახიერებაა. ცნობილია, გალაკტიონი პოეტებს-კოლეგებს არა სწყალობდა. გრანელზე კი ჩაუნიშნავს უბის წიგნაკში: „ვინ არის იგი? პოეტი. ტერენტი გრანელი“. სხვათა შორის, შოთა ჩანტლაძე ბევრი რამით მაგონებს გრანელს. ფიროსმანი რომ არ შევანუხოთ. გრანელი დროს უსწრებს. ზოგი შემოქმედი თავის



ვახტანგ რურუა

ნახელავთან ერთად კვდება. ზოგის ნახელავი კიდევ უფრო ადრე კვდება, ვიდრე თვითონ აღესრულება. უცნაურია შემოქმედი და მისი ბედი. აი, მაგალითად, ლეო ქიაჩელი, მისი რამდენიმე მოთხრობა უკვდავების თანაზიარია. „ჰაკი აძბა“ „მატეო ფალკონეს“ ჩამოუვარდება? ან კიდევ მისი „ალმაც-გირ კიბულან“. მამა რომ ენგურის მიერ გამოტაცებულ ვაჟიშვილს მიჰყვება წყალდანწყალ. სადამდის? ენგური ზღვაში შედის. მიდი და ეძებ ახლა საკუთარი პირმშო. უსასრულობაში! დრო გაქვავდა.

— „ჟამი მივალის-მოვალის მუცოს, თორღვას კარზედა“.

ვახტანგ რურუა: ახლა ჟამი დგას. არ მივალის და არ მოვალის.

— ჟამიანობაა, ესე იგი.

ვახტანგ რურუა: შენ რა, ჩვენი საუბრის გამოქვეყნებას ხომ არ აპირებ?

— რა ვიცი, ვნახოთ.

ვახტანგ რურუა: არ გინდა. ჩვენ რა უნდა ვთქვათ ისეთი, რაც არ თქმულა.

— შენეული „გალაკტიონი“ და შენეული „ფიროსმანი“?

ვახტანგ რურუა: როგორ გგონია, ამ შეკითხვაზე რაიმეს გაპასუხებ?

6.

კაცი, ვინც წიგნს კითხულობს, წიგნს ემგვანება. წიგნი ხდება. ცოტას გასცდა, ცხონებული მაესტრო, აკაკი განერელია რომ წიგნი გამხდარიყო. წიგნია ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი. წიგნია წიგნის მწერალი. წიგნის მსგავსია მხატვარი ვახტანგ რურუა. წიგნიერი. მწიგნობარი. წიგნის გამფორმებელი და წიგნის მკითხველი. მარსელ პრუსტს აქვს სამახსოვრო ესეი: „კითხვის შესახებ“, სადაც ასეთი ფრაზა წერია: „სახარების ლექსსა და ლექსს შუა მორწმუნის დუმილი ის-მის“. სდუმან, მაგრამ ლაპარაკობენ ვახტანგ რურუას ნახელავები, მისი გალაკტიონი და მისი ფიროსმანი. „მისი“ აქ ხაზგასმითაა გამოსაყვანი.

P.S. მეშვიდე კლასის მონაწილე ვიყავი, ერთმა ჩვენმა ჭარმაგმა მეზობელმა ველოსიპედის ქურდობა რომ დამაბრალა. ხატი, რჯული, ცამდე მართალი ვიყავი. დაიწყო საქმის გარჩევა, გაცემული ვარ და ვდუმვარ. შეკითხვებს არ ვპასუხობ. სვიმო-ბაბუამ მითხრა, თუკი დუმილს არ აჯობა, ნურაფერს იტყვიო, ბოში. დუმილზე აღმატებული სიტყვა იშვიათია. და მე ახლა იმაზე ვფიქრობ, ჩემო ვახტანგ, რაზედაც შენ დუმილი არჩიე. ანუ:

„შემდეგი სიტყვა აქ თქვას წერტილმა“ (აკაკი).

იოსებ ჭუმბურიძე

დაფშვნილ-დატეხილი საუკუნე და მოთავთავებულ „ჟურნალისტიკა“

ცხრა უნივერსიტეტის (!) ცამეტ პროფესორს (!) ჟურნალისტიკის მასშტაბური სახელმძღვანელოს „შექმნა“ გადაუწყვეტია. შეუქმნიათ და გამოუციათ კიდევ — მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი სათაურით: „ჟურნალისტიკა“ (იდეის ავტორები: **მარინე ვეკუა, ჟილ რუე**).

ცხრა უნივერსიტეტო, თუმცა სინამდვილეში, უმეტესობა თსუ-დან მოდის (ჩვენი საერთო „შინელი“, ჩვენი საწყალი აღმამატერი)...

ავტორთა შორის ვერ ნახავთ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისა და პუბლიცისტიკის თეორიის ცნობილ მკვლევარებს, რომელთა ნაშრომები ეროვნული მედიოლოგიის დონეს განსაზღვრავენ. არადა, თუ მათ გვერდს აუვლი, იმთავითვე განწირული აღმოჩნდება „ჟურნალისტიკის მასშტაბური სახელმძღვანელოს“ შექმნის იდეა.

„მე ეს წიგნი არ წამიკითხავს!

ჯერ არ წამიკითხავს.

დიახ, ისე ვწერ ამ წინასიტყვაობას, რომ წიგნი არ წამიკითხავს.

ვწერ და იმაზე ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, რომ ან დღეს ვიყო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, ან ჩემს სტუდენტობაში მქონოდა ამ ტიპის სახელმძღვანელო!

არ წამიკითხავს, მაგრამ მაინც“...

— ამ სიტყვების (წინასიტყვაობის) ავტორი ცნობილი პუბლიცისტი **პაატა ნაცვლიშვილია**.

მე ეს წიგნი წავიკითხე.

ვწერ ახლა მის შესახებ და ამას ვფიქრობ: კიდევ კარგი, რომ ჩვენს სტუდენტობაში არ გვექონდა „ამ ტიპის სახელმძღვანელო“.

საკუთარ თავზე არას ვიტყვი, პაატა ნაცვლიშვილი კი სწორედ ამიტომ გაიზარდა კარგ ჟურნალისტად.

ბატონ პაატას უყვარს ორიგინალურობა. ამიტომ ნუ ვიჩქარებთ და ნუ შევრისხავთ იმ კურიოზის გამო, რომ წინასიტყვაობას ნაუკითხავ წიგნზე წერს — სამაგიეროდ... მოსმენილი აქვს, თანაც არაერთხელ და მისი მოსმენის დროს, საერთო ჯამში, ერთი ვედრო ჩაიც დაუღვავია.

„**მე რეგულარულად ვესწრებოდი მათს შეკრებებს ფინჯან ჩაიზე და მონმე ვარ, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ მოთავდა ეს წიგნი**“. — გვეუბნება რეცენზენტი.

დიდი განსხვავება ყოფილა მოსმენასა და წაკითხვას შორის. წინასიტყვაობის დაწერამდე რომ წაეკითხა, შეუძლებელია, ვერ შეენიშნა წიგნისთვის ნამძღვარებული ამ „საპროგრამო დებულების“ აბსურდულობა: „**გლობალიზაციის პირობებში პრესიის თავისუფლება ლოკალურ დონეზე მიიღწევა მაშინ, როდესაც შესაძლებელი ხდება შენს გაზეთში აკრიტიკო შენი გაზეთი, შენს ტელემაუწყებლობაში — შენი არხი**“.

აი, თურმე, რა ყოფილა პრესის თავისუფლება, — თანაც გლობალიზაციის პირობებში! სხვა პირობებში, თუნდაც დიქტატურის დროს, ვინ დაგიშლის „შენს გაზეთში შენი გაზეთის, შენს ტელემაუწყებლობაში შენი არხის“ გაკრიტიკებას?! არადა, ეს აზრი იმდენად მოსწონებიათ, რომ გარეკანის მეოთხე გვერდზეც გაუმეორებიათ (!)...

შეუძლებელია, მისი რანგის პუბლიცისტს უხერხულობა არ ეგრძნო ამ სტრიქონების წაკითხვისას:

„**მეცხრამეტე საუკუნე ქართველი ერის ისტორიაში არის დაფშვნილ-დატეხილი ცხოვრების პროგრესით და რეგრესით დახუნძლული საუკუნე**“.

შეუძლებელია, კოლეგებისთვის არ ეთქვა, რომ სირცხვილია (მართლა სირცხვილია!) ამის დაწერა: „**მედია არის მატარებელი, ხოლო ჟურნალისტიკა — პროდუქტი, ოღონდ გააჩნია „მატარებლის“ შემადგენლობას — მისი რომელიმე „ვაგონი“ შესაძლოა იყოს დატვირთული ერთგვაროვანი პროდუქტით — ჟურნალისტური პროდუქტით (მაგალითად, საინფორმაციო პროგრამებით), ან სხვადასხვაგვარით (მაგალითად, ჟურნალისტური პროდუქტი + რეკლამა + ფილმი და ა.შ.); არცთუ იშვიათია „მატარებელი“, „ვაგონი“, რომელიც არც კი იტვირთება ჟურნალისტური პროდუქტით**“.

შეიძლება ვინმე ენდოს ავტორებს, რომლებიც ჟურნალისტიკის უნივერსალურ სახელმძღვანელოს წერენ და ცნება „ჟურნალისტიკას“ ასე განმარტავენ?!

შეიძლება, რომელიმე თავმოყვარე პროფესორმა სტუდენტს ამ განმარტების, ამ წიგნის წაკითხვა ურჩიოს?!

მსგავსი აბსურდები და კურიოზები ხომ ფასს უკარგავენ იმ მეტ-ნაკლებად ღირებულ მოსაზრებებს, ცხრა უნივერსიტეტის ცამეტ პროფესორს ასევე მეტ-ნაკლებად სერიოზულ ავტორთა წიგნებიდან რომ გადმოუწერიათ (აქ, თავისთავად, დასაძრახი არაფერია).

გაუგებრობათა კასკადია წიგნის მეშვიდე თავში, რომელიც ჟანრთა კლასიფიკაციას ეხება.

აქ ჯერ ინფორმაციულ ჟანრებზე საუბრობენ, შემდეგ კი, თითქმის ბოლოში, გვეუბნებიან, რომ „**თანამედროვე კლასიფიკაციით, ჟანრები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა — ინფორმაციულად და ანალიტიკურად**“.

ინტერვიუ ორივე „კატეგორიაშია“ შეტანილი (?!). რაც მთავარია, ამ ჟანრზე ასე მსჯელობენ: „**არსებობს ინტერვიუს ბეჭდვის სხვადასხვა სტილი (?!), ზოგი ამჯობინებს, დაბეჭდოს როგორც კითხვები, ისე პასუხები, ზოგი კი მხოლოდ პასუხებით შემოიფარგლება. ასევე არის სტატიები, რომლებშიც კითხვა ლიდშია გამოტანილი, მთელი სტატია კი მხოლოდ პასუხია**“.

ამკარაა, რომ ამ თავის ავტორ(ებ)ს ინტერვიუ და სტატია ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია(თ) და ჟანრების კლასიფიკაცია როგორ უნდა მივიანდოთ?!

საერთოდ, რასაც ამ წიგნში ერთხელ კითხულობ, ვერ იჯერებ, რომ მართლა წერია და ხელმეორედ უბრუნდება, რათა დარწმუნდე, რომ არაფერი მოგჩვენებია.

ცხრა უნივერსიტეტის ცამეტი პროფესორი!

ანუ კოლექტიური ნაშრომი.

ასეთ დროს, ჩვეულებრივ, მიუთითებენ ხოლმე, რომელი თავი რომელ ავტორს ეკუთვნის.

ამ წიგნში ამას ვერავინ გაარკვევს.

პრეტენზიასაც კონკრეტულად ვერავის ნაუყენებ. შეიძლება, საქმეში ჩახედულმა ადამიანმა მიახლოებით გამოიც-

ნოს, ამა თუ იმ აბსურდული აზრის ავტორი. მაგალითად, თითქმის ვხვდები, ვის შეიძლება დაენერა, რომ „მეცხრამეტე საუკუნე დაფუძნდა-დატყვევდა ცხოვრების პროგრესით და რეგრესით დახუნძლული საუკუნეა“. იქნებ ისიც გამოვიცნო, ვის შეიძლება ეკუთვნოდეს შედარება: „მედია — მატარებელი, ჟურნალისტიკა — პროდუქტი“.

მაგრამ ჩემი „მიხვედრილობა“ საქმეს ვერ უშველის.

ეს წიგნი, აგებულია და იერ-სახით ძალიან ჰგავს ორიოდ წლის წინათ ქართულ ენაზე თარგმნილ სახელმძღვანელოს: **დეფლორი, დენისი, „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის“**.

ბუნდოვან ან პრიმიტიულ აზრებს იქაც შეხვდებით, მაგრამ ზემოთ მოხმობილთა მსგავსი აბსურდებისგან ის ნამდვილად დაზღვეულია.

და მაინც, ალბათ, გაჩნდება კითხვა: ნუთუ ამ ვეებერთელა (332 გვერდიანი!) წიგნში ღირებული არაფერია?

უთუოდ არის. კომპილაციური ხასიათის ნაშრომში შეუძლებელია, სასარგებლო და საინტერესო არაფერი იყოს. მაგრამ კითხვა მაინც ასე უნდა დაისვას: რომელი საგნის (სასწავლო კურსის) შესასწავლად გამოადგებათ ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს ეს წიგნი?

ასეთ საგანს ვერც დაასახელებ.

ეს წიგნი ყველაფერზეა — პრესის გენეზისზე, ფოტოგრაფიის გამოგონებაზე, კინემატოგრაფიის ისტორიაზე, რადიოს ნარმოშობაზე, ქართული ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპებზე, მედიისა და ჟურნალისტიკის ფუნქციებზე, საგამოძიებო ჟურნალისტიკაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე (PR), მედიასაშუალებების ეკონომიკურ მოდელებზე, ჟურნალისტური შემოქმედებითი პროცესის ეტაპებსა და ელემენტებზე...


ასეთი სახელმძღვანელოთი შესაძლებელია, ისწავლო... ყველაფერი და... არაფერი!

წიგნში აქა-იქ ვხვდებით ორიგინალურ, მაგრამ სადავო მოსაზრებებს. მაგალითად, ძნელია, დაეთანხმო იმ აზრს, რომ „**ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველ ინტერვიუდ შეიძლება მივიჩნიოთ ტიმოთე გაბაშვილისა და ევგენი ბულგარისის „სიტყვისგება“, რომელიც 1756 წელს ათონის მთაზე შედგა**“.

აქ უთუოდ გაგვასხენდება **პლატონის** სიტყვები: „**სოკრატე, შენ ჩინებულ შეკითხვებს მისვამ, ამიტომ მათზე პასუხის გაცემა ჩემთვისაც სასიამოვნოა**“.

ასევე, საეჭვოა, ვინმემ სერიოზულად აღიქვას ის აზრი, რომ პირველი ქართველი ჟურნალისტი სულხან-საბაა.

წიგნში ვერსად შეხვდებით ცნებას „პუბლიცისტიკა“. ეს მაშინ, როცა ერთ-ერთი ავტორი თავს სწორედ იმ ქრესტომათიის შედგენით იწონებს, „პუბლიცისტიკა“ რომ ჰქვია. ანუ პუბლიცისტიკა ის აუნონავი საუნჯე, ჟურნალისტებს რომ შეუქმნიათ. თუ ჟურნალისტურ პროდუქტზე ვსაუბრობთ, მატარებელი კი არ უნდა გაგვასხენდეს, არამედ ეს უბრალო ჭეშმარიტება უნდა გავიაზროთ: ჟურნალისტიკა შემოქმედებითი სფეროა, ასპარეზია, პუბლიცისტიკა კი — შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფი (პროდუქტი).



წიგნს წამძღვარებული აქვს ცნობილ ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა რეცენზიები და გამომხაურებები. აი, ერთ-ერთი მათგანი (**რიკ როქუელი**, ჟურნალისტიკის პროფესორი, ამერიკის უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, აშშ): **„ტვიში არსებული ნეირონების მსგავსად, ჟურნალიზმი უზრუნველყოფს აუცილებელ კავშირებს, რათა ნებისმიერი დემოკრატია მოქმედი გახადოს... ამიტომაცაა მოცემული ტექსტი, რომელიც ასახავს ამ მუდმივად ცვალებადი პროფესიის დინამიკურ ხასიათს, წარმოადგენს განათლების გასაღებს ამ ტერიტორიაზე“** (სტილი დაცულია — ავტ.).

აქ უთუოდ შექსპირი გაგასხენდება, ოღონდ, ასეთი პერიფრაზით: **„უჭკუო კაცი აშშ-შიც უჭკუო არის!“**

ცხრა უნივერსიტეტის ცამეტი პროფესორი! ერთი მათგანი უცხოელია: **ჟილ რუე** — რეიმს-შამპან-არდენის უნივერსიტეტი, საფრანგეთი, მათე ბელის უნივერსიტეტი, ბანსკა ბისტრიცა, სლოვაკეთის რესპუბლიკა.

ამის გამო სახელმძღვანელო საერთაშორისო პროექტად არის გამოცხადებული.

ვერაფერს იტყვი: შთამბეჭდავად ჟღერს.

მაგრამ უაზრობა რაც უფრო „საერთაშორისო“ იქნება, მით უარესი.

„დარწმუნებული ვარ, წიგნის ავტორები, თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად, მადლიერებით მიიღებენ ყველა საქმიან შენიშვნასა თუ წინადადებას“. — ვკითხულობთ წინასიტყვაობაში.

მეეჭვება...

ბოლოს — ისევ იმაზე, თუ რატომ იყო თავიდანვე განწინებული თავისთავად კარგი იდეა.

აი რატომ: შეუძლებელია, იმსჯელო წინარეჟურნალისტურ მოვლენებზე, პუბლიცისტურ ფანრებზე, მათს კლასიფიკაციაზე, პირველ ქართულ გაზეთზე, ილიას „ივერიაზე“, საერთოდ, ჟურნალისტიკაზე და გვერდი აუარო პროფესორ **ნოდარ ტაბიძის** ნაშრომებს;

შეუძლებელია, ისაუბრო ეროვნული ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპებზე და გვერდი აუარო პროფესორ **თამაზ ჯოლოგუას** „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას“;

არ მომწონს **მარიამ გერსამიას** წიგნი („ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში“), მაგრამ თუ ედიტორიალსა თუ ოპედზე მსჯელობ, მისი ხსენება უბრალოდ, აუცილებელია.

შეუძლებელია, გვერდი აუარო **დიანა ტყეშუჩავასა და მაია ნადარეიშვილის** გამოკვლევებს.

ჟურნალისტიკის „მასშტაბური და მრავალფეროვანი“ სახელმძღვანელო (როგორც ერთ-ერთი რეცენზენტი — პროფესორი **ნესტან ციციშვილი** უწოდებს) უმათოდ ვერ დაინერება.

შედეგიც ლოგიკურია.

ასეთი შედეგი მაშინ დგება, როცა საკუთარი თავი გვიყვარს ჟურნალისტიკაში და არა ჟურნალისტიკა — საკუთარ თავში.

როსტომ ჩხეიძე

ყვავილთცვენის სიზმარი და ცხადი

(დაუნერაღი დღიურის უპრცლაბიდან)

ტყემლები იდგა იმ ბაღში ბევრი, პატარაიძის ბაღში, ქუთაისში.

ადრინ გაზაფხულზე აყვავილდებოდნენ და სურნელება იდგა მძაფრი.

ნიაგი უბერავდა და ცვიოდა ტყემლის ყვავილები.

იმ ბაღში უყვარდა ყვირილი კოტიკოს, ზუსტად ოთხის ნახევარზე შემოურბენდა ხოლმე ბაღს ყვირილ-ყვირილით.

რა აყვირებდა?

დანამდვილებით ვერც მაშინ აეხსნა და ვერც მოგვიანებით: შეიძლება მშოიდა და შეიძლება მიხაროდა, ცოცხალი რომ ვიყავი, შეიძლება ჩემ მეგობრებს რომ უხაროდათ, იმიტომაც ვყვიროდიო.

გივი ბავშვობის მეგობრის ამ უცნაურ საქციელს ტყემლის ყვავილთა ცვენას დაუკავშირებდა: რაღაც არის ამ ყვავილთ-ცვენაში წმინდაც და ქალურიც... ეს მოქმედებს, ეტყობა, ორგანიზმზე და შეიძლება ეს აყვირებდაო.

თითქოსდა ყოფითი სურათი მოულოდნელად სიმბოლიზმით უნდა განიმსჭვალოს და გრძნობ, რომ მოგვიანებით ეს მოტივი კიდევ იჩენს თავს.

გრძნობ და... კიდევ აგინდება.

რომანის ფინალი — რეზო ჭეიშვილის „ჩემი მეგობარი ნოდარი“ — სწორედაც რეალურისა და ირეალურის ამ უცნაური — მისი სტილისტიკისათვის კი ნიშანდობლივი — ნახავით უნდა შეიკრას და რაღაც უფრო ღრმასა და დამაფიქრელს მიგვახვედროს.

ქუთაისის თეატრის სცენაზე ემზარ კვიტიანიშვილი დგას.

რეზო ჭეიშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილეა და მისი დამფასებელი და თაყვანისმცემელი ჩინებული თეატრალური სანახაობის შემსწრენი ხდებიან. ცოტა ეს სიტყვით გამოსვლება დასაფიქრებელი ასეთი სპექტაკლების მომზადებისას, საერთო განწყობილებას თუნდ მცირე ხარვეზადაც რომ არ დააჩნდეს.

ამ გამოსვლაზე კი ამას ნამდვილად ვერ იტყვი.

ემზარ კვიტიანიშვილი თითქოს იმთავითვე ჰყოლოდეთ ნაგულისხმევი სცენარისტა და რეჟისორს. არც უშუალოა აქლია მის სიტყვას, არც ექსპრესია და არც იუმორი. განსაკუთრებით მაინც ის პასაჟი გაახალისებს დარბაზს, ორატორი მწერლის იმ ნოველას რომ გაიხსენებს — „მოგონილი ამბავი“ — და განაცხადებს, იქ პერსონაჟად მეც ვყავარ გამოყვანილი, ის ფრაზა: „კარი გაიღო და ბერეკაშვილის გაბურძნული თავი გამოჩნდა“ — მე მგულისხმობსო.

დარბაზში გადავლილი სიცილი კიდევ უფრო აიყოლიებს და იმეორებს:

— „ბერეკაშვილის გაბურძნული თავი“ რომ წერია, პროტოტიპი მე ვარ.

რეზო ჭეიშვილს თვალები მოუჭრუტავს და ისე მისჩერებია.

„რატომ უნდა გამომეყვანა ეს კაცი ნოველაში, თანაც ბერეკაშვილად?“

ორატორი უკვე სხვა ნოველაზე გადასულა — „მინების განაღობა“:

— ყველა პერსონაჟს ჰყავს თავისი პროტოტიპი და სათი-

თაოდ შემოიღია ჩამოგითვალთ... სიტყვა ძალიან გამიგრძელდება, თორემ... აქცენტი გამრეკელი ირაკლი აბაშიძეა. რეზოს რომ ვკითხე: გამრეკელი რატომ დაარქვი-მეთქი, და: ხალხს რომ მიერეკებაო.

და ორივე ხელით ენერგიულად აჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა ეს გარეკვა.

— საერო ვაჩიბერიძე რომ სერგი ჭილაიაა, იმ ფრაზით ამოიცივობა, ერთ პერსონაჟზე აღტაცებული რომ ამბობს: რუსული იცისო. მისთვის ეს უმაღლესი შეფასება გახლდათ, და ასეთი პიროვნება, ვინც რუსული იცოდა, იდეალს შეტოლებული, რადგანაც თვითონ ვერა და ვერ ისწავლა და ძალიან განიცდიდა... ჯიმასტარო გეგია შაქრო სამადაშვილია, ფინალში უზომო სევდას ვისი გამოჩენაც გამოკვეთს. ვაი შური, საცოდავი ჯიმა, დედის ძახილი რომ მოესმის საიქიოდან... სათითაოდ შემოიღია ჩამოგითვალთ, მაგრამ ისედაც გადავაჭარბე...

„ნეტა რატომ გამოვიყვანე ეს კაცი, თანაც ბერეკაშვილად?“

ფოიეში გამოსვლისას ყველა, დიდი თუ პატარა, ემზარ კვიტიანიშვილს მისჩერებია ღიმილით, გზას უთმობენ, მიაცილებენ. და ალბათ აღარც არასოდეს დაავიწყდებათ ის ფრაზა — „ბერეკაშვილის გაბურძნული თავი“.

იდეა ამ ნოველისა „მოგონილი ამბავი“ ემზარ კვიტიანიშვილს გაუჩნდებოდა. ერთ დღით რომ გაიღვიძებდა, გაუღვებდა: ცხოვრება გლეჯააო, — და ფიქრს ფიქრს მიადევნებდა: კარგი თემა იქნება ნოველისათვის, ახალგაზრდა ლიტერატორი მოულოდნელად რომ აღმოაჩენს ამ ჭეშმარიტებასო.

და მალევე გაუზიარებდა ამ მოსაზრებას რეზო ჭეიშვილს: სწორედ საშენო თემაა და აბა შენ იციო!..

ისიც ჩაუფდებოდა და სულ მალე მოათავებდა მშვენიერ იუმორისტულ ნოველას, ხოლო მის შთამაგონებელს პატივს იმით სცემდა, რომ პერსონაჟად გამოიყვანდა, ნოველის საერთო განწყობილების შესაფერისად, საქით რომ უმტკიცებდა ახალგაზრდა ლიტერატორს: ასეთი აზრები როგორ განუხებს, შენ ხომ არ გასულელებულხარ, სად გგონია შენი თავი, ფრთხილად იყავი, ბიძია, მოკლედ, მე ნავედი და შენ მაგ არ გინდა, ძმურად გელაპარაკებო!..

რატომ გავაგებინე, ქვეყანას მოდებსო, — გაიფიქრებდა ლიტერატორი და მართლაც რომ დაინწყებდა ქალაქში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად სიარულსა და ძახილს: ცხოვრება გლეჯააო, — თავის იმ ნაფიქრს დაიდასტურებდა, ხომ ვთქვი, მთელი ქალაქისთვის მოუდია ბერეკაშვილსო.

ამ ჭეშმარიტების აღმოჩენა უვნებლად არ ჩაუვლიდა ლიტერატორს და სასამართლო თორმეტ დღეს რომ მიუსჯიდა, ნოველა ჭეიშვილური ფინალით უნდა დამთავრებულიყო, იუმორსა და სილაღეში დრამატული განწყობილება რომ შემოიჭრებოდა:

— ამ თორმეტ დღეში რამდენი ზამთარი და გაზაფხული ჩაივილია, რამდენჯერ დავარგდებოდა ბოლოკი და აყვავილდებოდა ალუჩა.

რეზო ჭეიშვილს სცენაზევე გადასცემდნენ მისი ნოველებისა და მოთხრობების რჩეულ კრებულს „კვამლი და სხვა“ — სასიგნალო ცალს, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რომ ითავებდა მის გამოცემას, მომზადებით კი ელგუჯა თავბერიძე მოამზადებდა და მისი თავგამოდებით დაინერებოდა ვრცელ შესავლად ჩემი ესეი „საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი“. შედგენითაც წიგნის საბოლოო ვერსიის შედგენას მე მომანდობდა.

გადმომიგზავნიდა თვითონ ავტორისვე შედგენილ სიას თავისი რჩეული ნოველებისა, მაგრამ... ეს სია ძალიან არ და-

მიჯდებოდა გონებაში, რადგანაც მხოლოდ ნაწილობრივ გავიზიარებდი რეზო ჭეიშვილის ასეთ თვითშეფასებას.

ერთი და ორი ცვლილების შეტანას კი არ მივიჩნევდი აუცილებლად, არამედ საფუძვლიან გადაამუშავებას, არაერთ სათაურს ამოვაკლებდი და არაერთსაც ჩავამატებდი, რათა რეზო ჭეიშვილი წარმომდგარიყო ისე, ყველაზე უკეთ რომ შეჰფეროდა.

თორემ აბა თქვენც დაუკვირდით.

ამ რჩეული ნოველებისა და მოთხრობების შინაარსი ასეთი უნდა ყოფილიყო:

1. „ლუკა პაჩოლი“;
2. „ოსტატები“;
3. „ბოლო სიმაღლე“;
4. „გია“;
5. „ალ-რაზაკის სიკვდილი“;
6. „მეთხე პალატა“;
7. „კრიტიკული წერილი“;
8. „ბართლომეს ღამე“;
9. „პაპიაშვილის ბრალდების საქმე“;
10. „ღია წერილი“;
11. „ფედია“;
12. „ოპერაცია“;
13. „მინების განაწილება“;
14. „ნოველა სალუდემი“;
15. „ცისფერი მთები“;
16. „ჭიდაობას რა უნდა“;
17. „პრემიერა“;
18. „თამაში“;
19. „ნობელი“;
20. „ჭა“;
21. „კვამლი“;
22. „ვაიმე, ჩემო ვენახო“;
23. „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“.

არადა, აუცილებლად უნდა ამოკლებოდა „ბოლო სიმაღლე“, „კრიტიკული წერილი“, „ბართლომეს ღამე“, „ფედია“, „ჭიდაობას რა უნდა“, „თამაში“ და „ნობელი“, სამაგიეროდ, არაფრისდიდებით არ უნდა დარჩენილიყო ამ წიგნის მიღმა:

- „მოგონილი ამბავი“;
- „რასემონი“;
- „კომპოზიტორი ჩირიბერიძე“;
- „ძეგლი“;
- „მწერალი“;
- „გუია ა“;
- „სალადაძე“;
- „ქორეოგრაფი მესხორიძე“.

(ის კი არა, ჩემდა გასაოცრად, ნოველა „გუია ა“, რომლის გარეშეც რეზო ჭეიშვილის ყველაზე უფრო მკაცრად შედგენილი რჩეულიც ვერ წარმომედგინა, მის შვიდტომეულში საერთოდ არ აღმოჩნდებოდა!).

ელგუჯას დაევალებოდა ამ საბოლოო სიის გაცნობა მწერლისათვის, სათანადო არგუმენტაციას კი წინასწარვე მოვამზადებდით ერთად, რათა დაგვერწმუნებინა, რომ ასე და მხოლოდ ასე სჯობდა.

თუ მწერალი არ დაგვეთანხმებოდა, მაშინ ელგუჯას უნდა შეეხსენებინა მისთვის, რომ თვით მიგელ დე სერვანტეს-საავედრაც ვერ აფასებდა შესაფერისად თავის თხზულებებს და გაცილებით ერჩივნა „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიობა“, ვიდრე „დონ კისოტი“; და რა გამოვიდოდა, მკითხველიც რომ დათანხმებოდა ამ არჩევანს — მაშინ ხომ სერვანტესის

კარგა ხნის წინათ გვეყოლებოდა დავინყებულები თავის „პერსილესიანად“.

მაგრამ ელგუჯას არ დასჭირდებოდა არც ეს წყალგაუფალი საბუთი და არც სხვა არგუმენტები, რადგანაც ამცნობდა თუ არა, ჩვენ ცოტა სხვაგვარად გვაქვს რჩეულის შინაარსი წარმოდგენილი, ის მაშინვე დაყაბულდებოდა ისე, რომ ჩვენი სიის გაცნობას აღარც მოინდომებდა:

- გენდობით.
- არა, მაინც იქნებ გენახათ.
- არ მინდა, სავსებით გენდობით... ნიგნად გამოცემულს ვნახავ და ეგ იქნება.

ზოგადი „რჩეულის“ ნაცვლად მე ვამჯობინებდი ასეთ სახელწოდებას — „კვამლი და სხვა ნოველები“. რეზო ჭეიშვილი კი მცირე ცვლილებას შეიტანდა:

— „კვამლი და სხვა“ იყოს, ძალიან ამერიკული სათაური რომ არ გამოგვივიდესო.

„საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი“ ელგუჯა თავბერიძის თავგამოდებით დაინერებოდაო...

დიდი ხანია ვაპირებდი ამ მწერალზე რაიმეს დანერას, ჯერ კიდევ როდღაც — ლიტერატურულ სარბიელზე გამოჩენისთანავე, მაგრამ ვერა და ვერ მომეკიდა ხელი.

პირველი ორი ფრაზა კი მქონდა ნაპოვნი:

„ჩამავალი მზის სხივებსა და სილის უსასრულო ძაბრში მიტრიალებს დრო.“

ეს რეზო ჭეიშვილის დროა“.

კომპოზიციის ზოგადი ქარგაც ასე თუ ისე წარმომედგინა, „კვამლის“ ირგვლივ რომ უნდა დატრიალეს უსასრულო მსჯელობა — ესეც განსაზღვრული, მაგრამ წელი წელს მისდევდა და ვიყავი ასე გაყინული დასაწყისზე.

და ახლა ელგუჯა რომ შემომთავაზებდა რეზო ჭეიშვილის „რჩეულის“ წინამძღოლობას, თანაც ორ კვირაში უნდა მომეთავებინა, შორს დავიჭერდი:

— ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი კი არის, მაგრამ ვერაფრით ვერ დამინერია წერილი და ეგებ შენვე მიგეხედა. ისედაც რამდენიმე ვაქვს გამოქვეყნებული, წიგნი არ გამოვიცია, რეზოზე ერთი ან ორი სტატია არ ყოფილიყო, თითქოს მხოლოდ ცალკეულ მოთხრობებს განიხილავ, „ცისფერი მთები“ იქნება, „მეთხე სიმფონია“, „ვაიმე, ჩემო ვენახო“ თუ „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“, მაგრამ არაერთი საგულისხმო დაკვირვებაა მისი პროზის თავისებურებასა და ზოგად სტილისტიკაზე, „ნიფობისთვის“ ანალიზიც ძალიან მომეწონა... და მათგან რომ არც შეარჩიო, ახალიც არ გაგიჭირდება.

— ხომ იცი, შენი წერილი უფრო გაეხარდება.

„უხ, ელგუჯა!..“

და ვთხოვდი, რომ დაწერდი მოკლე ჩანახატს, თუ ისიც არ გამომივიდოდა, მაშინ სარედაქციო წინათქმას, ბოლოსდაბოლოს ჩემს აღტაცებას ხომ მაინც გამოვთქვამდი.

ელგუჯა დამყაბულდებოდა:

— მთავარია შენი გვარი იყოს მოწერილი... ისე მაინც გესინჯა ცოტა უფრო ვრცლად... არა, არა, როგორც მოგიხერხდეს... ისე... რა ვიცი... ჰა, მაინც... თუ არადა, მოკლე ჩანახატს წინ რა დაუდგება...



მხატვარი კარლო ფაჩულია

ნინ რა დაუდგებო...
გეგონება ჩანახატი ადვილი იყოს!..

ერთი კვირა ისე მიიწურებოდა, იმ ფრაზას წინ ვერ წაწვნივდი, ჩამავალი მზის სხივებსა და სილის უსასრულო ძაბრში რომ მიტრიალებს დრო — რეზო ჭეიშვილის დრო. ეგაა, უკვე ისე არა მცილდებოდა გონებიდან, ლამის გაეპურლა.

„დაე იყოს ეს სარედაქციო წინათქმა... მეტი არ იწერება და...“

და დაემშვიდებოდი.

ამას კი დავეწვინდი, კაცმა რომ თქვას, ერთი კვირა რად უნდოდა, ერთ საღამოს მოვათავებდი.

და უეცრად დავინახავდი გონებაში ნაფლეთებად მობორილად ესეის ფინალს — დანისლულ გორებს და ფესვებაფშეკილ, თავდაღმა დარგულ ხეებს და მსუბუქ, უხილავ კვამლს, ზევით, სულ ზევით ადენილს, ბროლის სტალაგმიტების წკრიალს... და უკანასკნელი ფრაზა ხელშესახებდა რომ ჩამოყალიბდებოდა გონებაში:

„ხედავ სიცივეს, ნაცრისფერ ფიფქებს შეჰყურებ, იგონებ, ეძებ გაუხარელი ქალწულის ესმა ბესტაურის დაკარგულ საფლავს“.

და კიდევ ერთხელ რომ გავიმეორებდი, ვიგრძნობდი, რომ ამდენი ხნის ნაფიქრი და ნანატრი ესეი თვალდათვალ იძენდა კონტურებს და უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა იმ გაყინული ფრაზიდან ერთბაშად დაძრულ ნაკადს.

ელგუჯას რომ დაფურეკავდი აფორიაქებული და ვამცნობდი:

— ჩანახატი კი არა, ხელთ ესეი გექნება.

იმას გაეხარდებოდა:

— სულ ცოტა შუაში იქნები... მალე უნდა დამიმთავრო, მოსწრებაზეა, ხომ იცი!

— არა, ჯერაც პირველ ფრაზაზე ვარ, ოღონდ...

— ოღონდ?..

— ოღონდ ფინალს ვხედავ და კომპოზიციური ქარგაც მკაფიოდ გამოიკვეთა.

„ჩვენი მწერლობის“ ახალი ნომრის გამოსვლა ისე ემთხვეოდა, რომ იმ სახილგო საღამომდე (დაუფინყარ სპექტაკლამდე!) და „რჩეულის“ გამოცემამდე ჟურნალის ფურცლებზეც მოვახერხებდი მის დაბეჭდვას — „საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი“; და პარასკევ დღესვე შემეხმინებოდნენ ემზარ კვიტაიშვილი და გივი შაჰნაზარი, და თითქოს წინასწარ შეთანხმდნენო: რეზოს რომ ეკადრება, სწორედ ისეთი წერილი დაინერა, სულ ველოდით, რომ ადრე თუ გვიან ასეთი რამ მოხდებოდა და რა კარგია, რომ ისევე შენ მოაბი თავი, პირველად აღინიშნა მისი პროზის მისტიკური მხარე, სულ ვგრძნობდით რალაც ამგვარს, მაგრამ სახელი ვერ დაგვერქმია... და საერთოდაც, გაიხსნა მისი მხატვრული სამყაროს თავისებურებანიც და არსიც.

ნატო იმასაც კი მეტყობდა: მინიმომანი ხომ არსებობს, ეს კი მინიმომომანი რომანია — პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტიც სრულყოფილადაა გამოკვეთილი, სულიერი პორტრეტიც აღდგენილი და ეპოქაც თავით ბოლომდის წარმოჩენილი, ყველაფერი ისეა, რომანის ჟანრს რაც მოეთხოვებაო.

— ოცდაათი გვერდიც არ არის!..

— ოცდაათი გვერდიც რომ არ არის, მაგიტომ ვამბობ, თორემ სამასი გვერდი რომ იყოს, რა ჟანრობრივი დაზუსტება დაჭირდებოდა?!

თავს კი არავის ვადრი, უბრალოდ, ჟანრობრივად მართლა შეიძლება ასეთი განსაზღვრებაც შემოვიტანოთ: მინიმომომანი რომანია.

პირობითად, თორემ აბა!..

ისე იაკობ ხუცესის „შუშანიკის ნამების“ ჟანრობრივ დაზუსტებას რომ ვცდილობთ, უფრო ზუსტად, ჰაგიოგრაფიული ჩარჩოს იქით გადახედვასაც ვლამობთ, სხვა

განსაზღვრებაზე მარჯვე, შესაძლოა, სწორედ ეს განსაზღვრება იყოს: მინიმომომანი რომანია.

ჟანრული მსგავსება, ცხადია, სულაც არ ნიშნავს თხზულებათა მხატვრულ-დოკუმენტურ ღირსებათა შეტოლებასაც. უბრალოდ სურვილი გიჩნდება, გახედო შენს წინამორბედებს.

რეზო ჭეიშვილის რომანის ფინალში კი, როცა აღარ წვიმს, მზეც არა ჩანს, მაგრამ დღენათელია, და ვაშლის ბალი კრთის სისველეში, მინდორში გადაბერებულან დაბალი ხეები, თეთრად და ლურჯად დაფორაჯებით, დახვსებით ვაშლებს ქერქი, ალაგ მოლი, ალაგ გვიმრა ხასხასებს სიბრტყეზე, ნისლში, ტოტებს ქვემოთ, მატარებლიდან ჩამოსულ ნოდარს უეცრად ყვირილის ჟინი მოუვლის.

„ვეცვითა ბაღში თავს, გავვარდები კვილით, გავილუმპები“ — გაიფიქრებს.

და თუმც მატარებლისა შერცხვება და თავს შეიკავებს, ეს სურვილი არ გაუნელდება.

და დგას ასე, ყელში მოწოლილი ყვირილის მძაფრი შეგრძნებით.

რეზო ჭეიშვილი და ელგუჯა თავბერიძე ერთად ისვენებენ ქვიშხეთში და ელგუჯა საგანგებოდ მოინდომებს „მინების განილებს“ პერსონაჟთა პროტოტიპების დაზუსტებას.

ემზარ კვიტაიშვილი ამ დავალებას სცენიდან მისცემდა: ამის გამკეთებელი თუ ვინმეა, ელგუჯა თავბერიძეაო, — განაცხადებდა და დასძენდა: მასვე მართებს მხატვრულ-დოკუმენტური ნიგნის შექმნაც რეზო ჭეიშვილზე, უახლოეს ხანში რომ მოველითო.

დასაწყისისთვის „მინების განილება“ უხვ მასალას პირდება კრიტიკოსსა და ბიოგრაფოსს — სილუეტების ჩამოსამწკრივებლად თუ ვრცელი ექსკურსების გასაშლელად.

ბატონი რეზო ძალიან გახალისდება, ხელებს იფშენებს, თვალნი ამოვსახება ის დღეები, ამ ნოველაზე რომ მუშაობდა, და კრიტიკოსს ჰპირდება, რომ ბოლომდე გაუხსნის პერსონაჟთა ვინაობას.

ააქცენტი გამრეკელი აკი უკვე გამოფრულია.

საერო ვაჩიბერიძეც.

ჯიმასტარო გეგიაც.

ახლა დანარჩენებსაც ამცნობს... ახლავე, ახლავე...

— კაკო მერაძე კარლო კალაძეა. მერაძე იმიტომ, რომ „მერანის“ დირექტორი იყო.

— ძალიან კარგი და... სხვები?

— სხვები... სხვები...

ველარ გაუხსენებია, ველარც აღუდგენია, მიხვედრითაც ველარ ხვდება, ვის გულისხმობდა, მაგრამ გამოსავალს მაინც პოულობს:

— რა არის იცი?.. ხელნაწერში თავდაპირველად ყველა თავთავისი გვარ-სახელით მყავდა გამოყვანილი და გადაბეჭდვისას შეეცვალა. ხელნაწერს მოვიძიებ და ზუსტად შეიძლება ყველაფრის აღდგენა.

ელგუჯა შევებით ამოისუნთქებს.

ეგაა, ექქარება „მინების განილების“ პერსონაჟთა ვინაობის დადგენა და სთხოვს, მოძებნაში მეც დაგეხმარებით, ოღონდაც ნულა გადაიდეო.

— არა, რატომ უნდა გადაიდოს. ხელნაწერს მოვნახავ და...

მოიცა, იქნებ ისეც გავიხსენო... კაკო მერაძე კარლო კალაძეა, „მერანის“ დირექტორი რომ იყო, ეს მერაძე იმიტომ შევარჩიე. კიდევ... კიდევ...

ელგუჯაც აგულიანებს.

მაგრამ, ეტყობა, მესხიერებას ძალზე შორეულ კუნძულებში ჩაუკეტავს ის სახეები და ადვილად ველარ ამოდიან

მზის სინათლეზე. პერსონაჟებს შთაუნთქავთ პროტოტიპები, თუმცა რა უშავს — რაკილა ხელნაწერში ყველას ვინაობა აღნიშნული, ადრე თუ გვიან კიდევ გაიხსნება მწერალთა კავშირისათვის ნიშანდობლივი თავყრილობის ყოფითი მხარე, ნატურალიზმში გადასული რეალისტური შტრიხებით, ნამდვილი ჭეიშვილური ხელოვნებით.

ედემის ბალი გამქრალა და ერთ ქუთაისურ პატარა ბაღს რატომ დაადგებოდა უკეთესი დღე?!. ახლა აღარც ის ბალია.

აღარც ის ტყემლები. აღარც ის ყვავილები. მაგრამ დარჩენილა ყვირილის გაუნელებელი ჟინი და განცდა. ეს მაინც დარჩენილა, ყვირილისა — სამყაროს წინაშე. და კიდევ — ყვავილთცვენის მოლანდება, თვით ცხადზეც უფრო ცხადი.

ისე ნეტა რატომ ეგონა სერვანტეს თავისი შემოქმედების გვირგვინი „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიბობა“?

„საკუთარ ფრთებს ჩამორჩენილი“

(თამაზ ბაძაღუას ხსოვნის საღამო თეატრალურ უნივერსიტეტში)

თეატრალური უნივერსიტეტის სახელოვნებო დარბაზში — მისი გახსნის თაოსნის შალვა განჯელიას სახელს რომ ატარებს — თამაზ ბაძაღუა გაიხსენეს.

ახალგაზრდა მწერლისა და მისი ოჯახის ტრაგედია, გაუგონარი ავტოკატასტროფის უცოდველ მსხვერპლთა წარმოდგენა, ახლაც, განვლილი მეოთხედი საუკუნის მიუხედავად, მომწუსხავად გამოგონებელია. დრო, თითქოს რომ სიკვდილს ამინაურებს, გულისწყვეტას ვერც აქრობს და ვერც ანელებს.

ჩაუმქრალი მოგონებებისა გახლდათ ნოემბრის ის ერთი საღამოც; უნიჭიერესი მწერლის, თამაზ ბაძაღუას შეწყვეტილი სიცოცხლის სახელზე.

მკრთალად განათებულ სცენაზე იხილებოდა ფიქრიანი და მეტყველი პორტრეტი თმახუჭუჭა ჭაბუკისა. იქ თავმოყრილი საზოგადოება, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ახლობლობდა მასთან — ნათესავები თუ სტუდენტობის მეგობრები — იმჟამად აღიქვამდნენ დროს შეჩერებულ წამად და ამ გაეღვევაში რაღაცნაირად თავსდებოდა დანანება ახალგაზრდა კაცისა, კვლავ 28 წლისად რომ რჩება და ამის მიუხედავად, ბევრიც მოასწრო როგორც შემოქმედმა.

საღამოზე თამაზ ბაძაღუას წიგნის — „6 პიესა“ („ღამე და თუთიყუში“, „ღუზა ჩაუშვი, ანგელოზო!“ „ძველი როიალი“, „იფიგენია“, „მარადიული მონები“ და „ფანჯრებს იქით“) — წარდგინება გაიმართა, რომელიც „ინტელექტის“ საგამომცემლო გუნდის მონადინებით გამოშვებულა. ერთად თავმოყრილ ამ დრამატულ ნაწარმოებებს უძღვის ირაკლი სამსონაძის სანიმუშოდ მრავლისმთქმელი ესეი „საკუთარ ფრთებს ჩამორჩენილი“, სადაც თაობის, 80-იანელთა, მაჯისცემაც დაითვლება, ხოლო მარტო სათაურით თამაზ ბაძაღუას ნუთისოფლად ყოფნაა გაცხადებული. აქვე, დავესესხები წინასიტყვაობის ავტორს: „თაობა — მეოცნებე, თავისივე მისწრაფებებს ვერმიდევნებულნი, ეპოქათა შეჯახებაში მოყოლილი, გარემოებათა და გარემოებათა გამო ვერშეცვლენილი“...

ამ მეტად მტკივნეულად დაწერილ ესეიში, რასაკვირველია, აღარაა მსჯელობა თავისუფლებამოწყურებულ 80-იანთა

რომანტიზმზე, თუ როგორ ჩაენაცვლა ახალთაობელთა პრაგმატიზმი — დაუოკებელი ჟინით ასპარეზის მოსაპოვებლად.

ლონისძიება თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებმა გახსნეს. სცენის მომავალმა ოსტატებმა: **თათა თავდიშვილმა, ნატალია ყულაშვილმა, ვაკო კობერიძემ და გიორგი ალანია** მშვენიერი ლიტერატურული მონტაჟი წარმოადგინეს მონოპიესების — „ღამე და თუთიყუში“ და „ფანჯრებს იქით“ — მიხედვით.

როსტომ ჩხეიძემ, რომელიც წარმართავდა ხსოვნის საღამოს, შესავალ სიტყვაში ისაუბრა თამაზ ბაძაღუას მრავალმხრივ ლიტერატურულ ინტერესებზე, პიროვნულ თვისებებზე თუ მისი ნიჭის სიხალასზე. მერე კი საზოგადოებას ნაუკითხა ამონარიდები **მაია ჯალიაშვილის** ესეიდან, პოეტის შემოქმედებას რომ ეძღვნება (თვითონ ავტორს, ავადმყოფობის გამო მოსვლა ვერ მოუხერხდა).


სოხუმის უნივერსიტეტის პედაგოგებმა **ნინო ვახანიამ და მარინე ტურავამ** ჩვეული პროფესიული აკადემიზმით მიმოიხილეს თამაზ ბაძაღუას დრამატურგია და გამოკვეთეს უმთავრესი: რომ ეს პიესები მეტად აქტუალურია სადღეისოდაც.

გულითადი მოგონებებით გაათბეს სიტყვები: **გურამ ბათიაშვილმა, შადიმან შამანაძემ, ანდრო ბუაჩიძემ**, „ინტელექტის“ მესვეურმა **კახმეგ კუდავამ** საგამომცემლო გუნდის სასურველი, მაგრამ შეჩერებული განზრახვა გაახმაურა — და რომ არა სხვადასხვა ხელისშემწეული გარემოება, ბარემ თამაზ ბაძაღუას თარგმანების სრულ კრებულსაც დაგებქდავდითო.

საღამოს თავისებური კოლორიტი შესძინა ბაძაღუათა ბუდის ერთმა ყველაზე პატარა წარმომადგენელმა **საბა სანაიამ**, ვინც გზებით ნაიკითხა თავისი საამაყო წინაპრის ლექსი.

შეკრებილმა საზოგადოებამ ნახა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმიც, თამაზ ბაძაღუას რომ ეძღვნება. თავისთავად ღირებული ეს ეკრანული ნამუშევარი უკვე სხვა თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი: მთავარი როლის შემსრულებელი, მეტად სახასიათო და ნიჭიერი მსახიობი **გოგა გორგასანიძე** (მოგვიანებით ისიც ავტოკატასტროფის მსხვერპლი) აქედანაც დაგვამახსოვრდეს.

დასასრულს, ხსოვნის საღამოს ყველა მონაწილეს გულისხმიერებისთვის მადლობა გადაუხადეს თამაზ ბაძაღუას დამ **დოდომ** და ბიძაშვილმა **მალხაზ ბაძაღუამ**, ვისი წვლილიც თამაზის წიგნების გამოცემასა და სახელის პოპულარიზაციაში საგანგებოდ აღინიშნა.



ელისაბედ ერისთავის მოგონება ქმებ ორბელიანებზე

სამი ძმანი ჯამბაკურ ორბელიანი. ალექსანდრე [ქ] დიმიტრი² და ვახტანგ.³

როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს (1720-1798) მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა. მისი შვილები, შვილიშვილები და შვილთშვილები აქტიურად იყვნენ ჩართულნი და მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამ სამეფო ოჯახის წარმომადგენლები შეადგენდნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა დიდი ნაწილს.

მეფე ერეკლეს შთამომავლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი მის შვილიშვილებს — ალექსანდრე (1801-1869), დიმიტრი (1806-1882) და ვახტანგ (1812-1890) ჯამბაკურ-ორბელიანებს უკავიათ. ისინი მეფის ნაბოლარა და განსაკუთრებით საყვარელი ქალის თეკლე ბატონიშვილისა (1778-1846) და ვახტანგ დიმიტრის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის (1769-1812) ვაჟები არიან.

ძმები ორბელიანები ქვეყანას მოველინენ მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე, ილია ჭავჭავაძის სიტყვით, “იმისთანა დროს, როცა ჯერ კიდევ ცხოვრებას ზედ ეჩნოდა წყლულნი და დაკოდილებანი მეთვრამეტე საუკუნისა, და მეცხრამეტე საუკუნის ქარს ვერ გაეფანტა მათ მიერ მოველილი ნაღველი, მწუსარება და სასონარკვეთილება. ჯერ კიდევ თითო-ორი ოჯახში ცოცხალი იყო ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნისა, რომელმაც სული დალია 1795 წელს 11 სექტემბერს სოლანულს, კრწანისის ბაღებთან, და ნაშბის სახელოვანი გვირგვინი დაადგა ამ ქვეყნისათვის თავგანირულ მამულიშვილებს“. ამ ურთულეს ხანას კიდევ შემორჩენოდა “თითო-ორი მამულისშვილი, რომელთაც ასულდგმულება ჩვენის ძველის ცხოვრების ანდერძები, აქა-იქ შერჩათ კიდევ ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნის თავგანირულ გმირთა. გმირთა საქმენი მოხუცს ცრემლს ადენდნენ და მხნობით აღტაცებულს ჭაბუკს ხმლის ტარზე უთრთოლებდნენ ხელს. თუმცა ყოველი ეს კარჩაკეტილი იყო, ხმამაშობილი, დაქსაქსული, აქა-იქ ცალკე ბუჭუჭავდა, მაგრამ არ შეიძლება თავისი საქმე კი არ ეკეთებინა, თავისი ნასკვი არ გამოენასკვა და ადრე თუ გვიან არ წამოეყენებინა ცხოვრებისათვის გამოსასხნელად“.

ერთ ამისთანა ოჯახსთან დაიბადნენ ძმები ორბელიანები. დედამ, თავადაც დიდმა მამულიშვილმა, რომელიც “ზედმიწვევით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა, საღმთო წერილისა, კარგად განათლებული მამინდელ კვალბაზე, ჭკუით, სიბრძნით და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი“ ღირსეული შვილები აღზარდა. “ამისთანა დედა, როგორც იყო თეკლე ბატონიშვილი, რა თქმა უნდა, ბევრს რასმე სანაღველს და სანატრულს სახელოვანის წარსულისას ჩააგონებდა თავის შვილს და გაუტკობდა გულს სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის ღრმა პატივისცემითა“.

თეკლე ბატონიშვილის ოჯახი 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილეა, რისთვისაც ის მკაცრად დასაჯეს და რუსეთის გუბერნიებში გადასახლება მიუსაჯეს.

თეკლე ბატონიშვილს, მის სასიქადულო ვაჟებს მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო მონოგრაფია თუ სტატია, სადისერტაციო ნაშრომი თუ წერილი, ბიოგრაფიული რომანი, რომელთაც კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. მაგრამ ხელნაწერ ფონდებში გაბნეული ყოველი ახალი ცნობის მიგნება, გამოძიებურება და გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის მაინც დიდად საშურ საქმედ გვესახება.

ერთ-ერთი ასეთი მოგონება ეკუთვნის ძმები ორბელიანების თანამებრძოლის, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის ელიზბარ ერისთავის უმცროს ასულს ელისაბედ ერისთავს (1864-1849). იგი დაცულია საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული დიპლომატიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში. ელისაბედ ერისთავის ამ ფონდის რამდენიმე ხელნაწერი, რომელთა შორის იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ლევან მელიქიშვილის, მარიამ დემურიას, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის, რევაზ ერისთავის, მარჯორი უორდროპისა, დავით ჭავჭავაძისა და ელიზბარ ერისთავის ოჯახისადმი მიძღვნილი მოგონებანი, უკვე გამოქვეყნდა ქართულ ლიტერატურულ და სამეცნიერო პერიოდიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმული მემუარისტის მიერ მოწოდებული ცნობები ხშირად დაზუსტებას საჭიროებს და მასში გვხვდება კალმისმიერი, მესხიერებისმიერი, ენობრივი შეცდომები, მემუარები მეტად საყურადღებო წყაროა ქართული საზოგადოების ისტორიის შესასწავლად. ის, შეიძლება ითქვას, იმ თვალ-მარგალიტით სავსე სკივრად წარმოგვიდგება, რომელშიც ყოველი ჩაყოფისას ხელს უძვირფასესი სამკაული ამოყვება.

ძმებ ჯამბაკურ-ორბელიანებისადმი მიძღვნილი ხელნაწერი მოგონება 13477-ხ დათარიღებულია 1945 წლით. ქალბატონი ელისაბედის მიერ დიდი სიყვარულით მოთხოვნილი ამბები, ვფიქრობთ, საყურადღებოა და ახალ შტრახებს სძენს ქართული საზოგადოების თვლსაჩინო წარმომადგენლების გაუხუნარ პორტრეტებს.

ალექსანდრე ცნობილია, როგორც მწერალი, როგორც დიდი პატიოსანი ადამიანი, კეთილი და დიდი პატრიოტი, მამიქემის დიდი მეგობარი და ძვირფასი. ერთათ გამოქვეყნებული 1832 წელსა აჯანყების დროს. ცოლად ჰყვანდა კატინო ბარათოვისა⁴ და მიეცა ორი ქალი [ქ] ერთი მუკვდა⁵ და დარჩა ერთი ქალი დარია⁷ [ქ] რომელიც მიათხოვეს დავით ქობულაშვილზე.⁸ მათ მიეცათ ერთი ქალ-ვაჟი. ქალი⁹ მისცეს გრიგოლ შარვაშიძის¹⁰ შვილს¹¹ [ქ] რომელიც მსახურობდა ერევანსკის პოლკში მანგლისში. ვაჟი ევგენი¹² ქობულაშვილი¹² [ქ] ჩემი სიძე [ქ] რომლის მეუღლე იყო ჩემი შუათანა და ნინა.¹³ ევგენის დიდი სიმდიდრე დარჩა კნ. ბარათაშვილს¹⁴ კიდევან. ამაზე მერე ვილაპარაკებთ. კატინოს მული [ქ] ესე იგი დიდი ვახტანგის¹⁵ დამ¹⁶ დაანება თავისი ქმარი და შვილები და გაჰყვა თავის დიდ მთავარს [ქ] თავის რძალს¹⁷ [ქ] როცა გადასახლებულნი იქნენ რუსეთში და ისინი დაბრუნდნენ სალათ [ქ] მხოლოდ [თვითონ] იქ გარდაიცვალა და ბოლოს იმის შვილიშვილის ქმარმა იმის დაობლებულს საფლავს გადაუხადა პანაშვიდი. დიმიტრის [ქ] მეორე ძმას [ქ] ძალიან ცოტათი ვიცნობდი [ქ] არ იყო მოქალაქე და მონათესავე [ქ] როგორც ვახტანგი. სულ ორჯული ვნახე [ქ] ერთხელ თავის ძმისწულთან და ერთხელ [ქ] თეატრში. მისი ქალი¹⁸ მე გავიცანი აქ [ქ] როდესაც მოიყვანეს სამძღვარგარეთი დამ ავამყოფი. მისი ცნობილი რომანი ასე იყო [ქ] რომ ლიზა ორბელიანისა ჯერ იყო გათხოვილი გრამონ დავიდოვზე¹⁹ [ქ] ბარათინსკის მახლობელ ნათესაზე [ქ] რომელიც იყო ადიუტანტი ბარათინსკისა და მერე ხომ შეირთო ბარათინსკის [ქ] რომელმაც მოიტაცა. ეს ამბავიც ცნობილია.²⁰ ერთი მოხუცი გოთუ²¹ [ქ] ვანი [ქ] ხშირათ დაიარებოდა ხოლმე ჩვენსა [ქ] ის გვიამბობდა [ქ] რომ ელიზაბეტა დიმიტროვნას ის ახლდა [ქ] პრაპორშჩიკი ვიყავო და იმან წამოიყვანა და გორში ჩვენსა მოიყვანა იმ ღამეს [ქ] ჩვენთან გაატარა ღამე და მერე განაგრძო მოგზაურობა დანიშნულ ალაგამდენ [ქ] სადაც უნდა შეხვედრულიყო ბარათინსკის. იმ გოთუას შვილები ექსლაც არიან. ქალი ავილასა ჰყავს და ვაჟი ინჟინერი [ქ] არა მსახურობს [ქ] ქუჩაში ხშირათ ვაჭურებსა ჰყიდის [ქ] სახელათ ბორისი [ქ] ვქვია. ლიზა ბარათინსკისა ჯერ სკერევიცას²² ცხოვრობდა და მერე ცოტა ხნით [—] პეტერბურღში. დიდი მეგობრები იყვნენ სიყრმიდანვე ალექსანდრე მეორე²³ და ბარათინსკი.²⁴ ეს ამბავი რომ მოუხვდა [ქ] იმპერატორმა შემოუთვალა [ქ] ჯერ სკენევიცას წადიო [ქ] იქ მშენიერი სასახლე აჩუქა და იქ გაისტუმრა. ლიზასთან ერთათ იზრდებოდა პატარა ქალი თებრო.²⁵ ეს ქალი იყო მოლოი. როცა შამალა²⁶ დასწვა წინანდლი და კონდოლი და იქ ბევრნი ამოხოცა²⁷ [ქ] მათ შორის [იყო] [მ]ლვდელი [ქ] თებროს დედ-მამა [ქ] მაშინ ევსეისთან²⁸ ჩამოიყვანეს თებრო და ევზარხ[ოს]მა ზოგიერთ [ქ] ჰკითხა [ქ] ვის უნდა ობლის აყვანა [ო]. მაშინ დიმიტრიმ აიყვანა და [ქ] ერთათ თავის ქალთან მშენიერათ გაზარდა. თებროც სკერევიცაში გათხოვდა დიდ კაცზე ნარიშკინზე²⁹ [ქ] რომელიც დიდი მდიდარი იყო [ქ] და დიდი ეჭვიანი [ქ] ასე რომ [ქ] თავის [ქ] ცოლს რომ [ქ] წაიყვანდა თეატრში [ქ] უსათუთო სამ ლოჟას აიღებდა ხოლმე და თ[ქ]ითონ [ქ]

თავის სახლობით შუა ლოჯაში ჩაჯდებოდა. შვილები ბევრი ჰყვანდათ.³⁰ უნცროს ქალს ირინე ვარაცოვას³¹ ვიცნობდი. მშვენიერი ქალი იყო და მალე ორსულობაზე გარდაიცვალა. ამ ბოლოს დროსა[.] ესე იგი თო[რ]მეტ წელში იმპერიალისტიჩესკი ომიანობის წინათ ვიყავი სამძღვარ[+]გარეთ და იქ გავიცანი ნარიშკინის რძალი[.] აბალენსკის ქალი[.]³² რომელმაც მითხრა[.] რომ თავის დედამთილს თებროს ველიო და ძალიან გეხარდებოო თქვენი გაცნობა[.] რადგანაც თავის ნათესავეს ორბელიანთ გარდა ქობულანთ და ერისთვიანთ მეტიო არავინ არა ჰყავსო! მა[.]გ[.]რამ თებრო ვერა ვნახე[.] ჩემი ძმა შაქროს³³ მოუვიდა პროგრესივი პარალიზი და მე და ჩემმა დამ წამოვიყვანეთ სამშობლოში. ას[.] რომ[.] თებრო ველარა ვნახე. მერე გავიგე[.] რომ გარდაიცვალა. ღიზა ბარიატინსკისა დიდხანს არ იყო ბედნიერი. ძალიან ნალ[.]გ[.]ლობდა[.] რომ ცოცხალ ქმარს დაანება [თავი] და სხვას წაჰყვ[.] და ჭკუაზე შეიშალა. ახერხის³⁴ საავ[.]ს[.]თმყოფოში ჰყვანდათ. ცოტა ხნით მოიყვანეს თბილისში[.] გასტინიცაში მოათავსეს[.] იქ მე და მამა ორბელიანისამ³⁵ ვნახეთ[.] ის იყო ეკიპაჟით ისეირნა და დალაღული იყო[.] ჩვენ არ გვინდოდა დიდხანს ყოფნა და მალე გამოვესალმეთ. ბარიატინსკისა მალე ისევ ახერხში გაისტუმრეს[.] რადგანაც აქ უფრო ცუდათ გახდა[.] ყველაფერს იგონებდა და ძალიან სწუხდებოდა.³⁶ ბარიატინსკიმ დიდი სიმდიდრე დაუტევა თავის ნათესავეს[.] აგრეთვე ცოლის ნათესავეს და სთხოვა იმპერატორს[.] დაენიშნა აპეკა და თავისი მამულები და მშვენიერი ნივთეულობა გაყვეს ორათ. რაც ეკუთ[.]ვნოდა ბარიატინსკებს[.] იმათ მიიღეს და რაც არა და ქობულანთ და ორბელიანებს [ერგოთ]. ჩვენ რომ შვეიცარიაში მივედით[.]— 1901 წელს პარიზის ვისდავკაზე³⁷ ვიყავით[.] მერე ჟენევაში[.]— იქ ჩვენს[.] საყვარელი იყო მარმარილოზე კეტელზე წარწერილი [“] **Кн. Фельдмаршалъ Барятинский скончался в Женеве въ таком то году и его повезли въ Россию въ свою деревню[.] где у них свой фамильный склеп[.]**“]. რასაკვირველია[.] პანაშვიდი გადაქ[.]უხადეთ. ღიზამ თავისი ქმრის შემდეგ დიდხანს იცოც[.]ხლა და მერე ისიც ახერხში გარდაიცვალა და მოასვენეს თავისი ქმრის სოფელში და დაასაფლავეს იმ სკლელში.³⁸

1945, 20 მარტი

ვახტანგ ორბელიანი

ბიძა[+]პაპა ვახტანგს ყველაზე კარგათ ვიცნობდი იმიტომ[.] რომ სიყმანვილიდანვე ბიძა[+]ჩემი მახსოვს. როდესაც კოლას³⁹ [.] თავის შვილს[.] ისტუმრებდა ოდესამდე[.] პეტერ-ბურგში[.] უნივერსიტეტში[.] სუყოველთვის გორამდინ გამოაცილებდა ხოლმე თავის ქალით მამათი და ჩვენსა დარჩებოდნენ ხოლმე რამდონიმე დღე. მამის რკინის გზა ჯერ არ იყო. ვანო⁴⁰ [.] ჩემი უფროსი ძმა და კოლა ორბელიანი დიდი მეგობრები იყვნენ და დავით ერისთავი⁴¹ [.] ასე რომ[.] ხშირათ ერთათ გემგზავრებოდნენ ხოლმე. დავითი ადრე დაობლდა[.] მამაჩემი მისი აპეკუნი იყო და ჰპატრონობდა. ბიძა[+]ჩემი ვახტანგ[.] მე მახსოვს ექვსი წლიდამ[.] მამამ და ძიამ ბევრი კანფეტები მომიტანეს[.] აგრეთვე მშვენიერი კუკი[.] რომელიც იხახდა [“]პაპა[.] და [“]მამა[.] და თვალეხს ხუჭამდა[.] ძალიან დიდი იყო და მშვენიერი[.] კარგათ ჩაცმული[.] ეს იყო გრინიციდან მოტანილი. 1885 წელსა მე და მარიამ ვახტანგის ასული წავედით სამძღვარგარეთ ვენაში[.] ღიზა მუხრანსკისა⁴² [.] ივანე მუხრანსკის⁴³ რძალიც[.] ჩვენთან ერთათ მოდიოდა[.] ის ამსტერდამში აპირებდა [დარჩენას]. ბიძა[+]ჩემი ვახტანგ[.] და სამი-კო ორბელიანმა⁴⁴ ბათუმამდინ გაგვაცილეს. ბიძაჩემი იმისთანა ალტაცებში იყო დასავლეთი საქართველოს ბუნებით[.] როგორც თხუთმეტი წლის ბავშვი და მე სულ მეძახოდა[.] როცა პოეზი დადებებოდა. [“]ლიზა[.] გამოდი[.] რა მშვენიერია აქურობა[.] შეხედე ამ მთასა[.] აბა[.] ყვირილა დაინახე, აბა ეს[.] აბა

ის[“], ერთი სიტყვით[.] ჩემზე ალტაცებული ბიძია ვახტანგი იყო. ორი დღე დავრჩით ბათუმში და მერე გამოვესალმეთ სამი თვით და ჩავსხედით პარახოტში. ბიძია ვახტანგს უყვარდა ჩემი კითხვა და თავის ლექსებს ყველაზე წინ მე წამიკითხამდა ხოლმე. „იყ რალაც ბავშვი რალაცა და იყისა მგზავრი თითისა“⁴⁵ დაწერა ატენში. მართლათ[.] რომ ის მშვენიერი ბუნება ადამიანს მუზასაკენ ალაპრ[.]თოვანებს. ცხოვრებაში ბიძაჩემი არ იყო ბედნიერი[.] ცოლს⁴⁶ არ უყვარდა[.] ცოლი მშვენიერი ჰყვანდა[.] ილინსკის⁴⁷ ქალი. თ[.]ვითონ გაგიჟებით უყვარდა და[.] რა[+]საკვირველია[.] რომ უბედური იყო[.] ეჭვიანი და **жолочный**[.] როგორც იტყვიან რუსები. ბიძაჩემი რომ[.] ავთ გახდა ატენში[.] მამამ შემატყობინა[.] მე კარალეთში ვიყავი ბიძა[+]ჩემ რევაზთან.⁴⁸ მე რომ მივედი[.] მიცნო[.] თუმცა ბურანში იყო. უკანასკნელ დღეებში სულ რალაცას ჩუმათ ლექსებს ამბობდა[.] მერე გამოვარკვიეთ[.] რომ სულ მის იხახდა. [“] **А между тем[.] как все вокруг [в] безумной неге утопает[.] а я[.] говорит[.] умираю! пришлось взять у Зеземановых⁴⁹ маленькую вогнетку и вывезти умирающего в Тифлисъ[.] тамъ бедный дядя скончался[.]** მამამ ბევრი იმწუხარა[.] მა[.]გ[.]რამ რა გაეწყობოდა და დავმარხეთ სიონში თავისი ცოლის გვერდით. კოლამ მიიღო ბარიატინსკის ნასლეტ[.]სტკო და ორ წელიწადში შეჭამა ნადირობაზე. თავის სახლობას ბევრი არა მისცა რა[.] ცოტ[.]ცოტა[.] დაურიგა[.] თავის დას კი მარგალიტის აფერელი მისცა დიდი ძვირფასი. ქალებს [—] ათას[.]ათასი თუმანი. კოლა ბოლოს დივრებში მსახურებდა ბორჩალოში და კალონიაში გარდაიცვალა[.] იქაურები დიდ პატივსა სცემდნენ და დიდი ამბით დაასაფლავეს. კოლას ჰყვანდა ხუთი შვილი[.] სამი ქალი და ორი ვაჟი[.] უფროსი ქალი⁵⁰ ჰყვანდა კიტა აბაშიძესა⁵¹ [.] მეორე⁵² არ გათხოვდა და მესამე⁵³ ჰყვანდა პრაფესორსა ივანე ჯავახიშვილსა.⁵⁴ ვაჟი უფროსი⁵⁵ სიყმანვილით დიდი ნიჭიერი იყო[.] მა[.]გ[.]რამ თავისი უხასიათობით თავისი ნიჭი[.] აქა[.]-იქ დაუანტა და ცხოვრებას[.] როგორც ნიჭიერ ყმაწილს ეკუთ[.]ვნოდა[.] ვერ შეუთანხმდა და ამოთ გაატარა თავისი ცხოვრება. მეორე⁵⁶ არ იყო ნიჭიერი და მამისაგანაც დაჩაგრული იყო და უბედურათ წავიდა იმის ცხოვრება[.] არავინ იცის[.] საით გადიკარგა. მისი ცოლი წინა ნიკოლაიენა⁵⁷ ორი[.]-სამი წლით წინ გარდაიცვალა 90 წლის.

1945, 23 მარტი

1. ალექსანდრე — ალექსანდრე (პუპლია) ვახტანგის ძე ორბელიანი (1801-1869) მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, მემუარისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, თეკლე ბატონიშვილის უფროსი ვაჟი. იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, რისთვისაც გადაასახლეს ორენბურგში. დაკრძალულია სიონის ტაძარში. ალექსანდრე ორბელიანის პიროვნებას მოკლედ, მაგრამ ზედმიწევნით სრულად ახასიათებს აკაკი წერეთელი, რომელზეც მას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია: „პირველ ნახვითანავე შემეყვარდა. ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვანი. ძალიან უყვარდა საქართველო“. (აკაკი წერეთელი „ჩემი თავადასავალი“. რჩული ნაწარმოებები სუთკომად. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989წ. გვ.101)



ელისაბედ ერისთავი

2. დიმიტრი — დიმიტრი (პაჭონე) ვახტანგის ძე ორბელიანი (1806-1882), გვარდიის პოდპორუჩიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თუკლე ბატონიშვილის შუათანა ვაჟი, ალექსანდრე ბარიატინსკის სიმამრი. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადასახლებული იყო კალუგაში. კავკასიაში მოგზაურობისას დიმიტრი ორბელიანს თბილისში სტუმრობდა ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა. ჩანაწერები მისი ოჯახის შესახებ მას შეტანილი აქვს თავის ნიგვში „კავკასია“. (ალ. დიუმა. „კავკასია“ „მერანი“. თბილისი, 1970 გვ. 277.) დიმიტრი ორბელიანს ცოლად ჰყავდა მიმბაშ, პოდპოლკოვნიკ ლუარსაბ (ივანე) ზურაბის ძე ორბელიანის (1770-1830) სილამაზით განთქმული ქალი მარიამი (1812-1866), რომელსაც მარია ივანოვნას ეძახდნენ. დიმიტრი ორბელიანი დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში.

3. ვახტანგ — ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი (1812-1890) ქართველი რომანტიკოსი პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თუკლე ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადასახლებული იყო კალუგაში. დაკრძალულია სიონის ტაძარში. ვახტანგ ორბელიანს დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე. მის შესახებ იგი წერდა: „თვალწინ ჩვენს ტკბილს და გრძნობიერს მგოსანს მუდამ თვისი სამშობლო უდგა, იგი სამშობლო, რომელსაც ოდესღაც თავისი ჭერი ჰქონია, თავისი პატრონი ჰყოლია და სახელით და დიდებით ჰყვავებულა“; „უმთავრესი ძარღვი თ. ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებშია თითო ცალკე მარგალიტი ცრემლისა, ღრმად ნატყენ გულისაგან წარმოდინებული“. (იხ. ილია ჭავჭავაძის „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავე. ჯამბაკურიან-ორბელიანისა“. ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტომი V. „მეცნიერება“ 1991 წ. გვ. 562).

4. კატინო ბარათოვისა — ეკატერინე (კატინა) დავითის ასული (1808-1873) ბარათაშვილი, ალექსანდრე (პუშკინი) ვახტანგის ძე ორბელიანის (1801-1869) მეუღლე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

5. ალექსანდრე ორბელიანის მრავალ შვილთაგან სრულწლოვანებას მხოლოდ ორმა მიაღწია. ერთ უთარილო ჩანაწერში იგი აღნიშნავს: „შვილებთაგან ორი ქალის მეტი აღარა მყავს. ქ. ტფილისის პანსიონის კურსს შესრულებული უფროსი გასათხოვარი ქალი დარია ჩემთან არის და მეორე უმცროსი ქალი მარიამი ქ. ტფილისის ინსტიტუტში იზრდება; დეცა და ლამეც იქ არის“. (ციტირებულია ი.უთურაშვილის ნიგნიდან „თუკლა ბაგრატიონი“. თბილისი. „მეცნიერება“ 1991წ. გვ. 134).

6. იგულისხმება მარიამ ალექსანდრეს ასული ორბელიანი (1833-1855) (იხ. შენიშვნა 5). გარდაიცვალა 1855 წლის 3 ოქტომბერს თბილისში გავრცელებული ქოლერისაგან. ალექსანდრე ორბელიანმა მას უძღვნა ლექსი „უბედური მამიკო“.

7. დარია — დარია ალექსანდრეს ასული ორბელიანი (1828-1884), ალექსანდრე ორბელიანის ქალიშვილი, გათხოვილი იყო დავით ევგენის ძე ქობულაშვილზე (1813-1889). მშობლებს დარიასათვის დიდი მზითვენი გაუტანებიათ. შემორჩენილია მისი მზითვის ნიგნი. (იხ. ზ. ლომჯარია. მზითვის ნიგნი : [XIX საუკუნის 50-იან წლებში შედგენილი მართა იოვანეს ასულ აბაშიძის და დარია ალექსანდრეს ასულ ორბელიანის მზითვის ნიგნები, ცნობები მათი ოჯახის წევრების შესახებ. „ლიტერატურული ძიებანი“. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. — 2001. — ტ. XXII. — გვ.476-488).

8. დავით ქობულაშვილი — დავით ევგენის ძე ქობულაშვილი (1813-1889), თავადი, გენერალ-მაიორი, შვილიშვილი მეფე ერეკლე მეორის მდივნის დავითისა.

9. იგულისხმება მარიამ დავითის ასული ქობულაშვილი-შერვაშიძისა (1866-1941), ალექსანდრე ორბელიანის შვილიშვილი, დარია ორბელიანის და დავით ქობულაშვილის ქალიშვილი, კონსტანტინე შერვაშიძის (1858-1914) მეუღლე. მისი საგულისხმო მოგონება „ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებიდან“ დაბეჭდილია „ლიტერატურის მატრიანეში“ 1942წ. №3-4. გვ. 414-320. ჰყავდა ორი ვაჟი.

10. გრიგოლ შარვაშიძე — გრიგოლ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე (1818-1898), თავადი, აბუხის, ხოლო შემდეგ სოხუმის ოლქის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი. მონაწილეობდა ყირიმისა (1853-1856) და რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომებში, მრავალი ორდენის კავალერი, ცნობილია, როგორც მშობლიურ ენაზე სასკოლო განათლებისათვის თავგამოდებული მებრძოლი, პირველი აფხაზური ანბანის ერთ-ერთი შემდგენელი.

11. იგულისხმება კონსტანტინე გრიგოლის ძე შერვაშიძე (1858-1914). გრიგოლ შერვაშიძის ვაჟი, პოდპოლკოვნიკი, სოხუმის ქალაქის საათობროს წევრი, სოხუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური წევრი. დაამთავრა წმინდა ვლადიმირის სამხედრო გიმნაზია კიევიში, შემდეგ — ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი. მსახურობდა მისი უდიდებულესობის ერევნის მე-13 ლიბე-გრენადერთა პოლკში, შემდეგ ქართულ გრენადერთა მე-14 და ვოლოგოდსკის მე-18 ქვეით პოლკებში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში. პირველ მსოფლიო ომის დროს იბრძოდა გერმანიის ფრონტზე. დაიღუპა გამაგრებული პოზიციების დაცვისას პოლონეთის ქალაქ სუვალკსთან. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა პოლკოვნიკის ჩინი. კონსტანტინე შერვაშიძის დალუპვის შესახებ იხ. „ცხოვრება გენერალ ჩიქოვანისა“ (ჩანერგილი ექიმ დავით კვიციანიშვილის მიერ). „ლიტერატურის მატრიანე“ 1999-2005. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატრიანე“. თბილისი. 2005 წელი. გვ. 443-445.

12. ევგენი ქობულაშვილი — ევგენი (გენო) დავითის ძე ქობულაშვილი (1856-1915), სამხედრო პირი, ელიზბარ ერისთავის სიძე, ელისაბედ ერისთავის დის ნინოს ქმარი. დაიღუპა პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის 23 თებერვალს, რუსეთ-თურქეთის ფრონტზე, სადაც დაავადდა პარტიზანული ტიფით, ოლთისის ლაზარეთებში მუშაობისას. იქ ის სახელმწიფო საათობროს ომის დამხმარე კომიტეტის III სანიტარული რაზმის უფროსის მთავარი რწმუნებული ვარლამ გელოვანის თანამშენებელ მუშაობდა (იხ. ბ. კუპატაძე. „საქართველო და რუსეთის IV სახელმწიფო საათობრო“. „არტანუჯი“. თბილისი. 2005წ., გვ.135).

13. ნინა — ნინო ელიზბარის ასული ერისთავი ქობულაშვილისა (1860-?), ელიზბარ ერისთავის ქალიშვილი. გათხოვილი იყო თუკლე ბატონიშვილის (1778-1846) შვილიშვილის შვილზე ევგენი (გენო) დავითის ძე ქობულაშვილზე (1856-1915), ალექსანდრე ორბელიანის (1801-1869) ქალიშვილის დარია (1828-1884) შვილზე. ნინო ქობულაშვილისა იყო ცნობილი მოღვაწის მარიამ დემურისა (1860-1910) ახლო მეგობარი და მასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბავშვო „ჟურნალის“ დაარსებაში. ქალიშვილთან, დარიასთან ერთად დაკრძალული იყო თბილისში, ვაკის სასაფლაოზე. შთამომავალთა განცხადებით, მათი საფლავი აღარ ჩანს.


14. ბარიატინსკი — ალექსანდრე ივანეს ძე (1815-1862), ფელდმარშალი, 1856 წლიდან მეფისნაცვალ კავკასიაში და კავკასიის ჯარების მთავარსარდალი, მონაწილეობდა მრავალ შეტაკებაში მთიელებთან, უმთავრესად ჩეჩნეთში. 1859 წელს ლუნიში დაატყვევა შამილი.

15. დიდი ვახტანგი — იგულისხმება ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანი (1769-1812), საგარეჯოს მოურავი, პოლკოვნიკი, თუკლე ბატონიშვილის ქმარი. დაიღუპა აჯანყებულ კახელებთან ბრძოლაში.

16. ვახტანგ ორბელიანს ჰყავდა ორი და — ეკატერინე (1771-1817) დიმიტრის ასული, თავად გიორგი ჩოლოყაშვილის მეუღლე და გულქან (გუქა) დიმიტრის ასული, აზნაურ გორჯასპი ნათალიშვილის მეუღლე. ორივე მათგანი კახეთის 1812 წლის აჯანყების მონაწილეა, რისთვისაც გადაასახლეს რუსეთში, კურსკის გუბერნიის ბელგოროდის დედათა მონასტერში. ეკატერინე იქ გარდაიცვალა, გუქა კი დაბრუნდა საქართველოში 1820 წელს. (ა. გელაშვილი. „კახეთის 1812 წლის აჯანყება“. „არტანუჯი“. თბილისი, 2003 წ. გვ. 314-315).

17. ვფიქრობთ, ადგილი აქვს ფაქტების აღრევას. თუ „დიდი ვახტანგი“ თუკლე ბატონიშვილის მეუღლე იგულისხმება, მაშინ მისი რუსეთში გარდაცვლილი და უნდა იყოს ეკატერინე ორბელიანი, რომელიც კატინა ბარათაშვილისთვის გამოიწიეს არა მულოდ, არამედ ქმრის — ალექსანდრე ორბელიანის მამიდა. ჩანს, მემუარისტი ერთმანეთში ურევს თუკლე ბატონიშვილის გადასახლებას რუსეთში 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის და მისი შულების გადასახლებას რუსეთში კახეთის 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

18. იგულისხმება ელისაბედ (ლიზა) დიმიტრის ასული ორბელიანი (1833-1899), დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის ქალიშვილი. გათხოვილი იყო ჯერ ვლადიმერ დავიდოვ-გრამონზე, შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკიზე. მიიღო კარგი განათლება. იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური ენები. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის გადმოცემით „ლიზა ბარიატინსკისა ეშხიანი იყო, მეტად ლამაზი თვალები ჰქონდა, ჭკუიანობის გამო მხატვარი, ცოცხალი, ერთი



ძმები ჯამბაკურ-ორბელიანები: ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი

ბენო სიტლანქე არ ეტყობოდა” (მ. ჯამბაკურ-ორბელიანი. „მოგონებანი.“ XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. თბილისი. 2009 წელი. გვ. 92). ალექსანდრე ორბელიანი კი თავის ძმისწულს ასე ახასიათებდა „არა მათგანი ლამაზი, ის ღიზა ასეთი ღვთიური ქალია, რაც ბარატინსკიმ ჰქმნა იმის შემთხვევაში, ის ბარატინსკი გასაკვირბი აღარ არის. იმისთანა დიდმა კაცმა, როგორც ბარატინსკიმ, მგონია ღიზას სამ რასამ ვერ გაუძლო: იმის სრულს კეთილგონიერებასა, იმის ღვთიურს კეთილსგულს და ამეებისგამო იმის ძლიერს სიყვარულსა“ (ალ. ორბელიანი. „მოგონებები“. „რუსების დასი ქართულები ჩემზედ“. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. თბილისი. 2009 წელი. გვ. 58).

19. გრამონ დავიდოვი — ვლადიმერ ალექსანდრეს ძე დავიდოვი-გრამონი (მამით რუსი, დედით ფრანგი), პოლკოვნიკი, კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის ადიუტანტი და ახლო ნათესავი. ცოლად ჰყავდა ელისაბედ (ლიზა) დიმიტრის ასული ორბელიანი (1833-1899), რომელიც შემდეგ ცოლად შვირთო ბარიატინსკიმ. ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით „იმ ბარატინსკიმ ჩემი ძმისწული ღიზა რამეთენის წუალებით თავის ქმარს, რუსეთის კარგს კეთილშობილს დავიდოვს გააშვებინა და ბოლოს თვითონ იქორწინა იმაზედ“ (ალ. ორბელიანი. „მოგონებები“. „რუსების დასი ქართულები ჩემზედ“. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. თბილისი. 2009 წელი. გვ. 58).

20. რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი სერგი იულის ვიტე (1849-1915) თავის „მოგონებებში“ ასე იხსენებს ბარიატინსკის სასიყვარულო ისტორიას ღიზა ორბელიანთან: „ბარიატინსკის ადიუტანტებს შორის იყო პოლკოვნიკი დავიდოვი; მას ცოლად ჰყავდა თავად ორბელიანის ქალიშვილი. თავადის ასული ტანმორჩილი ქალი იყო, განსაკუთრებული აღნაგობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მეტად გამოსატყუარი კავკასიური სახე ჰქონდა“. „და აი, ბარიატინსკი თავისი ადიუტანტის დავიდოვის ცოლს გაუმეორებდა; ვინაიდან თავად ბარიატინსკის საერთოდ ძალიან უყვარდა ქალბატონს არმეიკობა, ვერავინ იფიქრა, რომ ამ ამბავს რაიმე სერიოზული მოჰყვებოდა. დამთავრდა კი ეს ტრფიალები იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბარიატინსკი კავკასიიდან წავიდა და, შეიძლება ითქვას, თავისი ადიუტანტის ცოლი გაიტაცა. ის ვითომდა სამკურნალოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ, მაგრამ იქიდან აღარ დაბრუნებულა. საზღვარგარეთ მას დუელი ჰქონდა თავის ადიუტანტ დავიდოვთან“. „დუელი სამარცხვინოდ დამთავრდა არა ბარიატინსკის, არამედ დავიდოვისთვის. ამ დუელის შემდეგ ბარიატინსკის, რასაკვირველია, აღარ შეეძლო კავკასიაში დაბრუნება, მალე ის ვერც რუსეთში დაბრუნდებოდა. იმპერატორ ალექსანდრე II-სთან ურთიერთობაც გაუფუჭდა, თუმცა იმპერატორმა სკერნევიცემ ცხოვრება მაინც შესთავაზა, სადაც ის ხანდახან ცხოვრობდა თავის ცოლთან, ყოფილ დავიდოვსთან — ქალიშვილობაში ორბელიანთან“ (Витте С. Ю. Воспоминания. http://az.lib.ru/w/witte_s_j/text_0010.shtml).

21. გოთუა — გიორგი კონსტანტინეს ძე გვათუა, ალექსანდრე ბარიატინსკისთან დაახლოებული სამხედრო პირი, შტაბს კაპიტანი.

22. სკერნევიცა — სკერნევიცი — ქალაქი პოლონეთში, ლოდის საგოვოდოშო, მდინარე სკერნევიცაზე. დაარსებულია საუკუნეში. ქალაქის სტატუსი აქვს 1457 წლიდან.

23. ალექსანდრე მეორე — ალექსანდრე II (1818-1881), რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში, ნიკოლოზ I-ის შვილი.

24. რუსეთის სახელმწიფო მოღვაწის, გრაფი სერგი იულის ვიტეს (1849-1915) გადმოცემით „ახალგაზრდა ბარიატინსკი პეტერბურგში ლეიბ-ჰუსართა პოლკში მსახურობდა; ის იყო ალექსანდრე II-ის მეგობარი; განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა და პეტერბურგის უმაღლეს არისტოკრატიულ სალონებში პირველ დონ უყვანდა ითვლებოდა. როგორც მოარული ხმები არცთუ უსაფუძვლოდ ამბობდნენ, ბარიატინსკის დიდად სწყალობდა იმპერატორ ნიკოლოზის ერთ-ერთი ქალიშვილი, როგორც მახსოვს, ოღვა ნიკოლოზის ასული. როცა მათ საკმაოდ ღრმად შეტოპეს და ამაში იმპერატორი თვალნათლივ დარწმუნდა, მან ბარიატინსკი კავკასიაში გადაასახლა. იქ მან კარიერა გაიკეთა“ (Витте С. Ю. Воспоминания. http://az.lib.ru/w/witte_s_j/text_0010.shtml).

25. თებრო — თებრონე (თებრო) პავლეს ასული არჯევანიძე (1854(55)-1930). ობოლი ქართველი გოგონა, მღვდლის შვილი, რომელზეც ფეხმძიმე დედა და რომლის ბებია გაიტაცეს შამილის რაზმებმა კახეთიდან. დაიბადა დაღესტანში. იქ, ტყვეობაში გარდაცვლილი ბუბამისის ცხედრის გამოსასყიდი თანხის შეგროვების მიზნით დედამისი სამშობლოში ჩამოვიდა, შვილი კი ლეკებთან მძევლად დატოვა. ძლივსძლივობით შეგროვებული ფული მან ფეხით ჩაიტანა დაღესტანში, მაგრამ თვითონ დაუძღვრებული გარდაიცვალა. ლეკებმა ბავშვი და მიცვალებული ეკლესიას გადასცეს. ის დიმიტრი ორბელიანის ოჯახმა ტყვეობიდან გამოისყიდა, იშვილა, საკუთარ ქალიშვილთან ერთად გაზარდა და გვარი და თავადის ტიტული მისცა. იხ. ფოფხაძე მერი. ობოლი ქართველი გოგონას ტრაგიკული და ბრწყინვალეობით აღსავსე ცხოვრება. საისტორიო ვერტიკალები. — თბილისი, 2006. 1(10). — გვ. 92-96.

26. შამილი — შამილი (1797-1871) კავკასიელი მთიელების საერო და სასულიერო წინამძღოლი, იმამი, თეოკრატიული სახელმწიფოს — იმამატის (დაღესტანი, ჩეჩნეთი) მეთაური. ენერგიულად იბრძოდა რუსეთის მიერ კავკასიის დამორჩილების წინააღმდეგ, დაატყვევა ბარიატინსკიმ ლუნიბში 1859წ., გადაასახლეს კალუგაში, ბოლოს ნება მისცეს მექაში მომლოცველად წასულიყო, სადაც გარდაიცვალა კიდევ.

27. ივლისსმება შამილის რაზმების თავდასხმა კახეთზე 1854 წლის 4 ივლისს, რომლის დროსაც მათ დაარბიეს და გადანვეს კახეთის სოფლები, ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ 1818 წელს აშენებული წინანდლის სასახლე და მამული, რომელიც 1846 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცა მის ვაჟს დავითს, მძევლად წაიყვანეს დავით ჭავჭავაძის მეუღლე

ბავშვებითა და ძიძით, მისი და, ილია ორბელიანის (1815-1853) ქვრივი ბარბარე (1831-1884) შვილით გიორგი (1853-1924) და მუღლიშვილით, პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დით ნინო ბარათაშვილით (1828-1906), აგრეთვე ფრანგი აღმზრდელი ანა დრანსე, რომელმაც აღწერა შამილის ტყვეობის ისტორია (იხ. ანა დრანსე. „შამილის ტყვე ქალები“. თარგმნა, შენიშვნები და ფოტომასალა დაურთო მურმან თავდიშვილმა. „არტანუჯი“. თბილისი. 2010წ, აგრეთვე (E. Вердеревский. Кавказские пленницы, или Плен у Шамиля.С.-Пб,1856).

28. ევსეი — ევსევი ილინსკი (1808-1879) — მთავარეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წლებში.

29. ნარიშკინი — ვასილი ლევის ძე ნარიშკინი (1841-1909), ცნობილი რუსი არისტოკრატი და მილიონერი. დიმიტრი ორბელიანის ოჯახში გაიცნო და ცოლად შეირთო თებრო არჯევანიძე. მსახურობდა ჩინოვნიკად სავაჭრო საქმეთა სამინისტროში, სასახლეში ირიცხებოდა კამერ-იუნკერად. ფლობდა მრავალრიცხოვან მამულებს მოსკოვის, პენზის, სამარის, სარატოვის, იაროსლავლის გუბერნიებში. პადის გუბერნიაში ეწეოდა სანიმუშო სასოფლო მეურნეობას. იქ ჰქონდა ნისქილი, კარაქის, ღვინის და აგურის ქარხნები, ბაღი და ორანჟერა იშვიათი მცენარეებით. იქვე გახსნა სახალხო სახლი, სადაც მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა და თეატრი, რომელშიც თვითმოქმედი კოლექტივების სპექტაკლები იდგებოდა. ნარიშკინებმა ააგეს აგრეთვე რამდენიმე საავადმყოფო, რომლებიც დღემდე მოქმედია, დააარსეს მეტეოროლოგიური სადგური და ორი სკოლა — სამრევლო და საერო.

30. ვასილი ნარიშკინს და თებრო არჯევანიძეს ჰყავდათ ვაჟები: ლევ ვასილის ძე (1875-?) — ცოლად ჰყავდა ალექსანდრა კონსტანტინეს ასული ფონ ზარნიკაუ (იურევსკაია) (1883-1957), ოლდენბურგელი პრინცის კონსტანტინესა და აგრაფინა ჯაფარიძის (1855-1926) ქალიშვილი, კირილე ვასილის ძე (1877-?) — ცოლად ჰყავდა ვერა სერგის ასული ვიტე, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწის, გრაფ სერგი ვიტეს (1849-1915) ქალიშვილი და ვასილი ვასილის ძე (1885-1964), ცნობები სხვა შვილების შესახებ ჩვენთვის არ არის ცნობილი.

31. ირინა ვარაცოვა — ირინა ვასილის ასული ვორონცოვა-დაშკოვა-დოლგოროუკოვა (1880-1917), ვასილი ნარიშკინისა და თებრო არჯევანიძის (ორბელიანის) ქალიშვილი. ცნობილი იყო სილამაზით. პირველად გათხოვილი იყო გრაფ ილარიონ ილარიონის ძე ვორონცოვ-დაშკოვზე (1877-1932), კავკასიის მთავარ-მართებლის ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვის ვაჟზე, ხოლო მეორედ — თავად სერგეი ალექსანდრეს ძე დოლგოროუკოვზე (1872-1933), იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასულის (1847-1928) ამალის გენერალ-მაიორზე.

32. სავარაუდოდ, უნდა იყოს თებრო არჯევანიძის ჩვენთვის უცნობი ვაჟის მეუღლე.

33. შაქრო — შაქარია (შაქრო) ელიზბარის ძე ერისთავი (1862-1912 წლის შემდეგ) — ელიზბარ ერისთავის ვაჟი და ელისაბედ ერისთავის უმცროსი ძმა, გუბერნიის მდივანი, სოციალ-ფედერალისტი, ცნობილია ხედსახელით „მარშალი“, ილია ჭავჭავაძის დამკრძალავი კომისიის წევრი. (ალ. ჯაბადარის „მოგონებები“, „მნათობი“, 1934, №3. გვ.151). დაქორწინებული არ ყოფილა. გარდაიცვალა ბაქოში. დაკრძალულია სოფელ კარაღეთში.

34. ახერნი — ქალაქი გერმანიაში, დრეზდენის მახლობლად, ბადენ-ვიურტემბერგის მიწაზე, რაიონული ცენტრი.

35. მამა ორბელიანისა — მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი (1852-1941) — პოეტ ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდგელი და დამფუძნებელი წევრი, ვაჟთა ქართული სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის ხელმძღვანელი, სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტის წევრი, ივ. ჯავახიშვილის თანამდგომი პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში, მრავალი კულტურული ღონისძიების ინიციატორი და ორგანიზატორი. გათხოვილი იყო გენერალ ალექსანდრე (სამიკო) ივანეს ძე ორბელიანზე (1847-1919). დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე. მარიამ ორბელიანმა დატოვა საინტერესო მემუარები. (იხ. მ. ჯამბაკურ-ორბელიანი. „მოგონებანი.“ ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატინა“. საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა. თბილისი. 1949 წელი. წიგნი 5. ნაკვეთი 1.) მ. ორბელიანზე იხილეთ აგრეთვე მ. ცერცვაძე. „დამდეგ მეცხრამეტე საუკუნეში არავინ არ იყო მაგაზე აღზრდილი, მშვენიერი და დიდი საქმიანი ადამიანი“ - ელისაბედ ერისთავის

მოგონება მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანზე“. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ყურნალი №7-8 (2012). გვ.42-67.

36. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანის გადმოცემით მისი ბიძაშვილი ლიზა ორბელიანი „საშინლად ნაღვლობდა ყველა იმ წარსულისათვის, რომლის უკან დაბრუნება ყოველად შეუძლებელი იყო; ქმართან თავს ბედნიერად ვერა გრძნობდა, იმ ქმართან, რომელიც ქალების მუსუსად ითვლებოდა და თითქოს თავს ევლება თავის ცოლსო და მანაც მოხუცებულობის დროსაც კი თავისას არ იშლიდა, ლამაზ ქალებს არ ეშვებოდა. ვგრძნობდი, რომ ლიზა უბედურელი იყო, სრულებით ვულგარულად უცქეროდა იმ ფუფუნებას, რომელიც მას გარს ეხვია და მეც უმეტესად შემეყვარდა“. (მ. ჯამბაკურ-ორბელიანი. „მოგონებანი.“ XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. თბილისი. 2009 წელი. გვ. 92).

37. ივლისხმება მსოფლიო გამოყენება, რომელიც ჩატარდა პარიზში 1900 წელს გასული საუკუნის უმნიშვნელოვანესი მიღწევების აღსანიშნავად და მომავალი საუკუნის განვითარების დასაჩქარებლად. მსოფლიოს უნივერსალური ექსპოზიცია გრძელდებოდა 14 აპრილიდან 10 ნოემბრამდე. მოინახულა 50 მილიონზე მეტმა ადამიანმა.

38. ელისაბედ (ლიზა) დიმიტრის ასული ორბელიანი დაკრძალეს მეუღლესთან ერთად კურსკის გუბერნიის სოფელ ივანოვსკოეში, ბარიატინსკების საეკლესიო აკლდამაში.

39. კოლა — ნიკოლოზ (კოლა) ვახტანგის ძე ორბელიანი (1845-1925) — პოეტ ვახტანგ ორბელიანის ვაჟი, ცნობილი იურისტი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საიდანაც გარიცხეს არეულობაში მონაწილეობის გამო. შემდეგ ბრწყინვალედ დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა ექილად. სახელი გაითქვა ცნობილი „ანდრეევსკის პროცესის“, სადაც ახალგაზრდა ლიტერატორ დ. ჩქოტუას დამცველად გამოდიოდა. იაკობ მანსვეტაშვილის დახასიათებით იყო „კაცი განათლებული, პროკურორად ნამყოფი, კარგი მოლაპარაკე, არც უნიჭო, მაგრამ ფუჭი ცხოვრების ამყოლი, უთავბოლო, რომელმაც მამისაგან დარჩენილი დიდი შეძლება იმ დროს გამოჩინდა მოჭირვარე კულა გლდანის და ნადირობას გადააგო“. (ი. მანსვეტაშვილი. „მოგონებანი, ნახული და გაგონილი“. ქართული მწერლობა. ტ. 29. „ნაკადული“. გვ. 182). ცნობილი „ბანკობიანაში“ ნიკოლოზ ორბელიანმა სახელი გაითქვა, როგორც ივანე მაჩაბლის პარტიის ერთ-ერთმა მესუქურმა. ნიკო ბური (ბაგრატიონ-მუხრანელი) თავის ემეყარებში „ბურებთან“ ბევრ საგულისხმო ცნობას გვანდის კოლა ორბელიანზე. სწორედ მას შეუგულიანებია მეგობარი აფრიკაში ლომებზე სანადიროდ წასასვლელად: „ჩემს ბედად, ჯერ კიდევ მოსკოვში შევხვდი ჩემს მეგობარს ნადირობის დიდ მოყვარულს, თავად ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანს. მე ვთხოვე ნამოსვლით ჩემთან ერთად ნიუნოვოვოროდამდე, რაზედაც სიამოვნებით დამეთანხმა. ის კარგ გუნებაზე იყო, რადგან კნეინა ელისაბედ დიმიტრი ორბელიანის ასულის, ბარიატინსკის მეუღლის, ქონების ნახევარი მიიღო მემკვიდრეობით, მეორე ნახევარი დარჩა ვევენი დავითის ძე ქობულაშვილს. ჩვენი ვოლგაზე მოგზაურობის დროს მან წინადადება მომცა, ბუნებისა და ნადირობის მოყვარულთა მთელ ჯგუფთან ერთად, წავსულიყავით ლომებზე სანადიროდ ცხელ ქვეყნებში“. (ნიკო ბაგრატიონი. „ბურებთან“. მოგონება. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 1951. გვ. 50-59). ნიკოლოზ ორბელიანს ცოლად ჰყავდა ნინა (ნუნია) ნიკოლოზის ასული თუმანიშვილი (1850-1939), რომელიც მიატოვა. მის ოჯახს ინახავდა და მფარველობდა ჯერ მამამისი, ხოლო შემდეგ — და მარიამი. ნიკოლოზ ორბელიანი სიცოცხლის ბოლო წლებში მსახურობდა ქვემო ქართლში, ბოლნისში, დაკრძალულია იქვე. მისი საფლავი 1930 წელს მოუწახლეობა მის დას მარიამს და შვილიშვილს, კიტა აბაშიძის ვაჟს ვახტანგს (1901-1970), რის შესახებაც მარიამი სწერს თამარ კიტას ასულ აბაშიძეს (1903-1979) კერძო წერილში: „ეს-ესაა ვატო და მე დაეზრუნდით ჩვენი გრძელი მოგზაურობიდან... ნელსაც ურიგდებოდი კიდევ იმ ფიქრს, რომ ვერ მომიხდებოდა ლუქსემბურგს წასვლა (1921 წლიდან 1943 წლამდე ბოლნისს ლუქსემბურგში ეწოდებოდა — მ. ც.). ისე თქვენ განიხილეთ, როგორც მე მოვისვენე, რომ ჩემი ხუთი წლის ოცნება ამისრულდა! — ვილოცე ჩემი ძმის საფლავზე, ჩავაბარე კარგ ადამიანებს, რომელნიც როგორც ყველა აქაური გერმანელი (ივლისხმება ქვემო ქართლის მზარეობი, ისტორიული ბოლნისის ტერიტორიაზე რუსეთის იმპერიის მთავრობის მიერ 1816-1818 წლებში ჩასახლებული ვიურტემბერგის მხარის გერმანელები, იგივე „შვაბები“ — მ.ც.). დიდის პატივით და სიყვარულით იხსენიებენ“. (ს. ცუცუნაშვილი-ფაველნიშვილი. „მა-

რიად ჯამბაკურ-ორბელიანის ოჯახური წრე". კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საარქივო მასალის მიხედვით, „მნივნობარი“, 2000წ. გვ.87

40. ვანო — ივანე ელიზბარის ძე ერისთავი (1847-1918), კოლეგიის მდივანი, მომრიგებელი შუამავალი, „პოსრედნიკად“ წოდებული, გააგრძელა მშობლების მიერ გორში დამკვიდრებული კულტურული ტრადიციები, იყო ლიტერატურული და თეატრალური ინტერესების მქონე პირი, „სამშობლოს“ ავტორის დავით ერისთავის მეგობარი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდვილი წევრი. მისი დების ნინოს და ელისაბედის მოგონებებით ვიკებთ, რომ დამთავრებული ჰქონდა კერძო პანსიონი ოდესაში. მამამ ის „წაიყვანა ოდესაში და მისცა იქ საუკეთესო კერძო პანსიონში, რომელიც იყო დაარსებული ერთი შვეიცარულ ცოლ-ქმრისაგან, იქ როგორც სწავლას, ისე ზნეობრივ აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ვარდა გიმნაზიის პროგრამისა სსწავლად-ნენ ევროპულ ენებს, მუსიკას, სიმღერას“. (ნინო ქობულაშვილის მოგონება მამაზე. გ. გოზალიშვილი. „1832 წლის შეთქმულება“. წინასიტყვიანობა, მასალები, კომენტარები. ტ. 2 „მერანი“, თბილისი, 1970წ., გვ. 40-43.) ივანე ერისთავი დაქორწინებული იყო ოლა ივანეს ასული ზუსლავეაზე. შთამომავლობა არ დარჩენია. დაკრძალულია თბილისში, წმ. ნინოს, ე.წ. „კუკის“ სასაფლაოზე.

41. დავით ერისთავი — დავით გიორგის ძე ერისთავი (1847-1890) — დრამატურგი, პოეტი, მთარგმნელი პუბლიცისტი, გაზეთების „ტიფლისსკი ვესტნიკის“ და „კავკაზის“ რედაქტორი. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მწერალი გიორგი ერისთავის შვილი. სახელი გაითქვა დრამით „სამშობლო“, რომელიც ფრანგი დრამატურგის სარდუს პიესის „ფლანდრიის“ გადმოქართულებით შექმნა და რომელიც დიდხანს წარმატებით იდგებოდა ქართული თეატრის სცენაზე. ცოლად ჰყავდა ცნობილი ქართველი ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის და მარიამ ზაქარიას ასული სარაჯიშვილი (1853-1926).

42. ლიზა მუხრანსკისა — ელისაბედ ნიკოლოზის ასული ფალავანდიშვილი-მუხრანსკისა (1840-1916) — თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზ ფალავანდიშვილის (1832 წლის შეთქმულების გამცემის იასე ფალავანდიშვილის (1803-1857) ძმის) (1790-1855) და მარიამ ლუარსაბის ასულ ორბელიანის (1817-1851) ქალიშვილი, ივანე მუხრანსკის რძალი (1812-1895), მისი ვაჟიშვილის კონსტანტინეს (1838-1903) მეუღლე. წარდგენილი იყო სტატუს დამის წოდებაზე. ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყოლია.

43. ივანე მუხრანსკი — ივანე მუხრანსკის ძე (მუხრანსკი) (1812-1895) — ქართველი თავადი, გენერალ-ლეიტენანტი, მსხვილი მინათმფლობელი და მეურნე. მამამისი კონსტანტინე (1779-1842) მეფე ერეკლე II-ის ქალიშვილის ქეთევან ბატონიშვილის (1764-1840) შვილია. მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ ბრძოლებში კავკასიელი მთიელების და თურქეთის წინააღმდეგ. არჩეული იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი და მისი თავმჯდომარე 1882-1885 წწ. იგი ერთ-ერთი გამოყვანილი პირია ილია ჭავჭავაძის ცნობილ „გამოცანებში“. დასაფლავებულია სვეტიცხოველში.

44. საშიკო ორბელიანი — ალექსანდრე (საშიკო) ივანეს ძე ორბელიანი (1847-1919) — ლამისყანელი თავადი, გენერალ-მაიორი, თბილისის მაზრის თავადაზნაურობა წინამძღოლი, მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის მეუღლე.

45. უნდა იყოს „იყო სადღაცა ბავშვი რაღაცა და იყო ტოლი მხოლოდ თითისა“ — დასაწყისი ვახტანგ ორბელიანის ლექსისა „თითის ტოლა ბავშვი“ — ზღაპარი ყუკოვსკით — ქართული ენის პატარა მოსწავლეთ. პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ნობათში“ 1885წ. № II. მარტი. (შეტანილია კრებულში: ლექსები ვახტანგ ორბელიანისა; სრული გამოცემა მისი ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით; — ტფილისი, 1894 (წიგნის გამოცემელ ქართველთა აზრ. სტ.).

46. იგულისხმება ვახტანგ ორბელიანის სილამაზით განთქმული მეუღლე ეკატერინე ვასილის ასული ილინსკაია (1827-1883), დედით ქართველი.

47. ილინსკი — ვასილ ივანეს ძე ილინსკი (1789-1845), რუსი სახელმწიფო მოხელე, სასამართლოსა და განჩინების ექსპედიციის უფროსი 1823-1844 წლებში, ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი მარიამ ივანეს ასული ელიოზიშვილი, რომლისთვისაც ის მეორე ქმარი იყო. მარიამ ელიოზიშვილმა 1846 წელს ააგო ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. ჰყავდათ ორი ქალიშვილი — ეკატერინე და ნინო.

48. რევაზ — რევაზ შალვას ძე ერისთავი (1828-1899) — ელიზაბედ ერისთავის ბიძა დედის — ქეთევანის მხრიდან, შალვა ერისთავისა (1798-1849) და ეკატერინე ორბელიანის (1802-1877) ვაჟი. ცნობილია, როგორც პოეტი და კოზლოვის „შეშლილი“ ქართველ ენაზე მთარგმნელი. მისმა დისკუსიამ ილია ჭავჭავაძისთან სათავე დაუდო „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლას. ცოლად ჰყავდა ნინო ესტატეს ასული ერისთავი (1836-?). რევაზ ერისთავზე იხილე მ. ცერცვაძე. „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავზე“. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი №1-2 (2013). გვ. 43-75.

49. Веземановых — ზეზემანი, მენარმე, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მენარმისა და ქველმოქმედის გიორგი ქართველიშვილის (1827-1901) კომპანიონი. მათი ფორმა ორთქლის ძრავებზე მომუშავე ხის გადამამუშავებელ სამი მსხვილ ქარხანას ფლობდა შიდა ქართლში (გორის მაზრაში), სოფელ ატენსა და ხანდისში. დამუშავებული ხე-ტყის ტრანსპორტირებისათვის, რომლის დიდი ნაწილი სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მშენებლობას ხმარდებოდა, ქართველიშვილმა რკინიგზა ააგო ატენსაში და გორამდე.

50. იგულისხმება თეკლე ნიკოლოზის ასული ორბელიანი (1876-1961).

51. კიტა აბაშიძე — კიტა (ივანე) გიორგის ძე აბაშიძე (1870-1917), ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1901) და ლიდერთაგანი. ცოლად ჰყავდა თეკლე ნიკოლოზის ასული ორბელიანი (1876-1961).

52. იგულისხმება თამარ (აბა) ნიკოლოზის ასული ორბელიანი (1881-1930). თამარ ორბელიანის შესახებ იხილე ივანე ზურაბიშვილი. „თამარ ორბელიანის ასული“ წიგნში „კარგ ქართველთა ხსოვნისათვის“. თბილისი. „ლიტერა“. 2009წ.

53. იგულისხმება ანასტასია ნიკოლოზის ასული ორბელიანი (1884-1970), პირველი მევიოლინე ქალი საქართველოში, რომელსაც მიღებული ჰქონდა პროფესიული მუსიკალური განათლება.

54. ივანე ჯავახიშვილი — ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი (1876-1940), ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ცოლად ჰყავდა ანასტასია ნიკოლოზის ასული ორბელიანი (1884-1970).

55. ნიკოლოზ ორბელიანის უფროსი ვაჟი იყო ალექსანდრე (საშა) ნიკოლოზის ძე ორბელიანი (1872-1954). სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, იყო ფრიად ნიჭიერი და გამორჩეული სტუდენტი. ივანე ჯავახიშვილის გადმოცემით უნივერსიტეტის კათედრები ერთმანეთს ეცილებოდნენ მისი საპროფესორო დატოვებისათვის (მისი დის — თეკლე ორბელიანის და კიტა აბაშიძის შვილიშვილის, ცნობილი ქართველი მეცნიერის, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსის, ბატონი გიორგი აბაშიძის ცნობა). გატაცებული იყო კინოლოგიით და ნადირობით. ალექსანდრე სამჯერ დაქორწინდა. მისი პირველი მეუღლე იყო მარია შატალოვა-რომანოვა (1887-1934), მეორე ფრანგი — ვირჟინი რემი, მესამე — თამარ კრუგლოპოლოვა(ი. ჩიქოვანი. „საქართველოს წარჩინებული გვარები — თავად ორბელიანთა საგვარეულო“. 2009წ. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000309/orbeliani.pdf>).

56. ნიკოლოზ ორბელიანის უმცროსი ვაჟი დიმიტრი ნიკოლოზის ძე (1874-1940) იყო როსტოვის დრამატული თეატრის რეჟისორი. მისი პირველი მეუღლეა ბარბარე მიხეილის ასული ნერინგი (1882-?), მეორე — მსახიობი ელენე კონსტანტინეს ასული ლაპინა (ი. ჩიქოვანი. „საქართველოს წარჩინებული გვარები — თავად ორბელიანთა საგვარეულო“. 2009წ. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000309/orbeliani.pdf>).

57. ნინა ნიკოლაიევა — ნინა (ნუნია) ნიკოლოზის ასული თუმანიშვილი (1850-1839), ნიკოლოზ (კოლა) ვახტანგის ძე ორბელიანის (1845-1925) მეუღლე. დაკრძალეს კუკის სასაფლაოზე.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო მანია ცერცვაძემ

ქარი, ღამე და... ტერენტი გრანელის უპიდეული

ყველას თავისი საზომი რომ აქვს უკეთეს პოეტთა გამოსარჩევად, ტერენტი გრანელს ეს კრიტერიუმი მოემარჯვებინა — პოეტური სიტყვა ქარისა და ღამეების გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

ქარის — რომელიც ინვევდა ქვეყნის სხვანაირ შეცნაურებას, მთვარიან ღამეში ქმნიდა დაუსრულებელ ფანტასმაგორიას, უიგივებოდა მთვარეს და გარდაისახებოდა იმ შორეულ მისტიკად, რომელსაც უნდა გაენათებინა პოეტის მწუხარე სული. თითქოს მთვარე უნდა მოეტაცა, როგორც თეთრი დედოფალი, და გადაელენა ზღვაში, თითქოს სამყაროს დაუნდობელი ჯალათიც გახლდათ და იმავდროულად... საყვარელიც, როგორც უხილავი ძლიერების მატარებელი ძალა.

ღამის — ანთებასაც რომ ნიშნავდა და ანათემასაც, თავისი შინაგანი ნვა და კოცონი რომ ჰქონდა, და მძიმე იყო მისი გუგუნი, როგორც შავი ზღვის ღელვა ქარიშხალში, ის გაჩენილიყო შემოქმედებისათვის და არა ძილისთვის და ყოველი გენიოსური თხზულება მხოლოდ ღამით შექმნილიყო, სულის სარკვედაც რომ წარმოდგებოდა და ამით განსხვავდებოდა დღისაგან, როგორც ნიღბისგან.

პოეზიას თუ გამოაკლდებოდა ქარი და ღამე?

დარჩებოდა მხოლოდ სიცარიელე.

პოეზია დღესდღეობით საოცრებას რომ გათანაბრებოდა და სიკვდილს?

ეს იყო ყველაფერი ტერენტი გრანელისათვის, მისეული შეფასების მთავარი საზომი — ვინც ახლოს იდგა ამ კომპარებთან, ის უფრო დიდი პოეტიც გახლდათ.

ათასგვარი ფიქრით დატვირთული პოეტი ქარს წინ უდგა, ვით ქანდაკება?

აგერ გალაკტიონ ტაბიძის: თმას უწენს ქარის გაბოროტებაო.

ქარი არსებობდა მუსიკის და ორკესტრის, უჩინარ სტიქიას რომ წარმოადგენდა და მუსიკის უდიდესი აგონიისას ჩნდებოდა ჯადოსნური ქარი, რომელიც ცდილობდა გაენყვიტა ადამიანის დაჭიმული ნერვები?

აგერ ვალერიან გაფრინდაშვილის: და ამ ორკესტრის გაგაჟება მსგავსია ქარისო.

ერთად ჩნდებოდნენ შემოდგომის და მოგონების ქარები და მასთან ერთად გაშლილი ველი, ფოთლების ცვენა, გაძარცვული ტოტების უცნაური ქანაობა და ტყის გუგუნი და სტვენა, ეს ყველაფერი სამყაროს მისტიკურ შეგრძნებას რომ ქმნიდა?

აგერ სანდრო ცირეკიძე, ამ სურათში რომ იძირებოდა, როგორც სიზმარულ გრძნობათა უფსკრულში, და კიდევ უფრო მიმზიდველი და მტანჯველი ხდებოდა ქარი სიმთვრალეში მზის ამოსვლამდე, როდესაც შორიდან მოისმოდა უიმედო არღნის ხმა.

პოეტები იბადებოდნენ ქარში და მისდევდნენ ქარის ნაკვალევს?



მხატვარი მანანა ბობოხიძე

აგერ გობრონ აგარელის: და მწუხარე დასთან ჩაფიქრდება ქარიცო.

ხოლო ღამეები მისდევდნენ პოეტის ფანტაზიას შავი ზოლივით?

აგერ დარია ახვლედიანის: და რად ვსტიროდი, მხოლოდ ღამემ, ღამემ იცოდაო.

ღამე ხშირად ეშაფოტი გახლდათ და გილიოტინა პოეტისათვის?

აგერ თვითონ ტერენტი გრანელის: ყოველი ღამე ყრუ სამარეა, ყოველი ღამე არის გოლგოთაო.

განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო შეგრძნება ღამის?

აგერ ხარიტონ ვარდოშვილის: ვარ ჩარჩენილი გამოუვალ შუალამეშიო.

და კვლავ და კვლავ რომ აღავლენდა ღამის დითირამბს: პოეტის სული ნაწილია ღამის, ვინ იცის, რამდენი ფიქრი გაბნეულა ღამის სივრცეშიო, — ისევ საკუთარი თავი გაახსენდებოდა: ღამის სივრცემ წვეთობით ჩემი

სისხლი დალიაო, — და კიდევ გალაკტიონ ტაბიძე, როგორც მერცხალი ღამის, მისი იდუმალეა რომ აწვალდება.

და კიდევ უნდა შეკრულიყო ესეი „პოეზია ქარის და ღამეების“, და პოეტს ყველაზე შთამბეჭდავი აკორდი ეპოვნა ფინალისათვის:

— ჩემი საღამო ქარებთან გაჩერებულ მკერდებს და უძილობით დამწვარ თვალებს.

სანდრო ცირეკიძეს პოეტად რომ მოიხსენიებდა, გასაკვირი არ არის მინიატურა, როგორც ორიგინალური ჟანრი, პოეზიისა და პროზის მიჯნაზეა, და ამიტომაცაა, რომ მოგვიანებით რევან ინანიშვილის მიმართაც არაერთხელ გამოუყენებიათ ეს განსაზღვრება: პოეტი.

თუმც მკაცრი ლიტერატურული შეფასებით, როგორც ჩვენი თანამედროვე, ისე გარდასული ხანის მინიატურისტები ბელეტრისტები არიან, პოეტის სახელს მხოლოდ მეტაფორულად რომ დაიმშვენებენ. მაგრამ მეტაფორულად რა — განა მაინც გამართლებული არ იქნება?

და მამ ტერენტი გრანელისეულ ჩამონათვალს „მთვარეულების“ შემოქმედს თუ არ ამოვაკლებთ, ხელთ შვიდი გვარ-სახელი შეგვრჩება:

- გალაკტიონ ტაბიძე,
- ვალერიან გაფრინდაშვილი,
- სანდრო ცირეკიძე,
- გობრონ აგარელი,
- დარია ახვლედიანი,
- ტერენტი გრანელი,
- ხარიტონ ვარდოშვილი.

თვითონ ჩაფიქრებული ჰქონდა თუ არა საკუთარი შეიდეულის შექმნა, ასე კი გამოუვიდოდა, და შეფასების კრიტერიუმიც ფორმულის სიზუსტითა და სიცხადით განსაზღვრული:

პოეტები ქარისა და ღამეების.

ნაჯიბ მაჰფუზი

თაფლოვის თვა

ისინი ბინაში შევიდნენ და ორივეს კმაყოფილებით გაუბრწყინდა სახე. პატარა ქალის ქვეშ გაჩერდნენ, ოთახი გულდაგულ დაათვალიერეს, თვალთ გაზომეს მანძილი ოთახის ცენტრში მდგარ დივანსა და რადიოსა და ტელევიზორის შესადგმელ კედლის კარადას შორის. უხალისოდ შეაკვლეს თვალი კუთხეში მდგარ მაცივარს. ინატრეს, ნეტავ საკუჭნაოში დატეულიყო. ახალ კოსტუმში გამოწყობილმა ვაჟმა თავმონონებით გაიღიმა და ქალს უთხრა:

- გილოცავ ახალ ბინას, საყვარელო!
- მეც გილოცავ, ძვირფასო!
- მშვენივრად არის მოწყობილი. დედაშენს ძალიან კარგი გემოვნება ჰქონია.

— ჩემი მონაწილეობაც ნუ გავიწყდება...
 ვაჟმა გაიცინა, ლოყაზე აკოცა და შემდეგ თქვა:
 — ბედმა გავიღიმა, ეს ბინა რომ შევიძინეთ!
 — მართლაც...
 — ნეტავ სად არის უმ აბდალა?
 — ალბათ სამზარეულოშია ან აბაზანაში.
 — ძვირფასო, სანდოა ეს ქალი?
 — აბსოლუტურად. ათი წლიდან არ მოშორებია დედაჩემს.
 — ჩვენს ბინაში ჩვენზე მეტ დროს დაჰყოფს, ყველა საქმეს უნდა გაუძღვეს, ჩვენ კი აქ მხოლოდ დასასვენებლად და დასაძინებლად მოვალთ.

— მოსამსახურე ცოლ-ქმარს, როგორიც ჩვენ ვართ, იშვიათად გაუღიმებს ბედი, რომ ასეთ მნეს ნააწყდეს.
 — ლამაზ ბინას უმნეოდ შნო და ლაზათი არა აქვს.
 — მართალი ხარ, მაგრამ ამავე დროს ეს პრობლემაც არის, თუმცა...


ქალმა უცებ შეწყვიტა ლაპარაკი. შეშფოთებულმა რამდენჯერმე შეიყნოსა ჰაერი და ქმარს ჰკითხა:
 — რაღაც უცნაური სუნი არ გცემს?
 — უცნაური სუნი?
 ვაჟმაც მოყნოსა ჰაერი და შემდეგ თქვა:
 — ჰო... უცნაური სუნი დგას...
 — საჭმლის სუნია...

ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერეს, შეიხედეს სკამებისა და დივანის ქვეშ. უცებ ვაჟმა გამკილაგად წამოიძახა:
 — დივანის ქვეშ ქვაბია!
 — ქვაბი?
 ვაჟმა ზიზლით გამოათრია ქვაბი და თან ნაიბუტბუტა:
 — საჭმლიანი ქვაბი მისაღებ ოთახში!
 — საჭმელი ამჟავებულია! ეს რას ნიშნავს?
 — წარმოუდგენელია...

მან მძლავრად, ნერვიულად შემოჰკრა ტაში.
 ქალმა ხმამაღლა დაიძახა:
 — უმ აბდალა!

გაისმა მძიმე ნაბიჯების ხმა. შემოვიდა ტანმოკლე, კასრით ჩასხმული კაცი. უშნოდ გამოჩორკნილი თავ-კისერი ჰქონდა როგორც პროფესიონალ მოჭიდავეს. ღრმად ჩამჯდარ თვალებში ცივი, უგუნური მზერა ჩადგომოდა. ხმისამოუღებლად უხალისოდ გაჩერდა მათ წინ. ტანთ ეცვა მტვერში ამოგანგლული შარვალი, შავი პერანგი, ფეხზე — რეზინის ძირიანი ფეხსაცმელი, იდიოტივით უსიცოცხლოდ მიაშტერდათ. შეცბუნებულმა ცოლ-ქმარმა უნდობლად შეხედა, მერე ერთმანეთს სწრაფად გადახედეს და ისევ შემოსულის ყეყერს სახეს მიაჩერდნენ.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა ქალმა.
 სქელკისერას პასუხი არ გაუცია, თითქოს არც გაუგონია.
 — ვინა ხარ? — ამჯერად ვაჟმა ჰკითხა ხმამაღლა. შემოსულმა შეხედა, თვალი შეაკოვნა, ბოლოს გულგრილად ჩაიბურტყუნა:
 — მე უმ აბდალას შვილი ვარ.
 — ვინ დაგროთ ბინაში შემოსვლის ნება?
 — დედამ მომიყვანა, რომ მის ნაცვლად დავრჩენილიყავი.
 — განა თვითონ აქ არ არის?
 — ტანტაში.¹ გაემგზავრა სეიდის² მავლიდზე³ დასასწრებად.
 — როდის წავიდა?
 — დღეს დილით.
 — მას ჩვენგან ნებართვა არ აუღია და არც გავუფრთხილებივართ... — წამოიძახა აღშფოთებულმა ქალმა.
 უმ აბდალას შვილი კვლავ ყეყერივით იდგა და ხმას არ იღებდა.
 — როდის დაბრუნდება?
 — არ ვიცი.
 — აქ რას აკეთებდი?
 — არაფერს...
 — რა იცი საოჯახო საქმეებისა?
 — არაფერი.
 — გაქვს რაიმე ხელობა, რომ თავი იჩინო?
 — არაფერი...
 — მაშ როგორ ცხოვრობ?
 — ვჭამ, ვსვამ და მძინავს.
 ვაჟმა მძიმედ ამოისუნთქა, შემდეგ კი ჰკითხა:
 — რისთვის დაგიძახა დედაშენმა, თუ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია?
 — მის ნაცვლად რომ დავრჩენილიყავი.
 — თვითონ კი ყველაფერს აკეთებდა აქ.
 — მითხრა, აქ დარჩი, სანამ დავბრუნდებიო...
 აღშფოთებულმა ვაჟმა ტუნები მოკუმა. გაბრაზებულმა ხელი გაიშვირა ქვაბისაკენ და ჰკითხა:
 — ეს ქვაბი აქამდე არ დაგინახავს?
 კაცმა ერთი ლენჩივით გახედა ქვაბს და თქვა:
 — არ მახსოვს...
 — განა კომბოსტო შენ არ ჭამე?
 — ვჭამე...
 — აი, ამ ოთახში, ასე არ იყო?
 — არ მახსოვს!
 — შემდეგ ქვაბი დივანის ქვეშ შეაგდე, არა?
 მას მოულოდნელად გაუცისკროვნდა სახე და თქვა:
 — რამდენ ხანს ვეძებდით ამ ქვაბს...
 ვაჟმა ბრაზით ამოიქმინა და თქვა:
 — ლაპარაკს აზრი არა აქვს! ყოველ შემთხვევაში ამ პაცივისცემას ვერ დავივინყებთ.
 კაცი მიტრიალდა, რათა ოთახიდან გასულიყო, მაგრამ ვაჟმა შეაჩერა და გარეთ გასასვლელი კარისკენ მიუთითა. სქელკისერა ავტომატურად გაემართა იქით, თუმცა მალევე მობრუნდა და თქვა:



- ეს კარი გარეთ გადის!
- ვიცი, რომ გარეთ გადის.
- მაგდებ?
- ჩვენ არ გვჭირდება.
- მითხრა, დარჩი, სანამ დავბრუნდებიო...
- ბინის პატრონი მე ვარ და განკარგულებებს მე ვიძლევი!
- მე არავის ვცნობ დედაჩემის გარდა!
- შენ გინდა ძალით დარჩე? — დაუყვირა ქალმა.
- დავრჩები მანამ, სანამ დედაჩემი დაბრუნდება, — თქვა დაბეჯითებით.

ქალი შეცბუნდა და ქმარს შეხედა. ახალგაზრდა კაცმა იგრძნო, რომ იგი ვალდებულია გააკეთოს ის, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება. სქელკისერას წინაშე ისე გამოიყურებოდა, როგორც ნაზი ყლორტი ფინიკის ხის მძლავრ ტანთან შედარებით.

ახალგაზრდა გაცეცხლდა და კაცს დაუყვირა:

- ახლავე წადი აქედან!
- მითხრა, აქ დარჩი, სანამ დავბრუნდებიო.
- ნუ მეკამათები, თავიდან მომწყდი!
- არსად არ წავალ, შენ თვითონ წადი, თუ გინდა!

ვაჟს ბრაზისაგან თვალთ დაუბნელდა, კაცისკენ გამეტეხებით გაიწია და მთელი ძალით ჰკრა ხელი. მისი დარტყმისაგან სქელკისერა არც შეტოკებულა, ერთი მსუბუქად მოიქნია მხარი და შორს ოთახის კუთხეში მოისროლა მონინალმდეგე, რომელიც ჯერ სასადილო მაგიდას დაეჯახა, შემდეგ კი გადაყირავებულ მაგიდას ზედ დაეცა. ვაჟი სწრაფად წამოხტა ლანძღვით, მაგრამ ძალის გამოყენება მეტად აღარ უცდია.

ქალი ქუჩაში გამავალ ფანჯარას მივარდა, ორივე საგდული გამოალო და ხალხს მოუხმო საშველად. უცებ ქვევიდან ლანძღვა-გინება და ბრაზიანი ყვირილი გაისმა. ფანჯარას სეტყევასავით დაუშინეს აგურები, ზოგიერთი ოთახშიც კი შემოვარდა. ქალმაც და ვაჟმაც უსაფრთხო კუთხეს მიაშურეს. ორივე მოულოდნელობისაგან გაშრა.

— რა დაემართა ამ ხალხს? — იკითხა აკანკალებულმა ქალმა.

— იმის ნაცვლად, რომ მოგვეშველონ, აგურებს გვიშენენ!

სქელკისერა წინ გაიჭრა, დასტაცა ხელი გადაყირავებულ მაგიდას, ფანჯრისკენ გაიქცა, მთელი ძალით მოისროლა ქუჩაში და ფანჯარა მაშინვე დაკეტა.

- ეს რა ჰქენი! — დაუყვირა ვაჟმა.
- კაცი თავის ადგილზე დაბრუნდა და უპასუხა:
- მთელი ეს ხანი ერთმანეთს ვესვრით.
- ერთმანეთს ესვრით?!
- მე ყოველთვის ვიმარჯვებ!

განიმტებულმა ქალმა ჰკითხა:

- ჩვენი ბინა საბრძოლო მოედნად აქციე?!
- მე მათ დავასწარი. ყოველთვის, როცა კი გამოვჩნდები ოდი ფანჯარაში, მალიზიანებდნენ, მიწვევდნენ. იძულებული გავხდი თეფშები დამეშინა, მათ კი აგურები მესროლეს...
- ქუჩის მცხოვრებლები მტრად მოგვკიდეს!
- მაგაზე ნუ წუხხარ!
- იქნებ ეს ბინა შენი საკუთრება გგონია?
- მე მათ დავასწარი, როგორც ვითხარი.
- ღირებული ნივთები გადაყარე და დაგვაზარალე.
- ასე აჯილდოებ იმას, ვინც შენს ბინას იცავს?
- დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, ჩვენ აღარაფერი გვინდა შენგან, გარდა იმისა, რომ წახვიდე და შენს გზას ენის!

სქელკისერამ განიერი ბეჭები შეათამაშა, დერეფანში გავიდა და გარეთ გასასვლელი კარისკენ გაემართა, თუმცა მა-

შინვე შემობრუნდა, ქვაბი დინჯად აიღო და ოთახიდან გაიტანა.

გოგომ ნაიჩურჩულა:

- მიშველეთ!
- ვაჟი ტელეფონთან მივიდა, ყურმილი აიღო, რამდენჯერმე დააკაკუნა ზედ, შემდეგ გაბრაზებულმა თავის ადგილას დადო და თქვა:
- არ მუშაობს.
- ო, ღმერთო!
- ალბათ ამითაც ითამაშა, ვინ იცის, იქნებ რადიოთი და ტელევიზორითაც...

— ეს რა უბედურებამ დაისადგურა ჩვენს ახალ ბინაში! რალაც უნდა ვიღონოთ აუცილებლად.

- მოდი, წავიდეთ პირდაპირ პოლიციაში...
- ვინ იცის, ჩვენს არყოფნაში რას მოსწევს ჩვენს ბინას...
- სხვა გზა არა გვაქვს!

ცოლ-ქმარი შემოსასვლელისკენ გაემართა, მაგრამ მალევე უკან შემობრუნდნენ.

- კარი გასაღებით არის ჩაკეტილი, — გაგულსებით წამოიძახა ვაჟმა და გასაღებს დაუწყო ძებნა იქ, სადაც დატოვა — პატარა მაგიდაზე, მაგრამ ვეღარ იპოვა.
- ეს ცხოველი არც ისე დებილი ყოფილა, როგორც გვეგონა. — ნაიბუტბუტა მან.
- პატიმრები ვართ...
- სანამდე უნდა ვიყოთ გამომწყვდეული მისი წყალობის მოლოდინში?

— წარმოუდგენელია!

უცებ სამზარეულოდან საშინელი ხმაური მოისმა. ერთმანეთში ირეოდა ფეხების ტყაპუნი, კედლებზე რალაცის მიხეთქების ხმა, ძირს გადმოცვნილი ჭურჭლის ჟღერა, მსხვერვეა, ლანანი, ყვირილი და მუქარა.

სანამ ცოლ-ქმარი ამ ახალი შოკისგან გონს მოვიდოდა, ოთახში შემოვარდა უმ აბდალას შვილი მისი აღნაგობისა და ზომის კაცთან საჭიდაოდ გადაჭდობილი. ისინი ერთმანეთს უხეშად ეძიძილავებოდნენ და თითოეული ცდილობდა მეორეს მორეოდა. ხან ერთი მოექცეოდა მეორის ქვეშ, ხან მეორე — პირველის. ბოლოს, როგორც იქნა, სქელკისერამ მონინალმდეგეს აღარ მისცა არათუ გასხლტომის, არამედ განძრევის საშუალებაც კი, ამოიღო ქვეშ და მხიარულად შესძახა გამარჯვების ყიჟინა.

ჯერ ერთი წამოდგა, შემდეგ — მეორე. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, როგორც ამას აკეთებენ ყველა წესისა და რიგის დაცვით გამართული მატჩის დამთავრების შემდეგ. ცივად, უაზროდ თვალი შეავლეს ცოლ-ქმარს. ოთახში სულის შემხუთველი სიჩუმე ჩამოსვა.

ვაჟი გონს მოეგო, ხელი გაიშვირა ახალი კაცისკენ და მწე ქალის შვილს ჰკითხა:

- ეს ვინ არის?
- მეგობარია.
- აქამდე აქ, შენთან იყო?
- კი, ჩემთან იყო...
- რატომ მოინვიე სხვის ბინაში?
- აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ არ მიყვარს მარტოობა, და კიდევ იმიტომ, რომ გავგვგრძელებინა წვრთნა...
- შენ ნორმალური ხარ?
- მავლიდებზე ვჭიდაობთ ხოლმე და მუდმივი წვრთნა გვესაჭიროება.

- ალბათ თავი ბინის პატრონი გგონია, ხომ?
- არ მიყვარს სახლში მარტო დარჩენა!
- მოკლედ, წადი ჩვენი სახლიდან მშვიდობიანად! — უთხრა ქალმა.
- მითხრა, დარჩი, სანამ დავბრუნდებიო...

— ჩვენ ნასვლას ვაპირებთ, რატომ ჩაკეტე კარი გასაღებით? — ჰკითხა ვაჟმა.

— სანამ დედაჩემი მავლიდიდან არ დაბრუნდება...

— ჩვენ ნასვლა გვინდა...

— სად მიდიხართ?

— ეს რა კითხვაა?! რა, თავისუფალი არ ვართ?!

— მე როგორ გავიგო, რომ თქვენ ამ ბინის ნამდვილი პატრონები ხართ?

— ეჭვი გეპარება?

— საჭიროა, რომ ჩვენთან ერთად დარჩეთ, სანამ დედაჩემი სეიდის მავლიდიდან დაბრუნდება.

ვაჟმა ბრაზისგან ტუჩები მოკუმბა და თქვა:

— ყოველ შემთხვევაში წესრიგი უნდა დაიცვა.

სქელკისერამ ხელი გაიშვირა თავისი კოლეგისკენ და წამოროშა:

— ამას ღონის მოსინჯვა უნდოდა ჩემთან, თვითონ ნახე, რითაც დამთავრდა!

— გეყოფათ, რაც იხმაურეთ, დაამტკრიეთ და დაამსხვრიეთ.

— მოვრჩით, მოვრჩით... ჩვენგან მუსიკის გარდა არაფერს გაიგონებ!

— მოვითხოვ სრულ სიჩუმეს!

— რა, არ გიყვარს სიმღერა და ცეკვა?

— სიმღერა და ცეკვა?!

— ჩვენთან სამზარეულოში მოცეკვავე გოგოა და მესაკრავეთა დასტის რამდენიმე წევრი.

ცოლ-ქმარმა ერთდროულად წამოიყვირა:

— რას ამბობ?

— სანდო ხალხია...

— რა, ჩვენს ბინაში მავლიდს მართათ?

— უმიზეზოდ ნუ ართულებთ საქმეს!

— როგორ თუ უმიზეზოდ?!

— ვერც წარმომედგინა, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც ასე ძალიან ეჯავრებათ ხალხი და მუსიკა!

სქელკისერამ აგდებულად აიჩეჩა განიერი მხრები, შემდეგ ილიაში ამოიჩარა მეგობრის მკლავი და ბინის სიღრმეში შეიყვანა. გაბრაზებულმა და სასონარკვეთილმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედა. ამასობაში მათ ყურთასმენას მიწვდა საცეკვაო რიტმზე აწყობილი დაფისა და სალამურის ხმა. ხრინწიანმა ხმებმაც არ დააყოვნა და უცნაურად განელეს სიმღერა.

— გაგვიჟღებო, თუ უკვე არა ვარ გიჟი. — წაიჩურჩულა ქალმა.

ვაჟი ფანჯრისკენ გაეშურა.

— იქნებ წავიდნენ... როგორმე ხალხს ხმა უნდა მივანვდინოთ. — თქვა ვაჟმა.

— აგურებს ერიდე! — დაადევნა ქალმა გაფრთხილება.

ვაჟმა ფანჯრის სახელურს ხელი მოჰკიდა. საკმარისი იყო საგდულის ოდნავ შერხევა, რომ ტყვიასავით წამოვიდა აგურები. მან კიდევ ერთხელ ლანძღვა-გინებით დაკეტა ფანჯარა და ცოლს ჰკითხა, თუმცა კითხვა ოხვრას უფრო ჰგავდა:

— გვაჯობეს?

— საშინელებაა, ნამდვილი კომმარო...

— შეუძლებელია, გამოსავალი არ იყოს!

— ჰო, მართალი ხარ, გამოსავალი უნდა იყოს.

— მერედა რა არის გამოსავალი?

ქალი ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ ქმარს ჰკითხა:

— მოდი, ჩვენს თავს ვკითხოთ, რა გვინდა?

— მე ვფიქრობ, რომ მოვედით ჩვენი ოცნების — ბედნიერი თავულობისთვის გასატარებლად.

— ამ შაიტანების⁴ აქ ყოფნამ კი ხელი შეგვიშალა.



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

— ეგენი თავიდან უნდა მოვიშოროთ.

— კეთილი, მოვიფიქროთ, როგორ შეიძლება მათგან გათავისუფლება.

— კარი ჩაკეტილია, ტელეფონი არ მუშაობს, ფანჯარას აგურებს ესვრიან.

— ესე იგი სხვა გამოსავალი არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ დავეყრდნოთ საკუთარ თავს!

— ჰო, მაგრამ ისინი ღონით ბევრად გვეჯობიან.

— არსებობს ეშმაკობა.

— ეშმაკობა? რა ეშმაკობა?

— მოვახერხებთ სამზარეულოში მათ ჩაკეტვას?

— უნდა დავათვალიეროთ იქაურობა.

— ყავის მოსადუღებლად წავალ...

ვაჟი დაუყოვნებლივ გავიდა ოთახიდან. მალევე დაბრუნდა ყავით და ქალმა მოუთმენლად ჰკითხა:

— რა ნახე?

— სამზარეულოს კარი ღიაა. სალამურის მესაკრავე იატაკზე ზის, ზურგით კარზეა მიყრდნობილი. მაგრამ იმედი კიდევ არის, — უპასუხა ფიქრიანად.

— მართლა?

— თაროდან შეუმჩნევლად ავიღე სამზარეულოს კარის გასაღები.

— ბინის გასაღებს ხომ არ წაწყდომიხარ?

— ეს კაცი დებილი არ არის, როგორც ჩვენ გვეგონა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მაგრამ ის, რომ სვამენ, თან ძალიან ბევრს!

— დაველოდოთ, სანამ გონებას დაკარგავენ?

— რა თქმა უნდა...

— ეს იარაღი შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ შემობრუნდეს.

— ვიცი, შეიძლება უფრო გაგიჟდნენ, მაგრამ თუ ძილი მოერევათ, მკვდრებით დაეყრებიან...

— ღამეს უნდა დაველოდოთ.

— მალე დაღამდება.

ქალმა მძიმედ ამოიოხრა და სასონარკვეთილმა იკითხა:

— როდის დაბრუნდება უმ აბდალა?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, როდის დამთავრდება მავლიდი.

— შენ იცი, როდის არის დიდი ღამე?⁵

— წარმოდგენა არა მაქვს.

ფიქრით გულდამძიმებულმა ქალმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. ანაზღად თვალი შეაყოვნა მაცივრის უკანა მხა-

რეზე. კარგად დააკვირდა და თვალმოუშორებლად მიუახლოვდა. გაოცებულმა ქმარს უთხრა:

— მაცივრიდან თაროები გამოუღიათ და უკან, იატაკზე დაუყრიათ!

ქალი მაცივრის კართან მივიდა და გამოაღო. იქიდან მოსხლეთით გადმოვარდა ადამიანის სხეული და პირქვე დაეცა.

ქალმა თავზარდამცემი ხმით დაიკვილა და შეტორტმანდა. ვაჟი მისკენ გადახტა, მკლავები შეაგება, შემდეგ ძირს დაგდებულ სხეულს გაოცებულმა დახედა. დაიხარა, რათა სახეზე შეეხედა.

— უმ აბდალა! — წამოიყვირა მოულოდნელობისაგან.

ქალი სკამზე დასვა და კვლავ მიუბრუნდა გვამს. ხელით მოსინჯა და ხმადაბლა თქვა:

— გვამი უკვე გახევებულია.

ამ დროს ოთახში სქელკისერა და მისი დასტა შემოცვივდნენ.

— არ გეყოთ ამდენი აურზაური? — სქელკისერამ გამომწვევად მიმართა ვაჟს. თვალის გააყოლა ცოლ-ქმრის მზერას, დააკვირდა პირჩაღმა დაგდებულ გვამს და იკითხა:

— ეს რა არის?

როცა პასუხი ვერ მიიღო, გაბრაზებულმა დაუყვირა ვაჟს:

— მიპასუხე!

— ეს გვამია, — უპასუხა ვაჟმა შეკავებული სიბრაზით.

— გვამი?

— დიახ, გვამი.

— აქ ბინაა თუ სასაფლაო?

— ბინა იყო, გახდა სასაფლაო...

— სად იპოვე?

— მაცივარში.

— ესენი ადამიანის ხორცი იკვებებიან... — წამოაყრანტალა მეორე მოჭიდავემ.

— ჯერ მოკალი და მერე მაცივარში დამალე, არა? — გააფთრებით უთხრა ვაჟმა სქელკისერას, რომელსაც თვალეზი ბრუყით აუელვარდა და ვაჟს ჰკითხა:

— რისთვის მოკალი, ჰა, აბა, რისთვის?

— ის ჩვენ მოსვლამდე მოკლეს!

— შენი აზრით, ვინ მოკლა?

— მე შენ იქით გეკითხები, შენ აქ ჩვენს მოსვლამდე იყავი მოკალათებული.

სქელკისერა თავისი დასტის წევრებს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ რას ფიქრობთ, რატომ არ იშლის ეს კაცი თავისას?

სალამურის მესაკრავემ წამოიძახა:

— ადამიანი მოკლა და ვინ არის მკვლეელი, კითხულობს?

— გიჟია, ასეთ დანაშაულს რომ კაცი ჩაიდენს, გიჟია, აბა ვინ არის? — თქვა მედოლემ.

— მაცივარში იმ იმედით დამალა, იქნებ ინდაურად გადაიქცესო.

— სახეზე შეხედე გვამს, ნახე, ვინ არის! — მიუბრუნდა ვაჟი სქელკისერას.

— არ მაინტერესებს, ვინ არის.

— ეს დედაშენის გვამია!

ამ სიტყვებზე მთელმა ჯგუფმა გადაიხარხარა.

— ეს უმ აბდალას გვამია! — წამოიყვირა ვაჟმა.

სქელკისერამ გაბზარული ხმით უპასუხა:

— დედაჩემი მავლიდზე წავიდა.

ვაჟმა ისევ მიუთითა გვამზე და გააფთრებით ჩაეკითხა:

— როგორ, ეს დედაშენი არ არის?

— იყო დედამისი, არამზადავ!... — წაიმღერა მოცეკვავემ.

— დედამისი მავლიდზეა წასული. — წინ წადგა სალამურის მესაკრავე.

— სასჯელს რომ გაექცეს, თავს იგიჟიანებს. — დაასკვნა მედოლემ.

— საფლავი ამოთხარე, რათა გვამები წაგებილწა?! — დაუყვირა სქელკისერამ.

— სამართალს ვერ დაუძვრებით, ვერა! — წამოიძახა ვაჟმა.

— შენი ბინის მზე მოკალი, შე პირშავო, შენა! — ჩაერთო სალამურის მესაკრავე.

— მოკლა იმისთვის, რომ ჯამაგირი არ გადაეხადა. — განაცხადა მოცეკვავემ.

— ნეტავ იცოდე, რა გელის, არამზადავ!

— თქვენ მართლა ასე ფიქრობთ? მაშინ გამოიძახეთ პოლიცია! — გამომწვევად მიახალა ვაჟმა.

ამ სიტყვებზე ყველანი ახორხოცდნენ.

— პოლიციაც ჩვენ ვართ და მოსამართლეებიც... — დაიძახა სქელკისერამ.

— გადავცეთ სასამართლოს! — თქვა მოცეკვავემ.

— ჯერ ის საქმე დავასრულოთ, რაც დაწყებული გვაქვს. — უპასუხა სქელკისერამ.

ატყდა სასიხარულო ღრინაცელი. სქელკისერა გასასვლელისკენ გაემართა და ყველანი უკან მიჰყვნენ.

გასავათებულმა ვაჟმა უილაჯოდ მიღულა თვალეზი. მცირე ხნის შემდეგ ისევ გაახილა, მზერა მოარიდა სკამზე მისვენებულ ცოლს. შემდეგ გვამი ასწია, დივანზე გადაასვენა და სახეზე დააფარა თავსაფარი, რომელიც მიცვალეზულს მანამდე ყელზე ჰქონდა შემოხვეული. ცოლთან მივიდა და ჩუმი ხმით ჰკითხა:

— როგორ ხარ?

— მე ვინ მანამდე გაგვასამართლებენ, სანამ ჩვენ მივცემთ მათ სამართალში.

— ძნელია წინასწარ განსაზღვრო, რა იქნება მათი შემდეგი ნაბიჯი. ლოგიკას არ ემორჩილებიან.

— სწრაფად უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

— თუ არა, ველოდოთ, რა მოუვით თავში.

— ცოცხალს არ დაგვტოვებენ. — თქვა ბრაზით ანთებული ვაჟმა.

— სიკვდილი გარდაუვალა.

— გეთანხმები, მაგრამ ჯობია არ დავიხოცოთ. — ჩურჩულით თქვა ქალმა.

— სიკვდილი არავის უნდა. ჩემი აზრით, ცოტა უნდა დაისვენო, ნადი საძინებელში.

— შენ, შენ რას იზამ?

— მე სულ ვფიქრობ და გამუდმებით ერთი აზრი მიტრიალებს თავში. სიკვდილს ვერ გადავურჩები.

— მართლა გაგასამართლებენ?

— სინდისი არ შეანუხებთ.

— ეს საშინელებაა...

— შეიძლება მომკლან, როგორც ეს კეთილი ქალი მოკლეს...

— ნეტავ მართლა დედამისია?

— რომც იყოს, ამით არაფერი შეიცვლება.

— ცხვრებივით არ უნდა დავახოცინოთ თავი — დაბეჯითებით თქვა ქალმა.

— ბოლო ამოსუნთქვამდე უნდა დავიცვათ თავი. მოვუმზადოთ რამე თავზარდამცემი სიურპრიზი.

— მინდა რამე უფრო მნიშვნელოვანი მოვიმოქმედო, ვიდრე უბრალოდ ველოდო, რით დამთავრდება ბრძოლა.

— შენს თავზე იფიქრე. ისეთ მდგომარეობაში ვართ, არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია მეორეს მფარველობა გაუწიოს.

— უნდა გამოგიტყდე — შიში დავძლიე ისე, რომ არ ველოდი.

— შიშის მიმართ შენი დამოკიდებულების განსაზღვრით მოერიე მას.

— მართალი ხარ.

— სიცოცხლის წყურვილი ღირს იმად, რომ სიცოცხლე განირო მისთვის.

— ლამაზი ნათქვამია.

— ძალაც უნდა შეგვენედეგ საამისოდ. ეს არის ლამაზი გამონათქვამების პრობლემა.

— ახალი გეგმა ხომ არ გაქვს?

— გამუდმებით ვფიქრობ ამაზე.

— მეც.

— მთავარია ძალა მოვიკრიბოთ და გავბედოთ, თუ გეგმა გამოგვივიდა.

— რა შედეგიც უნდა მოჰყვეს, მაინც ღირს...

— როგორ ვოცნებობდი ბედნიერ თავლობის თვეზე. — ამოიოხრა ქალმა.

— მოეშვი ოცნებებს... ურვას აორმაგებს.

— კეთილი.

— ცოტა დაისვენე, ნადი საძინებელში.

— მეშინია, თუ შემოვლენ, შეამჩნევენ ჩემს არყოფნას.

— ისინი მთვრალეები არიან და პირველ რიგში მე ვარ მათი სამიზნე.

ქალი წამოდგა, აკოცა ქმარს და გავიდა საძინებელ ოთახში.

მცირე ხანმა განვლო და ოთახში შემოვიდა სქელკისერა თავისი დასტის თანხლებით. თვალეები ღვინისგან უელავდა და სახის ნაკვეთებში სიაკვაცე ჩადგომოდათ. ვაჟს ნახევარწრე შემოარტყეს, რომლის შუაში სქელკისერა გაიჯგამა. გვამისკენ თითი გაიშვირა და იკითხა:

— ვინ მოკლა ეს ქალი?

დასტამ ერთხმად უპასუხა:

— შენ, ჩვენო მოძღვარო!

სქელკისერამ ჩაიციხა და გუნდმაც სიცილით უპასუხა.

— რას მომიწივით?

— კარგად ყოფნას! — უპასუხეს ერთხმად.

კვლავ ჩაიციხა და მისი ხროვაც ახარხარდა. შემდეგ ვაჟს ჰკითხა:

— ვინ დაურღვია მიცვალებულს მყუდროება?

ყველამ ხელი გაიშვირა ვაჟისკენ და ერთხმად წამოიძახეს:

— ამ პირშავმა, ამან!

— რას მიუსჯით მას?

— სიკვდილს!

სქელკისერამ ახედ-დახედა ვაჟს და ჰკითხა:

— შეგიძლია თავი დაიცვა?

ვაჟმა არ უპასუხა. სწრაფად მოავლო თვალი გარშემო შემოჯარულ ბრბოს, გაფაციცდა და ყურადღება დაძაბა. ნაძირლებიც გამოცოცხლდნენ და მოემზადნენ, პირველივე ნიშნისთანავე თავს დასხმოდნენ მსხვერპლს. იმავე წუთს საძინებლიდან საზარელი კივილი მოისმა. ოთახში დაფეთებულ ქალი შემოვარდა:

— ტანსაცმლის კარადაში კაცია დამალული.

ყველა გაცეცდა:

— კაცი?!

კარის ღიობში კაცი გამოჩნდა — უზარმაზარი, ბრინჯაოსფერი, რომელსაც სახეზე სისასტიკე, უტიფრობა და ცინიზმი აღბეჭდვოდა. მოსულმა და დამხვდურებმა ერთმანეთს ატაკეს მზერა. ახალშემოსულს სახეზე შეცბუნების ან შიშის ნატამალიც არ ემჩნეოდა.

— ვინა ხართ თქვენ, აქ რას აკეთებთ? — იკითხა ხრინწიანი ხმით.

— შენ თვითონ ვინა ხარ? აქ რისთვის მოსულხარ, რა გინდა? — ჰკითხა ვაჟმა თავის მხრივ.

გოლიათმა მოკლედ უპასუხა:

— მე ჩემს სახლში ვარ.

— შენს სახლში?! ეს ჩემი სახლია და ამის დამამტკიცებელი საბუთიც მაქვს.

— ყბედობა არ მიყვარს. ეს ჩემი სახლია, მორჩა და გათავდა!

სქელკისერამ კბილებში გამოცრა:

— თაღლითო! საზიზღარო ბინების მძარცველო! როგორც კი დაგინახე, მაშინვე გიცანი!

— ხმა ჩაიწყვიტე! შე ცირკის მასხარავ, თორემ ნეკნებს ჩაგიმტვრევ!

— ამას შენ მეუბნები, შე ბინების მძარცველო, შენა?

— შენ, მავლიდებზე ვითომ მოჭიდავევ! ნამდვილი ჭიდაობა სხვა რამეა, მე თქვენ გიცნობთ, თქვე ტაკიმასხარებო!

— ეს ჩემი სახლია, შენ ისეთივე ქურდი ხარ, როგორც დანარჩენები... — ჩაერია ვაჟი ამ შესხლა-შემოხლაში.

— რას ბოდავ, გესმის?

— კანონი გაგვასამართლებს...

— ფანჯრიდან გისვრი, ეს ის კანონია, რომელსაც მე ვაღიარებ...

— თუ ბინის პატრონი ხარ, როგორც განაცხადე, რატომ იმაღლებოდი ტანსაცმლის კარადაში? — ჰკითხა ქალმა.

— მე ჩემს სახლში სადაც მომეწონება, იქ დავნევი.

— ტანსაცმლის კარადაში არავინ ნევი.

— იქ მიყვარს განმარტოება და არავის წინაშე ვარ ვალდებული ნებართვა ავილო.

— შენ ქურდი ხარ, საზიზღარი ბინების ქურდი! კარგად გიცნობ, ვინცა ხარ! — ხმა აიმაღლა სქელკისერამ.

— ხმა ჩაიკმინდე, ნაძირალავ! ტაკიმასხარავ!

— გამოვიძახოთ პოლიცია. მან განსაჯოს ეს საქმე — თავისას არ იშლიდა ახალგაზრდა.

— არ მიყვარს პოლიცია — მკაფიოდ წარმოთქვა გოლიათმა.

— შენ ქურდი ხარ, როგორც ეს მკვლელი ამბობს — გაცეცხლდა ვაჟი.

— მკვლელი?! ამ ტაკიმასხარამ ვინმე მოკლა?

— აი, მისი მსხვერპლის გვამი!

გოლიათმა გახედა მკვდარს და გაცეცხლდა წამოიძახა:

— წარმატებისთვის მიგიღწევია, მავლიდების ტაკიმასხარავ!

— ეს ხომ დედაა მისი!

— დედის მკვლელობა... ეს პატივია, რომელიც არ დაგიმსახურებია, შე მასხარავ, საიდან ასეთი პატივი!

— ქურდო! ბინების მძარცველო! ფრთხილად! დაუკრეფავში ნუ გადადიხარ! — წამოიყვირა სქელკისერამ ბოლმით.

— კეთილი იყოს ჩემი მოსვლა დაუკრეფავში, ეს სწორედ ის ნამალია, ჩემს ჯანმრთელობას რომ არგებს. — წარმოთქვა გოლიათმა დამცინავად.

ამასობაში ქალი შეუმჩნეველად, მალვით ნავიდა სამზარეულოსკენ. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევიდა წინ და თან მიჰყვებოდა ვაჟის შემოფოთებული, დაძაბული მზერა. ქალის მოძრაობა რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ასე მიმართა ვაჟმა ბრბოს:

— ჩვენ მიუკერძოებელი სასამართლო გვჭირდება. ამ კაცს ჰგონია, რომ მოსამართლეა, სინამდვილეში მკვლელია.

ეს მეორე კაცი აცხადებს, რომ ბინის პატრონია, თქვენ კი ამბობთ, რომ იგი სახლების სულმდებალი მძარცველია. მე ვამტკიცებ, რომ სახლის პატრონი ვარ მე. ესენი ბრალს მდებენ, თითქოს მე მოვკალი ეს კეთილი ქალი. სად არის ამ დომბალიდან გამოსავალი? სხვა გზა არა გვაქვს, პოლიცია უნდა გამოვიძახოთ.

— შენი წინადადება ყველას ღრმა ორმოს ფსკერზე ამოგვაცოფინებს თავს, — უპასუხა გოლიათმა ავღებულად.

— პოლიციის გამოძახებაზე ადვილი არაფერია...

— როგორც კი პოლიცია მოვა, მაშინვე დაიწყება პრობლემები; შეგვიდგენენ აქტს — გრძელს, სიტყვათაგანს, რომელსაც არც თავი ექნება, არც ბოლო. შემდეგ გადაგვიყვანენ პროკურატურაში, გამოძიება გაგრძელდება დღეები, კვირები, რათა დაადგინონ, ვინ არის მკვლეელი. ვინ არის ქურდი, ვინ არის ბინის პატრონი. შემდეგ გადაგვიყვანენ სამართლოში და ერთმანეთს შეეჯიბრება დაცვა და ბრალდება, რათა მოიპოვონ ჩვენი აღიარება და ასე გაგრძელდება სხდომიდან სხდომამდე. და არ გამოიტანენ განაჩენს მანამ, სანამ პირველი ადამიანი მთვარის ზედაპირს დაადგამს ფეხს. ამ ხნის განმავლობაში ბინა იქნება დაკეტილი, დალუქული ნითელი ლუქით და გადაიქცევა მწერებისა და აჩრდილების ნადავლად. არ დაგავინყდეს, მოვლენათა ამ რთულ ჯაჭვს დასასრული არა აქვს.

— ჰო, მაგრამ გაბედული და სამართლიანია.

— უფრო ადვილი იცი რა არის? ეცე შენს მტერს, მკერდი შეუწვრიო ღონიერი დარტყმით, რათა აღიაროს შენი უფლება. შემდეგ ხელი ჩამოართვათ ერთმანეთს და ორივენი თქვენ-თქვენი გზით წახვიდეთ.

მოცეკვავე წინ გამოვიდა და თქვა:

— რაზე კამათობთ?! საქმე უკვე გარიგებულია და მომრიგებელს არ საჭიროებს.

— მოვუსმინოთ მებრძოლ ქალს! — წარმოთქვა გოლიათმა დამცინავად.

მოცეკვავემ წყნარად, აუღელვებლად და გაუბრაზებლად განაგრძო:

— ჩვენ არ გვჭირდება მკვლელის ძებნა. იგი უკვე ნაპოვანია, გასამართლებული და სიკვდილი აქვს მისჯილი.

სალამურის მესაკრავე გამოცოცხლდა:

— თუ იგი სიკვდილით დაისჯება, ბინაზე მისი პრეტენზია გაბათილდება.

მოცეკვავემ განაგრძო:

— ბინა გახდება ჩვენი საკუთრება — ყველასი თანაბრად. გოლიათმა პირველად გაიღიმა და ქედმაღლურად თქვა:

— არა ვარ თანახმა.

სქელკისერამაც მედიდურად განაცხადა:

— არც მე ვარ ყაბულს!

— ვინც უფრო ღონიერია, მეტი წილი მას! — თქვა გოლიათმა.

— დაე... — დაიწყო სქელკისერამ, მაგრამ მოცეკვავემ აღარ დაასრულებინა სიტყვა.

— ქონება ჩვენი ხელთაა, ამას ლაპარაკი არ უნდა!

მესაკრავეთა დასტა სქელკისერას შემოეხვია და შეეცადა მის დაყოლიებას. მოცეკვავემ გოლიათი განზე გაიხმო, რათა მისი სიჯიუტე მოედრიკა.

ცოლი კი შეუმჩნევლად დაბრუნდა ქმართან, გვერდზე აეკრა და რაღაც ჩაუტენა ჯიბეში.

ორივემ თვალმოუშორებლად დაუწყო ყურება ბრბოს, რომელიც თათბირობდა, როგორ მოეკლათ ისინი და მიეტაცებინათ მათი ბინა.

უცებ ჰაერში ჩურჩულივით გაკრთა უცხო რამ სუნი — მსუბუქი, ოხვრით ამოსუნთქვასავით. გავრცელდა ნაკადებად, შიშინით, მოულოდნელად. ეს იყო კვამლის სუნი. გაისმა ზედიზედ მიყოლებული შფოთიანი ტკაცანი, რომელიც მოულოდნელი სისწრაფით თავს დაატყდა განზე მდგომ მოთათბირებებს. ისინი თვალედაჭყეტილი მიაჩერდნენ სამზარეულოს წინკარს. იგი სულ მალე გაქრა თვალთახედვიდან ცეცხლის ნაპერწკლებისგან მტყვნებად აკიაფებულ კვამლის ღრუბლებში.

— ცეცხლი! — ბრაზით იხუვლა ბრბომ.

— სამზარეულოში ხანძარია!

— ბინა საფრთხეშია!

— ყველაფერი საფრთხეშია!

— ჩავაქროთ, რაღაც უნდა დაგვიჯდეს!...

გამალებით, ელვისებურად ამოძრავდა ყველა, მაგრამ მათმა მოძრაობამ მხოლოდ მცირედით თუ შეაფერხა აბრიალებული ცეცხლი, რომელმაც ყველა მხრიდან ჩაკეტა გარეთ გასასვლელი გზა. შეიქნა ყვირილი, კარზე ატყდა ზარის გაბმული რეკვა. შემოსასვლელ კარს გარედან დაუშინეს მუშტები. ყველანი გაცვივდნენ სამზარეულოს წინკარისკენ. მოულოდნელად გოლიათი ვაჟისკენ მიბრუნდა და დაუყვირა:

— ცოცხალს არ დაგტოვებ!

ამ სიტყვებით თავს დააცხრა ვაჟს, რომელმაც ჯიბიდან იმიშვლა დანა და გულში ჩასცა. დარტყმისთანავე გოლიათი ნელა, უხმოდ ჩაიკეცა. სქელკისერას არ გამოჰარვია გოლიათის ნაქცევა. ყვირილით მიეჭრა ვაჟს, თავზე დაახტა, მოსხლეტით ნააქცია და ზევიდან მოექცა.

ქალმა იმწამსვე ლაბადის ჯიბეში დამალული დანა ამოაცურა და მთელი ძალით კისერში ჩაურჭო.

მოვლენები ელვის სისწრაფით მიჰყვა ერთმანეთს. შემოამტვრიეს გარეთ გამავალი კარი და ვიღაც კაცები გაქანებულნი შემოცვივდნენ. გაისმა სახანძრო მანქანების სირენის კვილი, პოლიციელთა სასტვენის ხმა, ახალ ბინაში ერთმანეთს შეეჯახნენ მოხდურ-დამხვდურნი. ცეცხლის ენებში, წყლის ჭავლსა და აქეთ-იქით მიმოფანტულ ავეჯის ნამტვრევებში გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

სალამოს მთელ კვარტალში სიწყნარემ დაისადგურა. ბინა დაიცალა უცხოებისაგან. მას კარ-ფანჯრის წირთხლიც კი აღარ შერჩა. ყველგან ეყარა დაღუნილი სკამები, საყოფაცხოვრებო აპარატურის ნამტვრევები, ავეჯის შალითების ნაგლეჯები. ცოლ-ქმარი იჯდა დივანზე, პატარა ჭალის ქვეშ, რომლის ნათურებისაგან მხოლოდ ერთი გადარჩენილიყო და მქრქალ სინათლეს ჰფენდა იქაურობას. სახესა და თავზე მრავლად აჩნდათ დაბეჭილობები, ნაჭდევები, კოპები. შემოფლეთილი ტანსაცმელი მურში ამოსვროდათ.

ერთმანეთს შესცქეროდნენ და დროდადრო მოლუშული ათვალერებდნენ, რაც მათ გარშემო ეყარა.

უცებ აუტყდათ ისტერიული სიცილი, რომლისგანაც კარგა ხანს თავი ვერ დაიოკეს. მერე ისევ შეიკრეს კოპები და დადუმდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, გულში მაინც იგრძენეს ფარული შეება, მაღლიერება.

— ყველაფერი გაოხრდა. — გაისმა ვაჟის მისუსტებული ხმა. ქალმა ნაზად მოუთათუნა მზარზე ხელი და უთხრა:

— ჩვენ გადავრჩით... სასწაულებრივად...

ვაჟმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჩაილაპარაკა:

— ჰო, მართალია, სასწაულმა გადაგვარჩინა.

შემდეგ დაამატა მოულოდნელი გატაცებით:

— არაფერი არ იკარგება ისე, რომ აღდგენა არ შეიძლებოდეს.

**არაბულიდან თარგმნა
სონა აბაშვიანი**

¹ ქალაქი ევიპატემი

² მუჰამედის შთამომავალთა საპატიო ტიტული (არაბ.)

³ რომელიმე წმინდანის დაბადების დღე, ამ დღის სადღესასწაულო აღნიშვნა (არაბ.)

⁴ ეშმაკი, სატანა (არაბ.)

⁵ მავლიდის დროს დღესასწაულის ნაწილი იმართება ღამით, რომელსაც დიდ ღამეს უწოდებენ.

მშვიდობით, იარაღო — ჩახურად

--აუხდენელი ხილვა — ასე შეიძლება ეწოდოს ესაია წინასწარმეტყველის სიტყვას, თქმულს ჯერ კიდევ ქრისტეს მოსვლამდე: „სამართალს განიკითხავს იგი ერებს შორის და ამხილებს უთვალავ ხალხს. მახვილებისგან სახნისებს გამოჭედავენ და შუბებისგან — ნამგლებს. ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილი და აღარავინ ისწავლის ომს“.

მართლა ხილვა იყო ეს, ნაკარნახევი უფლისგან, თუ მოწოდება ანდა ოცნება, ასევე სანუკვარი, ასევე აუხდენელი? მომდევნო ხანებში სახნისებიც გვარიანად იჭედებოდა და ნამგლებიც, მაგრამ მახვილები და შუბები არავის გადაუდნია, ისინი წარმატებით განაგრძობდნენ არსებობას და ყოველ ერს ერთგულად ემსახურებოდნენ სხვა ერის წინააღმდეგ. მეომრის ხელოვნებას და სულისკვეთებას აკენიდანვე სწავლობდა ძე ადამისა. ჰოდა, წინასწარმეტყველის ოცნება, მსგავსად სხვა ოცნებათა, ამო და ფუჭი გამოდგა. ერები შერყეულნი იყვნენ ომს — ბუნებრივსა და ძვალ-რბილში გამჯდარ ცხოვრების წესს. მარტოოდენ რჩეული ინდივიდები იმაღლებდნენ ხმას ომისა და ხოცვა-ჟლეტის დასაგმობად.

აგერ რომაელი კეისრები დღენიადაც ახალ-ახალი მიწების დაპყრობას ლაშობდნენ, რათა რომის იმპერიას კიდევ უფრო შორს გაეშალა ფრთები და კიდევ უფრო ბევრი ხალხი მოექცია თავის უღელქვეშ, მთელი დედამიწა რომის იმპერიად რომ გადაქცეულიყო — ერთი ხალხი, ერთი ენა, ერთი ფიურერი. მაგრამ რომაელი პოეტები, მიჩნეულნი საზოგადოების ნაღებად, ლამის ერთხმად მხარს უჭერდნენ მშვიდობას. ომისგან არავითარი სიკეთე არ გველისო, — ამბობდა ვერგილიუსი და გულუბრყვილოდ სვამდა უმარტივეს შეკითხვას: რატომ არ უნდა ვიცხოვროთ მშვიდობიანად? ჰორაციუსის ხმა უფრო მჭახედ ისმოდა: დედები წყევლიან ომებსო. ფრიად საქმიან წინადადებას აყენებდა ტიბულუსი: დაე, სხვებმა იომონო (რა მშვენიერი ოცნებაა — სხვებს სხვებთან უნდა ეომათ!) და სიბრძნისმეტყველნიც არ ჩამორჩებოდნენ მუხის მსახურს. სენეკა ბრძანებდა: არავის სისხლი არ უნდა დაღვარო, მთელ სამყაროსა და შენს საუკუნეს მშვიდობა უნდა მიანიჭო — აი, ეს გახლავთ უმაღლესი გმირობაო.

მშვიდობის ტრფიალ რომაელ პოეტებს შუა საუკუნეთა წყვდიადიდან ბანს აძლევდა სპარსელი რუდაქი და ლაკონიურად ასკვნიდა: მშვიდობას ელტვის ბრძენი და ომს — სულელიო.

ასეთი კატეგორიული განაჩენი, ალბათ, მიუღებელი იქნებოდა ძლიერთათვის ამა ქვეყნისათა. რუდაქის რომ დავუჯეროთ, საკმაოდ ხშირად მოგვეჩვენება, რომ ამა თუ იმ ერის ელიტი, უსხოვარ დროთაგან დღემდე, სულელებით ყოფილა დაკომპლექტირებული.

ერთი სიტყვით, რომაელი კეისრები ომობდნენ, ხოლო პოეტები მშვიდობას უგალობდნენ. მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ, ვინ უფრო მეტად ახსოვს მსოფლიოს, ადამიანთა მოდგმას, ქალაქსა და სოფელს — იულიუს კეისარი თუ ერთად აღებულნი: ვერგილიუს-ჰორაციუს-ტიბულუსი?

ხალხები ოცნებობდნენ მშვიდობაზე, ნატრობდნენ მშვიდობას, და არ იღლებოდნენ ომებით. ომი თუ მშვიდობა — საკითხავი მართლაც ეს იყო...

ამასობაში ახლოვდებოდა XX საუკუნე — ყველაზე სისხლისმღვრელი და სასტიკი საუკუნე. და სწორედ ამ საუკუნეში გაიფურჩქნება პაციფიზმის ნაზი და მომხიბვლელი ყვავილი.

ახლოვდებოდა XX საუკუნე და გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი მოლტკე აღტაცებით აღნიშნავდა: „ომი — წმიდანთაწმიდა, ღვთაებრივი წესდებულებაა; ეს არის ერთ-ერთი ძვირფასი კანონი კაცობრიობისა. იგი ადამიანის ბუნებაში ახალისებს დიდებულსა და კეთილშობილურ გრძნობებს: ღირსებას, უანგარობას, სათნობას, სიმამაცეს. ერთი სიტყვით, იგი ხელს უშლის ადამიანებს — ჩაეფლონ ყველაზე უსაზიზღრეს მატერიალიზმში“.

მოლტკე უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. დიდებულმა ფრანგმა მწერალმა გი დე მოპასანმა მკაცრად გააკრიტიკა „ხოცვა-ჟლეტის გენიალური ოსტატი“. მისთვის გაუგებარი და აუხსნელი რჩებოდა, თუ რა არის ღვთაებრივი იმაში, რომ შეკრიბო ოთხასათასიანი ჯოგი ადამიანთა, რათა შეუსვენებლივ იარონ დღისით და ღამით, არაფერზე იფიქრონ, არაფერი იცოდნენ, არაფერი ისწავლონ, არაფერი წაიკითხოთ, არავის მოუტანონ სარგებლობა, ჩალპნენ სიბინძურეში, იძინონ ტლაპოში, იცხოვრონ პირუტყვივით, ძარცვონ ქალაქები, გადაწვან სოფლები, დაარბიონ მოსახლეობა, შემდეგ შეეჩეხონ სხვა ტომის ადამიანთა ამგვარსავე ჯოგს, შეეტაკონ და სისხლის ტბები დააყენონ, გადაჭიმონ ერთმანეთზე დახვავებულ ცხენებთან ველ-მინდვრები.

პირველი მსოფლიო ომის უზარმაზარმა სასაკლამო ამბარზენი შთაბეჭდილება მოახდინა მონაწილეებზეც და მაყურებლებზეც. პატრიოტიზმთან შერწყმული ერთგვარად რომანტიკული წარმოდგენა ომზე, მისი უღმობელი ადათ-წესების საკუთარ ტყავზე გამოცდისას, უმაღვე იცვლებოდა ომის დაუფარავი სიძულვილით.

ანრი ბარბიუსი „ცეცხლი“. მსოფლიო მწერლობის პაციფისტთა შორის პირველ მერცხლად უნდა ჩაითვალოს ფრანგი ანრი ბარბიუსი. მისი რომანი „ცეცხლი“, დაწერილი პირველი მსოფლიო ომის სანგრებში, გამოქვეყნდა 1916 წელს. ამ ავტობიოგრაფიული რომანის მთავარი გმირი ემშვიდობებოდა ცრუ ილუზიებს, ჭეშმარიტების მისაღწევად ცეცხლმოდებულ გზას გაივლიდა და განინმინდებოდა.

ბარბიუსი წერდა: „ომი — ეს არ არის შეტევა, მსგავსი აღლუმისა, ეს არ არის ბრძოლა აფრიალებული დროშებით. ეს არც ხელჩართული შერკინებაა, სადაც ალტკინებით სცემენ ყიჟინას. ომი — ესაა შემადრწუნებელი, ზებუნებრივი დალილობა, ნელამდე წყალი და ტალახი, ტიღები და სიბიღნე. ესაა დაობებული სახეები, ნაფლეთებად ქცეული სხეულები და გვამები, რომლებიც ამოცურდებიან გაუმადლარი მიწის ზედაპირზე და აღარც კი ჰგვანან გვამებს. ომი — ესაა ვაებათა უსასრულო ერთფეროვნება და არა ვერცხლივით მოელვარე ხიშტი ანდა მამლის ყვილივით გალობა საბრძოლო საყვირისა“.

როგორც აღნიშნავენ, პირველ მსოფლიო ომზე ათობით და ასობით წიგნი დაინერა, მაგრამ მხოლოდ სამი ნაწარმოები, გამოცემული ბარბიუსის „ცეცხლის“ შემდეგ თითქმის ერთდროულად (1929 წ.), გამოიჩინა სხვათაგან. ესენია: ჰემინგუეი „მშვიდობით იარაღო“, რემარკი „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ და ოლდინგტონი „სიკვდილი გმირისა“.

ერნესტ ჰემინგუეი „მშვიდობით იარაღო“. რომანის მთავარი გმირი, ამერიკელი ლეიტენანტი ფრედერიკ ჰენრი, ფრონტის უმკაცრეს გამოცდას რომ გაივლის, შეიცნობს მსოფლიო სასაკლავოს მთელ უაზრობასა და სისასტიკეს. გამოფხიზლება ინვევს სურვილს, რომ დადოს „სეპარატული ზავი“. ომის მიტოვება „ცივილიზებული“ გზით წარმოუდგენელია და ჰენრი გადაწყვეტს დეზერტირობას. იგი სამუდამოდ ემშვიდობება ომს. აი, ასე იცავს ადამიანის სიცოცხლის უფლებას.



იაროსლავ შაპიგოი

მცირე ნაწყვეტი მისი შინაგანი მონოლოგიდან: „მუდამ მამ- ნეცს ხოლმე სიტყვები — წმინდა, დიდებული, მსხვერპლად მი- ტანა. წმინდა ჯერაც არაფერი მინახავს; რასაც დიდებულს ეძა- ხიან, დიდებისა არა სცხიან-რა და მხვერპლად მიტანასაც ძალი- ან ხშირად ჩიკავოს საყასბო მოუგონებია ჩემთვის, იმ განსხვავ- ვებით, რომ ხორცს აქ პირდაპირ მიწაში ფლავენ. რამდენია ისეთი განყენებული სიტყვები, როგორცაა „დიდება, პატივი, გმირობა ანდა წმიდათაწმიდა“ — სოფლების სახელწოდებე- ბის, ნომრების, მდინარეების სახელების, პოეზიის, გვერდით ნომრებისა და სხვადასხვა მოვლენების თარიღების გვერდით უკვე ბილნი რომ გეჩვენება“ (თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა).

ერის მარია რემარკი „დასავლეთის ფრონტი უცვლე- ლია“. გერმანელი ჯარისკაცი ბოიმერი დაჰყურებს მისი ხე- ლით მოკლე ფრანგი ჯარისკაცის დოკუმენტებს და წარ- მოთქვამს: „მომიტევე, ამხანაგო! ჩვენ ყოველთვის ძალიან გვიან ვახელთ თვალებს; ახ, ნეტა ხშირ-ხშირად ეთქვათ ჩვენ- თვის, რომ თქვენც ისეთივე პატარა უბედური ადამიანები ხართ, როგორც ჩვენ, რომ თქვენი დედებიც ისევე უფროსნილ- დებიან შვილებს, როგორც ჩვენი დედები, რომ ჩვენ ერთნაირად გვეშინია სიკვდილისა, ერთნაირად გვტანჯავს ტკივილი და ერთნაირად ვკვდებით“.

პაულ ბოიმერი ილუპება 1918 წლის ოქტომბერში იმ დღეს, როდესაც ფრონტზე სინყნარე და სიმშვიდე სუფევს, ხოლო სამხედრო ცნობები შედგება ერთადერთი ფრაზისგან: „და- სავლეთის ფრონტი უცვლელია“.

რიჩარდ ოლდინგტონი „სიკვდილი გმირისა“. ინგლისე- ლი ჯორჯ უინტერბურნი ფრონტზე მოხვედრისას მალე მიხ- ვდება, რომ იქ არაა საჭირო პიროვნებანი, არაა საჭირო ტა- ლანტები, საჭიროა მხოლოდ მორჩილი ჯარისკაცები. მან კი ვერ მოახერხა შეგუება, ვერ ისწავლა სიცრუე, ვერ ისწავლა კაცისკვლა. შეგულებით ინგლისში რომ ჩადის, ცხოვრებას და საზოგადოებას სრულიად სხვაგვარად უყურებს, თავის მარტოსულობას მწვავედ განიცდის, არც მოშობებს, არც ცოლს, არც მეგობარ ქალს არ ესმით მისი, ვერ სწვდება მისი სასონარკვეთის სიღრმეს. ომმა სული დაუმსხვრია, სი- ცოცხლის ნადილი გაუქრო და ფრონტზე დაბრუნებული, ერთ-ერთი შეტევის დროს, შუბლს მიუშვერს ტყვიას.

მისი უცნაური და არაგმირული სიკვდილის მოტივები გა- უგებარია გარშემო მყოფათვის, მისი სიკვდილი თვითმკვ- ლელობას უფრო ნააგავს, სისასტიკისა და უნამუსობის ჯო- ჯოხეთის ნებაყოფლობით მიტოვებას.

დალუპვამდე ცოტა ხნით ადრე ასე მიმართავს საყვარელ სამშობლოს: „საოცარი, ძველი ინგლისი! დაგლახვროს სიფი- ლისმა, ბებერო ძუენავი, მატლები საზრდოდ რომ გვაქციე“.

უილიამ ფოლკნერი „სრული შემობრუნება“. ერთი პა- ტარა მოთხრობა პატარა იოკნანატოფის ოლქის ბატონ-პატ- რონისა მხარში ამოუდგა დიდრონ პაციფისტურ რომანებს. აი, როგორია ფინალი მისი:

ამერიკელი მფრინავი შეიტყობს შემთხვევით გაცნობილი ინგლისელი მეზღვაურის, პირტიტველა ჭაბუკის დალუპვას, იმ ჭაბუკისა, რომელმაც საზღვაო ოპერაციაზე თანამგზავ- რად წაიყვანა იგი, მოაჯადოვა თავისი უანგარისო, უკიდევან- ნო, ფანტასტიკური სიმამაცით და ლამის ლაჩრად აგრძნობინა თავი გამოცდილ, არაერთ საჰაერო ბრძოლაში გამოვლილ- გამონათობილ ამერიკელ მფრინავს, ასაკით უფროსსა და ჩი- ნით კაპიტანს.

და აი, როდესაც შეიტყობს ამ თავზეხელაღებული, სარის- კო ცხოვრებისგან თითქმის გალოთებული ინგლისელი ჭაბუ- კის დალუპვას, ცოტა ხნის შემდეგ მოუწევს დაბრუნება ძველ- ბურ ციხე-დარბაზში განლაგებული კორპუსის შტაბისა, სა- დაც გერმანელი გენერლები არხეინად საუბრობენ. ამერიკე- ლი მფრინავი ბეჯითად ასრულებს სამხედრო დავალებას და თავში გაუელვებს უცნაური, სიგიჟემდე მისული ნატვრა: „ღმერთო ჩემო! ნეტავი ყველანი აქ იყვნენ — ყველა გენერა-

ლი, ყველა ადმირალი, პრეზიდენტები და მეფეები — იმათიც, ჩვენიც, ყველანი მთელი მსოფლიოდან!“

იაროსლავ ჰაშეკი „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი და მისი თავგადასავალი მსოფლიო ომში“. მაგრამ, თქვენ წარმოიდ- გინეთ, პაციფიზმის ასპარეზზე თვით ფოლკნერს (და სხვებ- საც) აჯობა ჩემმა იაროსლავ ჰაშეკმა, ასევე პირველი მსოფ- ლიო ომის რიგითმა მონაწილემ. დიახ, პირველობის პალმა, ალბათ, მას მიენიჭებოდა, მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას პაციფისტ მწერალთა შეჯიბრში რომ ჩაეტარებინა.

ვიდრე ჰაშეკს დავიმონებდეთ ზემოთქმულის დასამტკი- ცებლად, ორიოდ სიტყვა გავიმეტოთ იმ ერისათვის, ვისი სა- ამაყო შვილიც გახლავთ უკვდავი შვეიკის შემოქმედი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი დედამიწის ზურგ- ზე, ხუთივე კონტინენტიანად, ყველაზე აშკარა, თავდადებულ და თავგანწირულ მშვიდობისმოყვარეებად, რომელთაც ჭი- რის დღესავით ეზიზღებათ ომი, უნდა მივიჩნიოთ ჩვენები.

შორეულ წარსულს, როცა ადამიანი ადამიანისთვის მგელი იყო, მოდი, შევეშვათ და უახლოესი წარსულით დავკმაყო- ფილდეთ. ჩვენები, საუბედუროდ, ავსტრია-უნგრეთის იმპერი- აში იყვნენ ჩარიცხულნი და რას გაანყობდნენ, უნდა ეომათ, მაგრამ მათ საომარ სულისკვეთებას მკაფიოდ გამოხატავს სწორედ ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი — უკვდავი ქმნილება იაროსლავ ჰაშეკისა, დიახ, შვეიკი, მთელ თავის ხერხსა და ძალ-ღონეს რომ ხმარობს ბრძოლიდან თავის დასაძვრენად.

როდესაც ავსტრია-უნგრეთის იმპერია დაიშალა და ჩვენებმა უსისხლოდ, ლუდის სმით მოხვეჭეს დამოუკიდებლობა, „მშვი- დობით იარაღო“ გახდა მათი ცხოვრების დევიზი. მსოფლიოში საუკეთესო იარაღს ამზადებდნენ, მაგრამ თავად როდი ეჭაშნი- კებოდათ მისი გამოყენება. პაციფისტობდნენ და მერე როგორ!

1938 წელს მარტოოდენ ცხარე ცრემლით შეიარაღებულნი ეგებებოდნენ გერმანულ ტანკებს, პრალაში რომ შებრძანდნენ შიტლერული წესრიგის დასამყარებლად და 1968 წელს — საბ- ჭოთა ტანკებს, იმავე პრალაში რომ შეჯლიგინდნენ სოცია- ლისტური წესრიგის დასაცავად.

1945 წლის მაისში პრალა აჯანყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შიტლერმა თავი მოიკლა, ხოლო რაისხტაგის თავზე ნითელი დროშა ააფრიალეს რუსმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარამ.

ახლა დავიმონებთ ფრიად კოლორიტული მონათხრობი იაროსლავ ჰაშეკისა:

აღწერილია ნაომარ-ნაოხარი რკინიგზის სადგურის მიდა- მოები. იქაურობას ახლახან გამართული ბრძოლების კვალი მკაფიოდ აჩნდა. ყველგან ეყარა ვაზნის მჭიდენი, ცარიელი თუ- ნუქის კონსერვის ქილები, რუსულ-ავსტრიულ-გერმანულ მუნ- დირთა ნაფლეთები, დოლბანდის სახვევთა გრძელი, გასისხ- ლიანებული ზონარები და ბამბა. ყველგან იყო მიმოფანტული ჭურვთა ნამსხვრევები. შორიახლოს, ჩანს, მდებარეობდა ჯა- რისკაცთა საფლავები, საიდანაც მოდიოდა საზარელი სუნი.

ეს მხოლოდ ექსპოზიცია გახლავთ. კულმინაცია იხილეთ მომდევნო აბზაცში:

და რადგანაც ჯარის ნაწილები აქ დაბანაკებულიყვნენ კი- დეც, ყველგან მოჩანდა ადამიანის განავლის ვეებერთელა გროვები საერთაშორისო წარმოშობისა — ავსტრიის, გერმა- ნიისა და რუსეთის ხალხთა წარმომადგენლების ნამოქმედა- რი. **სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ჯარისკაც- თა სკორე ერთმანეთის გვერდგვერდ ელავა ანდა ერთმა- ნეთზე მშვიდობიანად დაშრევებულიყო ყოველგვარი შულ- ლისა და სისხლისღვრის გარეშე.**

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტი!

P.S. ცხადია, მეორე მსოფლიო ომიც უხვად აისახა მსოფ- ლიო მწერლობაში. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის და ერ- თი პანანკინტელა ციტატა ვიკმაროთ — ანტუან დე სენტი-ეგ- ზიუპერი, მფრინავადაც რომ ვარგოდა და მწერლადაც, ასე ამბობდა: ომი გმირობა როდია, არამედ სწეულებაო.

ქრონიკული და უკუწრებელი...